

მურმან თავდიშვილი

**მიგნება –
აღმოჩენანი**



**გამომცემლობა „კნივერსული“
თბილისი 2021**

47 ნლის ცოლ-ქმარს შორის რომ ერთი გარდაიცვლება, მეორის გულში იმხელა ორმო ჩნდება, სრულიად საკმარისია ცოცხლად შთენილის დასამარხავად. დაუცხრომელი ტკივილის ფონზე ვუძღვნი ამ წიგნს ჩემს მეუღლეს

მზია ისილოს ასულ ტულუშს

ავტორი

© გ. თავდიშვილი, 2021

გამომცემლობა „ენივერსალი“

თბილისი, 0186, ქ. პოლიტკონსასის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-809-0

I. სხვადასხვისადა

ყველა საამრიგო მასალის წიგნში შეტანა ვერ მოხერხდა. ასეთია, მაგალითად, „ალექსანდრე სულაკაძე — რუსული პრერომანტიზმის დამამკვიდრებელი“ (დაიბეჭდა „მნათობში“), „დიმიტრი წერეთელი – (ცერტელევი) – რუსული სიმბოლიზმის მებალავრე“ (დაიბეჭდა „ცისკარში“), „ვინ თარგმნა პირველად „ქვო ვადის, დომინე?!” (დაიბეჭდა „სახალხო განათლებაში“).

საეშმაკო სერობის იდუმალი

ქვეტექსტები

„შუშანიკის წამება“ სიუჟეტურ-კომპოზიციურად კარგად შეკრული ნაწარმოებია. ამას ავტორი ახერხებს ცალკეული კომპოზიციური რკალების ერთმანეთზე გადაბმითა და მიერთებით. კომპოზიციური რკალების (გნებავთ რგოლების) თანამიმდევრობის თვალსაზრისით, მარტვილობაში ასეთი სურათი იხატება:

პირველი კომპოზიციური რკალი დაკარგულია. მასში, ამ ექსპოზიციურ კომპოზიციურ რგოლში, საუბარი წარმართულა წმინდანის ყმანვილქალობაზე, იმაზე, რომ იგი ყოფილა „მოშიში ღმრთისაი, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით“.¹

¹ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1938, გვ. 77.

მეორე კომპოზიციური რკალი გულისხმობს ვარსკენის გამგზავრებას სპარსეთში და იქ მომხდარ ამბებს.

მესამე კომპოზიციური რკალი მოიცავს პიტიახშის ქართლად დაბრუნებას და მისი მეუღლის ტაძრად წასვლას.

მეოთხე კომპოზიციურ რგოლად უნდა წარმოვიდგინოთ იაკობის ამბავი, მისი მისვლა დედოფალთან და სამძიმრის გამოცხადება.

სხვათა შორის, ილია აბულაძის მიერ ტექსტის ნაკვეთებად (პარაგრაფებად) დაყოფა სავსებით ეთანადება თხზულების ამგვარ კომპოზიციურ ნაკვეთებად წარმოდგენას.

მეხუთე რკალია (ილია აბულაძის მიხედვით - IV) ვარსკენის ცურტავს დაბრუნება და ეკლესიის მსახურებთან მისი საუბარი, დედოფლის შინ მიწვევა და მორწმუნის მტკიცე უარი.

მეექვსე რკალსა ქმნის ჯოჯიკისა და მისი ცოლის მოციქულობა შუშანიკის წინაშე და ქალის შინ დაბრუნება.

მეშვიდე რკალი გახლავთ „მგლის“ ტაძრად მოსვლა და **საეშმაკო სერობის** მოწყობა. სხვა-თა შორის, სომხურ ტექსტში პირდაპირ ასეც არის აღნიშნული – **საეშმაკო სერობა** გაიმართაო. „არცა გემო იხილა და არცა სუა საეშმაკო-სა სერისაგან“.²

აქ აღნერილია პურობის ერთობ მკაფიო სცენა, რომელიც მთავრდება მორწმუნის სასტიკი ცემითა და სენაკში შეგდება-დაპატიმრებით.

უნდა აღვნიშნოთ: არათუ მარტვილობაში, საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიპოვება ერთი მცირე კომპოზიციური ერთეული, რომელიც ისე მონოლითური იყოს, ისე ყოველმხრივ მოტივირებული და შეკრული, როგორც მითითებული პურობის სცენა.

უფრო მეტიც: გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მითითებული რგოლი თავიდან ბოლომდე ცხოველი ინტერესით იკითხება. აქ რაი-

² იქვე, გვ. 93.

მეს ჩამატება ან გამოკლება ყოვლად წარმოუდგენელია. შეიძლება ფრთხილად ისიც კი დავსძინოთ, რომ იგი დამოუკიდებელი ნოველის როლს ასრულებს, რომელსაც საკუთარი ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა და კვანძის გახსნა მოსდევს. ერთი სიტყვით, თხზულების ეს მონაკვეთი ყველა სხვა დანარჩენს ისე აღემატება და მათგან ისე გამოირჩევა, როგორც ქვეყნის ჩვეულებრივი პროვინციებიდან გამოირჩევა ავტონომიური წარმონაქმნი.

დიახ, პურობის სცენა თხზულების შედარებით დამოუკიდებელი ავტონომიური ერთეულია.

ერთხელ კიდევ შევიხსენოთ იგი:

„VI. და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰერქუა მსახურთა თვისთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“. და რაუამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს

ერთად პურისა ჭამაი, რაითამცა მოიყვანეს წმიდაი შუშანიკურა. და ვითარცა მოიწია უამი პურისაი, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოი არა რაისა იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალენა და ღვინოი იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსექენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაპტლა, და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარეი ყიოდა და

იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იპრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოულო ხელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა. და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოხრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაი მისი და ბორკილთა შესხმაი ფერხთა მისთა.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულის წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მხურვალედ ევედრებოდა მას, რაითამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაი შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებაი მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაი და კრძალულად დაცვაი მისი ერთითა მსახურითა და რაითა

სხუაი არა ვინ შევიდეს ხილვად მისა, - არცა მა-
მაკაცი, არცა დედაკაცი“:³

მაშასადამე, როგორცა ვხედავთ, აქ გვეძლე-
ვა სრულიად დასრულებული მოთხრობა, მხატ-
ვრული ქმნილება, რომელიც ბადახშის თვალი-
ვით ზის სიუჟეტურ რკალთა სისტემაში. ის
ქმნილების კომპოზიციური სისტემის მწვერვა-
ლია და სხვა დანარჩენებზე ბატონობს. სხვათა
შორის, დრამატიზმი აქ უმაღლეს მწვერვალს
აღწევს. ამაზე მაღლა კონფლიქტი არც ერთ
რკალში არ ადის, აქ მოხდა ცოლისა და ქმრის
საბოლოო გამიჯვნა, აქ მოკვდა იმის იმედი,
რომ მათი გზები ისევ შეიყრებოდნენ. ამიტომაც
სავსებით მისაღებია პროფ. რ. ბარამიძის
თვალსაზრისი, როცა კვანძის შეკვრისა და კონ-
ფლიქტის სიმწვავის მწვერვალად გამოაცხადა
პურობის სცენა.⁴

³ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამო-
ცემა, გვ. 92-94.

⁴ რ. ბარამიძე, კომპოზიციის საკითხი ქართულ აგიოგრაფიულ
თხზულებებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამ-

აღნიშნული რკალის თვითკმარობა და ავტონომიურობა (საკუთარი ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, მისი დრამატული გახსნა და ფინალი) გვიჩენს ეჭვს, ხომ არ არის აღნიშნული მომენტი ნასაზრდოები გარეშე წყაროებიდან, რომელიმე ნათარგმნი წყაროდან ან ბიბლიური წიგნებიდან?

სხვათა შორის, თავის დროზე აკად. კ. კეკელიძე მიუთითებდა: „ბიბლიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მისცა ძველ სასულიერო მწერლობას ნიმუშები ლიტერატურული ჟანრებისა, პოეტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქნილი, დახვენილი პროზაული ენისა. ძველი მწიგნობრები ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვის ხერხებსა და შემოქმედებით ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალური საქმიანობის განვითარებისათვის. ისინი ცალი თვალით იყუ-

ბე, ტ. XV, 9, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954, გვ. 634.

რებოდნენ ბიბლიაში, სადაც პოულობდნენ საჭირო ნიმუშებს, მათ მეხსიერებაში ინახება ძველისა და ახალი აღთქმის ისტორიის სახეები, მათ მტკიცედ ახსოვთ ციტატები „საღვთო წიგნებისა“, მათი შედარებანი და სტილისტიკური ფორმულები. ბიბლიური წიგნები იძლეოდა სიუჟეტებს არა მარტო ძველი, არამედ ახალი დროის ლიტერატურისთვისაც“ (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.).⁵

დაახლოებით იმავე აზრს იმეორებს რ. ბარამიძეც: „აგიოგრაფი მწერლები, განსწავლული იყვნენ რა ბიბლიური წიგნებით, მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული მოძღვრების პროპაგანდას. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ახლოს ყოფილიყვნენ ბიბლიურ ტექსტებთან“.⁶

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, რედ. ალ. ბარამიძე, საბჭოთა საქართველო, თბ., 1960, გვ. 428.

⁶ რ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, გვ. II.

ეს მოსაზრებები რომ მართებულია, ეგ ჩვენი
მაგალითითაც დასტურდება.

ირკვევა, რომ ზემომითითებული სცენა „შუ-
შანიკის წამებისა“, როგორც კომპოზიციური
რკალი, დაკავშირებულია ბიბლიის ცნობილ
წიგნთან „ესთერი“.

აქ აღნერილია, თუ როგორ უბრძანა პურო-
ბაზე გამოცხადება თავის ცოლს სპარსეთის მე-
ფე ახაშვეროშმა (არტაქსერქსემ)⁷, როგორ უარ-
ყო ეს მოწვევა ვაშთი (ასტინ)⁸ დედოფალმა და
ამის გამო რა დაემართა მას. მოვიყვანოთ ბიბ-
ლიური წიგნის ეს პასაჟი:

„1. ეს მოხდა ახაშვეროშის დროს, იმ ახაშვე-
როშისა, რომელიც მეფობდა ას ოცდაშვიდ მხა-
რეზე ინდოეთიდან მოყოლებული ვიდრე ქუშამ-
დე.

⁷ ა.პ. ლოპუხინი, ბიბლიის განმარტებანი, ანუ ძველი და ახალი ალ-
თქმის ყველა წმინდა წიგნის კომენტარები, I, პეტერბურგი, 1904-
1907, გვ. 417 (რუსულ ენაზე).

⁸ იქვე.

2. იმ დროს, როცა იჯდა მეფე ახაშვეროში სა-
მეფო ტახტზე შუშანში, სატახტოში.
3. თავისი მეფობის მესამე წელს გაუმართა
ლხინი თავის მთავრებს, თავის მორჩილთ,
სპარსელთა და მიდიელთა სარდლებს, ხელისუ-
ფალთ და მხარეთა განმგებელთ.
4. და აჩენდა თავისი სამეფოს დიდებულ სიმ-
დიდრეს და თავისი სიდიადის ბრწყინვალებას
მრავალ დღეს, ას ოთხმოც დღეს.
5. როცა ჩათავდა ეს დღეები, გაუმართა მეფემ
მთელს ხალხს, ვინც კი შუშანში, სატახტოში
იყო, დიდსა და პატარას, შვიდდღიანი ლხინი სა-
სახლის ბალში...
10. მეშვიდე დღეს, როცა ღვინომ გაამხიარუ-
ლა მეფის გული, უბრძანა მეჰუმანს, ბიზეთას,
ჰარბონას, ბიგთას, აბაგთას, ზეთარს და ქარ-
ქასს – შვიდ საჭურისს, მეფე ახაშვეროშის წინა-
შე მომსახურეთ.
11. მოეყვანათ ვაშთი დედოფალი მეფის წინა-
შე სამეფო გვირგვინით, რომ ეჩვენებინა ხალხე-

ბისათვის და მთავრებისათვის მისი სილამაზე,
რადგან მშვენიერი იყო სახით.

12. არ ისურვა ვაშთი დედოფალმა მისვლა მე-
ფის ბრძანებაზე, საჭურისების პირით რომ ეც-
ნობა. დიდად გაწყრა მეფე და რისხვით აენთო.

13. უთხრა მეფემ ბრძენკაცებს, დროუამის
მცოდნეთ...

15. რისი ღირსია ვაშთი დედოფალი, რჯულის
მიხედვით, რომ არ შეასრულა მეფე ახაშვერო-
შის ბრძანება, საჭურისების პირით რომ ეცნო-
ბა?

16. თქვა მემუქანმა მეფისა და მთავრების წი-
ნაშე: არა მხოლოდ მეფე გააწილა ვაშთი დე-
დოფალმა, არამედ ყველა მთავარი და ხალხი,
ვინც კი მეფე ახაშვეროშის მთელს სახელმწი-
ფოში ცხოვრობს.

17. რადგან მიუვათ დედოფლის ამბავი ქა-
ლებს და ისინიც დაამცირებენ თავიანთ ქმრებს,
იტყვიან: ვაშთი დედოფლის მოყვანა ბრძანა მე-

ფე ახაშვეროშმა თავის წინაშე, მაგრამ არ მოვიდაო იგი.

18. ამიერიდან სპარსელ და მიდიელ მთავართა ცოლები, რომლებიც შეიტყობენ დედოფლის ამბავს, შეეპასუხებიან მეფის მთავრებს. ბევრი დამცირება და წყენა შეგვხვდება.

19. თუ მეფე ინებებს, გაიცეს მისგან სამეფო ბრძანება, ჩაიწეროს სპარსელთა და მიდიელთა რჯულში უცვალებელად, რომ აღარ შევიდეს ვაშთი მეფე ახაშვეროშის წინაშე. ხოლო მისი დედოფლობა მეფემ სხვას მისცეს, მასზე უკეთესას...

20. მოეწონათ ეს სიტყვა მეფესა და მთავრებს. მემუქანის სიტყვისამებრ მოიქცა მეფე⁹.

ვაშთი (ასტინი) დედოფლის ქცევის თაობაზე კომენტარს ვხვდებით „ბიბლიის ენციკლოპედიაში“: სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს ცოლმა ასტინმა უარი განაცხადა, ნადიმზე დამჯდარი-

⁹ ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, ესთერი, გვ. 465-466.

ყო მეფის წინაშე. ამის გამო მას აჰყარეს სამეფო ღირსება. ასტინის ადგილი მეფის კარზე დაიკავა ესთერმა. მეფის ბრძანების უარყოფას საფუძვლად დასდებია **სპარსული ჩვეულება**, რომლის მიხედვითაც ზეპური დედის ღირსება იბლალება, როდესაც იგი მამაკაცთა სუფრაზე გამოჩენდება. აღნიშნული სპარსული ჩვეულების შესახებ მოგვითხრობენ პლუტარქე და ჰეროდოტე.¹⁰

ეს კომენტარი ბევრის მთქმელია.

მაშასადამე, სპარსეთში ყოფილა ჩვეულება – მამაკაცთა სუფრა ცალკე იშლებოდა, დიაცთა – ცალკე. სხვათა შორის, ეს ჩვეულება დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანშიც“. გულანშაროში ნავრუზობის დღესასწაულზე მელიქ სურ-ხავმა სტუმარ ვაჭარ მამაკაცებს უსენის მეთაურობით ცალკე გაუშალა სუფრა, ხოლო დედო-

¹⁰ ბიბლიური ენციკლოპედია, მ., 1891, გვ. 69 (რუსულ ენაზე).

ფალმა ცალკე სუფრაზე მიიპატიუა ვაჭართა ცოლები ფატმანის მეთაურობით.¹¹

ა. ლოპუხინის განმარტებით, დედოფალს მარტოს დიახაც შეეძლო ესადილა ქმართან ერთად, ოღონდ სახალხო ღრეობის დროს მამაკაცთა წრეში არ უნდა აღმოჩენილიყო, თორემლირსება შეელახებოდა.¹²

ეჭვი არ გვეპარება, რომ სპარსეთის დომინონონ საქართველოშიც მანდილოსნის ღირსებისა და პატივის იგივე გაგება არსებობდა. წესები და ჩვეულებები იმუამად სპარსეთსა და საქართველოში დიდად არ განსხვავდებოდა.

აქ უმთავრესია ჩვეულების ერთი მომენტი: მანდილოსნის ღირსება ილახებოდა, თუ მას აიძულებდნენ მამაკაცთა სუფრაზე გამოჩენას. მაშასადამე, შუშანიკის რისხვას ქმრის წინაშე ასაზრდოებდა ორი მიზეზი: ჯერ ერთი, ეს

¹¹ შ. რუსთველი, „ვეფხისტყაოსაანი“, რედაქცია, შესავალი წერილი და ლექსიკონი სარგის ცაიშვილისა, „მერანი“, თბ., 1986, გვ. 228.

¹² ა.პ. ლოპუხინი, ბიბლიის განმარტებანი, ანუ ძველი და ახალი აღთქმის ყველა წმინდა წიგნის კომენტარები, I, პეტერბურგი, 1904-1907, გვ. 417.

იყო **საეშმაკო სერობა**, რომლის მიზანი იყო
მორწმუნის „მოტეხა“, გადარწმუნება, მასზე
ფსიქოლოგიური ზენოლის მოხდენა; მეორე
მხრივ, ამ დამცირებას ემატებოდა სხვა შეუ-
რაცხყოფაც: დედოფალს, ამაყ მანდილოსანს,
უნდა გაეტეხა წესი – პიტიახშს ღირსებააყრილი
ქალივით უნდა ხლებოდა და შეზარხოშებულ
მამაკაცთა გვერდით დამჯდარიყო.

ამრიგად, შუშანიკის სუფრაზე სახალხოდ
მიწვევა ქალის უფლებებს კი არ აფართოებდა,
მდედრი დაჩაგრული მდგომარეობიდან კი არ
გამოჰყავდა, მის მამაკაცთან გათანასწორებას,
ემანსიპაციას კი არ მოასწავებდა, პირიქით,
ავინწროებდა, ღირსებას ულახავდა, სათამაშო
ტიკინად აქცევდა.

საგულისხმოა, რომ ბიბლიურ თხზულებაში
ჩვენ ვაწყდებით ე.წ. „სიყვარულის სამკუთ-
ხედს“: ახაშვეროშს შერთეს სხვა ქალი. ვაშთი
დედოფლის ადგილი ესთერმა დაიკავა:

- „1. ამ ამბების შემდეგ, როცა დაუცხრა მეფე
ახაშვეროშს რისხვა, გაიხსენა მან ვაშთი, მისი
საქციელი და მასზე გამოტანილი განაჩენი.
2. თქვეს მეფის მხლებლებმა, მისმა მსახურებ-
მა: მოუძებნონ მეფეს ლამაზი ყმაწვილი ქალე-
ბი.
3. დააყენოს მეფემ ზედამხედველნი თავისი
სამეფოს ყველა სამთავროში, რომ თავი მოუყა-
რონ ყველა ლამაზ ყმაწვილ ქალს შუშანში, სა-
ტახტოში, და ჩააბარონ სადიაცო სახლში მეფის
საჭურისს, დიაცთა მცველს ჰეგეს, რომელიც
დაურიგებს მათ ფერუმარილს.
4. ქალწულმა, რომელიც მეფეს თვალში მოუ-
ვა, იდედოფლოს ვაშთის ნაცვლად. მოენონა
ნათქვამი მეფეს და ასეც მოიქცა“.¹³
- ლამაზმანი, ვინც თვალში მოუვიდა მეფეს,
ესთერი გამოდგა.

¹³ ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, ესთერი, გვ.
466.

არის თუ არა მსგავსი მომენტი დაცული ქარ-
თულ თხზულებაში? იგი ამ მხრივაც კვალში
მისდევს „ესთერს“. მართალია, ეს ვითარება,
„სიყვარულის სამკუთხედი”, აქაც ილანდება,
ოღონდ ეგ მომენტი ზემომითითებულ კომპო-
ზიციურ რგოლში ვეღარ თავსდება, გადადის
სხვა რეალში, კერძოდ, მომდევნო კომპოზიცი-
ურ ერთეულში: როცა ვარსქენს მიართმევენ
ცოლყოფილის სამკაულებს, „მგელი“ იქედნუ-
რად დასძენს: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელ-
მან ესე შეიმკოს“.¹⁴ ესე იგი, გამოჩნდება სხვა
ქალი, ვინც ამ სამკაულებს შეიშნობსო. მაშასა-
დამე, შუშანიკ დედოფლის შემცვლელიო.

ამრიგად, ტექსტობრივი სიახლოე „ესთე-
რის“ მნიშვნელოვანი პასაჟისა და ქართული
მარტვილობის მხატვრულ-კომპოზიციური
მწვერვალისა ფაქტია. ახლა საჭიროა, განვსაზ-
ღვროთ, ამ მსგავსებისა და ერთობის მიზეზი

¹⁴ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ი. აბულაძის გამოცე-
მა, გვ. 99.

ავტორია თუ პერსონაჟი? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორს ახსოვს ძველი აღთქმის მნიშვნელოვანი წიგნის მითითებული სცენა და მას კიდევაც იყენებს თუ პერსონაჟი იქცევა ისე, როგორც ოდესლაც მოიქცა სპარსელი დედოფალი?

რ. ბარამიძე წერს: „წმინდანები ქცევით ბაძავდნენ არა მარტო ქრისტეს, არამედ პირველ, მსოფლიო ავტორიტეტებად აღიარებულ წმინდანებს, რაც იწვევდა ეპიზოდების მსგავსებას სხვადასხვა ძეგლებში“.¹⁵

მართალია, ასტინ (ვაშტი) დედოფლის ამბავი როდია წამებულის ამბავი, მაგრამ მისი ცხოვრება, ამაყი და ლირსებით ალსავსე ქცევა, თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო მიბაძვის საგანი და შუშანიკისათვის მსგავსსავე სიტუაციაში ასტინის ქცევა სანიმუშო ყოფილიყო, ასტინი ჩვენს პერსონაჟს წამებულ მანდილოს-

¹⁵ რ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, გვ. 11.

ნად დაესახა, ვინც პრინციპები არ დათმო. მეორე მხრივ, რ.ბარამიძე მიუთითებს: ყველაზე მეტად აგიოგრაფიის გმირები, წმინდანები, ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ ქრისტეს, რაკი ქრისტეს მოწოდება ასეთია: მე დამემსგავსეთო! „ბუნებრივია, ეს გარემოება იწვევდა აგიოგრაფიული ნაწარმოების მოქმედ პირთა ურთიერთდამსგავსებას“.¹⁶

პურობის სცენის ერთი მოქმედება, ჩვენი აზრით, სწორედ „ქრისტეს ბაძვით“ იქცევს ყურადღებას. ცნობილია, რომ გვემულ ქრისტეს გოლგოთის შეღმართზე მიაწოდეს ძმარ-ლვინო, რათა დაელია, ოღონდ არ დალია, უარი განაცხადა. „მისცეს მას სასმელად ნალველით შეზავებული ძმარი, და როცა გემო გაუსინჯა, აღარ მოუნდა დალევა“.¹⁷

ეს არის იდეური არქეტიპი – მოწინააღმდეგებანაკის წარმომადგენლებს უარი უთხრა პურ-

¹⁶ რ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, გვ. 11.

¹⁷ სახარება მათესი, 27, 34.

ლვინოზე, მათს საქმეებს არ ეზიარო, მათი იდე-ები არ გაიზიარო.

ამ იდეის გაშლა და კონკრეტულ სიტუაციაზე მარჯვედ მორგება ხდება „შუშანიკის წამების“ სწორედ იმ კომპოზიციურ რგოლში, რომელსაც ვიხილავთ. ვარდანისმა რძლის მიერ მიწოდებულ ლვინიან ჭიქას ხელი აჰკრა და სითხე დაანთხია: „და განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალენა და ლვინოი იგი დაითხია“.¹⁸

და მაინც ღიად რჩება დაყენებული კითხვა: ეს მიმსგავსებანი ვის დავაბრალოთ: პერსონაჟს, ავტორს თუ ორივეს ერთად? ალბათ, უფრო სავარაუდებელია – ავტორს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჩვენი ერთი დაკვირვება. გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ თავის საყვარელ პერსონაჟს ზუსტად იმ სიტყვებით გვიხასიათებს, რა სიტყვებითა და ფრაზათა კონსტრუქციის მომარჯვებითაც

¹⁸ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 93.

არის დახატული ბიბლიური მოსე წიგნში „მეორე სჯულისაი“.

ჯერ ვნახოთ, პორტრეტის ხატვის რა მანერა გახლავთ გამოყენებული მოსეს სახის გამოსასახავად.

„და იყო მოსე ვითარ ასოც წლის ოდენ, რაჟამს მოკუდა, და არა დაუბრყვილდეს თვალნი მისნი და არცა იცვალა ქმნულებაი პირისა მისისაი“.¹⁹

ფრაზათა გამართვის იგივე მანერა გამოუყენებია ბიბლიის საუცხოო მცოდნე ავტორს, გიორგი მერჩულეს. მას უსარგებლია ხსოვნაში ჩამჯდარი ამ ფორმულით და ბიბლიური მოსესთვის დაუმსგავსებია გრიგოლი, ოღონდ ცნობილია, რომ გრიგოლმა მხოლოდ ას ორი წელი იცხოვრა. მერჩულე წერს:

„მამაი გრიგოლ... ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიინია. ხოლო ფერი პირისა მისისაი არა იცვალა,

¹⁹ მეორე სჯულისაი, 34, 7.

არცა შეემთხვია თვალთა მისთა მრუმედ მხედველობაი“.²⁰

ფაქტია: ქართველი ავტორი სარგებლობს ბიბლიური წიგნის პასაჟით. მან საგანგებოდ წა-ამსგავსა გრიგოლი ბიბლიურ მოსეს. ფრაზათა აგების კონსტრუქცია ერთნაირია, მხატვრული ზემოქმედებაც თანაბარია, რამდენადაც გა-მოთქმის ტექნიკური ყალიბი ერთნაირია. გან-სხვავება მარტოოდენ ის გახლავთ, რომ, თუ ბიბლიურ წიგნში ჯერ ის არის აღნიშნული, რომ გმირს პირის ფერი არ ეცვალა, ხოლო შემდგომ – არც თვალთ დაჰკლებიაო, ქართულ თხზულე-ბაში ეს რიგი, ეს თანამიმდევრობა შეცვლილია: ჯერ თვალთა მხედველობაზეა ყურადღება გა-მახვილებული, მერე – პირისახეზე. ფრაზები კი ორივეგან თითქმის იდენტურია. ერთი მხრივ, **არა დაუბრყვილდეს თვალნი მისნი და არცა შეემთხვია თვალთა მისთა მრუმედ მხედვე-**

²⁰ გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, წიგნში „ძველი ქარ-თული მოთხრობა“, V-XII საუკუნეები, რევაზ თვარაძის რედაქცი-ით, თბ., 1979, გვ. 271.

ლობაი და, მეორე მხრივ, **არცა იცვალა ქმნულებაი** პირისა მისისაი და **ფერი პირისა მისისაი** **არა იცვალა.**

შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: გ. მერჩულემ მოსეს აღწერილობა მოარგო გრიგოლის ხატს, გამოიყენა ნიმუშად მიჩნეული ბიბლიური მონაცემები. შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ იაკობიც მერჩულის მსგავსად იქცეოდა, როცა ნიმუშად დასახულ ბიბლიური პურობის სცენას, ახაშვეროშის სასახლეში გამართულს, შეუფარდა და შეუთანადა ვარსექენ პიტიახშის კარზე გამართული საეშმაკო სერობა? (თუკი საერთოდ მართლა მოხდა ასეთი რამ).

ჩვენ სწორედ აქეთკენ ვიხრებით.

ზემოთ ვილაპარაკეთ მარტვილობაში გამოხატული იმ სპარსულ-ქართული ადათის თაობაზე, რომ ზეპური დედის ღირსება ილახებოდა ნადიმად დამსხდარ მამაკაცთა წრეში გამოჩენით. ეს წესი, მართალია, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ამოიკითხება საეშმაკო სერობის სცენა-

ში, მაგრამ არის სხვა აღმოსავლურ-სპარსული წესი, რომელიც უკეთ, უფრო მკაფიოდ ილანდება და რომელიც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ თხზულება გამოხატავს იმ პერიოდს, როცა აღმოსავლური და ქართული წესები, ადათები ძირითადად ერთნაირი და ერთიანი იყო. ყოველ შემთხვევაში, მაღალი წრის საზოგადოებაში მაინც.

მარტვილობაში ვხედავთ, რომ ქმართან კონფლიქტის შემდეგ, საეშმაკო პურობის შემდგომ, შუშანიკმა **სამკაულები** გაუგზავნა პიტიახშს. იგივე ეწადა პიტიახშსაც. სხვათა შორის, ეს ხდება მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ცოლ-ქმარი სამუდამოდ გაიყარა. ქართულ თხზულებაში ყრუდ, ხოლო სომხურში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სამკაულებთან ერთად ცოლყოფილმა ქმარყოფილს სადედოფლო სამოსელიც გაუგზავნა. ქართულ ტექსტშია: „მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და

ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახ-შსა“.²¹

„ყოველივეში“ აქ იგულისხმება სამკაულებიც, ტანსაცმელიცა და თავსაბურავიც. სომხურ ტექსტში აშკარად ჩანს ორივე: „არამედ **სამკაულნი** და **საპატიო სამოსელი** თვისი მიუძღვანა პიტიახშსა“.

კიდევ მეტი: სამოსელში ფეხსაცმელიც უნდა იგულისხმებოდეს და ჩადრიც. ამიტომ არის, რომ მომდევნო სცენაში მოწამე ქალს ფეხშიშველსა ვხედავთ: „მაშინ წამოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ **უხამური და თმაგარდატევებული**“.²²

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართლშიც ის წესები და ადათები მოქმედებდა, რაც სპარსეთსა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ წესთა შესახებ მსჯელობს მკვლევარი ა. ჯალილოვი. ის მიუთითებს: 1933

²¹ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 99.

²² იქვე, გვ. 99.

წელს ტაჯიკეთში აღმოაჩინეს ე.ნ. სოლდური დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში ყურადღებას იქცევს საქორწინო კონტრაქტი. მასში პირდაპირ წერია: ქმარი პირობას დებს, გაუჩინოს ცოლს საკვები, მისცეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სამკაულები. იქვე დართულია შენიშვნა: თუ ქალი ქმრის მეუღლედ ვეღარ გაჩერდება, დაე, გაეყაროს მას, ოღონდ მოვალეა დაუბრუნოს ტანსაცმელი, სამკაულები და ყველა ის ნივთი, რაც ქმრისგან მიუღია. ამგვარი ანგარიშსწორების შემდეგ ქალი თავისუფალია და შეუძლია იმ მამაკაცს გაჰყვეს, ვისაც მოისურვებს.²³

შუშანიკისა და ვარსექენის ზემონაჩვენები ურთიერთობები ზუსტად ჯდება სოლდურ დოკუმენტებში ჩანსერილ ადათ-წესებსა და მოვალეობა-პირობებში. შუშანიკი არსებულ წესებს იცავს, როცა ფაქტობრივი გაყრის შემდეგ

²³ ა. ჯალილოვი, ისლამის გავრცელებამდე და ისლამის გავრცელების შემდგომ შუა აზიის ქალთა მდგომარეობის ისტორიიდან, დუშანბე, 1974, გვ. 8 (რუსულ ენაზე).

ქმარს უბრუნებს მის კუთვნილ ნივთებს: სამკა-
ულებს, ტანსაცმელს, ჩადრს, ფეხსაცმელს. კი-
დევ მეტი: ქართული მოთხრობა ზედმინევნით
იმეორებს სოლდური დოკუმენტებით გათვა-
ლისწინებულ ცოლყოფილის უფლებას. სოლ-
დურ დოკუმენტებში ვკითხულობთ: ამგვარი ან-
გარიშსწორების შემდეგ ქალი თავისუფალია და
შეუძლია იმ მამაკაცს გაჰყვეს, ვისაც მოისურ-
ვებს.

აღნიშნული პერსპექტივა დასტურდება „შუ-
შანიკის მარტვილობაში“. ვარსკენმა აღნიშნუ-
ლი პერიპეტიების შემდეგ, ერთხელ, მოიწადინა
წამებულის შინ მიყვანა და შეუთვალა: „ანუ ნე-
ბაი ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა
მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კა-
რაულითა“.

ამაზე შუშანიკმა უპასუხა: მე თუ ჩორში გა-
მაგზავნი, იქნებ, იქ რაიმე კეთილს გადავეყა-
როო.

ამან პიტიახში შეაშინა და დააფრთხო, გულ-ში თქვა: „ნუ უკეთუ მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“ და „მიერითგან“²⁴ თავი დაანება.

მაშასადამე, ვარსენმა კარგად იცის ცოლ-ყოფილის უფლება-მოვალეობანი, ისე, რო-გორც ეს იცის თავად წამებულმა. ასე რომ, სოლდურ დოკუმენტებში ნაჩვენები წეს-კანო-ნები, როგორცა ვხედავთ, მოქმედებს წამებაში და ამ ადათებს პერსონაჟები წმინდად იცავენ.

შესაძლებელია, ამგვარი დოკუმენტები ქარ-თულადაც იყო თარგმნილი, რომლითაც ხელ-მძღვანელობდნენ პერსონაჟებიცა და ავტო-რიც. ჩვენ ეს გამორიცხულად არ მიგვაჩნია, პი-რიქით, გვგონია, არსებობდა კიდეც.

ახლა, როცა დადგინდა, რომ საეშმაკო პუ-რობა ერთიანი, მონოლითური სიუჟეტურ-მხატვრული რგოლია, ხომ არ გვეუბნება იგი

²⁴ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამო-ცემა, გვ. 110.

რაიმეს ქართულ-სომხური ტექსტების ურთიერთობის ასპექტით?

ვფიქრობთ, ბევრ რასმე გვეუბნება და გვიხსნის.

კერძოდ, რას?

იმას, რომ, აღნიშნული სცენის მიხედვით, აშკარაა: სომხური ტექსტი ქართულიდანაა გადაღებული. აი, ამისი სამი საბუთი, რომელთაგან პირველი სწორედ საეშმაკო სერობას ეფუძნება.

ა) ქართულ ტექსტში მითითებული სცენა ერთიანი და მონოლითური სიუჟეტური რკალია. იგი გამოიყურება სრულყოფილ ავტონომიურ ნოველად: აქვს საკუთარი ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა და გაშლა, ფინალი. საგულისხმოა, რომ იმ სომხურ ტექსტში, რომელიც ი. აბულაძეს მოჰყავს, ეს მტკიცედ შეკრული ნოველა დამახინჯებულია, გაფანტულია, მისი ოდენ ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამ ფრაგმენტების მიხედვით, საეშმაკო პურობის, როგორც კარგად შეკრული მოთხოვთ, აღდგენა შორეულადაც

კი ვერ ხერხდება. ეს იმას მოწმობს, რომ სომხური გადათარგმნილია ქართულიდან. შევადაროთ ერთმანეთს ორი ტექსტის ეს ერთი სიუჟეტურ-მხატვრული რკალი:

ქართული რკალი - „VI. და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და პრქუა მსახურთა თვისთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“. და რაუამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაი, რაითამცა მოიყვანეს წმიდაი შუშანიკუა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაი, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად. ხოლო გემოი არა რაისაი იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა.

ჰერქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს
ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედა-
თა ერთად ეჭამა პური!“ და განყარა ხელი და
ჭიქაი იგი პირსა შეალენა და ღვინოი იგი დაით-
ხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსექენ და
ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და ალი-
ლო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰავდა,
და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჯილითა სცემ-
და პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოით-
რევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარეი ყიოდა და
იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა
ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის
გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მო-
ხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გა-
მოუღო ხელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი
იდვა წმიდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა. და აგი-
ნებდა ვარსექენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა
მაოხრებლად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა

შეკრვაი მისი და ბორკილთა შესხმაი ფერხთა
მისთა.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულის
წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მხურვა-
ლედ ევედრებოდა მას, რაითამცა საკრველთა
მათგან განეტევა წმიდაი შუშანიკ. და ვითარ
ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებაი მისი
და სენაკსა ერთსა შეყვანებაი და კრძალულად
დაცვაი მისი ერთითა მსახურითა და რაითა
სხუაი არა ვინ შევიდეს ხილვად მისა, - არცა მა-
მაკაცი, არცა დედაკაცი“.

სომხური რკალი - „და მესამესა დღესა ვი-
თარცა სერად მივიდეს, წარავლინა ძმაი იგი
თვისი ჯოჯიკ და ცოლი მისი, რაითა მოუწოდონ
სერსა დედოფალსა მას, და იგი არა ერჩდა. და
შემდგომად მრავალთა ვედრებათა და ლიქნისა
სიტყუათა, წარვიდა ტირილითა და მწუხარები-
თა. და აქუნდა ევანგელეი ერთი მცირე, რომე-
ლი იყო წინაპრისა მისისა წმიდისა საჰაკისი,
რომელი თანა ეპყრა და მით ევედრებოდა იდუ-

მალ ღმერთსა. და არცა გემოი იხილა და არცა სუა საეშმაკოისა მის სერისაგან, არამედ მდუ-
მარე იყო ცრემლითა ხსენებითა აღნათქუემთა
მათ კეთილთა ღმრთისათა, და სულიერისა შუე-
ბისაგან, რომელ იესუ ქრისტე (არს), ნუგეშინის
ცემულ იყო. და აღდგა და წარვიდა თვისსა ად-
გილსა.

და პიტიახში იგი უფროის გულწყებული
აღიმღურა რისხვითა. და ვითარცა დაესრულა
სერი იგი და წარვიდეს (ყოველნი) თითოეულსა
ადგილსა, წარავლინა კუალად და მოუწოდა მას.
ხოლო მან არა ინება მისლვაი. მაშინ აღდგა და
წარვიდა თვით განმხეცებული, და მოითრევდა
მას მონებითა ადგილსა მას. და იგი ლალადებდა
და იტყოდა: „უფალო იესუ, შემეწიე მე!“ და
სცემდა მას კუერთხითა სასტიკად ფრიად, და
არა ვის ეძლო დაშრეტაი რისხვისა მის კაცისაი.
მაშინ ეუწყა ძმასა მას პიტიახშისასა (და) მოვი-
და და ვერა უძლო დაცხრომაი რისხვისა ძმისაი
მის, არამედ იგიცა შეურაცხყოფითა დევნა ად-

გილსა თვისსა. და ურიდად და უწყალოდ გუემა-
თა განაფიცხებდა, ვიდრე არა დაშთა მას ზედა
ადგილი მრთელი კუერთხითა ცემისაგან. და
იდვა იგი ვითარცა მკუდარი და არა იყო ხმაი
სიტყვისა ნეტარისაისა. და მიითუალეს იგი
მკუდრად. და თავად განძვინებული აგინებდა
ლმერთსა და მამათა მისთასა. და შემდგომად
მრავალთა მათ გუემათა, ვითარ მოაკლდა და
დაუძლურდა, ბრძანა მუნვე მითრევაი ნეტარი-
საი მის, სახიდ თვისა, რამეთუ მიიჩნია იგი
მკუდრად“.²⁵

როგორცა ვხედავთ, ქართული ტექსტი ზედ-
მიწევნით მისდევს „ესთერის“ შესაბამის სიუჟე-
ტურ რკალს; სომხური შორეულადაც არ მოგვა-
გონებს ბიბლიური წიგნის პასაჟს.

შეუძლებელია, სომხურიდან გადმოღებისას
გასწორებულიყო დანგრეული მონოლითური
მხატვრული ნაგებობა. პირიქით კი იოლი წარ-

²⁵ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამო-
ცემა, გვ. 93-94.

მოსადგენია: სომეხმა მთარგმნელმა დაანგრია ქართულში მყარად შეკრული მხატვრული ან-სამბლი, შესანიშნავი მხატვრული ნაგებობა.

თუმცადა ჩვენს თემას პირდაპირ არ ეხება, ბარემ მოვიყვანოთ ორი სხვა არგუმენტიც:

ბ) სომხური ვარიანტი რომ ქართულიდან არის გადაღებული, ამას ამტკიცებს ერთი არ-გუმენტი, რომელიც, რამდენადაც ვიცით, მკვლევარებს ყურადღებიდან გამორჩათ.

ქართულ მეცნიერებაში დადგენილია: ჩვენს ტექსტს აკლია წინა ნაწილი, ერთი სიუჟეტური რკალი. ეს აშკარაა. თხზულება ასე იწყება: „და ან დამტკიცებულად გითხრა...“. იქვე, ახლოსვე, წერია: შუშანიკი იყო მორწმუნე, „ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით“.

ეს გამოთქმები ამტკიცებენ, რომ ტექსტს წინა ნაწილი, შესავალი, აკლია.

თუ სომხური კიმენია და არა გადაკაზმული (მეტაფრასული) ტექსტი, მაშინ რატომ იწყება ისიც ქართულის მსგავსად? (იხ. ილ. აბულაძე,

გვ. 77); რატომ არ ჩანს ეს წინა ამბავი სომხურ ტექსტებში?

ვფიქრობთ, კიდევ ერთი არგუმენტია შეუნიშნავი:

ვარსკენის მაცნეს დედოფალი ეკითხება: თუ პიტიახში სულიერად ცოცხალია, მაშინ მივიღებ მის სალამს; თუ სულიერად მკვდარი ჩამოვიდა სპარსეთიდან, მაშინ ეს მოკითხვა შენთვის შენახეო.

ამაზე „კაცმან მან ვერ იკადრა სიტყვად მისა“.

ესე იგი, ვერაფერი თქვა, ჭეშმარიტება დამალა, ვერ აღიარაო.

ამის შემდეგ ბუნებრივია ქართული ტექსტის ლოგიკური სვლა: დადუმებულ, სინამდვილის დამფარველ შიკრიკს შუშანიკმა დააფიცა, ეთქვა, ეღიარებინა სიმართლე:

„ხოლო წმიდაი შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად“.

სომხურ ტექსტში, რომელიც ქართულიდან არის გადაღებული, ეს ლოგიკური სვლა აღარ ჩანს. იქ გაუგებარია, რატომ და რისთვის აფიცებს შიკრიკს შუშანიკი, რადგან სომხურ ვარიანტში ამ დაფიცების საფუძველი – მაცნის მიერ დადუმება და პირზე კლიტის დადების სცენა – გამოტოვებულია.

აი, სომხური ტექსტი:

„მიინია და შევიდა წინაშე დედოფლისა, მოკითხვაი ჰერქვა და ხარებაი მოსლვისაი მისისაი. ხოლო მან ჰერქუა: „ჭეშმარიტად ცხოველ არს სულითა?“ და აფუცებდა კაცსა მას ღმერთსა ცხოველსა. ხოლო იგი ცრემლოდა და ეტყოდა: „ქმარმან შენმან უვარ ყო ჭეშმარიტებაი და თაყვანის სცა ატრუშანთა“.²⁶

ახლა ამ ულოგიკო ტექსტს შევადაროთ ქართული მასალა, რომელიც, ლოგიკის თვალსაზრისით, სრულყოფილია:

²⁶ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 79.

„ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა წინაისწარმეტყველმან ჰრქუა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენადვე მოიქეცინ“. ხოლო **კაცმან მან ვერ იკადრა სიტყვად** მისა. ხოლო წმიდაი შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრქვა, ვითარმედ: „ვარსექენ უვარ ყო ჭეშმარიტი ღმერთი“.²⁷

ჩვენ მიერ ხაზგასმული ციტატა, რომელიც ლოგიკური საფუძველია, რათა დედოფალი „აფუცებდეს“ მაცნეს და სიმართლეს დაეძებდეს, სომხურ ტექსტში არსად ჩანს.

მაშასადამე, ცუდ თარგმანში პასაუის უმთავრესი ლოგიკური საფუძველი დაიკარგა.

გ) სომხური ტექსტი რომ თარგმანია, ამას ამტკიცებს შემდეგიც: ე.წ., „**სიყვარულის სამ-**

²⁷ ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 79.

კუთხედი“ მკაფიოდ იკითხება „ესთერში“, „შუ-შანიკის წამებაში“, ხოლო სრულიად უგულე-ბელყოფილია სომხურ ტექსტში. იქ ხსენებაც არსადაა „სიყვარულის სამკუთხედის“ მესამე წევრისა, შუშანიკ დედოფლის შესაძლო შემ-ცვლელისა. იქ არ ჩანს, თუ რად ისწრაფის ვარ-სქენი სამკაულთა მიღებას, რისთვის სჭირდება ისინი. მაშასადამე, ეს მნიშვნელოვანი ელემენ-ტი მთარგმნელს გამორჩენია, მნიშვნელოვან ელემენტად არ მიუღია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. საეშმაკო პურობის სცენა „შუშანიკის წა-მების“ მხატვრულ-კომპოზიციური მწვერვა-ლია. იგი მონოლითური, კარგად შეკრული სა-კუთრივი მხატვრული ღირებულების მქონე და-მოუკიდებელი მოთხრობაა.

2. საეშმაკო სერობა ამჟღავნებს აშკარა თა-ნაზიარობას ბიბლიური წიგნის „ესთერის“ შესა-ბამის სცენასთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართველი ავტორიცა და მისი პერსონაჟიც იც-

ნობენ და იყენებენ ვაშთი დედოფლის ნიმუშად
დასახულ ქცევას.

3. სომხურ ტექსტში მითითებული მხატ-
ვრულ-კომპოზიციური პასაჟი დამსხვრეულია.
მისი მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი,
რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთარგმნელს ალ-
ლო ვერ გამოუჩენია და ეს შესანიშნავი მხატ-
ვრული ნაგებობა ვერ გადაუხატავს.

4. ილია აბულაძე მიუთითებს ქართული ტექ-
სტის მასაზრდოებელ წყაროებზე. ესენია: მა-
თეს, იაონეს, ლუკას, მარკოზის სახარებანი,
თესალიელთა, II ტიმოთელთა, კორინთელთა,
შექმნათა, იოანეს გამოცხადება, ფსალმუნი,
ისუ ნავეს, III მეფეთა, გალატელთა წიგნები.

ჩვენი გამოკვლევის შემდეგ, ვფიქრობთ, ამ
წყაროებს უნდა შეემატოს კიდევ ერთი ბიბლიუ-
რი წიგნიც – ეს გახლავთ „ესთერი“.

5. „შუშანიკის წამებაში“ დადასტურებული
საყოფაცხოვრებო-ქორწინებითი ადათ-წესები
და კანონები ემთხვევა იმუამინდელ სპარსულ-

აღმოსავლურ ადათ-კანონებს და სავარაუდებელია, რომ შუშანიკის ეპიკაში არსებობდა „სოლ-დური დოკუმენტების“ ან მისი მსგავსი აღმოსავლური წეს-განვების თარგმანი, რომლის დაცვით ცხოვრობდნენ ძველი იბერიელებიც.

განა მართლა „და“ კავშირით იწყება „შუშანიკის წამება“?

საკვანძო სიტყვები: და, ხოლო, არამედ, ა, უ, უზუსი, მეტყველების კულტურა, რუსთველური სტროფის მეოთხე ტაეპი.

ძველი ქართული ენა დღესაც საკმაოდ გასა-გები და ნათელია. თუ თანამედროვე ბერძენს ჰომეროსის პოემები უნდა უთარგმნო, ჩვენ ეს არა გვჭირდება. ძველი სამეტყველო კულტურა, ძირითადად, მისაწვდომია. მიუხედავად ამისა, არის ბევრი რამ, რაც დღესდღეობით გაურკვე-ველი და შეუცნობელია.

ერთ ასეთ მოვლენაზე ვისაუბრებთ ახლა.

უძველესი ქართული მეტყველება და მისი სტილი დაცულია „შუშანიკის წამებაში“. იგი და-ნერილია 475 წელს, მე-5 საუკუნის მეორე ნახე-ვარში. ტექსტი იწყება ერთობ უცნაურად:

„და ან დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსას-რული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“ (3, 7).

აქ საგულისხმოა საწყისი სიტყვა „და“.

ამრიგად, ტექსტი იწყება „და“ კავშირით, რაც ერთგვარად მოულოდნელია. მეცნიერები ლო-გიკურად ფიქრობდნენ: თვით ტექსტში, ქვემო-რელე, მითითებულია, რომ ავტორს სადღაც უმ-სჯელია პერსონაჟის ბავშვობაზე: „მოშიში ლმრთისად, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვსით“ (3, 2). ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ იწყება თხზულება მოულოდნელად „და“ კავში-რის გამოყენებით; „და“ კავშირის წინ ენერა სწორედ ის ტექსტი, სადაც აღნერილი იყო მორ-წმუნის სიყმანვილეო.

ეს ლოგიკური არგუმენტია, ოღონდ მას არ აქვს არავითარი მყარი საფუძველი. მე შევისწავლე ეს ტექსტი, ასევე, სხვა ძველი ნაშრომები და გაირკვა შემდეგი: „თვითონ „შუშანიკის წამების“ მხოლოდ პირველი აბზაცი კი არ იწყება ასე უცნაურად, არამედ შიგნიტექსტის სხვა არაერთი აბზაციც. მაგალითად, იხილეთ იმავე წიგნის მომდევნო, მესამე გვერდი, სადაც „და“ კავშირი იწყებს სრულიად ავტონომიურ სამსხვადასხვა მონაკვეთს (გვ. 3). იგივე სურათია მე-10 გვერდზე და ა. შ.

კიდევ მეტი.

ამ თვალსაზრისით შევისწავლე „ევსტათი მცხეთელის წამება“. იქაც ბევრი ადგილი იწყება მოულოდნელად - „და“ კავშირის მეშვეობით (იხ. იმავე წიგნის გვ. 17, 28, 29 და ა. შ.). იგივე ითქმის მე-10 საუკუნეში შეთხზულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“.

ამრიგად, გადაჭრით ვაცხადებთ: „და“ კავშირით პირველი ქართული ტექსტის დაწყება არ

უკავშირდება თავდაპირველად წინ არსებულ
ტექსტს.

ეს საიდუმლო რომ გავარკვიოთ, უნდა გამო-
ვიყენოთ რომელიმე საკონტროლო უცხოური
ენა. ჩემთვის ასეთია რუსული. ამავე დროს, აუ-
ცილებელია მკითხველის ყურადღება გადავი-
თანო ერთობ მნიშვნელოვან ენათმეცნიერულ
კატეგორიაზე, რომელსაც „უზუსი“ ეწოდება.
ინგლისური სიტყვა „usual“ (საწყისია ლათინუ-
რი ასა) ნიშნავს „ჩვეულს“, „ჩვეულებრივს“ (4,
413). აქედან მომდინარეობს მისი საენათმეც-
ნიერო გაგება – „სამეტყველო ჩვეულება“. სა-
ზოგადოდ უნდა ითქვას: უზუსი მშრალ და მო-
საწყენ გრამატიკას ხდის სახალისოსა და საინ-
ტერესოს. მისი სივრცე ფართო და მრავალფე-
როვანია, ხოლო საწყისი – შორეული. შესაძ-
ლოა, მას ენობრივი სისტემის ჩამოყალიბების
კვირაძალზეც კი დასდებოდეს საფუძველი.
ამას რომ ვამბობ, მივიჩნევ: ამ უზუსის საზ-
ღვრებში შემოდის ადამიანის პირიდან უნებლი-

ეთ აღმომხდარი შორისდებულებიცა და სხეულის ენაც – მიმიკა, შინაარსის მატარებელი სხეულებრივი მოძრაობანი. ამიტომაცაა, ბევრი მათგანი სხვადასხვა ენაში ერთნაირია. მაგალითად, მხრების აჩეჩვა ბევრი ერის წარმომადგენლისათვის აღნიშნავს გაურკვევლობას, გაუგებრობას, არცოდნას; როდესაც რუსს რაიმე ეტკინება, მყისიერად წამოსცდება „օქ!“ ზუსტად იგივე მოსდის ქართველსაც. ამ რუსული წამოძახილის ზუსტი ეკვივალენტი და ფორმაა „ვაი!“ საქმე ისაა, რომ ქართულში „ო“ ხმოვანი ხშირად იკვეცება (ნახევრად იკვეცება) და გვაძლევს „ვა“ ბერათკომპლექსს. მაგალითად: მეგრული „თოლი“ ქართულში გვაძლევს ფორმას „თვალი“; მთაში ამბობენ „ცხორი“, ბარად კი ასე – „ცხვარი“.

ახლა განვიხილოთ ამგვარი უზუსური მოვლენის სხვა მაგალითები ჩემ მიერ აღებულ საკონტროლო ენაში.

რუსულ მეტყველებაში არის ერთი ასეთი უცნაური მოვლენა. ყოველ სალაპარაკო ფრაზას წინ უძღვის თითქოსდა სრულიად ზედმეტი და არასაჭირო ნაწილაკი, უცნაური ელემენტი a.

a ხმოვანი გვხვდება, მაგალითად, ასეთ გამოთქმაში:

а ты вчера ходила на колхозный базар?

თითქოსდა „a“ სრულიად ზედმეტია, მაგრამ არა. ის გახლავთ სასაუბრო ელემენტი, აზრის გამოხატვის მაუწყებელი ძახილი, სიგნალი, ყურადღების მისაქცევი საშუალება. რუსულად მას შეიძლება ვუწოდოთ позывной.

ვნახოთ ამგვარი მოვლენის კიდევ ერთი მაგალითი. ავიღოთ ასეთი დიალოგი:

- А ты вчера ходила на колхозный базар?
- Ну ходила!
- И купила свежие картошки?
- Ну купила!

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ბგე-
რათკომპლექსი Hy. ეგ „ნუ“, ერთი შეხედვით,
არაფრის მაქნისია. მართლაც, შინაარსობრივად
ის არაფერს იძლევა, არადსალირალია, ოლონდ,
უზუსის თვალსაზრისით, ახალისებს ენას, გა-
მოთქმის ექსპრესიას ზრდის სწორედ ისე, რო-
გორც „ზედმეტი“ A.

მაშასადამე, A და Hy ძველი რუსული მეტ-
ყველების კულტურის რუდიმენტებია. მაგალი-
თად, უზუსური A გვხვდება ძველ ლიტერატუ-
რულ შედევრად მიჩნეულ ტექსტში. ეგ გახლავთ
„Слово о полку Игореве“, რომელიც შექმნილია
დაახლოებით იმ დროს, როცა შეითხზა „ვეფ-
ხისტყაოსანი“. მოვიყვანოთ აღნიშნულის ერთი
მაგალითი: „A Игорева храброго полка не
воскресить!“ (2, 49).

აქაც, როგორცა ჩანს, A სასიგნალო ხმოვა-
ნია.

დღევანდელ ქართულ მეტყველებაში ამგვარი „პოზივნოი“ აღარ გამოიყენება, ოღონდ, როგორცა ჩანს, ძველად იგი მეტყველების კულტურის აუცილებელი ნაწილი იყო.

აი, თუ რა ყოფილა ძველ ტექსტებში ესოდენ ხშირად მომარჯვებული ეს უცნაური „და“.

მაშასადამე, მსგავს შემთხვევებში ის კავშირის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ – სიგნალისა.

ოღონდ ამაზე ნუ შევჩერდებით და კვლევა გავაღრმაოთ.

რუსულ ფორმანტს „ა“ ქართულად შეესატყვისება არა ერთი, არამედ სამი ეკვივალენტი. ესენია: **და, ხოლო, არამედ.**

გავსინჯოთ საამრიგო მაგალითები.

და:

ა, если он не придет.

და, თუკი იგი არ მოვა...

ხოლო:

Муж поет, а жена танцует.

ქმარი მღერის, ხოლო ცოლი ცეკვავს.

არამედ:

Правильно будет не «монография академика Шалвы Амонашвили», а «монография академика Шалва Амонашвили».

მართებულია არა „მონოგრაფია აკადემიკოს შალვი ამონაშვილისა“, არამედ „მონოგრაფია აკადემიკოს შალვა ამონაშვილისა“.

მაშასადამე, გარდა მნიშვნელობისა „და“, რუსულ ა ფორმანტს ჰქონია კიდევ ორი მნიშვნელობა. ესაა „ხოლო“ და „არამედ“.

თუ ეს ასეა, მაშინ მოსალოდნელია, რომ ძველი ქართული მეტყველების კულტურას ახასიათებდეს ფრაზის დასაწყისში სიტყვების – „ხოლო“ და „არამედ“ ისევე მომარჯვება, როგორც გამოიყენება ბერძნულექსი „და“.

გაირკვა სენსაციური კულტუროლოგიური ამბავი: ძველ ქართულ ტექსტებში ახალი აზრის ჩამოყალიბებისას გამოყენებულია არა მხო-

ლოდ „და“ სიგნალი, არამედ მისი პარადიგმებიც – „ხოლო“ და „არამედ“.

საამრიგო მაგალითებით ძველი მეტყველება გაჭედილია. იხილეთ ზემომითითებული წიგნის შემდეგი გვერდები: 7, 8, 9, 10 და ა. შ.

„შუშანიკის წამება“: „ხოლო ამის უბედური-სა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენის“ (გვ. 7).

„ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისად მის პიტი-ახშისად“ (გვ. 8).

„ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას“ (გვ. 9).

სათანადო ნიმუშები იხილვის მოთხრობაში „სიბრძნე ბალაჟვარისი“ (იხ. იმავე წიგნში გვ. 48, 49, 50...).

„არამედ უმჯობესად შეჰვრაცხე...“ (აბოს წამება, იგივე წიგნი, გვ. 117).

„არამედ ან მე ვინაითგან ვერ ძალ მიც მო-უკლებელად ლოცვად“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 214). „არამედ ან სასწაულნი

მათნი უამთა სიმრავლისაგან მიეცნეს“ (იქვე, გვ. 215).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობილი საზეპირო იწყება ასე:

„არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანად აღი-
რაცხების...“ (გვ. 280).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: გაირკვა
ძველი ქართული მეტყველების კულტურის
მეტად საინტერესო საკითხი; დადგინდა ძვე-
ლი ტექსტების სასიგნალო სიტყვები – და,
ხოლო, არამედ, რომელთაც გრამატიკულ კა-
ტეგორია კავშირთან არავითარი შეხება არა
აქვთ.

ყოველივე ამის შემდეგ გადავიდეთ ძველი
მეტყველების კულტურის შემომნახველ კიდევ
ერთ ძეგლზე. ეს გახლავთ რუსთველის პოემა.

„ვეფხისტყაოსანი“ მეცნიერულად შეისწავ-
ლება 1712 წლიდან. დღემდე ამ მხრივ ბევრი
რამ გაკეთდა, ოღონდ გაურკვეველი იყო საკით-
ხი: რას ნიშნავს და რისთვის გამოიყენება ყოვე-

ლი სტროფის მეოთხე, დამამთავრებელი, ტაეპის წინ თითქოსდა სრულიად ზედმეტი და შინაარსობრივად არაფრისმთქმელი „და“. აღნიშნულის შესახებ რაიმე სერიოზული მოსაზრება არავის გამოუთქვამს.

ჩემი აზრით, მითითებული „და“ უნდა განვიხილოთ ძველი ქართული სამეტყველო კულტურის კონტექსტში. ეგ „და“ უზუსის სფეროს განეკუთვნება. ამგვარი საგანგებო დაგრძელება შაირისა (თექვსმეტმარცვლიანი ლექსისა) ერთი სრული ხმოვნით კიდევ უფრო აძლიერებს საგანგებო სასიგნალო ეფექტს. აქ „და“ ორმხრივ ფუნქციას ასრულებს: ა) მსმენელს ყურის საშუალებით აგებინებს, რომ სტროფი სრულდება, რომ ამჟამად ყური მოისმენს ერთი პოეტური აბზაცის საბოლოო ფრაზას; ბ) ხელნაწერის თვალით აღმქმელს კი მზერის საშუალებით აჩვენებს, რომ სტროფის სამი წინარე ტაეპისაგან სიგრძით გამორჩეული მეოთხე პწკარი საბოლოო, დასკვნითი კადენციაა, რომლის წარმოთ-

ქმისთანავე უნდა გაკეთდეს ხანგრძლივი ყოვნი, პაუზა. ეს აუწყებს მკითხველს, რომ ერთი აზრობრივ-ემოციურად დამოუკიდებელი მონაკვეთი დასრულდა. თვალნათლიობისათვის მოვიყვანოთ სათანადო ნიმუში:

არდავიწყება მოყვრისა
აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰებ კაცსა აუგიანსა,
ცრუსა და ლალატიანსა.
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ
მას ხელმწიფესა მზიანსა,
და რა უარეა მამაცსა
სულდიდსა, წასლვაგვიანსა! (1, 798)

მაშასადამე, ჩვენს ეროვნულ ეპოსში დაცული უზუსური საშუალება „და“ თავისი წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა საგანგებო ძახილი, სიგნალი, „პოზივნოი“, ესოდენ ხშირად რომ გამოიყენებოდა ადრინდელ პროზაულ თხზულებებში, როგორც სამეტყველო კულტურის ელემენტი.

აქვე დავსძენ: რუსული **a** ბგერის ზუსტი
ანალოგი შემონახულია ქართულშიც, ოღონდ
წინადადების ბოლოს: „მოდიხარ თუ არა, **ა?**“

ლიტერატურა

1. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა
და ალ. ბარამიძის რედაქცია, თბ., 1966;
2. Слово о полку Игореве, М., 1983;
3. ქართული პროზა, I, თბ., 1982;
4. ჭაბაშვილი მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექ-
სიკონი, თბ., 1973.

მეტყველების კულტურის (უზუსის) ელემენტები ძველ და საშუალ ქართულში

ქართულ ხალხურ ზღაპრებში შემორჩენილია ძველი მეტყველების კულტურის (უზუსის) მკაფიოდ გამოხატული მყარი ფორმულა. იგი ასე გამოიყურება: **იყო და არა იყო რა.**

ამ ფორმულით იწყება ყველა ზღაპარი.

ჩვენი ეროვნული ეპოსის თხრობითი ნაწილიც ამ ფორმულით იწყება: “**იყო არაბეთს როსტევან . . .**” (2, 23, 1).

ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემაში ზღაპრის არაერთი ხერხი და კომპონენტია გამოყენებული. მაგალითად, უმცროსი გამარჯვებული ძმის მოტივი (ნესტანს ეძებს უფროსი ძმა ტარიელი. მას არაფერი გამოსდის; შემდეგ შუათანა ძმა ფრიდონი ცდის ბედს. არც მას გამოუვა რაიმე. ბოლოს “ჯერთ უწვერული” მესამე, უმცროსი, ძმა წავა

ნესტანის საძებრად და წარმატებას იზეიმებს); დევისა და დევის ქვაბის მოტივი (ტარიელი და ასმათი დევებს ამოხოცავენ და დევის მღვიმეში დაიდებენ ბინას; ავთანდილი აქ გაიცნობს ას-მათს. ქალი დაეხმარება სტუმარს სახიფათო “დევის”, ტარიელის, გულის მოგებაში და ა.შ.); კიდევ ერთ ელემენტს დავასახელებთ: ქართულ ზღაპრებში ერთმანეთზეა გადაწყულ-გადახ-ლართული წყვილის დაქორწინება და სახელ-მწიფო ტახტზე დაჯდომა. ასეა პოემაშიც: რა-წამს დაქორწინდება ავთანდილი, იმწამსვე მე-ფედ ცხადდება; ტარიელი რაწამსაც იქორწი-ნებს ნესტანზე ინდოეთში, იმწამსვე ტახტზე ადის; შვიდ სამეფოდ გაშლილ ინდოეთს ბატონ-პატრონად ევლინება და ა.შ.

ძალიან საინტერესო უზუსური მოვლენაა გამოთქმა **ადგა**. ეს ერთგვარი სასიგნალო ტერ-მინია, რომელიც სულ არ გულისხმობს იმას, რა შინაარსსაც ატარებს. ესე იგი, სადაც წერია **ად-გა**, ყველგან და ყოველთვის როდი აღნიშნავს

ამგვარ მოქმედებას. უფრო სწორად, იგი გამოხატავს სიგნალს, ძახილს, შეტყობინებას. რომელიღაც ზღაპარში ასე უცნაური უზუსური ფორმულაც კი წამიკითხავს: **ადგა და ადგაო.**

ეჭვი არაა, პირველი ადგა სასიგნალო ერთეულია, წმინდა წყლის უზუსია, ხოლო მეორე მართლა მოქმედებაა, მართლა წამოდგომაა.

ქართველი იტყვის: **ადგა და უთხრა.** საგულისხმოა, რომ წინ არსად არის ნაჩვენები, რომ მოქმედი პირი ზის, და, თუნდაც იჯდეს, რაიმეს თქმის წინ რა საჭიროა ადგომა? ოღონდ აქ “ადგა” უზუსური ელემენტია და სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას როდი გულისხმობს.

ამის კარგი პარადიგმული მაგალითი მოპოვება რუსულ მეტყველებაში. “**ადგა და უთხრა**” რუსულად ასეთ სახეს მიიღებს: “**взял и сказал**”. დააკვირდით, რუსულ უზუსში “ადგა” ჩაანაცვლა სხვა ზმნამ. ეგ არის “**взял**”.

მაში, ასე: “**აიღო და უთხრა**” ან კიდევ “**აიღო და მოკლა**”, “**აიღო და ესროლა**”.

სინამდვილეში კი არავინ არაფერს იღებს.

ამ მხრივ საინტერესო მაგალითი გვაქვს ავთანდილისა და ასმათის პირველი შეხვედრის ეპიზოდში. სპასპეტს აქვს დიდი სათხოვარი: ას-მათი მას ტარიელის ამბავს უნდა მოუყვეს. ამი-ტომაც “ჯერთ უწვერული” ქალს დაუჩინქებს, მუხლმოდრეკილი ევედრება. ფრაზა ამჟღავ-ნებს უზუსურ მოვლენას:

„ცრემლ-დენილი შეეხვენა, **ადგა**, მუხლი მიუყარნა“ (2, 246, IV).

ჯერ ერთი, იმ დროს ავთანდილი არც იჯ-და და არც იწვა; მეორეც, რომც მჯდარიყო, თუ მუხლის ჩოქებზე იყო დასადგომი, ადგომა რაღა საჭირო იქნებოდა?! მაგრამ საქმეც ის არის, რომ უზუსურმა მოვლენამ ეგ ლოგიკა არ იცის, ის მყარი სამეტყველო ადათია, წესია, რაც საუ-კუნეების წიაღ შეიმუშავა ენამ და ემსახურება მეტყველების გახალისებას, გამრავალფეროვ-ნებას, გაცოცხლებას.

მაშასადამე, “**ადგა**, მუხლნი მიუყარნა“ წმინდა წყლის უზუსია!

ამგვარი ფორმალური, “ლიტონი“ **ადგა** სხვაგანაც გვხვდება. პოემაშია: “**ადგა**, მითხრა“ (2, 378, I). რუსულად რომ გვეთარგმნა ეგ ადგილი, ასეთი რამ გამოგვივიდოდა: “**взял и сказал**“.

ახლა მოვიყვან შემთხვევას, სადაც ავთანდილი ფეხზე დგას, მაგრამ ავტორი მაინც ასე გვემეტყველება:

„ავთანდილ **ადგა**, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა“ (2, 1349, IV).

საგულისხმოა მუხლმოყრის სხვა სცენა: “**ადგა**, მუხლნი დაუყარნა“ (2, 1522, II).

ეს უზუსური ფორმულა ჩანს ე.წ. “ინდოხატაელთა ამბავშიც“, რომელიც პოემის ორგანული ნაწილია. ინდოეთიდან მომავალი მგლოვიარე ვაჭრები ტარიელის, როგორც მეფეთ მეფის, წინაშე ფეხზე დგანან, მაგრამ ფრაზა მაინც ასეთ სახეს იღებს: “**ზე ადგეს** და მოახსენეს...“ (3, 1796, I).

ერთობ საინტერესოა პოემაში ნახმარი ტერმინი **ლახვარი**.

ყველაფრიდან ჩანს, რომ XII-XIII საუკუნეებში ლახვარი მოძველებული იარაღია და მას არავინ ხმარობს. პრაქტიკულად იყენებენ შუბს. მართლაც, შეტაკებებში ყველგან ეგ სახელი ტრიალებს: “კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც“ და ა.შ. მაგრამ სასაუბრო მეტყველებაშია **ლახვარი**. სხვათა შორის, დღესაც, ავტომატ “კალაშნიკოვისა“ და ატომის ეპოქაში ქართველი ასე მსჯელობს: “კაცმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო“. არადა, ამის მთქმელ დღევანდელ ქართველს არც ფარი და არც ხმალი ხელში არასოდეს სჭერია! სწორედ ასე მოძველებულია რუსთველის დროს **ლახვარი** და იგი სიტყვის მასალად, უზუსის ელემენტად ქცეულა.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: თუ **შუბი** პრაქტიკულ ბრძოლაში ისხენიება, **ლახვარი** გამოიყენება მხოლოდ პიროვნების

სულიერ-ფსიქიკური მდგომარეობის ასასახა-
ვად.

ვნახოთ საამრიგო მაგალითები:

რუსთველს თამარ მეფის საქებრად დაუ-
ნერია სახოტბო “ქებანი“. იგი ისე კეთილხმოვა-
ნი და ძლიერი ყოფილა, რომ, “ვინცა ისმინოს,
დაესვას **ლახვარი** გულსა ხეული“ (2, 4, IV).
სხვაგან მითითებულია, რომ რაღაც მოვლენა
(ღმერთი) კაცს **ლახვარს** მოაშორებს: “მას **ლახ-**
ვარსა მოაშორვებს“ (2, 636, II); არის ვითარება,
სადაც ირკვევა, რომ გულის სიყვარულით და-
საჭრელად საჭიროა ალმასის **ლახვარი** და არა
ხის ჭოლოვი: “ალმასისა ხამს **ლახვარი**“ (2,
344,4); ტარიელი ასე მსჯელობს: “**ლახვარი** მე-
ცა ცნობასა და გულსა“ (4, 344,2); ასევე, გულსა
და გრძნობათა კორიანტელთან არის დაკავში-
რებული ეს **ლახვარიც**: “რა **ლახვარი** გულსა მე-
ხოს“ (4, 532, 4); ერთ პერსონაჟს გული ისე ექცა,
“ვითამც რამე ჰქონეს **ლახვარი**“ (4, 845, I); სწო-
რედ ამგვარი ვითარებაა სხვაგანაც: “შენ **ლახ-**

ვარი სხვა გესობის“ (2, 1017, 2). სიტყვის მასა-ლადაა გამოყენებული ეგ ცნება ამ შემთხვევა-შიაც: “დადვა კეშანი **ლახვარმან**“ (4, 835, 1); იგივე ვითარებაა აქაც: “დღეს საწუთომან **ლახვარსა** მიმცა“ (4, 715, 2); “კაცი ცრუ და მო-ლალატე ხამს **ლახვრითა** დასაჭრელად“ (4, 162, 4); ერთ-ერთ მნათობს, მარსა, ავთანდილი ეა-ჯება: “დამჭერ **ლახვრითა** შენითა!“ (4, 960, 1); სხვაგან წერია: “**ლახვარნი** ეგე ვით დაგალონე-ბენ“ (4, 365, 1); არის სხვა მაგალითები. ყველას ვერ გამოვეკიდებით. მსგავსი არაპრაქტიკული **ლახვარი** გამოყენებულია კომპოზიტებშიც: **ლახვარდაუსობელი** (4, 583, 1); **ლახვარსობილი** (7, 3); **ლახვარხებული** (4, 522, 3).

ამრიგად, ომში — **შუბი** ან **ლახტი**, ხოლო **სულიერი** ჭრილობების მისაღებად — **ლახვარი**.

სიტყვის მასალად, ანუ უზუსის ელემენ-ტად, მივიჩნევთ გამოთქმას **მოდი**, რომელიც ბევრგან **სულაც** არ **აღნიშნავს** მის ნამდვილ ში-ნაარსს. ის არ გულისხმობს, რომ ვინმეს მარ-

თლა იწვევენ თავისთან. მაში, ეგ გახლავთ რი-ტორიკული მოწოდება, რომელიც აღსრულებას არც კი გულისხმობს (იმთავითვე არ გულის-ხმობს).

გავსინჯოთ საამრიგო მაგალითები:

ავთანდილი მნათობებს ხშირად ასე მი-მართავს: “**მოდი**, ასპიროზ, მარგე რა...“ (2, 962, I); “**მოდი**, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრი-თა შენითა!“ (2, 961, 1); “**მო**, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა!“ (2, 959, 1); “**მო**, მთვარეო, შემიბრალე!..“ (2, 964, 1).

ნამდვილ მისვლა-მოსვლაზე არც აქ არის ლაპარაკი: “**მიდი**, უთხარ: ნუ გამწირავს“ (2, 964, IV). ასევე, არავითარ მისვლა-მოსვლას არ გულისხმობს ეს ფრაზა: “შენთვის ხელქმნილსა ტარიელს ამბვითა, **მო**, ალხენიე!“ (2, 1271, 3).

ზუსტად ამავე ფუნქციას ასრულებს ზმნა “**მომკალ**“. ამ სიტყვა-მოწოდების წარმოთქმი-სას სიკვდილს არც ვინ აპირებს. ესეც ერთგვა-რი რიტორიკული შეკითხვაა.

გავსინჯოთ ამ რიგის ნიმუშები:

“**მომკალით**, ლარი დავლიოთ ან აკიდებით, ან ტენით” (2, 621, 4); “**მომკალ**, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს!” (2, 745, 3); “ინდო-ხატაელთა ამბავშიც” იგივე ხერხია მომარჯვებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს არის ერთი და იმავე ავტორის სტილი: “**მომკალ**, ქალსა თავ-მოხდილსა თუ მზე ვითა ეურჩოსა” (3, 1790, 1).

ამ ვითარებაში **მომკალ** სიტყვის მასალაა და უნდა წავიკითხოთ ასე: **მომკალით, თუ მართალი არ ვიყო!**

ქართველებს გვაქვს ერთი უცნაური ფიგურა, რომელიც, ეჭვი არაა, უზუსის ფარგლებში შემოდის. ეგ პიპერბოლური თქმა ასე უღერს: ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამინა - ქალამნად.

ერთი პირობა, კაცი იფიქრებს: რაც აქ წერია, მართლაც ასეა, რომ აქ უარყოფითი წინადადება გვაქვს.

სინამდვილეში ეს გახლავთ ფორმალური (ფორმობრივი) უარყოფა, რაიც საწინააღმდეგოს გულისხმობს: ისე გათამამებულია, რომ ცაქუდად დაუხურავს და დედამიწა ქალამნად ჩაუცვამსო. კიდევ მეტი, ჰიპერბოლა მოითხოვს პლუსის ნიშნის მიმატებასაც. ისე გათამამებულია, რომ ცაც კი აღარ მიაჩნია ქუდად და დედამიწა — ქალამნადო!

მაშასადამე. სინამდვილეში გვაქვს ასეთი გაგება: ეს კაცი ისე გათამამებულია, რომ ქუდად ცაც კი ეცოტავება და ქალამნად — დედამიწა. მაში, შინაარსობრივად წინადადება დადებითია, არა უარყოფითი, თუმცა ფორმით უკუთქმითსა ჰგავს.

სწორედ ეს ქმნის დიდ ეფექტს, დიდ მხატვრულობას, მოულოდნელობის განცდას.

ამ თარგზე ააგო რუსთველმა ოთხი ფრაზა, რომელთა ფორმობრივ-შინაარსობრივი “შეუთანხმებლობა” ბევრ ცნობილ მეცნიერს დაუძლეველ პრობლემად ექცა.

ტარიელმა ნესტანის მიერ ნაჩუქარი ოქ-
როს სამკლაური მოიხსნა, აკოცა და გულიც წა-
უვიდა, მკვდარს დაემსგავსა. აქ ავტორი მიაყო-
ლებს ძალიან საინტერესო ფრაზას:

„ასრე წვა, რომე არ ჰეგვანდა მკვდარი სა-
მარის კარისა“.

პროზის ენაზე: ტარიელი ისე იწვა, რომ
მას არ ჰეგვავდა სამარის პირას დასვენებული და-
სამარხავი მკვდარი.

მაშ, წინადადების ფორმა უარყოფითია,
ოღონდ შინაარსი არის არა მხოლოდ დადებითი,
არამედ დადებითი პლუსით. ესე იგი, ტარიელი
ისე მაგარი მკვდარი იყო, რომ ჩვეულებრივ
მკვდარს, სამარის პირას დროებით დასვენე-
ბულსაც კი, არა ჰეგვავდაო. სხვაგვარად, იგი
მკვდარზე უფრო მკვდარი იყოო.

მეორე შემთხვევა ამგვარია:

საჭიროა დაიხატოს მომაჯადოებელი სი-
ლამაზის ნესტანი, რომლის სახეც უნდა დაამახ-
სოვრდეს ტარიელს, რაკიდა ეს იქნება ლამაზ-

მანის ბოლო ნახვა. ამის შემდეგ 10 წელიწადს
ვეღარ იხილავს. რუსთველი წერს, რომ ნესტან-
საო “არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე” (2, 525,
2).

თქმულის უარყოფითმა, უკუთქმითმა
ფორმამ არ უნდა მოგვატყუოს. აქ მითითებუ-
ლია: ქალიშვილი ისე ლამაზი იყო, რომ მის სი-
ლამაზეს არ შეედრებოდა არც მზისა და არცა
მთვარის მომხიბვლელობაო. მაშასადამე, ქალს
არცა მზე ჰგავდა და არცა მთვარე, რადგან ეს
ასული ბევრად უკეთესი იყო იმ მნათობებზე!

სწორედ ამ რიგის გამოთქმაა მომარჯვე-
ბული ხვარაზმელი სასიძოს ეპიზოდში. ინდო-
ელნი უფლისწულ ნესტანს ათხოვებენ. ერთობ
გახარებულნი არიან, რაკიდა დიდებული სასი-
ძო იშოვეს. ხორეზმი უზარმაზარი, მძლავრი და
კულტურულად დაწინაურებული ქვეყანაა. ამ-
გვარი სახელმწიფოს დამოყვრება ხუმრობა რო-
დია! თანაც სასიძო მშვენიერი ყმაწვილია. დგას
“ზეიმი და ზარები“. სიხარულისაგან ბევრი

მთვრალსა ჰერიტაჟია. და, აი: “მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰერიტაჟია არ აღვსებისა” (2, 555, 2).

ეს პოეზიაა, სალექსო სტრიქონია და ყველაფერი ვერ ჩაეტევა მასში, თანაც სიტყვა “დღე” ავტორმა ტავტოლოგიის არიდების მიზნით მეორეჯერაც აღარ გაიმეორა, თორემ პროზის ენაზე ტაეპი ასე გადმოვიდოდა:

დღე ჰერიტაჟია არ აღვსებისა (დღესა).

ესე იგი, ისე საზეიმო დღე იდგა, რომ აღვსების (აღდგომის) დღესაც კი არა ჰერიტაჟია! აღდგომის დღეზე უკეთესი რომ იყო, იმიტომ არა ჰერიტაჟია აღდგომის დღესო!

ამრიგად, ინდოელნი ისე მხიარულობდნენ, რომ ის დღე აღდგომის დღეზე უკეთესი გამოდგა და ამიტომ აღარ ჰერიტაჟია აღდგომის საზეიმო დღეს. სხვაგვარად, ჰერიტაჟია აღდგომის დღეს, ოღონდ პლუსითო.

ასე რომ, სწორია, რუსთველის მხატვრული სტილის დასტურია და ქართულ ხალხურ

თქმას (ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად) სავსებით შეესაბამება ფიგურა:

**მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა
არ აღვსებისა.**

ყველაფერი ეს ვერ გაითვალისწინა აკად. პ. კეკელიძემ და ამ “ბუნდოვანი” ტაეპის გასწორება ხელოვნური ხელყოფით (კონიექტურით) სცადა. მან შემოგვთავაზა ვარიანტი, რომელსაც არც ერთი ხელნაწერი არ უჭერს მხარს:

„დღე, ჰგვანდა, **არს აღვსებისა.**“

ეს ნიშნავს: ეს დღე ისეთივე იყო, როგორც აღვსების დღეო.

ეს არის კოსმიური ჰიპერბოლის მიწაზე ჩამოგდება და ლვთაებრივი სახე-ხატის ტლაპოში ამოვლება. კონიექტურა საზოგადოდ მიუღებელია და ამ შემთხვევაში - განსაკუთრებით!

როგორცა ვხედავთ, უზუსური მოვლენის მართებულად გათვალისწინება ტექსტოლოგიური მკრეხელობისაგანაც დაგვიცავს.

ახლა ვისაუბროთ იმის თაობაზე, თუ რად
ემატება რუსთველის სტროფს მეოთხე, დამამ-
თავრებელი, ტაეპის წინ “ზედმეტი” სიტყვა
“და”.

ძველ ქართულ ტექსტებში ბევრი აბზაცი
იწყება უცნაურად. მათ წინ უძღვის უცნაური
კავშირი “და”. სინამდვილეში ეგ “და” სულაც არ
ყოფილა კავშირი, რადგან ბევრგან ამ “და” ბგე-
რათკომპლექსის წინ არავითარი სიტყვა ან
ტექსტი არ იგულისხმება. სხვათა შორის, ასე
უცნაურად იწყება პირველი ლიტერატურული
ძეგლი “შუშანიკის წამება”.

ამგვარი შემთხვევები შეინიშნება რო-
გორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის
თხზულებებში.

გაირკვა, რომ ეს “უცნაური” მოვლენა შე-
დის “უზუსის” (სამეტყველო ადათის, წესის,
ჩვეულების) სფეროში და წარმოადგენს ძველი
სამეტყველო კულტურის ფორმას (1, 34).

ამგვარი მოვლენა შეინიშნება რუსულ ენა-შიც. იქ ფრაზები ხშირად იწყება “უშინაარსო” ფორმებით **ა** და **hy.** ესენი გარკვეულ კონტექსტებში სასიგნალო, გამაფრთხილებელ ფუნქციას ასრულებენ. ქართულში ასეთებია **და,** **ხოლო, არამედ.** იხილეთ „აბოს წამება“, მერჩულის თხზულება და სხვ.

საგულისხმოა, რომ ეს ჩეულება, ანუ სამეტყველო ადათი, მოუმარჯვებია რუსთველ-საც. პოემა “ვეფხისტყაოსანი” აგრძელებს მეტყველების კულტურის ძველ ტრადიციებს და ყოველი სტროფის მეოთხე, დამამთავრებელი, კადენციის წინ სვამს ამ სასიგნალო ფიგურას — “**და**”.

ამგვარი სასიგნალო დაგრძელება შაირისა (თექვსმეტმარცვლიანი ლექსისა) ერთი სრული ხმოვნით კიდევ უფრო აძლიერებს საგანგებო სასიგნალო ეფექტს. აქ “**და**” ორმხრივ ფუნქციას ასრულებს: ა) მსმენელს ყურის საშუალებით აგებინებს, რომ სტროფი სრულდება, რომ ამჟა-

მად მკითხველი მოისმენს ერთი პოეტური მო-
ნაკვეთის საბოლოო ფრაზას; ბ) ხელნაწერის
თვალით აღმქმელს კი მზერის საშუალებით აჩ-
ვენებს, რომ სტროფის სამი წინარე ტაეპისაგან
სიგრძით გამორჩეული მეოთხე ბწყარი საბო-
ლოო, დასკვნითი კადენციაა, რომლის წარმოთ-
ქმისთანავე უნდა გაკეთდეს ხანგრძლივი ყოვ-
ნი, პაუზა. ეს აუწყებს მკითხველს, რომ ერთი
აზრობრივ-ემოციურად დამოუკიდებელი მო-
ნაკვეთი დასრულდა.

მოვიყვანოთ სათანადო ნიმუში:

არდავიწყება მოყვრისა
აროდეს მოგვცემს ზიანსა;
ვჰებობ კაცსა აუგიანსა,
ცრუსა და ღალატიანსა.
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ
მას ხელმწიფესა მზიანსა,
და **რა უარეა მამაცსა**
სულდიდსა, წასლვაგვიანსა! (2, 800).

ასე, “და” საგანგებო სიგნალია, ძახილია, “პოზივნოია”, ესოდენ ხშირად რომ გამოიყენებოდა ძველ ქართულ ტექსტებში, როგორც სამეტყველო კულტურის ელემენტი.

ლიტერატურა

1. თავდიშვილი მურმან, ერთი უზუსური მოვლენა და ძველი სამეტყველო კულტურა, უურნ. “განათლება”, 3, 2017.
2. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შანიძე-ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1966.
3. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1956.
4. შანიძე აკაკი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956.

Elements of old speech culture (Usus) in “The Panther’s Skin”

reziume

The old Georgian speech is very characteristic. There are facts of usus in it. Some of them are moved to the text of “The Panther’s Skin” (beginning of XIII century). These facts makes the story more funny to read; from another hand it renews the author’s language from funny-speaking Georgian, giving the form of national character to it. Namely, one uses the formula of beginning of Georgian tales “once upon a time”. Arabian story begins just in such a way “Once upon a time, in Arabia there was...” Other usus elements are stood up, blow and come and kill me and et cetera. Neither of them includes the direct content, what is meant by direct understanding of these words. “Stood up” does not mean that a person stood up on his legs: “blow” is never used in war and strikes; “come” does not oblige anyone to come somewhere; “kill me” is

not call for death, “and” is not connection, it is one of the signaling usus elements.

One observation is remarkable:

According to using even the usus elements so called “Indian-Khataetian story”, which is the disputable section, corresponds to Rustavelian style. Namely, two usus elements “kill me” and “stood up” are equally used in both parts.

Key words: usus, speech culture, was, stood up, blow, come, kill me, and, “The Panther’s Skin”, Indian-Khataetian story;

დავით გურამიშვილის „კეფისა“

გურამიშვილის ერთ სტროფში ნახსენებია სიტყვა „კეფისა“. პირველად ეგ ბუნდოვანი ცნება განმარტეს, როგორც თავის უკანა ნაწილი; მალევე მიხვდნენ, რომ ეს დეფინიცია არ

იყო სწორი და შემოგვთავაზეს ახალი – ხელნა-წერის ორი გვერდი.

არც ერთია მართებული და არც – მეორე. აქ უფრო ღრმა საიდუმლოა ჩამარხული და იგი ეხება ეროვნული მრწამსის, იდეოლოგიის, აღმსარებლობისა და კულტურული იდენტობის საკითხებს.

„დავითიანის“ ქვეთავში – „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთან შეორგულება“ ვკითხულობთ ერთ ფრიად საინტერესო სტროფს:

„ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის
მეფისა,

ნაუკითხიან ბრძანება გამოთარგმნილი კე-
ფისა:

იქმენით ხარკის მომცემნი, აღმსრულებელნი
სეფისა.

მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიეფი-
სა“ (2, 72).

აღნიშნულ სტროფში საკამათოა სიტყვა „კე-
ფისას“ აქამდე არსებული კომენტარები. საზო-
გადოდ კი „კეფისა“ სხვადასხვა გამოცემაში
სხვადასხვანაირად არის განმარტებული. ასე,
მაგალითად, „დავითიანის“ 1931 წლის გამოცე-
მის ლექსიკონი გვიხსნის: „კეფა – კემხა, თავის
უკანა ნაწილი“. ეს განმარტება სათავეს უნდა
იღებდეს მ. ნასიძის მიერ გამოცემული გურა-
მიშვილის თხზულებათა კომენტარებიდან: „კე-
ფა – თავის უკანა ნაწილი“ (3, 39). შემდგომ გა-
მოცემებში ეს აშკარად მცდარი წაკითხვა უა-
რუყვიათ და სულხან-საბა ორბელიანის ლექსი-
კონზე დაყრდნობით უცდიათ მისი ახსნა: „კეფი
– „ნერილთა ფურცელსა ეწოდების“ (საბა), ორი
გვერდი“ (4, 11).

ამ ბოლო განმარტებას უჭერენ მხარს ბო-
ლოდროინდელი გამოცემები; მაგრამ აღნიშ-
ნულ კონტექსტში სიტყვის ამგვარი გაშინაარ-
სებაც ეჭვს იწვევს. ჯერ ერთი, გაუგებარი რჩე-
ბა, თუ რა ბრძანებაზეა საუბარი, რომელიც კე-

ფის (ნაწერი გვერდების) „გამოთარგმნილი“ ყო-
ფილა და, მეორეც, საეჭვოა იმდენად, რამდენა-
დაც ქვეთავი „ქართველთა და კახთაგან თავი-
ანთ უფალთან შეორგულება“ ეხება ქართველო-
ბის მიერ ღვთისა და ქრისტიანული რელიგიის
მივიწყებას, ქრისტიანული წეს-რიგის დარღვე-
ვას, და ამის გამო ღვთის მიერ ჩვენი თანამემა-
მულების შერისხვას. ერთი სიტყვით, აქ გატა-
რებულია ღრმა რელიგიური თვალსაზრისი. ხომ
კარგად არის ცნობილი, რომ გურამიშვილი აშ-
კარად რელიგიურად განწყობილი პოეტია და
მისი მსოფლშეგრძნება ქრისტიანულ იდეოლო-
გიაზეა დაფუძნებული. ალ. ბარამიძე აღნიშ-
ნავს: „მონღოლური პერიოდის ისტორიკოსი
ქვეყნის კატასტროფის ფაქტს ღვთის ბუნებრი-
ვი რისხვითა ხსნის, რამდენადაც ულმობელი
ხვედრი აუცილებელია „უძღებებითა“ და „უს-
ჯულოებით“ შეპყრობილი ხალხის დასასჯელა-
დო“ (1, 15). ჯერ კიდევ 1887 წელს მ. ნასიძემ შე-
ნიშნა: გურამიშვილი „მშვენიერს ლექსში „სიტ-

ყვა ესე ღვთისა“ ეხვეწება ქართველთ, შეუდგნენ ქრისტეს და ნუ დაივიწყებენ მისს მცნებას“. ვ. დონდუა იზიარებს და აღრმავებს ამ აზრს: „გურამიშვილი ბაძავს შუასაუკუნეობრივი ტრადიციის მიმდევარ მემატიანებებს „მიზეზთა მიზეზის“ ძიებაში: ყველა ეს „მკალი“ და სეტყვა, „ჭირი“ თითქოს ყოფილიყოს ღმერთის „პასუხი“ ხალხის „შეცოდებაზე“ (5, 22).

მართლაც, პოეტი მკაცრად მისდევს ამ რელიგიურ-მისტიკურ კონცეფციას:

დავითის ძედ თქმულ იესო ქრისტეს მცნებასა და რჯულს მორჩილებდნენ ქართველნი: „მას მორჩილებდნენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა“, მაგრამ „შესცდნენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა“ (იგულისხმება მონისლა). ამის გამო „ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა“. დაივიწყეს ღვთის ურიცხვი მოწყალება, ზოგს „შეუხდა ეშმაკის მანქანებანი“ და „დამუსრეს ფსალმუნთ ებანი“. ასე და ამგვარად, გაბოროტებულმა ადამიანებ-

მა „უარყვეს“ მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშ-მაკისა, რაც თესეს, ბოლო მოიმკეს თავიანთ ნა-მუშაკისა“.

ღვთისმშობელიც ასევე მოუწოდებდა გან-მდგარ ერს, იწამეთ ის, ვინც ციდან გვაწვიმა მა-ნანაო. მაინც „არ დაიჯერეს“, „არა ქნეს სარ-წმუნო დასაჯერები“. ამან დაათახსირა ისინი, დარყვნა, დააქსუა. იესოს ყმობას თავი დაანე-ბეს და გათათრდნენ: „ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი“. მიქელ თამარაშვილი სწორედ ამ პერიოდის შესახებ წერს: სპარსე-ლებმა „თავიანთის გახრწნილებით და ურწმუ-ნოებით ქართველს შეურყიეს ძველი დროიდან გულში ლრმად ჩანერგილი ქრისტეს სარწმუნო-ება... ქართველი თავის თავად ჰსტოვებდა ქრისტიანობას და გადადიოდა მაჰმადიანობა-ზე“ (7, 30). რა ეს ცნა უფალმან, „ბრძანა აღება ხელისა, რისხვით გაშვება მის თემთა, გარდახ-და საფარველისა“.

ამის შემდეგ პოეტი აღწერს „საწყაულის მოწყვას ღვთისაგან“: „აღმოსავლეთ მტერი აღ-ძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა...“

ეჭვი არ არის, რომ ამგვარ კონტექსტში „თა-ვიანთ ქვეყნის მეფის“ (ვახტანგ მეექვსის) „რჩე-ულნი“ რაღაცას იღონებდნენ, კერძოდ, „წაუ-კითხიან ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა“. ოღონდ ვიმეორებ: საეჭვოა კეფისას აქამდე არ-სებული ყოველნაირი განმარტება. „კეფის“ გან-მარტებანი რომ ვერ იყო დამაჯერებელი და და-მაკმაყოფილებელი, ეს ჯერ კიდევ ვ. დონდუამ იგრძნო. მკვლევარი წერდა: პოეტი „აღნიშნავს ზოგ–ზოგ საგულისხმო ფაქტს. კერძოდ, „ქარ-თლის ჭირში“ მან გამოაჩინა მეფის ადმინის-ტრაციის წარმომადგენლები, „რჩეულნი“, ისი-ნი, ავტორის სიტყვით, ხელმძღვანელობდნენ რაღაც „ბრძანებით“, საიდანლაც ნათარგმნით, და მის საფუძველზე მოსახლეობას გადასახა-დების გაღებას ავალებდნენ“ (ვ. დონდუა, დას. ნაშრომი, გვ. 22). შემდეგ მკვლევარი უფრო

შორსაც მიდის: „შეწყდა გადასახადების, გურა-
მიშვილის გამოთქმით – „ხარკის“ დენა ხელი-
სუფლების სასარგებლოდ, საეკლესიო და სამე-
ფო სალაროებში. საქმეში, რა თქმა უნდა, ჩაე-
რივნენ მეფის „რჩეულნი“, რომელთაც ერთად
უნდა დაიცვან ურთიერთ მოგვარტომე ქრისტე-
სა და მეფის ინტერესები. ამ საერთო ინტერე-
სებს ასახავს გურამიშვილი გამოთქმით, „ბრძა-
ნება გამოთარგმნილი კეფისა“, უბრალოდ –
წიგნი („კეფი“ – სიტყვასიტყვით, ფურცელი),
უცხო ენით ქართულზე თარგმნილი, სადაც ვი-
თომც წერებულიყოს: „იქმენით ხარკის მიმცემ-
ნი, აღმსრულებელნი სეფისა“. ეს გამოძახილია
სახარებისა და იქ გამოხატული საეკლესიო დე-
ვიზისა: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმერ-
თისა ღმერთსა“ (იქვე გვ. 44).

მთელი ეს მსჯელობა ღრმად საგულისხმოა
და სიმართლეს დიდად მიახლოებულიც, ოდონდ
მკვლევარს უფრო დამაჯერებელი შეეძლო გაე-
ხდა იგი, მელექსიკონეთა შრომების გავლენაში

რომ არ მოქცეულიყო. ვ. დონდუა ზემოციტი-რებულ ნაწყვეტში წერს: „კეფი – სიტყვასიტყვით ფურცელიო“.

ჩემი აზრით, კეფისა არც კეფას აღნიშნავს და არც ნაწერ გვერდებს. ეს არის შუა საუკუნეების მოაზროვნე კათოლიკე თეოლოგის, ცნობილი საეკლესიო მოღვაწის თომას კემფელის (თომას კემპენელი) გვარი.

მაგრამ რა შუაშია აქ კემფელი?

თომას კემპენელს (ხამერკენს, 1380–1471) ეკუთვნის რამდენიმე რელიგიური ტრაქტატი. ყველაზე პოპულარული კი მათ შორის გახდა ლათინურ ენაზე დაწერილი „ქრისტეს მიბაძვა“.

ნაშრომის იდეა არის ასკეტიზმი, განდგომა, ზნეობრივი თვითსრულება; ქრისტიანული რელიგიის ქება-დიდება და გზათა დასახვა პიროვნებაში ქრისტიანული სულისკვეთებისა და მორალის გასაძლიერებლად.

ბუნებრივია, ქრისტეს მცნების დამვიწყებელ ქართველებს მეფის „რჩეულნი“ გადმოუთარ-

გმნიდნენ და წაუკითხავდნენ კემფელის „ქრისტეს მიბაძვას“, რითაც ქრისტიანული რჯულისა და რელიგიის რღვევის პროცესის შეჩერებას მოიწადინებდნენ, მაგრამ, როგორცა ჩანს, არც ამას უშველია საქმისათვის და აი, ზენაარმა და-საჯა განმდგარი ერი.

ოლონდ აქ დაისმის რამდენიმე კითხვა, რო-მელთა გადაუჭრელადაც, რა თქმა უნდა, საერ-თოდ გაჭირდებოდა კეფისაში უთუმცაოდ და გადაწყვეტილად დაგვენახა თომა კემფელი და კიდევ მეტი – მისი „ქრისტეს თანადგომა“.

1. არსებობდა თუ არა „ქართლის ჭირის“ პე-რიოდში კათოლიკე მოღვაწის ცნობილი ტრაქ-ტატის „ქრისტეს მიბაძვის“ გადმოთარგმნის სა-თანადო საფუძველი, მოთხოვნილება და, ბო-ლოს, თვითონ თარგმანი?

2. შეიძლებოდა თუ არა, დავით გურამიშ-ვილს აღიარებული კათოლიკე–მოაზროვნის ნაშრომი ეხსენებინა?

3. შეიძლება თუ არა, ფორმა კემფელი ნათე-
საობით ბრუნვაში გადაქცეულიყო ფორმად კე-
ფისა?

4. და ბოლოს, შეიძლება თუ არა, ავტორის
გვარი კეფისა გულისხმობდეს ამ კათოლიკე ბე-
რის მრავალი ნაშრომიდან მაინცდამაინც
„ქრისტეს მიბაძვას“?

ა) კათოლიკობის ისტორია საქართველოში
შორეული წარსულიდან იწყება. კათოლიციზმს
ზოგჯერ აღიარებდნენ ქართველნი, ზოგჯერ კი
სიმპათიებით იყვნენ მისდამი განმსჭვალულნი.
ამის თაობაზე უხვ მასალას გვაწვდის მ. თამა-
რაშვილის ცნობილი წიგნი. უფრო მეტიც, ჯერ
კიდევ 1666 წელს რომში, პაპის პირადი მეთ-
ვალყურეობითა და მზრუნველობით მოსილ
სპეციალურ კოლეგიაში, „პროპაგანდა ფიდეს“
სახელით რომ არის ცნობილი, ქართველნი აგ-
ზავნიან ორ ყმაწვილს. იგივე ხდება 1702 და
1723 წლებშიც (მ. თამარაშვილის ნაშრომი, გვ.
231, 305, 342).

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა ფარ-
თოდ გაიშალა ვახტანგ მეექვსისა და სულხან-
საბა ორბელიანის დროს. კლიმენტე XI სთხოვს
ვახტანგს, გაკათოლიკდეს და ჰპირდება შეწევ-
ნასა და დახმარებას, ხოლო საბა ორბელიანი
გაკათოლიკდა ჯერ კიდევ 1687 წელს (იქვე, გვ.
327, 321). სულხანის მიერ აღზრდილი ვახტანგი
დიდ სიმპათიებს იჩენდა კათოლიკეთა მიმართ.
იგი, თურმე, ხშირად „თავის უბედურებას აწერს
იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მი-
ღება. მეფე, ამას გარდა, ფიქრობს, ყოველი
დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს“ (იქვე,
გვ. 321).

მაჟმადიანურ ზღვაშემორტყმული ვახტანგი
ევროპაში ეძიებდა დამხმარეს. ასეთად კი მას
ვატიკანი და საფრანგეთი ესახებოდა. ამ ვითა-
რებაში კათოლიკეებისადმი სიმპათიები სავსე-
ბით მისაღებია. იგი შეადგენდა ვახტანგის პო-
ლიტიკური ორიენტაციის ერთ-ერთ მომენ-
ტსაც. ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ

„ვახტანგმა კათოლიკე სარწმუნოება მიიღო, მტკიცედ დაიცვა და რუსეთს წასული, კათოლიკედ მიიცვალა“ (იქვე, გვ. 341). თვითონ სულხანი კი „პროპაგანდა ფიდეში“ აგზავნის ქართველ ყმანვილებს და, რაც დიდად საგულისხმოა, ერთ-ერთი მათგანია გორელი დავით ტულუკაშვილი, სწორედ ის პიროვნება, ვინც თომა კემფელის ტრაქტატი „ქრისტეს მიბაძვა“ რომ-შივე თარგმნა 1734 წლამდე (იგი 1734 წელს გარდაიცვალა). აქ საყურადღებოა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება – სულხან ორბელიანის მიერ „პროპაგანდა ფიდეში“ წარგზავნილი ყმანვილი იმთავითვე შესდგომია მთარგმნელობით მოღვაწეობას და სხვა სამისიონერო-კათოლიკური ნაშრომებიც უთარგმნია ქართველთათვის. თომა კემფელის ტრაქტატს კი თვითონვე აწერს ზედ: ითარგმნა „ბრძანებითა უფროსთაითაო“. ამ უფროსებში უნდა იგულისხმებოდნენ რომიდან კოლეგიის მესვეურნი და საქართველოდან – „მეფის რჩეულნი“, რომელთაც

გურამიშვილიც მკაფიოდ ახსენებს: „ასწავლი-დიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისაო“.

ეს რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს იმ დროის რეალური ვითარება. მ.თამარაშვილი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ აღნიშნულ პერიოდში კათოლიკე სარწმუნოებამ ვერ იქონია უნინდელივით ძალა და ვერ მოახერხა საქართველო რომისათვის შეერთებინა. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ შეერთებისათვის მოწადინებულნი არა მარტო ლათინის მოძღვრები იყვნენ, არამედ საქართველოს თვით უნარჩინებულესნი პირნიც“ (7, 302).

იმ ვითარებაში, როდესაც ქართლში ყველა-ფერი აირია, გახშირდა ადამიანთა დატყვევება-გაყიდვა, რჯულის დაგდება და სხვა ამგვარი, მეფე და მისი „რჩეულნი“ ბევრს მეცადინეობენ. ამგვარ საშუალებათა შორის უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო სხვა ქრისტიანულ წიგნებთან ერთად „ქრისტეს მიბაძვის“ თარგმნა, მით უფ-

რო, რომ კემფელის ამ ტრაქტატში ყველაზე უფრო სრულყოფილად არის მოცემული ის წე-სები, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი ქრისტია-ნული რწმენის განსამტკიცებლად. საგულის-ხმოა დავით ტულუკაშვილის მიერ თარგმნილი ამ თხზულების სათაურის ქვეშ არსებული მინა-ნერი: „სახმარნი ტუქსვანი სულიერი ცხოვრე-ბისათვის“. ამგვარი „ტუქსვანი“, ეჭვი არ არის, გურამიშვილის დროინდელ ქართლში დიდად საჭირო იქნებოდა, მით უფრო, რომ მასში „არ ყოველი ჭეშმარიტი საქრისტიანო ფილოსო-ფია“, ხოლო წიგნის უმთავრესი პათოსია: „რო-მელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელს“ (იო-ანე 8, 12).

როგორც უკვე ითქვა, 1730-იანი წლებისათ-ვის ქართულად „ქრისტეს თანადგომის“ რამდე-ნიმე ეგზიმპლარი მოგვეპოვება. ცნობილია, რომ გურამიშვილმა ქართლი დატოვა 1726–1729 წლებში. მაშასადამე, თხზულების თარგმა-ნი უნდა ყოფილიყო 1726–1729 წლებშიც. მარ-

თლაც, პატრი ანსელმო მღებრიშვილი, რომელ-
მაც მოგვიანებით თვითონაც თარგმნა „ქრის-
ტეს მიბაძვა“ და 1889–1890 წლებში გამოსცა,
ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული თხზუ-
ლება მანამდე რამდენიმე კაცმა თარგმნაო:
„მართალია, ზოგიერთ პატივცემულ და შრომის
მოყვარე პირთა წინათაც უცდიათ ამ წიგნის
გადმოღება ქართულად...“ (8, 1).

ამრიგად, „ქართლის ჭირის“ პერიოდში, კერ-
ძოდ, 1720–1740-იან წლებში, ჩვენში „ქრისტეს
მიბაძვის“ რამდენიმე თუ არა, ერთი თარგმანი
ან თხზულების ცალკეულ ადგილთა „გამოთარ-
გმანებანი“ უსათუოდ არსებობდა. ამაზე, ალ-
ბათ, ისიც მეტყველებს, რომ კ. კეკელიძის სახე-
ლობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონ-
დებში დაცულია თხზულების რამდენიმე (8)
ხელნაწერი.

ბ) ამრიგად, როგორც სულხან–საბა, ისე ვახ-
ტანგ მეექვსე კათოლიკები გახლდნენ და კა-
თოლიციზმისადმი დიდ სიმპათიებს ავლენდნენ.

მეტიც, კათოლიციზმი მათი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომაც ვახტანგის ამალა, საფიქრებელია, სწორედ ამ პოლიტიკურალმსარებლობითი ორიენტაციის ხალხით უნდა ყოფილიყო სავსე. და, რაკი ვიცით, რომ დავით გურამიშვილი ვახტანგმა პატივით მიიღო და ჯაბადარბაშობაც უბოძა რუსეთში, გამორიცხული სრულიადაც არ არის მისი კათოლიკობასთან სიახლოვე, ამის მსგავსი მაგალითი ჩვენ მოგვიანებითაც გვაქვს. კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილიც არ იყო გულგრილი კათოლიციზმის მიმართ. იგი წერს ნაშრომს „პაპის შესახებ“ („ო ვოზვიშენი „პაპიზმა“ და „ო პადენი ეგო“). აღნიშნულ ან უკვე დაკარგულ ნაშრომში ბარათაშვილს გამოყენებული უნდა ჰქონოდა უოზეფ დე მესტრის კათოლიკური ნაშრომები. ბარემ აქვე ვთქვათ, კათოლიკური იდეების მატარებელი წიგნები უცხო არ ყოფილა ალ. ჭავჭავაძის სახლობისთვისაც.

ალ. ჭავჭავაძის შვილის დავითის სახლობა
რომ 1854 წელს შამილმა გაიტაცა, ტყვეობაში
ჩავარდა გუვერნანტი ქალი მადამ დრანსე.
ფრანგ კათოლიკე მასწავლებელს თბილისიდან
რამდენიმე წიგნი გაუგზავნეს. ყველა ეს წიგნი
კათოლიკური ეკლესიის ძეგლებია. ესენია: შა-
ტობრიანის „ქრისტიანობის სული“, „ღმერთი
არს სიყვარული“ (ავტორი ვერ დავადგინე) და
თომა კემფელის „ქრისტეს მიბაძვა“. მადამ
დრანსე წერს:

„ბარონმა ნიკოლაიმ გამომიგზავნა წიგნი სა-
თაურით – „ქრისტეს მიბაძვა“. საბედნიეროდ,
იგი ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და მისი მი-
ხედვით შემეძლო სალომესა და მარიასათვის
კითხვა მესწავლებინა, მაგრამ, ამ სიკეთის გარ-
და, იგი ჩვენთვის ძვირფასი იყო სხვა მხრივაც.
ყოველდღიურად ვკითხულობდით წიგნის რამ-
დენიმე თავს და ვსწავლობდით იმ მოთმინებას,
რითაც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა ზიდოს
თავისი ჯვარი“ (6, 109).

ყოველივე ამის გამო ვერავითარ წინააღმდე-
გობას ვერ ვხედავთ, რომ დავით გურამიშვილს
არ შეძლებოდა „ქრისტეს მიბაძვის“ წაკითხვა,
გაგება და ხსენება.

გ) შეიძლება თუ არა, ფორმა კემფელი ნათე-
საობით ბრუნვაში იქცეს ფორმად კეფისა? დი-
ახ, შეიძლება და განსაკუთრებით იოლად პოე-
ზიაში, როცა ადვილად დასაშვებია ე.წ. პოეტუ-
რი ლიცენცია, პოეტური თავისუფლება. ხოლო
სავსებით ადვილად გასაგები ხდება ამგვარი მე-
ტამორფოზა სარითმო სიტყვაში.

უნინარეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ თომა
კემფელს ქართულად ყოველთვის ერთნაირად
არ წარმოთქვამდნენ და წერდნენ. მაგალითად,
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენ-
ტრში დაცულ ხელნაწერ წიგნში (Q-493) კემფე-
ლი გადაქცეულა კენთელად. იქვე, სხვა ადგი-
ლას ვკითხულობთ კემთელს.

მეორეც, ზოგჯერ ქართულს ახასიათებს –
ელ სადაურობის მანარმოებელი სუფიქსის კარ-

გვა ნათესაობით ბრუნვაში. გვაქვს კახელი, მაგრამ ვამბობთ პატარა კახისა და არა კახელი-სა.

მესამეც, კემფელი ნათესაობითში რომ ჩავა- ყენოთ, მას ისედაც დაეკარგება – ელ მაწარმოე- ბელი: კემფელისა – კემფლისა. აქ ნარნარა „ლ“ ისეთ ფონეტიკურ პოზიციაშია, სადაც, ჩვეუ- ლებრივ, იკარგვის: კემფლისა – კემფისა. ოღონდ ფონეტიკური თვალსაზრისით არ იკარ- გება „მ“. მაშ, საიდანლაა ან რატომაა გურამიშ- ვილთან დაკარგული „მ“ თანხმოვანიც? „მ“ თანხმოვნის დაკარგვა მიეწერება პოეტურ თა- ვისუფლებას. მივაქციოთ ყურადღება სარით- მავ კლაუზულებს: მეფისა – სეფისა – სიიეფისა – კეფისა. სარითმო კლაუზულა პირველ სამ სიტყვაში არის **ეფისა**. ბუნებრივია, ზუსტი რითმების მიმდევარი პოეტი ემფისა–ში ხელოვ- ნურად კარგავს „მ“ ბეჭერას და ღებულობს სუფ- თა კლაუზულას **ეფისა**.

არის თუ არა ამგვარი თავისებურება დამა-
ხასიათებელი გურამიშვილისათვის? არის და ეგ
გარემოება თვით კ. კეკელიძესაც შეუმჩნევია
(იხ. მისი ეტიუდები, IV, გვ. 173). ერთგან **მონის-ლა** სიტყვის მაგიერ გურამიშვილი ხმარობს
სიტყვას **მონისა:**

„მას მორჩილებდენ ქართველნი,
ვით წესი იყო მონისა,
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ
ცხოვრება სიამოვნისა,
მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა,
რა ცოდვის ბურმან **მონისა.**
ჩაცვივდენ ცოდვის მორევთა,
გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა“.
(იხ. „დავითიანის“ 145-ე სტროფი)

ამგვარად, ფონეტიკურ-გრამატიკულად, აგ-
რეთვე პოეტური თავისუფლების თვალსაზრი-
სით, სრულიად ბუნებრივია **კემფელი** ნათესაო-
ბითში იქცეს საძიებელ ფორმად **კეფისა.**

დ) რამდენად არის შესაძლებელი, ავტორის გვარი კეფისა, გულისხმობდეს თომას კემფელის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან მაინცდამაინც „ქრისტეს მიბაძვას“?

ირკვევა, რომ ძველად მთელს მსოფლიოში თომა კემფელის სახელი თავისთავად გულისხმობდა „ქრისტეს მიბაძვას“, ხოლო „ქრისტეს მიბაძვა“ – თომა კემფელს. ცნობილია, რომ ამ კათოლიკე პატრის სახელი და დიდება სწორედ ამ თეოლოგიურმა შედევრმა მოუტანა. აი, ამის მკაფიოდ დამამტკიცებელი საბუთიც. ხელნაწერ Q-541-ში ვკითხულობთ: „წმინდა იგნატიოსმა დაავედრა... ბერებსა თავ თავის სენაკში თითო თომა კემფელი იქონიონ“ (იხ.Q-541, გვ. 9).

ეჭვი არ არის, „თომა კემფელში“ იგულისხმება „ქრისტეს მიბაძვა“.

ზოგჯერ, თურმე, საჭიროც არ ყოფილა იმის ახსნა-განმარტება, თუ თომა კემფელის რა წიგნი იგულისხმებოდა ამ პატრის სახელის

მიღმა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქრისტიანი მოღვაწე, თურმე, წიგნს მხოლოდ თომა კემფელის „ქრისტეს მიბაძვას“ ეძახდა, იმდენად დიდი ყოფილა თხზულების ავტორიტეტი და პოპულარობა. აი, ამის უტყუარი საბუთიც: „აწ ერთს დიდ იეპისკოპოზს იმთონად მიაჩნდა ეს წიგნი, რომ რამდენჯერაც ეტყოდა თავის მოსამსახურეებს, რომ ეს წიგნი მოეტანათ საკითხავად, სახელს არ ეტყოდა თუ წადი თომა კემფელი მა-მიტანეთ, მაგრამ ეტყოდა: მომეც წიგნი – ფიცხლავ მოსამსახურენი შეიტყობდნენ, რომ თომა კემფელი უნდა“ (იხ.Q-488, გვ. 8–9).

ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს დავასკვნათ:

დავით გურამიშვილი საეკლესიო–სარწმუნოებრივი იდეოლოგიის დანერგვის საქმეში არ ჩამოუვარდება არც ერთ საეკლესიო მწერალს; იგი, როგორც ეპოქის მემატიანე, აღნერს და აღნუსხავს აგრეთვე მეფის იმ „რჩეულთა“ საქმიანობას, რომლებიც ხალხში ქრისტიანული დოგმებისა და მცნებების ჩაგონება–განმტკი-

ცებას ლამობდნენ და ამ მიზნით ცდილობდნენ თომა კემფელის დიდად პოპულარული ნაშრო- მის, სულიერი ტუქსვის მიზნით სახმარი წიგნის „ქრისტეს მიბაძვის“ გამოყენებასაც.

ლიტერატურა

1. ბარამიძე ალექსანდრე, დავით გურამიშ- ვილი, დავითიანი, თბილისი, 1931.
2. გურამიშვილი დავით, დავითიანი, ქართუ- ლი მწერლობა, 7, თბ., 1989.
3. გურამიშვილი დავით, დავითიანი, მ. ნასი- ძის გამოცემა, თბ., 1889.
4. გურამიშვილი დავით, დავითიანი, თბ., 1955.
5. დონდუა ვარლამ, გურამიშვილი და საქარ- თველოს ისტორია, თბ., 1959.
6. დრანსე ანა, შამილის ტყვე ქალები, თარ- გმნა და სამეცნიერო კომენტარებით ალ- ჭურვა მ. თავდიშვილმა, თბ., 1978.

7. თამარაშვილი მიქელ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
8. კემფელი თომა, მიბაძვა ქრისტესი, გორი, 1889.
9. ხელნაწერი Q-235, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა.
10. ხელნაწერი Q-541, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა.
11. ხელნაწერი Q-513, იქვე.

Davit Guramishvili - “Kepisa”

Summary

In “Davitiani” the author shows the disorders of Kartli in the 1720s, degradation of Iverians, tendency of leaving Christianity and converting to Islam.

To suspend Georgians behavior the king and his outstanding people made their best, and with other

measures, they also “read an order, translated from Kepisa”.

The commentators of the book explain the concept “Kepisa” in two different ways: 1. Back of head(Occiput); 2. Both side of manuscript sheet.

With this definition, the line of verse remains unclear.

Everything will be clear, if we consider a word Kepisa as a great theologian Thomas A kempis, who wrote the Christian-pastoral book “Imitation of Christ”. Due to this treatise, the author emphasized to believers for more faith and encouraged them to live like the first martyrs.

That is what people of this era needed.

Therefore, Thomas A Kempis's book was translated by Vakhtang the sixth's feature people and Georgian were trained in accordance of his ideas, - tells us the poet.

Key words: *Kepi, Kepa, manuscript sheet, Kempis.*

«Кеписа» Давида Гурамишвили

Резюме

Автор в «Давитиани» описывает беспорядок Картли 1720-ых годов, перерождение Иверианцев, отказ от веры и тенденцию легкой исламизации.

Для остановления перерождения грузинов, Царь и его избранники не сидели сложа руки. Вместе с другими мероприятиями, они «читали народу приказ, перевод кеписа».

Коментаторы книги, понятию Кеписа дают двустороннее объяснение: 1. Задняя часть головы; 2. Оба страницы рукописного листа.

С такой дефиницией строка остается неясной.

Все станет ясным, если в термине Кеписа мы увидим богослова Тому Кемфела, которому принадлежит религиозно-поучительная книга «Подражать Христу». С этим трактатом автор внушает верующим глубокую веру религии и учит хождению по стопам первомученника.

В таком поучении очень нуждались отрекшийся в то время от бога люди.

Таким образом, избранники Вахтанга шестого перевели книгу Томы Кемфела и на его идеях воспитывали перерожденных грузинов, - рассказывает поэт.

Ключевые слова: Кепи, Кена, рукописный лист, Кемфел (Кемпийский Фома).

გორში დასტამბული პირველი ნიგნი

მსოფლიოს კულტურულ აღორძინებაში გუ-
ტენბერგის გამოგონებამ ფასდაუდებელი
ნილილი შეიტანა. ამიერიდან ყოველი ქვეყნის
ნიგნიერების არეალი გაიზარდა, გაფართოვდა.
საქართველო აღნიშნულ პროცესს არ უნდა გა-
რიყვოდა. ვახტანგ მეექვსემ რომ 1708 ნელს
თბილისში სტამბა გამართა, სწორედ აღნიშნუ-

ლის მოდასტურეა. ქალაქი გორი ამ მხრივაც ქართული კულტურის ფარვატერში ჩადგა. ამი- ტომ ერთობ საინტერესოა, თუ სახელდობრ რო- მელი წიგნი გამოსცეს იქ პირველად და ისიც, თუ რატომ?

სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეხება წინამ- დებარე გამოკვლევა.

ოსმალეთის მიერ ქართველთა გათათრება იწყება 1629 წლიდან და პერიოდულად გრძელ- დებოდა 1878 წლამდე. სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება რომის მიერ საქართველოსადმი ყურადღება და კულტურული დახმარება, მო- რალური მხარდაჭერა. 1629 წელს რომში დაა- არსეს ქართული სტამბა, დაბეჭდეს წიგნები ივერიელთა ენაზე და დაიწყეს განათლებული პირების საქართველოში გაგზავნა. რომშივე გა- იხსნა სპეციალური კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდე“, სადაც მოღვაწეობდნენ ქართულის სპე- ციალისტები და საქართველოს კარგად მცოდნე პირნი. ამ სპეციალურ სასწავლებლებში იწ-

ვრთნებოდნენ და შემდგომ საქართველოში სა-
მოღვაწეოდ იგზავნებოდნენ ქართლიდან და
მესხეთიდან წარგზავნილი ყმანვილები. ყოფი-
ლა შემთხვევა, როდესაც „მეფის რჩეულ“ პი-
რებსაც მიუციათ რეკომენდაცია ვატიკანის წი-
ნაშე ასეთი ყმანვილებისათვის. ზაქარია ჭიჭი-
ნაძის ცნობით, სულ 27 ქართველ კათოლიკეს
მიუღია სწავლა-განათლება „პროპაგანდა ფი-
დეში“. ამ ორგანიზაციაში ქართველი კათოლი-
კენი იწვრთნებოდნენ ქართულსა და ლათინურ
ენებში, თარგმნის საქმეში, ქრისტიანობის (კა-
თოლიციზმის განხრით) არსში ღრმად ერკვე-
ოდნენ და წერდნენ საეკლესიო შრომებსაც, ად-
გენდნენ ლექსიკონ-სიტყვარებს, გრამატიკულ
წიგნებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა და-
ვით ტულუკაშვილი, გორელი კათოლიკე, რომე-
ლიც სულხან-საბას რეკომენდაციითა და მეცე-
ნატ ზუბალაშვილის დახმარებით წასულა რომ-
ში 1724 წელს.

კათოლიკობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა წარმატებით ვრცელდებოდა. მე-18 საუკუნის მთელი მესხეთის ქართველობა ან კათოლიკე გახდა, ან – მაჰმადიანი. თბილისში ჯერ კიდევ 1703 წელს ჩამოყალიბდა კათოლიკეთა გაერთიანება. მაშინდელი საქართველოს მეორე ქალაქ გორში კი 1723 წელს ქართველ კათოლიკეთ დაუარსებიათ ძმობა „სავარდისი“. იყო თუ არა ამ ძმობის წევრი ჭაბუკი დავით ტულუკაშვილი, არ ვიცით, მაგრამ კათოლიკური ძმობის მიერ სულიერად გაწვრთნილი ნამდვილად ჩანს.

მიქელ თამარაშვილის მოწმობით, ამ ახალგაზრდას დიდი ნიჭი და გულმოდგინება გამოუჩენია და დაუყოვნებლივ შესდგომია მთარგმნელობით საქმიანობას. უფროსთა დავალებით მას უნდა ეთარგმნა და შემდეგ ქართულ ენაზე დასასტამბად წარედგინა სხვადასხვა საქრისტიანო თხზულება. მართლაც, ტულუკაშვილმა (ზოგი მეცნიერი, მაგ. შ. ლომსაძე, ფიქრობს,

რომ იგი პაპაშვილი იყო) უკვე 1733 წელს წარუდგინა სპეციალურ კოლეგიას მის მიერ ლათინურიდან თარგმნილი „საქრისტიანო მოძღვრება“. მაგრამ, როგორც ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე წერს, „პატრი დავითას შრომა მარტო „საქრისტიანო მოძღვრების“ თარგმანით არ გათავებულა... გადარჩა მხოლოდ რამდენიმე წერილი და ერთი ვრცელი თარგმანი „მიბაძვა ქრისტესი“... თუმცა პატრი დავითას მიერ ნაშრომს არ ელირსა დაბეჭდვა და იგი ერთის მხრით ჩვენი დროისათვის არც გამოდგებოდა... გორში თარგმნა და გორშივე გამოსცა იგივე ნაშრომი ანსელმო მღებრიშვილმა“ (3, 75).

მართალია, გორელ კათოლიკეს, რომში განვრთნილ პიროვნებას დავით ტულუკაშვილს, ვერ დაუბეჭდავს თავისი თარგმანი, მაგრამ იგი ხელნაწერებად გავრცელებულა და მოიპოვებოდა როგორც თბილისში, ისე გორში, მესხეთში, ჯავახეთსა და ქუთაისის კათოლიკურ ეკლე-

სიაში. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტი-
ტუტში დაცულია ამ წიგნის მრავალი ხელნაწე-
რი, რომელთაგან ზოგს აწერია, რომ ქუთაისის
კათოლიკური ეკლესიის ნაქონია, ზოგსაც – გო-
რის კათოლიკური ეკლესიის მონაპოვარიაო და
ა.შ. დავით ტულუკაშვილის ნაკალმარი დაცუ-
ლი ყოფილა სამცხე-ჯავახეთის მუზეუმშიც (2,
56).

როგორცა ჩანს, მაინც ისევ გორელ კათოლი-
კეთა ფრთას უმარჯვია და პირველი წიგნი, რო-
მელიც გორში გამოუციათ – ეს იყო იმავე თომა
კემფელის ზემოაღნიშნული თხზულება „ქრის-
ტეს მიბაძვა“, ამჯერად ხელმეორედ თარგმნი-
ლი ლათინურიდან გორელი პატრის ანსელმო
მლებრიშვილის მიერ. ანსელმო მლებრიშვილმა,
რომელმაც „პროპაგანდაში“ მიიღო განათლება
და ზუბალაშვილის საფასით ბათუმის კათოლი-
კური ეკლესია ააგო, „ქრისტეს მიბაძვის“ I-IV
ნაწილები სტამბური წესით გამოსცა გორში
1889 წელს. ზაქარია ჭიჭინაძე ამ პიროვნების

შესახებ დაწერილ ნარკვევში საგანგებო ყუ-
რადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ეს იყო გორში
პირველად დასტამბული წიგნი, რომ, გარდა
თბილისისა, სხვა ქართულმა ქალაქებმაც უნდა
იწყონ კულტურული აღორძინება და ბეჭდონ
წიგნებიო. „ეს წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ
იგი დაიბეჭდა ქ. გორს, პირველად გორში. მარ-
თალია, სტამბა არის, მაგრამ აქ ქართული წიგ-
ნი არავის დაუბეჭდია. ეს პირველი მაგალითი
იყო“. შემდეგ ცნობილი მწიგნობარი აქეზებს
ქართული კულტურის მესვეურთ, რათა შემ-
დგომშიც მოინდომონ და განაგრძონ ეს სასახე-
ლო და საშვილიშვილო წამოწყება.

თბილისის ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკა-
ში დაცულია ანსელმო მღებრიშვილის მიერ
თარგმნილი თომა კემფელის ზემოაღნიშნული
წიგნი. მკითხველისათვის უინტერესო არ იქნე-
ბა, თუ შემოკლებით მოვიყვანთ მთარგმნელის
წინასიტყვაობას:

„ეს სახელგანთქმული თხზულება „მიბაძვა ქრისტესი“ ამ ჟამად პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზედ. მართალია, ზოგიერთთა პატივ-ცემულთა და შრომისმოყვარე პირთა წინათაც უცდიათ ამ წიგნის გადმოღება ქართულად, მაგრამ, რადგანაც მათს შრომაში, სამწუხაროდ, ბევრი იმისთანა ნაკლულევანებანი მოიპოვებიან, რომელნიც არა მცირედს ღირსებას უკარგავენ თხზულებას, ამის გამო მეც კვალად განვიზრახე თარგმნა მისი. ამჟამად დაიბეჭდა ორი პირველი წიგნი, დანარჩენი ორი წიგნი მზად მაქვს, მაგრამ ეხლა ამ წიგნთან ერთად ვერ ვძეჭდავ, რადგან გადასასინჯია...

ამ წიგნის ავტორი არის დიდებული თომა კემფელი, რომელიც ცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნეში და რომელიც დასავლეთის წმიდა ეკლესიისაგან შერაცხულია წმინდანად. თომა დაიბადა 1380 წელსა, სოფელს კემპში; მშობელი მისნი ლარიბი გლეხი-კაცები იყვნენ და ამის გამო საკუთარის ხარჯით მათ არ შეეძლოთ

აღეზარდათ თავიანთი ნიჭიერი შვილი. ამიტომ იგი მისცეს ერთს სასწავლებელში, სადაც ლარიბ ბავშვს საზოგადოების ხარჯზედ ზრდიდნენ. როდესაც მაღალნიჭიერმა თომამ სწავლა დაამთავრა, გახდა წევრად იმ მეცნიერთა საზოგადოებისა, რომელსაც განათლებული და გულმხურვალე ბერნი შეადგენდნენ. აქ მიიღო ბერობა და იწყო სასარგებლო მოღვაწეობა. მომეტებულად მწერლობას აქცევდა ყურადღებას და ამ ასპარეზზედ მან გამოიჩინა გასაოცარი ნიჭი, ცოდნა და შეგნება საღმრთო წერილისა. დასწერა ასზედ მეტი სხვადასხვა თხზულებანი, რომელთა შორის ყველაზედ წარჩინებული და დიდებულია „მიბაძვა ქრისტესი“. ერთი ის გარემოება, რომ ეს წიგნი დღეს დედამიწის ზურგზედ მოფენილია, ცხადად აჩვენებს მისი ლირსების სივრცე—სიდიდეს. ჰკითხულობთ ამ წიგნს და მის სიმშვენიერით აღტაცებულმა აღარ იცით, რას მიაქციოთ უმთავრესი ყურადღება — აზრთა სიღრმე—სიუხვეს თუ მაღალ გრძნობათა

სიტკბოებას, პოეზიის დიდებულებას თუ ენის
სინარნარეს...“ (1,3).

ანსელმო მღებრიშვილი სავსებით მართა-
ლია. თომა კემფელი შუა საუკუნეების მისტი-
კოს-ფილოსოფოსია. იგი გახლავთ ერაზმ რო-
ტერდამელის სკოლის ერთი დიდი წარმომადგე-
ნელი, აგნატენბერგის მონასტრის კანონიკი.
მან შუა საუკუნეების ლათინურით დაწერა რე-
ლიგიური ტრაქტატები. „იმიტაციო ქრისტი“
1427 წელს არის შექმნილი და ისიც თომა კემ-
ფელს მიეწერება, ვინაიდან ეს თეოლოგი ნაშ-
რომებს სახელს არ აწერდა, რადგან ფიქრობდა:
მთავარია არა ის, თუ ვინ დაწერა, არამედ ის,
თუ რა დაწერა. და ეგ როდი გახლდათ ანაფო-
რიანი ბერის სიჯიუტე. ეს გამომდინარეობდა
მისი ფილოსოფიური პლატფორმიდან. პირველი
ფრაზა, რომელიც „ქრისტეს მიბაძვიდან“ აქ
მომყავს, სწორედ ამგვარ თვალსაზრისს ავითა-
რებს: „ნუ ეძიებ, ვისგან არის თქმული, არამედ
შეისმინე, რაცა არს თქმული“. „მიბაძვას“

ბრწყინვალე ენობრივ ქსოვილსა და მხატვრულ პასაუებთან ერთად ახასიათებს აზრის სიცხოველე და სინათლე. ამიტომაც არის, რომ წიგნს ხელნაწერებად ავრცელებდნენ. წესად იყო დადებული – ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს უნდა ჰქონოდა იგი. როდესაც საბეჭდი მანქანები გაჩნდა, „წმინდა წერილის“ შემდეგ მეორე წიგნად ეს თხზულება ისტამბებოდა და თითქმის ყველა ენაზე (და არა მარტო ქრისტიანულ ენებზე) გადათარგმნეს. მეოცე საუკუნემდე 2000–ჯერ მაინც გამოიცა. რუსულად პირველად 1647 წელს უთარგმნიათ, ხოლო ქართულად, თუ უნინარეს არა, 1720–იან წლებში მაინც უნდა თარგმნილიყო.

მკითხველს რომ გარკვეული წარმოდგენა მაინც შეექმნეს მღებრიშვილისეულ თარგმანზე, მის ხარისხსა და თვით წიგნის ღირსებაზე, მოვიყვან რამდენიმე ფრაზას (სხვათა შორის, თარგმანის ხელნაწერი წაუკითხავს და სტილი გაუსწორებია ნიკო ლომოურს).

„მრავალნი გაურბიან საცოტურს და... შიგ
ვარდებიან“.

„სახმილი გამოსცდის რკინასა, საცოტურება
– კაცსა“.

„ყოველ დროს, როდესაც კაცთა თანა ვიმყო-
ფები, სახლში ვბრუნდები რაიმე ნაკლულოვა-
ნებებით“.

„ხშირად ბოროტებას სჩავდივართ, მაგრამ
უფრო დიდი სიბოროტე ის არის, რომ თავსაც
ვმართლულობთ“.

„კაცი ხედავს პირსა, ღმერთი – გულსა“.

„კაცი ხედავს მოქმედებასა, ღმერთი – აზ-
რსა მოქმედებისასა“.

„იესოს ან მრავალნი ჰყავს თავისი ზეციუ-
რის სასუფევლის მოყვარულნი, მაგრამ მისის
ჯვარის მტვირთველნი კი ცოტანი არიან“.

„მრავალსა ჰპოულობს მაცხოვარი ტაბლა-
ზედ თანამეინახეთა, ხოლო მცირედთა თვის-
თან მემარხულეთა“.

„მრავალნი შეუდგებიან ქრისტეს გატეხვად-
მდე პურისა, ხოლო მცირედნი შესმაღმდე ვნე-
ბისა ბარძიმისა“.

„ყოველთვის განმზადებულია ჯვარი და ყო-
ველგან გელის იგი შენ“.

როგორცა ვხედავთ, თომა კემფელის ზოგი-
ერთი გამოთქმა აფორიზმის დონეს აღწევს.
ყველაფერი ეს კი ისე ამშვენებს ქ. გორში პირ-
ველად გამოცემულ წიგნს, როგორც უზარმაზა-
რი თეოლოგი მოაზროვნის თომა კემფელის სა-
ხელი – მსოფლიო კულტურის საგანძურს.

ბეჭდვითი სიტყვის კულტურა მთელ საქარ-
თველოში ვრცელდებოდა უკვე 1708 წლიდან.
ამის მქევრმეტყველური ფაქტია გორში დაბეჭ-
დილი პირველი წიგნი, რომელიც მიმართული
იყო ქრისტიანობისაგან განმდგარი მრევლის
სულიერი გაჯანსაღება–განმტკიცებისაკენ.

ლიტერატურა

1. კემფელი თომა, მიბაძვა ქრისტესი, გორი,
1889.
2. ლომსაძე შოთა, გვიანი შუა საუკუნეების
საქართველოს ისტორიიდან, თბილისი,
1979.
3. ჭიჭინაძე ზაქარია, უმთავრესი მიზეზი სა-
ქართველოს მიმართ რომის ყურადღები-
სა, გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა,
ტფილისი, 1898.

The first printed book in Gori

Summary

From the cultural point of view, achievements in literacy are very important for a particular country. In this regard, situation and beginning of print is noteworthy in such important centers of Kartli, like

Gori. In XVII-XVIII centuries, the political, ideological and military pressure from Ottoman Empire became extremely acute in Georgia, especially in Kartli. The political elite of Kartli used different methods against it. One of them is a religious-ideological resistance. For this purpose, they used the Catholic forces existing in Gori. The result of the general effort is the first printed book in Gori. And this book was “Imitation of Christ” by Thomas A Kempis. This theological-pastoral masterpiece has to be translated in the 1720s, but it was translated for the second time and printed in 1889 year. One of the first versions was translated by Davit Tulukashvili from Gori, and the second one by Anselmo Mgebrishvili. They were Georgian Catholics.

Key words: *Print culture, Kartli in XVII-XVIII centuries, “Imitation of Christ”*

by Thomas A Kempis.

Первая печатная книга в Гори

Резюме

С точки зрения культурологии, очень важны достижения той или иной страны в области грамотности. В связи с этим нужно отметить состояние пачатного слова и начало в таких важных центрах Картли, каким является Гори. В XVII-XVIII веках политическое, идеологическое и военное влияние Османской империи на всю Грузию, а особенно на Картли, очень усилилось. Политическая элита Картли использовала против этого разные методы. Одним из таких являлось религиозно-идеологическое сопротивление. С этой целью она использовала существующие в то время в Гори католические силы. Результатом этих общих усилий является первая печатная книга в Гори. Это книга «Подражать Христу» Фомы Кемпийского. Этот богословско-поучительный шедевр должны были перевести

1720-ых годах, а во второй раз перевели и напечатали в 1889 году. Один из первых вариантов перевел Давид Тулукашвили из Гори, последующий – Ансельмо Мгебришвили. Они были Грузинскими католиками.

*Ключевые слова: Культура печатного слова,
Картли XVII-XVIII веков,
Тома Кемфели (Фома
Кемпийский), «Подражать
Христу».*

ობიურგეთი

ამ ქალაქის სახელწოდების შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება (ნ. მარი, ი. აბულაძე, მ. ჯანაშვილი, თ. სახოკია, გ. ლომთათიძე, ი. სიხარულიძე, ზ. ჭუმბურიძე, ს. ჯიქია, ბ. დარჩია, გ. ბედოშვილი). ზოგი მას მეგრულ ნიადაგ-

ზე წარმოქმნილად მიიჩნევს და ასე ხსნის: ო-ზურგ-ეთ-ი, სადაც ცნების გამომხატველი ძირია **ზ უ რ გ**, ხოლო „ო“ მეგრული მაწარმოებელია და გამოხატავს იმას, რასაც ქართული „სა“, „ეთ“ კი გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსია: კახ-ეთ-ი, საფრანგ-ეთ-ი და ა.შ.

ამრიგად, ამ თვალსაზრისით, რომელიც რამდენადმე სხვებზე უფრო დამაჯერებელია, ეს არის სა-ზურგ-ეთ-ის მხარე, ოღონდ აქ გაურკვეველია ერთი რამ: თუ „ო“ მეგრულია, წარმოებაში რად ჩაერთო ქართული „ეთ“ ბოლოსართი? თანაც, ბორის დარჩიას მითითებით, მეგრულად ზ უ რ გ ი ასე გამოითქმის — ო ჭ ი შ ი. ამიტომ ასეთი ალრევა თითქოსდა მოულოდნელია.

კიდევ უფრო სასაცილოა ტოპონიმის თურქულ ნიადაგზე ახსნა — „ოსურ გეთ“ (დასვარა და გაიქცა ან მისი უფრო „მსუბუქი“ ვარიანტები).

ეს ხალხური ეტიმოლოგიაა და არც ერთ ხალხურ ეტიმოლოგიას სიმართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

არის სხვაგვარი „ახსნებიც“. ისინი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. ზემონახსენები მკვლევარები ერთმანეთის ამ „ახსნებს“ იოლად აბიაბრუებენ.

სინამდვილე კი სრულიად თავისებური აღმოჩნდა.

წყაროებში შემონახული გვქონია ოზურგეთის პირველსახე.

საქართველოში ერთობ გავრცელებული ყოფილა ტოპონიმი ო ძ რ ხ ე. „ისტორიებში“ დაცულია მისი ნაირგვარი ფორმა-ვარიანტი: ო ძ რ ა ხ ე, ო ძ ა რ ხ ე, ო ძ რ ა ხ ო ს, მაგრამ, რაც უმთავრესია, ყოფილა ამ სახელის გვიანდელი ფონეტიკური ვარიანტიც — ო ზ უ რ ხ ე:

„დაწვეს ქალაქი ო ზ უ რ ხ ე,
ურჩისა თქვეს: „დააბი ეს!“

(არჩილიანი, 1999, გვ. 320, სტრ. 812).

საგულისხმოა ქართული „ისტორიების“ მონაცემები: არჩილის მიერ ნახსენები ოზური ხე ამ ისტორიებში წარმოდგენილია არაერთგვაროვანი სახით:

თამარს რომ გიორგი რუსი დასავლეთიდან საომრად მოადგა, მაშინ რუსს გვერდით ამოუდგნენ მრავალნი. მათ შორის გახლდათ დადიან-ბედიელი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „დადიან-ბედიელმან გარდავლეს რკინის — ჯუარი და დანვეს ოძრახე; ჰლამოდენ აღებად ჯავახეთისა“ (ვახუშტი, IV, 178).

სწორედ ამ ამბავს, რომელიც მოხდა 1200 წელს, აღნერს არჩილიც:

„მათ გარდმოვლეს მთა ლიხისა,
ქართლი მოწვეს, მოარბიეს;
არვინ დახვდა მეომარი,
ყველგან ცხენი მოარბიეს;
გარდიარეს რკინის ჯვარი,
დასადგურდეს ციხის ჯვარეს.
დაწვეს ქალაქი ოზური ხე,

ურჩისა თქვეს: „დააბი ეს!“

(არჩილიანი, სტრ. 812).

ვხედავთ: არჩილი იმავე ამბავს აღწერს, ოღონდ მისი წყარო უფრო ზუსტია, რადგან აქ ერთი სხვა, შუალა, ტოპონიმიც გაიელვებს – ციხის ჯვარი. ეტყობა, მას ხელთ ჰქონდა რომელიდაცა ჩვენთვის უცნობი წყარო; მაგრამ აქ უფრო საინტერესოა სხვა. არჩილი ოძრხე – ოძრახეს ცვლის ასეგვარად – ოზურხე.

რა თქმა უნდა, ამ ტოპონიმს მეფე-პოეტი თავისი ფანტაზიით არ გამოიგონებდა! ორიდან ერთია: ან მას ხელთ რაღაც დღემდე უცნობი საისტორიო წყარო ეჭირა, სადაც ეწერა ოძრახე – ოძარხე – ოძრახე – ოძრახე ოს-ის მოგვიანო ფონეტიკური ვარიანტი – ოზურხე, ანდა თვით მეფე-პოეტის დროს ეგ ადგილი ამ ფორმით უფრო იყო ცნობილი.

ფაქტია: არჩილის დროს, მე-17 საუკუნის ბოლოს, ჩნდება ტოპონიმი ოზურხე.

არ არის გამორიცხული, რომ ოძრხე-ოძრა-ხე-ოძრახოს-ის ამ გვიანდელმა ფონეტიკურმა ვარიანტმა უკვე ჯერ კიდევ სამცხეში დაირთო — ეთ გეოგრაფიული სუფიქსი. ასე რომ, სუ-ლაც არ გამიკვირდება, ო ზ უ რ ხ ე თ ი-ს თანა-მედროვე ფორმა ო ზ უ რ გ ე თ ი სამცხეშივე აღმოჩნდეს რომელიმე პუნქტის დასახელებად; მოგვიანებით კი, როცა ჭირთათმენის გამოისო-ბით მესხების ერთი დიდი ნაწილი სამცხიდან გამოიქცა და სამეგრელოს მთავარ დადიანს ეყ-მო, მას მიეცა სამეგრელოს ტერიტორიის შიდა, შუა, ადგილი, ანუ სამეგრელოს გური (გული). აი, სწორედ ამ გურში (გურიაში) დააარსეს ემიგ-რირებულმა მესხ-გურულებმა ო ზ უ რ ხ ე — ო ზ უ რ ხ ე თ ი — ო ზ უ რ გ ე თ ი.

ნუ შეგვაშინებს ტოპონიმთა ასეთი მონაც-ვლეობა. თვით ს ა მ ც ხ ე გვიანდელი წარმონაქ-მნია. ის მივიღეთ ო ძ რ ა ხ ე -საგან ამგვარად: ო ძ რ ა ხ ე — ოცხე; აქედან კი სა-ოცხ-ე. სა-ოცხ-ე კი ისტორიულად ასე გარდაიქმნა: სა-ოცხე —

სა-ვცხე — სა-მცხე (შდრ. რა-ოდენიმე — რა-ვდენიმე — რა-მდენიმე).

საგულისხმოა, რომ 1578 წლის ამბებში ეს გურული ტოპონიმი, გურიელის სასახლის ადგილი, მოხსენიებულია თანამედროვე ფორმით — ო ზ უ რ გ ე თ ი (ვახუშტი, 818); ასევე ბერი ეგნატაშვილი 1545 წლის ამბებს რომ აღნერს, უკვე ახსენებს გურიელის რეზიდენციასა და ო ზ უ რ გ ე თ ს (ქართული მწერლობა, 6, 726).

როგორცა ჩანს, ან უკვე მე-16 საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე ჩამოყალიბებული იყო დღევანდელი ფორმა „ოზურგეთი“, ანდა ამ „ისტორიების“ ავტორები ძველ ოზურხეთს თავიანთი თანამედროვე, მაშინ ცნობილი და გავრცელებული ფორმით (ოზურგეთი) ცვლიან.

მაშ, უძველესი ტოპონიმია ო ძ რ ა ხ ე. მან განვითარება პოვა სამი მიმართულებით. ა) ო ძ რ ა ხ ე — ო ც ხ ე (გვარი ოცხელი) — ს ა ო ც ხ ე — ს ა მ ც ხ ე; ბ) ო ძ რ ა ხ ე — ო ძ ა რ ხ ე (სადაც ფუძის შიდა გახმოვანება ხდება „ა“ ბერით); გ)

ო ძ რ ხ ე — ო ძ უ რ ხ ე (სადაც შიდა გახმოვანება ხდება „უ“ ბერით). შემდგომ აფრიკატი (რთული თანხმოვანი) დაიშალა შემადგენელ ნაწილებად. დაიკარგა „დ“, ხოლო „ზ“ შემოგვრჩა. ასე წარმოიქმნა ო ზ უ რ ხ ე - არჩილ ბაგრატიონის მიერ „ოძრახე“ ტოპონიმის ნაცვლად დაფიქსირებული.

ძველად სახელები სუფიქსებს იშვიათად ირთავდნენ. რუსთველი ბრძანებს: „გველსა ხ ვ რ ე ლ ი თ გამოიყვანს...“

ფორმას ხ ვ რ ე ლ ი თ მოგვიანებით დაემატა გან: ხ ვ რ ე ლ ი თ - გ ა ნ; ასე მოხდა **ოზურხე** ფორმის შემთხვევაშიც. მოგვიანებით დაემატა მას — ეთ მაწარმოებელი: ო ზ უ რ ხ ე თ ი.

შევნიშნავ: გრამატიკულ-ფონეტიკური თვალსაზრისით, ო ზ უ რ ხ ე თ ი ერთობ იოლად იძლევა ფორმას ო ზ უ რ გ ე თ ი.

**ტოპონიმი „ოზურგეთი“
და არჩილ მეფის ხელნაწერული
მემკვიდრეობა**

არჩილ მეფის პოემა „თეიმურაზ მეფის და რუსთველის გააპასება“ რამდენიმე ხელნაწერად არის მოღწეული. ამ მემკვიდრეობაში აშკარად ჩანს რყევა ტოპონიმისა ოძრგე. ეს მოძრაობა და ცვლილება ორნაირია: ერთი მხრივ, ხდება აფრიკატის გამარტივება (**ძ - ბ**), ხოლო, მეორე მხრივ, – ერთად შეყრილი სამი მძიმე წარმოსათქმელი თანხმოვნის გახმოვანება. ორივე ეს პროცესი სხვა არაფერია, თუ არა სვლა გვიანდელი ტოპონიმისკენ **ოზურხეთი**.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ და განვჩხრიკოთ ცნობილი პოემის ხელნაწერული მემკვიდრეობა:

ოძრგე ტოპონიმი „გააპასებაში“, როგორც ისტორიულ პოემაში, ორ ადგილას გვხვდება.

ერთია სტროფი 812, სადაც საუბარია ამ ქალა-ქის გადაწვაზე. ტოპონიმი მეორედ გვხვდება თეიმურაზ მეფის მე-17 პასუხში, კერძოდ, 980-ე სტროფში. დაბეჭდილი ტექსტი ასეთი სახისაა:

**„ბასიანის ომი რომ თქვი, იქ თქვენ სად
იყავ მაშინა?“**

**თამართან არ იბლუნდოდი ოძრიხესა, ვითა
შინა“?**

სამი მძიმედ დაჯრილი თანხმოვნის – **ძ რ ჭ** – გაშლა და გამიჯვნა ხდება „ი“ ხმოვნის მეშვეობით. არაერთხელ მითქვამს და ახლაც აღვნიშნავ: სამი ძნელი თანხმოვნის გახმოვანება შესაძლებელი იყო მომხდარიყო ყველა ხმოვნით (ა,ე,ი,ო,უ).

სხვადასხვა ისტორიულ წყაროში გვაქვს ფორმები **ოძრახოს, ოძარხოს** და სხვა. გვქონია სხვა ხმოვნისეული გახმოვანებებიც და ამან თავი იჩინა „გაბაასების“ ხელნაწერულ მემკვიდრეობაში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთი ვარიანტია **ოძრიხე**.

ხდება სხვა ხმოვნებით გახმოვანებაც. S – 2663 ხელნაწერში ვკითხულობთ:

„**თამართან არ იბლუნძოდი ოძრეხესა, ვითა შინა**“ (გვ. 117, R).

ვხედავთ: აქ უკვე საქმეში ჩაერთო „**ე**“ ხმოვანი.

მაშ, ერთგან – **ოძრიხე**, მეორეგან – **ოძრეხე**.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ხელნაწერი H – 2116. აქ გვაქვს ორგვარი გახმოვანება:

„**თამართან არ იბლუნძოდი ოძრიხესა, ვითა შინა**“ (გვ. 85, R).

სამაგიეროდ, წინა ადგილას წერია სენსაციურად საინტერესო ფორმა:

„**ოზრუგეს დაწვეს ქალაქი**“ (გვ. 72).

აქ მკაფიოდ წერია **ოზრუხე** ბერათკომპლექსი.

საჭიროა ამის შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბროთ.

ყველა გურულმა ძალიან კარგად იცის: აქ მცხოვრებთა მხოლოდ მცირე ნაწილი ეძახის

გურიის დედაქალაქს ასე – **ოზურგეთი**, სამუქ-
ფოდ, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა,
უფრო მეტად მხცოვანნი, ასე უხმობენ: **ოზრუ-
გეთი**.

აღმოჩნდა, რომ პოემის ხელნაწერული მემ-
კვიდრეობა იძლევა არა მარტო **ოზურგეთ**
ფორმის პროტოსიტყვას **ოზურხეს** (S – 424, გვ.
125), არამედ უფრო გავრცელებული ვარიანტის
(**ოზრუგეთი**) პროტოსიტყვასაც. ეს არის **ოზ-
რუხე** (H-2116, გვ. 72).

ამ ხელნაწერს აქვს უდიდესი მნიშვნელობა;
იგი საუკეთესო ფერად ქალალდზეა გადაწერი-
ლი კარგი და მკაფიო ხელით; თანაც, მითითე-
ბულია: „**საიდამაც ეს დედანი გარდმოვწე-
რეთ, აღწერილ იყო იგი მოსკოვს მაისს (1705
წელსო) ბრძანებითა მეფისა არჩილისათა**“
(მე-2 გვერდი, ფორზაცი).

ეს ხელნაწერი მეფის მიერ არჩეული დედნი-
დან არის გადაწერილი და მისივე მეთვალყურე-
ობით შესრულებული; მაშასადამე, ის ავტორი-

ზებული ტექსტია. იმ დედანში (M - 19) რაც წე-
რებულა, ის გადმოუღია კალიგრაფის. აქვე შევ-
ნიშნავთ: სხვა ხელნაწერებში რომ მეოთხე ტაე-
პი გაუმართავია, აქ ყველაფერი ნათელი და
მწყობრია. მაშ, M – 19 და მისგან მომდინარე
ტექსტი ამ სახისაა:

„ოზრუხეს დაწვეს ქალაქი,

ურჩისა თქვეს: „დააბი ეს“! (გვ. 721).

აქ უკვე მეორე პროტოსიტყვამ წამოყო თა-
ვი! ეს გახლავთ **ოზრუგეთ** ფორმის პროტოსახე
ოზრუხე.

მაშ, ასე:

ერთი მხრივ, **ოზურხე** > **ოზურგეთი**;

მეორე მხრივ, **ოზრუხე** > **ოზრუგეთი.**

ალბათ, ყველაფერი ნათელია: **ოზურგეთ** –
ოზრუგეთ ფორმებს უკვე შორეულ წარსულში
გასჩენიათ პროტოსიტყვები: **ოზურხე** და **ოზ-
რუხე.**

ახლა ამ ძირძველი ტოპონიმის მეორე ფონე-
ტიკური სვლაც შევისწავლოთ.

მძიმე სამეულის **ძრხ** წარმოთქმის შესამსუბუქებლად არსებობს სხვა ფონეტიკურ-საწარმოთქმო გზაც. კერძოდ, რთული თანხმოვნის, ანუ აფრიკატის, გამარტივება, დეზაფრიკატიზაცია. ეს პროცესი ქართულში ჩვეულებრივია. უფრო მეტიც, ჩვეულებრივია პირუკუ მოვლენაც, ანუ მარტივი ბგერის გართულება, აფრიკატიზაცია. მაგალითად, იყო ზროხავ, ამჟამად არის ძროხა. მაშ, მარტივი „ზ“ გადაიქცა რთულ თანხმოვნად „ძ“ (=დზ).

„**ძრხ**“ – სამეულის გასამარტივებლად საჭიროა ერთადერთი რთულის დაშლა, ანუ „ძ“ ბგერის (=დზ) გამარტივება. ჩვეულებრივ იკარგება „დ“, გვრჩება „ზ“.

პოემის ხელნაწერულ მემკვიდრეობაში ეს პროცესიც ჩანს. S – 2663 გვიჩვენებს ამ ვითარებას:

„ოზრხე“ დაწვეს ქალაქი...“ (გვ. 97, R).

ვხედავთ, „ძ“ გადაქცეულა „ზ“ თანხმოვნად, რაც მოსალოდნელიც იყო.

ამის შესახებ კიდევ უფრო ადვილდება იოლი
სამეტყველო გზის გაკაფვა ოზურგეთისაკენ:
ოძრხე > ოზრხე > ოზურხე // ოზრუხე.

მაშასადამე, თვალწინ გვაქვს **ოძრხე** ფორ-
მის **ოზურგეთ** ფორმად ქცევის მთლიანი სურა-
თი, სადაც გამხმოვანებლად გამოყენებულია
ოთხივე შესაძლებელი ხმოვანი – ა,ო,ე,უ:

ოძრგე > ოძრაგე > ოძარგე > ოძრიგე >
ოძრეგე > ოზრგე > ოზრუგე > ოზურხე.

ასე საინტერესო გამოდგა ცნობილი პოემის
ხელნაწერული მემკვიდრეობა „**ოზურგეთ**“ და
„**ოზრუგეთ**“ ტოპონიმების ჩამოყალიბების
მთელი პროცესის საჩვენებლად.

ოძრხე

(ოძრისხევიდან ოზურგეთამდე)

სამხრეთ საქართველოს რეგიონებიდან ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა სამცხე-საათაბაგო. მესხეთის ამ კუთხეს საათაბაგოს იმად უწოდებდნენ, რომ აქ იჯდა ერისთავი [1], რომელსაც ჰქონდა პატივი, აღეზარდა უფლისნული, ქვეყნის მომავალი პატრონი [2]. უცხო სიტყვა „ათა“ მამას, აღმზრდელსა ნიშნავს; „ბეგი“ – უფროსს, ბატონს.

სამცხის დედაქალაქი გახლდათ ო ძ რ ხ ე. როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ, ოძრხის მიმდებარე ტერიტორიები მცხეთოსის შვილსა რგებია წილად, ხოლო ფარნავაზს აქ დაუსვამს პირველი ერისთავი [3].

ისტორიულ დოკუმენტებში არა ჩანს, ოღონდ ტოპონიმის დადგინების ისტორიული პროცესის წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. აღნიშნულ ქალაქთან ახლოს ჩამოდის პატარა

მდინარე, რომელსაც უხსოვარ დროში უნდა რქმეოდა ო ძ რ ე. ჰიდრონიმში გამოიყოფა აფიქსები და ძირი: ო-ძრ-ე. აქ მეგრულ-კოლხური „ო“ იგივეა, რაიც ქართული „სა“, ხოლო ბოლოსართი „ე“ კი ორივე ქართველურ ენაში ერთნაირია. მაშასადამე, სა-ე დანიშნულების მანარმოებლებია: ძირად გვრჩება „ძრ“. ეს ცნობილი შინაარსმატარებელი კომპლექსია. ის აღნიშნავდა და ახლაც აღნიშნავს მოძრაობას, ძვრას, გადაადგილებას, სვლას, სრბოლას, მდინარებას; გვხვდება სიტყვებში: ძრ-ვა, მო-ძრაობა, და-ძრ-ვა და ა.შ. ძირი გახმოვანებული სახით ასე წარმოგვიდგება: ძარ. მაგალითად, დავი-ძარ. მაშასადამე, **ძარ→ძრ**.

უნდა ვივარაუდოთ: უძველეს დროში კოლხური ენების ზეგავლენა მთელ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე ვრცელდებოდა და ჰიდრონიმი სტრუქტურულად მეგრულს უნდა დაუკავშირდეს. ამ ტიპის წარმოება ამ ენაში ჩვეულებრივია: ო-ხორ-ე; ო-ჩორჩხ-ე და სხვ.

საგულისხმოა, რომ გურიაში, რომელიც კოლხეთის „გური“, ანუ გული, გახლავთ, დღესაც ხმარობენ სიტყვებს: ო-ჭვათ-ო, ო-ჩორჩხ-ე და სხვ. მეგრული „ჭვათ“ იგივეა, რაც ქართული „წვეთი“; ოჭვათო ჰქვია მხოლოდ იმ წვეთებს, რომლებიც სახურავიდან, კრამიტის ლარიდან, ჩამოდის; სოფელ ძიმითში ერთ ლელეს ჰქვია ო-ჩორჩხ-ა. ესეც, ეჭვი არაა, მომდინარეობს ფორმიდან ო-ჩორჩხ-ე, ე.ი. სათევზე მდინარე.

სწორედ ამ კონსტრუქციისაა სამცხურ-მესხური ჰიდრონიმი **ო-ძო-ე**, ანუ მოძრავი, სამოძრაო, დაუდეგარი მდინარე.

უძველეს დროში ჰიდრონიმებს ქართველნი გამოხატავდნენ ორი სიტყვით. პირველი კონკრეტულ სახელს წარმოადგენდა, მეორე – ზოგადად მდინარეს, ოღონდ მდინარის სახელი გახლდათ **ხევი**. ასე მივიღეთ შემდეგი ჰიდრონიმები: კისის-ხევი, ქვათა-ხევი, ცხენის-ხევი, ბახვის-ხევი და სხვ. მაშასადამე, ხევი ნიშნავდა წყალს, მდინარეს; შუა საუკუნეებში **ხევი** თან-

დათან განიდევნა და იგი შეცვალა სიტყვამ წყალი. ასე შეიქმნა ცნობილი ჰიდრონიმები: ცხენის-წყალი, ბახვის-წყალი, ბუუზის-წყალი... ეს ვითარება კარგად არის დაფიქსირებული „ვეფხისტყაოსანში“. აქ ძალიან ბევრჯერ წყალი სწორედ მდინარეს გულისხმობს: „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ [4]. კიდევ რამდენიმე მაგალითი: „მინდორსა იქით წყალი დის“ (78,2); „მის მთისა ძირსა წყალი დის“ (184,3); „გავლო წყალი და ტყენია“ (193,1); „რა წყალი ნახის, გარდახდის“ (840,2) და ა.შ. [5].

ამრიგად, ცხენის-წყალი, ბახვის-წყალი, ბუუზის-წყალი მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: ცხენის-მდინარე, ბახვის-მდინარე, ბუუზის-მდინარე.

დაბოლოს, დღეს უკვე კონკრეტულ სახელებს წინ ან უკან (უფრორე წინ) ერთვის არა ხევი ან წყალი, არამედ თანამედროვე სიტყვა – მდინარე. მაგალითად, მდინარე იორი, მდინარე ალაზანი და ა.შ.

მაშ, ასე:

ისტორიული პროცესი ამგვარად გვესახება:

ხევი, წყალი, მდინარე.

ახლა კი ისა ვნახოთ, თუ რა დაემართა სამ-
ცხის პატარა მდინარეს, რომელსაც ეწოდება
ოძრე. ძველი ქართული წესისამებრ, მას დაემა-
ტა ტერმინი ხევი, ასე მივიღეთ ცნობილი
სტრუქტურა: **ოძრის-ხევი**, შეადარეთ: **კისის-
ხევი, ქვათა-ხევი...**

სხვათა შორის, სამსჯელო რეგიონში ამგვა-
რი წარმოება ფრიად და ფრიად გავრცელებუ-
ლი ყოფილა. ეს მდინარეებია: ქუაბის-ხევი;
ბობნავის-ხევი; სლესის-ხევი; ლოგად-ხევი;
თიხრევის-ხევი; ყინცვისის-ხევი; ზიკილიის-ხე-
ვი; ბორჯომის-ხევი; ლიკანის-ხევი და სხვ. [6].

აქვე შევნიშნავთ: საყოველთაოდ ცნობილია,
რომ ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის
თანხმოვანი „ს“ სიტყვის გაკომპოზიტივების
ვითარებაში იკარგვის. ეს მოვლენა განსაკუთ-
რებით ფართოდ არის გავრცელებული კახურ

მეტყველებაში, მაგრამ არც სხვა დიალექტები-სათვის არის უცხო. ამ მხრივ საყურადღებოა ქართული გვარები: **ცქიტიშვილი** მიღებულია ფორმისგან **ცქიტის-შვილი;** **მჭედლიშვილი – მჭედლის-შვილისაგან** და ა.შ.

მსგავსმა ფონეტიკურმა მოვლენამ შეაპირობა, რომ კონსტრუქცია **ოძრის-ხევი** მალევე გადაიქცა ბგერათკომპლექსად **ოძრი-ხევი;** მომდევნო ეტაპზე შეიკვეცა რთული სიტყვის მეორე კომპონენტიც და მივიღეთ ფორმა **ოძრი-ხე.** საყურადღებოა, რომ ეგ შუალა კონსტრუქცია დაფიქსირებულია ისტორიულ წყაროებში [7].

ცნობილი ამბავია: ტოპონიმი, ჩვეულებრივ, იკუმშება, კარგავს ცალკეულ ბგერებს და მარტივდება. მაგალითად, იყო **მარტო-მყოფი** და გახდა **მარტყოფი;** იყო **ზედა ზადენი** და გახდა **ზედაზენი.**

აღნიშნული ფონეტიკური ინერცია შეეხო ფორმასაც **ოძრიხე** და მოგვცა მოსალოდნელი კომპლექსი – **ოძრხე.**

ესაა საყრდენი ფორმა, რომელიც სიტყვის წარსულსაც გვიშუქებს და მომავალსაც.

ამრიგად, მთელი რიგი ფონეტიკური პროცესების გამოისობით ხელთა შეგვრჩა სამცხის დედაქალაქის ცნობილი სახელწოდება **თბილისი**, ოღონდ აქ საქმე გაგვირთულდა!

ცნობილი ამბავია: ქართულ ენას არ უყვარს რამდენიმე თანხმოვნის ერთად დაჯრა. მაგალითად, თუ სომხისათვის ჩვეულებრივია გვარი მკრტჩიანი, სადაც ზედიზედ 5 თანხმოვანია წარმოსათქმელი, ქართველი ცდილობს მის გახმოვანებას და ამბობს ასე – მიკირტიჩიანი. ესე იგი, სიტყვას ახმოვანებს „ი“ ფონემით. სამცხის დედაქალაქის სახელწოდებაშიც თავი მოიყარა სამმა ურთულესმა თანხმოვანმა: **ძრები**. ქართული მეტყველების ეს დიდი პრობლემა ენას ფონეტიკური გარდაქმნების გზით უნდა დაეძლია და დაძლია კიდევაც. აღნიშნულის გამოისობით ფორმა **თბილისი** ორი მიმართულებით განვითარდა. ეს გახლავთ „ა“ და „ბ“ მიმართულება.

ა) უნინარეს ყოვლისა, დაიკარგა „რ“ ბგერა და ვითარება ოდნავ შემსუბუქდა – ოქხე, ოღონდ ენამ საკმარისად ვერც ეს შედეგი მიიჩნია და უფრო შორს წავიდა - „ძ“ აფრიკატი უფრო მსუბუქი რთული თანხმოვნით შეცვალა. ასე მივიღეთ ოცხე. აქ თავისი როლი შეასრულა სხვა გარემოებამაც. ცნობილია, რომ ქართული ჰარმონიული კომპლექსები არ იცნობს კონსტრუქციას „ძხ“, ხოლო „ცხ“ სწორედ ასეთად არის ცნობილი. მაშასადამე, ენის ბუნებრივი მისწრაფებაა „ძხ“ შეცვალოს ბგერათ კომპლექსით „ცხ“.

მაშასადამე, მიუღებელი კომპლექსი „ძხ“ ენამ შეცვალა მისთვის ბუნებრივი და მისაღები ჰარმონიული კომპლექსით „ცხ“.

ფორმა ოცხე (შევიხსენოთ გვარი ოცხელი!) მოგვიანებით საფუძვლად დაედო მთელი რეგიონის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რაიონის, სახელდებას. ფორმას **ოცხე** დაერთო დანიშნულების მანარმოებლები სა-ე და ასე მივი-

ღეთ ახალი ტერმინი: სა-ოცხ-ე→სა-ვცხ-ე→სამცხე.

„ვ“ ბგერის „მ“ ბგერად გადაქცევა ქართულ-ში ჩვეულებრივი მოვლენაა. შევიხსენოთ: რა-ოდენი-მე→რა-ვდენი-მე→რამდენიმე.

ამრიგად, ოძრხე ფორმის ერთი – (ა) მიმარ-თულებით განვითარებამ მიგვიყვანა ორი ახა-ლი ტერმინის გაჩენამდე. ესენია: **ოცხე** და **სამ-ცხე**. საგულისხმოა: ძველი **ოძრის ხევი** მოგვია-ნებით, მაშინ, როდესაც ოძრხე იქცა ოცხე ფორ-მად, გახდა **ოცხის წყალი**, როგორც ეს მოსა-ლოდნელი იყო [8].

მაშ, ასე:

ერთის მხრივ, ოძრხე-ოცხე-სამცხე, ხოლო, მეორეს მხრივ, ოძრის ხევი→ოძრხე→ოც-ხე→ოცხის წყალი.

ბ) არანაკლებ საინტერესო გამოდგა საძიე-ბელი ფორმის განვითარების მეორე მიმართუ-ლება. **ოძრხე** აქ სულ სხვა ცნება-ტერმინს უდებს სათავეს.

ცნობილი ფაქტია:

ბუნებაში არსებობს არაერთი ქიმიური ელე-
მენტი, რომლებიც მარადიულად იარსებებს და
არ დაიშლება, თუ წყალი არ დაესხურა. წყალ-
თან რეაქციის შედეგად კი მყისვე იშლება შე-
მადგენელ ნაწილებად (მაგალითად, მარგანე-
ცის კალიუმი).

სწორედ ასეთსავე ბუნებას ავლენს ქარ-
თულში აფრიკატი „d“. თუ მას წყლის მსგავსად
„დაესხურა“ რომელიმე ხმოვანი, მაშინ ის იშლე-
ბა შემადგენელ ელემენტებად; თუ ხმოვნის მე-
ზობლად არ აღმოჩნდა, იარსებებს ხელშეუხებ-
ლად; მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ენას
უჭირს „dრb“ (ო-dრb-ე) თანხმოვნების მიჯრით
წარმოთქმა, იძულებული შეიქმნა, გამოეყენე-
ბინა რთული ძირის „dრb“ წარმოთქმის გამაად-
ვილებელი „წყალი“, ანუ ხმოვანი. ერთ შემთხვე-
ვაში ეს ხმოვანი გამოდგა „უ“. ასე მივიღეთ
ფორმა **ოზურხე**. როგორც ითქვა, „უ“ ხმოვანი
აქ ასრულებს იმ წყლის როლს, რომელსაც ქიმი-

ური ელემენტის დაშლა ძალუძს. ასე რომ, „უ“ ხმოვანმა გამოიწვია „ძ“ აფრიკატის შემადგენელ ელემენტებად დაშლა: **ოძურხე-ოდზურხე**. ასე მივიღეთ შუალედური ფორმა **ოდზურხე**. შემდეგ „დ“ ბერა დაიკარგა და ხელთ შეგვრჩა ძალიან საინტერესო ფორმა **ოზურხე**. ეს გამაოგნებლად საკვირველი შუალედური კომპლექსი **ოზურხე** კიდევაც არის დაფიქსირებული ჩვენს კლასიკურ ლიტერატურაში ტოპონიმის, ქალაქის, აღმნიშვნელად. თავის ცნობილ პოემაში „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“ არჩილ ბაგრატიონი აღწერს ისტორიულ ფაქტს, როცა თამარ მეფის წინააღმდეგ ამბოხებულმა დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა გადაწვეს ათაბაგთა რეზიდენცია **ოძრხე**, რაკიდა ათაბაგი თამარს ვერ უდალატებდა. ეს ფაქტი ისტორიკოსებსაც დაუფიქსირებიათ. მათ გადამწვარ ქალაქად წარმოგვიჩინეს სწორედ **ოძრხე**; მაგრამ გამაოგნებლად საყურად-

ლებო ისაა, რომ არჩილ მეფე ამ ტოპონიმს ასე
მოიხსენიებს – ოზურხე. აი, მისი ტაეპი:

**დასწვეს ქალაქი ოზურხე,
გიუისა სთქვეს: „დააბი ეს!“ (9)**

ამრიგად, ისტორიკოსები რომ ოძრხე ქა-
ლაქს ასახელებენ, არჩილი მიუთითებს დასახ-
ლებაზე ოზურხე.

გასაგებია: არჩილი ამ ფორმას თვითონ არ
მოიგონებდა. მაშასადამე, მეჩვიდმეტე საუკუ-
ნის მეორე ნახევარში ამგვარი დასახელების
ტოპონიმი არსებულა, ანუ სამცხის დედაქა-
ლაქს ძველ სახელთან ერთად ამ სახელის მომ-
დევნო, განვითარებული, სახელიცა ჰქონია. ეს
ფორმა ასრულებს ალექსანდრიის შუქურის
როლს: გვიჩვენებს, რომ აქედან მომდინარეობს
სხვა ტოპონიმის ფორმაც. ეს გახლავთ ოზურ-
გეთი.

ახლა ისა ვნახოთ, თუ როგორ განვითარდა
„ოზურხე“ და მოგვცა „ოზურგეთი“.

ფორმის ფონეტიკური განვითარების პირ-
ველ ეტაპზე მივიღეთ ოზურხეთი:

ოზურხე-ეთ-ი→ოზურხეთი; მეორე ეტაპზე
„ხ“ ბგერა შეიცვალა ქართული ენისათვის უფ-
რო ჩვეული ბგერით „გ“, ამგვარად: ოზურხე-
თი→ოზურგეთი.

ცნობილია: ქართულ ბგერათა სისტემას მო-
ეპოვება წარმოქმნის ადგილისდა მიხედვით
შედგენილი ტრიადები, სამეულები: ბ-ფ-პ, დ-თ-
ტ, გ-ქ-კ... ამასთანავე, აღსანიშნავია: ქართული
გ-ქ-კ სამეულის წევრები ხშირად ცვლიან უც-
ხოური წარმოშობის სიტყვებში არსებულ „ხ“
ფონემას. მაგალითად, ესპანურად მამაკაცსა
ჰქვია **ხორხე**. აქ ორი ცენტრალური ბგერაა
ორი „ხ“. ქართულში ორივეს ენაცვლება „გ“ –
გიორგი; უცხოური (თურქულენოვანი) სიტყვაა
ხალიკი. აქ ცენტრალური ბგერაა „კ“. აზერბაი-
ჯანულსა და ქართულში ენაცვლება „ხ“ და შე-
საბამისად გვაქვს „ხალხ“ და „ხალხი“; თურქუ-
ლი „იოკ“ აზერბაიჯანულად ასე ისმის: „იოხ“;

სპარსელ მამაკაცსა ჰქვია „ვამიკ“, ხოლო აზერ-ბაიჯანულად და ქართულად - „ვამეხ“; ერთ ადგილს რუსეთში ჰქვია „იაკუტია“, ცენტრალური ბგერაა „კ“. ქართულად ვიტყვით: „იაგუნდი“. აქ „კ“ ბგერას შეენაცვლა „გ“ ერთეული; რუსები ამ ძვირფას ქვას ასე უწოდებენ - „იახონტ“, სადაც „გ“ ქართულ ბგერას ენაცვლება „ხ“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ასე რომ, **ოზურხეთი** იოლად გახდებოდა ქართულისათვის უფრო ბუნებრივი კომპლექსი **ოზურგეთი**.

ბევრი მეცნიერი ფიქრობდა, რომ გურულები მესხეთიდან არიან გადმოსული, რომ დადიანმა მათ კოლხეთის გული (მეგრულად „გური“) დაუთმო და იქ დაასახლაო.

ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, ეს მართლაც ასე ჩანს.

ირკვევა, რომ სამცხიდან გადმოსახლებულ-მა მესხებმა გურიის ტერიტორია აითვისეს, ხო-

ლო, როგორც ხშირად მომხდარა ისტორიაში, არც წინაპართა სამშობლო და მისი დედაქალაქი დაივიწყეს და ახალ ადგილას დააარსეს ახალი დედაქალაქი **ოძრხე-ოზურხე-ოზურხეთი-ოზურგეთი**. ამ დროს, როგორცა ჩანს, ისტორიული ფონეტიკური პროცესის შედეგად ფორმა **ოზურხეთი-ოზურგეთი** ჩამოყალიბებული ყოფილა. ამიტომაც დაერქვა გურულთა დედაქალაქს **ოზურგეთი**.

ამრიგად, ირკვევა სრულიად განსაცვიფრებელი ამბავი: **ოძრხე** ფორმამ, ერთის მხრივ, მოგვცა **სამცხე**, ხოლო, მეორე მხრივ, – **ოზურგეთი**.

Odzrkhe Summary

The capital of Georgia historical province Samtskhe was always Odzrkhe. Toponym was formed the following way: Old world „Khevi” (Canyon) was added to the river name „Odzre”: „Odzris-Khevi”; A

a result of phonetical transformation of composite „s” and „vi” were lost. That is how we got „Odzrikhe”. This form is mentioned in historical sources. On the following stage „I” was also lost and the current toponym had been formed. Odzrkhe is often mentioned in historical sources. Phonetically it is transformed by two aspects:

- 1) Odzrkhe→Odzkhe→Otskhe („Dzkh” is Georgian dissonant and „tskh” harmonical complex). So, prescription and geographical means of producing „sa” and „e” where added to „Otskhe” complex and the province name „Samtskhe” was formed. Phonetically process is: „Sa-ot-skh-e”→„Sa-vtskh-e”→„Sa-mtskh-e”.
- 2) Second aspect of phonetical aspect: „Odzrkhe→Odzurkhe” (Because of hard readid consonants there was added vowel „u” in the middle and the pronunciation was eased. „Dz” consists of twu sounds „d” and „z”. The vowel

„u” made „d” disappear and it became „Ozurkhe”. This form is being notices in Archil Bagrationi’s novel (17th Century) but in historical sources, „Ozurkhe” is always mentioning as „Odzrkhe”. This points that adding the „u” vowel made „Odzrkhe” sound like „Ozurkhe”. From the other hand „Ozrkhe” makes another from „Ozurgheti”. Ozurgheti is current capital of Guria. The replacement of „kh” with „gh” is worldwide phonetical process and there are many examples of it. So, after phonetical development „Odzrkhe” became „Ozurgheti”.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 110.
2. იქვე, გვ. 658-59.
3. იქვე, გვ. 57; აგრეთვე 664, 651.

4. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 26.
5. ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შეადგინა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1956, გვ. 39.
6. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 662-663.
7. არჩილ ბაგრატიონი, თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება, ქართული მწერლობა, 6, ნაკადული, თბილისი, 1989, გვ. 521.
8. ვახუშტი ბაგრატიონი, გვ. 664.
9. არჩილ ბაგრატიონი, გაბაასება, ქართული მწერლობა, 6, გვ. 489.

თრი გვარის წარმომავლობისათვის

ერთხელ ჩემს საყვარელ ლექტორ ივანე გიგინეიშვილსა ვკითხე: ჩემი გვარი – **თავდიშვილი** – საიდან მომდინარეობს და რასა ნიშნავს-მეთქი?

პროფესორმა მცირე ყოვნის შემდეგ მითხრა:
იგივე უნდა იყოს, რაც მთავრის (თავადის) შვი-
ლი, ოღონდ რელიგიური და არა საერო მთავრი-
საო.

ამ პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა.

წლების განმავლობაში მაწუხებდა გვარის
ნარმომავლობა-გენეზისის საკითხი.

როგორლაც არც არქივებსა და სხვა წყარო-
ებში შემხვედრია იგი დაფიქსირებული.

ისიც კარგად ვიცოდი, რომ სულ სხვაა თავ-
დიდიშვილი და სულ სხვა – თავდიშვილი; რომ
ასე მარტივად (**თავდიდიშვილი→თავდიშვი-
ლი**) ეს საკითხი ვერ გადაწყდებოდა.

ამასობაში წილად მხვდა ტოპონიმ **თ ზ უ რ გ
ე თ ი ს** საიდუმლოს გარკვევა. იგი მომდინარე-
ობს სახელიდან **ოძრხე** და აქ მთავარია „**d**“
რთული თანხმოვნის (აფრიკატის) დაშლა: **თ – d**
– **უ – რხე → ოზურხე**, სადაც „**უ**“ ხმოვნის გა-
მოისობით „**d**“ დაიშალა შემადგენელ ფონეტი-
კურ კომპონენტებად – **დ + ზ**; აქედან პირველი

დაიკარგა და ასე მივიღეთ შუალა ფორმა **ოზურხე**. იგი დაფიქსირებულია არჩილ ბაგრა-ტიონის პოემაში [1.489].

თავდიშვილი და **თავზიშვილი** ერთნაირი წარმომავლობის გვარები უნდა იყოს. ისინი მომდინარეობენ ერთი და იმავე კომპოზიტისა-გან. ეს გახლავთ **თავ-ძე**.

გვაქვს კომპოზიტები: თავ-ძერი (ძე), თავ-მამაი (შვილი), თავ-ზარა (შვილი), თავ-ქარა (შვილი) ან კიდევ თავა-ქალა (შვილი), თავ-გორა (შვილი), თავ-ველი (ძე), თავ-დუმა (ძე), თავ-დგირი (ძე) და მისთანანი, სადაც სავსებით ნა-თელია პირველი კომპონენტის შინაარსი. ეგ გა-გება არაორაზროვნად არის დაცული სიტყვებ-ში: თავ-კაცი (თავიკაცი), თავ-ჩობანი (თავი-ჩობანი) და ა.შ. ესე იგი, **თ ა ვ ი** ამ შემთხვევაში (და არა ყოველთვის) აღნიშნავს მთავარს, ცენ-ტრალურს, უპირატესს, გამორჩეულს, მეთა-ურს, მეწინავეს...

ამრიგად, ორივე გვარის პროტოსახე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: **თ ა ვ -ძ ი ს - შ ვ ი ლ ი.**

აღნიშნულმა ფორმამ მოგვცა ორი ვარიანტი, რამდენადაც რთული თანხმოვანი „**ძ**“ იშლება ორ კომპონენტად: **ძ→დ + ზ.**

ერთი მხრივ, ცნობილი ფონეტიკური პროცესის (დეზაფრიკატიზაცია) თანახმად, „**ძ**“ თანხმოვნის კომპონენტებიდან შენარჩუნდა პირველი:

**თ ა ვ - ძ - ი ს შ ვ ი ლ ი → თ ა ვ - დ ზ - ი ს
შ ვ ი ლ ი → თ ა ვ - დ - ი ს შ ვ ი ლ ი → თ ა ვ დ ი
შ ვ ი ლ ი.**

მეორე შემთხვევაში, პირიქით, შენარჩუნდა რთული ბერის მეორე კომპონენტი:

**თ ა ვ - ძ - ი ს შ ვ ი ლ ი → თ ა ვ - დ ზ - ი ს
შ ვ ი ლ ი → თ ა ვ - ზ - ი ს შ ვ ი ლ ი → თ ა ვ ზ ი
შ ვ ი ლ ი.**

აქვე დავსძენთ:

ქართულ დიალექტებში ჩვეულებრივია „**ძ**“ და „**ზ**“ ფონემების ურთიერთმონაცვლეობა. მა-

გალითად, ინგილოურში სალიტერატურო ფონემას „d“ თითქმის ყოველთვის ენაცვლება „ზ“.

ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

ამ გვარებს ეხებიან მკვლევარები ილია მაისურაძე და იაკობ ახუაშვილი. პირველი მათგანი მიუთითებს, რომ **თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი ა რ ი ს ო თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი ს** შემოკლებული ვარიანტი [2.71].

ამ პრიმიტიულ და უარგუმენტო თვალსაზრისს პირწმინდად იმეორებს მეორე მკვლევარიც [3.216].

კიდევ უფრო უცნაურია ამ ორი ავტორის მოსაზრება მეორე გვარის წარმომავლობაზე. ი. მაისურაძე სრულიად უარგუმენტოდ ბრძანებს, რომ **თ ა ვ ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს** შემოკლებული ვარიანტია ოთავზიშვილი [2.71].

ი. ახუაშვილი პირწმინდად იმეორებს იმასვე [3.208].

არავითარი საამისო არგუმენტი მკვლევა-
რებს არ წარმოუდგენიათ, გარდა ლიტონი გან-
ცხადებისა.

ვამტკიცებთ:

თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ვერაფრით წარმოდგებო-
და **თავ – ზარა – შვილი** – საგან. მათ არაფერი
აქვთ საერთო.

საგულისხმოა შემდეგი გარემოება:

ორივე მკვლევარი ითვალისწინებს **თავ** კომ-
პონენტის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას (ადამი-
ანის სხეულის ზედა ნაწილი), ოღონდ არც ერთს
აზრად არ მოსდის **თავ** კომპონენტის მეორე,
ეგების უფრო საინტერესო მნიშვნელობა – ეს
გახლავთ მთავარი, ცენტრალური, უფრო მენი-
ნავე, პირმშო, გამორჩეული, ანუ ის მნიშვნელო-
ბა, რაც თან ახლავს სიტყვებს: **თ ა ვ – კ ა ც ი ,**
თ ა ვ – ც ი ხ ე , თ ა ვ – ბ ე რ ი , თ ა ვ – გ ო რ ა და
სხვები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ის-
ტორიის სიღრმეში შეჭრა.

როგორცა ჩანს, ჩვენთვის საჭირო გაგების
თ ა ვ – ი უფრო ძველი ყოფილა, ვიდრე ადამია-
ნის ფიზიკური ნაწილის **თ ა ვ ა დ** გააზრება.

ხეთების დედოფალთა საპატიო ტიტული,
რომელიც აღნიშნავდა მბრძანებელს, უფალს,
მთავარქალს, ასე გამოითქმებოდა: **თ ა ვ – ა ნ ა
ნ ა** [4.562].

ასე რომ, **თ ა ვ – ი** ს, როგორც ადამიანის
ორგანოს, გაგება მეორეული ჩანს!

არც ის არის მისაყურისძირებელი, რომ VI
საუკუნის I ნახევარში საქართველოს კათალი-
კოსი ასე იწოდებოდა – **თ ა ვ – ფ ა ჩ ა გ**; საქარ-
თველოს ისტორიული ადგილის ერთ პოპულა-
რულ ტბას ასე ეძახდნენ: **თ ა ვ – ფ ა რ ა ვ ა ნ ი**,
რაიც ნიშნავდა მთავარ ფარავანს. იგულისხმე-
ბა, რომ არსებობდა სხვა ფარავანებიც; ცნობი-
ლია ლვინო **თ ა ვ – კ ვ ე რ ი**; პირველ, დამწყებ,
მენინავე ფურცელს ეწოდება **თ ა ვ – ფ უ რ ც ე
ლ ი**, რაც, რა თქმა უნდა, თავიან ფურცელს კი
არ ნიშნავს, არამედ – პირველს, მენინავეს, წი-

ნამძღვარს, მეთაურს; სწორედ ამგვარი შინაარ-სისა და სტრუქტურისა უნდა იყოს გვარი თ ა ვ - ქ ა ლ ა - შ ვ ი ლ ი // თ ა ვ ა - ქ ა ლ ა - შ ვ ი ლ ი. აქ პირველადია თ ა ვ - ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, სადაც თავ მთავარსა ნიშნავს, ხოლო სპარსულიდან მომდინარე ქ ა ლ ა - თავის ქალის ჩონჩხს.

მაშასადამე, მივიღეთ **მ თ ა ვ ა რ თ ა ვ ი ა ნ ი**, როცა | გაგების თ ა ვ სიტყვას მოსდევს უცხოური სიტყვა **თ ა ვ ი ს** მეორეული გაგებით (ადამიანის ნაწილი).

დავასკვნით: საკმაოდ ცნობილი ორი გვარი თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი და თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ერთი და იმავე წარმომავლობისაა; მათი პროტოორმა გახლავთ თ ა ვ - ძ ი ს - შ ვ ი ლ ი; აღნიშნულ გვარებს არაფერი აქვთ საერთო თავდიდიშვილსა და თავზარაშვილთან.

THE GENESIS OF THE TWO SURNAMES

Summary

Surnames – Tavdishvili and Tavzishvili – are given from different root by the researchers. It is incorrect. Really, „dz” is a compound sound and is divided in two ones: dz – d+z. In the first case affricate component „z” is lost and in another one – the first component „d”.

1. Tav-z-ishvili – Tav-dz-ishvili-Tavdishvili;
2. Tav-z-ishvili-Tav-dz-ishvili-Tavzishvili.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩილი, გაბაასება თემურაზისა და რუს-თველისა. იხ. „ქართული მწერლობა“, 6, თბ., 1989.
2. მაისურაძე ი., ქართული გვარ-სახელები, თბ., 1990.

3. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები,
I, 2005.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 4,
თბ., 1979.

აკეთი

ნებისმიერი ტოპონიმის შინაარსში გასარ-
კვევად აუცილებელია, მოიძებნოს წერილობით
წყაროებში დადასტურებული ამ სახელის შუა-
ლედური ფორმა, რომელიც ერთბაშად გაანა-
თებს სიტყვის ბნელ წარსულსაც და მისი შემ-
დგომი გარდაქმნა-მოდიფიკაციის რთულ ხვეუ-
ლებსაც. აგერ ერთი საამრიგო მაგალითი.

მეცნიერები თავს იმტვრევდნენ იმის გა-
სარკვევად, თუ რასა ნიშნავდა **ო ზ უ რ გ ე თ ი.**
რაკი ამ სიტყვის შუალა ფორმა არ ჰქონდათ
გათვალისწინებული, გამოუვიდათ ე.წ. „მეცნიე-
რული ფანტაზიები ტოპონიმიკურ თემაზე“,
სხვაგვარად, იგივე ხალხური ეტიმოლოგიები,

ოღონდ ახლა „მეცნიერული ფრაზეოლოგიით“ შემაგრებული. არადა ყველაფერი თავდაყირა დააყენა ერთმა მიგნებამ – აღმოჩნდა, რომ საძიებელი სახელწოდების შუალა ფორმა დაფიქ- სირებული ყოფილა არჩილ მეფის ცნობილ პოე- მა „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება- ში“. თურმე, სახელწოდების გასაღები თვალ- წინ გვქონია და ვერ შეგვიმჩნევია. ეგ ფორმა ყოფილა „ოზურხე“. ახლა კი გასაგები ხდება ამ შუალედური ფორმის წარსულიცა და მომა- ვალიც: ოძრხე→ოძურხე→ოდზურხე→ოზურ- ხე→ოზურხეთი→ოზურგეთი (იხ. მ.თავდიშვი- ლი, კრიტიკული წერილები, 2011, გვ. 20).

ასევე საინტერესო გამოდგა გურიის ცნობი- ლი სოფლის **აკეთის** წარმოშობა. რაც უნდა ბევ- რი უტრიალოს კაცმა ამ სიტყვას, მის საწყისსა და მნიშვნელობას მაინც ვერ ჩახვდება, თუ ხელთ არ უპყრია შუალედური ფორმა. სწორედ ასეთია ვინმე კაპრაშიძის მამულთან დაკავში- რებული სიგელი, რომელშიც ნახსენებია სოფე-

ლი ა ვ კ ე თ ი (იხ. პირთა ანოტირებული ლექსი-კონი, 2, 1993, გვ. 482). საქმე ეხება XVII საუკუნის ამბავს.

ახლა უკვე შეიძლება თამამად გავსწიოთ ნინ.

მაშასადამე, ჩანს, რომ ეგ ფორმა კომპოზიტია, ქართული სიტყვაა. პირველი ნაწილია **ავ-ი, მეორე – კ ე თ ი: ავ – კ ე თ ი.**

ეჭვი არაა, პირველი მათგანი ნიშნავს ავს, ცუდს, უვარგისს: **ა ვ – კ ე თ ი.**

„კეთი“ შემოკლებული სახეა სრული სიტყვისა **კეთილი.**

მაშ, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **ა ვ – კ ე თ ი ლ ი.**

„კეთი“ ანდა „კეთილი“ შინაარსობრივად იგივეა, რაც XVI-XVII საუკუნეებში გავრცელებული შენი (მოშენებული, აშენებული, სოფელი, ხუტორი...).

გვაქვს მსგავსი პარალელური ფორმა:

თბილისთან ახლორე დღესაც არის დასახლება, რომელიც ასე იწოდება: **ვარ – კეთილი**.

კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების შინაარსი ერთობ გამჭვირვალეა: **ვარგ – კეთილი**.

„ვარგი“ ძველი ქართულისა და „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ტერმინია: „ვინცა ისმენს კაცი ვარგი“, ესე იგი, ვარგისიანი, ვარგი კაციო.

მაშ, ასე: კომპოზიტები ერთმანეთს უპირის-პირდებიან: ერთი ადგილია **ავ – კეთილი** (ავ-კეთი), ხოლო მეორეა **ვარგ – კეთილი** (ვარ-კეთილი).

„ვარგ“ ძირთან, ჩემი აზრით, ბევრი ტოპონიმია დაკავშირებული. ასეთია, კერძოდ, ვარგავი: **ვარგ – ავი**. მაშ, ერთი მხრივ, **ვარგ – კეთილი**, მეორე მხრივ, **ვარგ – ავი**. ბორჯომის ხეობაშია სოფელი ვარდგინეთი. ვგონებ, კომპოზიტი ასე დაიშლება – **ვარგ – დგინეთი**; ქართლის სოფელი ვარიანი, შესაძლოა, მოდიო-

დეს კომპოზიტისაგან ვარ გ - იანი, ხოლო ვარციხე – კომპოზიტისაგან ვარ გ - ციხე.

„ვარგვეთილში“ ელიზია განიცადა პირველ-მა კომპონენტმა (**ვარ გ→ვარ**), ხოლო მეორე შემოგვრჩა უცვლელად; **აკეთი** სხვაგვარად წარმოიქმნა. აქ ელიზია განიცადა კომპოზიტის ორივე ნაწილმა: **ა ვ→ა; კ ე თ ი ლ ი→კ ე თ ი (ა + კეთი).**

მაშასადამე, **ა კ ე თ ი** მოდის რთული ფორმი-საგან **ა ვ - კ ე თ ი ლ ი**.

მართლაც, ამ სოფლის მიწა-სავარგულები, შეიძლება ითქვას, მთელ გურიაში ყველაზე მწირი, ავი და ძნელად დასამუშავებელია; აკეთი მართლაც რომ ავკეთი, ანუ ავნაშენია, ავშენია. მსგავსი აგებულებისა უნდა იყოს **ა ვ - ჭ ა ლ ა** (იხ. გ.ბედოშვილი, ქართული ტოპონიმების განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2002, გვ. 27).

ადგილის თვისების მიხედვით ტოპონიმთა შექმნა რომ ჩვეულებრივი ამბავი უნდა ყოფი-

ლიყო, ამას დასტურყოფს შემდეგი: ქართლის მეზობელი სოფლებია **ნაწეტი** და **სვენეთი**. **ნაწეტი** ნიშნავს სველი მიწის დაშრობა-დაწრეტას; შინაარსით მსგავსივე ყოფილა სვენეთი. იგი მომდინარეობს ფორმისაგან სველ-ნეთი. ესე იგი, სველი ადგილი. ამასვე ფიქრობდა პროფ. ალ.ლლონტი (იხ. მისი ტოპონიმიკური ძიებანი, I, 1971, გვ. 37).

პირთა ანოტირებულ ლექსიკონში (I ტ.) ნახსენებია საძიებელი ფორმა: **სველ** – **ნეთი** (I, 92, 145, 182, 288 და ა.შ.), ასევე **სუელ ნეთი** (I, 151 და სხვა), არის **სველ ნური** მამულებიც (I, 262, 287); არის **სუელ ნეთიც** (I, 242, და სხვა).

XVII საუკუნის დოკუმენტებში, ჩვეულებრივ, გვხვდება ავკეთი (I, 244, 300, 345...), მხოლოდ ერთხელ – აკეთი (I, 751).

საგულისხმოა, რომ წინა საუკუნის ტოპონიმად მესხეთში ჩანს სოფელი **ოვეთი** (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, 1941,

გვ. 398). სხვათა შორის, მესხური ტოპონიმების გამეორება გურიაში, თითქოსდა, კანონზომიერი ამბავია. XVI საუკუნის მესხური ტოპონიმია სოფელი **ურეკი** (399). საგულისხმოა, რომ **ურეკი** დღევანდელი გურიის ცნობილი დასახლებაა.

გურული სიტყვა „ზუკუტური“

საკვანძო სიტყვები: მეტყველების კულტურა, უზუსი, ენობრივი ტრადიცია, გურული კილო, ზურგი და კუტა, ზურგი და კურტანი, ზურგკურტნური, ზუკუტური.

ენათმეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გურული დიალექტი ერთობ ძველია და საინტერესო ენობრივ-კულტურულ ფორმებს ინახავს. ბევრი მათგანი შეიცავს მეტყველების კულტურისათვის დამახასიათებელ შინაარსს. ზოგი გამოთქმა ხატოვანებასთან ერთად აფიქსირებს

მეტყველების კულტურის ისეთ ელემენტს, როგორიც არის უზუსი, ანუ სამეტყველო ადათი, წესი, ტრადიცია.

აღნიშნული თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა გურიაში ფართოდ გამოყენებული და მეტად პოპულარული ტერმინი-გამოთქმა **ზუკუტური**.

მკვლევარებს ეგ გამოთქმა შეუნიშნავთ და კიდევაც აუსახავთ თავიანთ ლექსიკონებში. პროფესორი ალექსანდრე ლლონტი ცნებას ასე განმარტავს: „ზუკუტური (გურ): მ ო ზ უ კ უ ტ უ რ ე ბ ა – ზურგზე შემოგდებით აყვანა. ბავშვს გასართობად წამოიგდებენ ზურგზე (მოიზუკუტურიებენ) და თან ამ ლექსს ეუბნებიან: „ზ უ კ უ ტ უ რ ი გორიცაი, გაყევი და მომიცაი“ (3,235).

„ზუკუტური“ რომ შედგენილი რთული სიტყვაა, ამაში ეჭვი არავის ეპარება. კომპოზიტის პირველი ნაწილი ნათელი და გასაგებია. ეს არის ელიზირებული (შეკვეცილი) **ზურგი**. მაში, ასე:

ზურგ-კუტური; მაგრამ სარკვევია ცნების მეორე ნაწილი.

აღნიშნული სიტყვის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება. თემურ ღლონტი და ოლეგ გოლიაძე მიუთითებენ: გურული სიტყვა „ზუკუტური“ შედგება ორი ნაწილისაგან: **ზურგი** და **კუტა**. „კუტა“ აღნიშნული დიალექტის ცნობილი ცნებაა და ნიშნავს ნორჩი ყმაწვილის სასქესო ორგანოს, მამაკაცის სარცხვინელსო (4,19).

მართლაც, იგივე ალ. ღლონტი თავის ცნობილ ლექსიკონში მიუთითებს: „**კუტა**... ბიჭი, ყმაწვილი, პატარა ბავშვი (ბიჭი), მისი სასქესო ორგანო“ (3,318) და იქვე იმოწმებს ს. ჟღენტსა და ვ. ბერიძეს.

საბოლოოდ თ. ღლონტსა და ო. გოლიაძეს გამოჰყავთ ასეთი აზრი: სიტყვის ჩამოყალიბებაში დიდი მონაწილეობა მიუღია საწესჩვეულებო რიტუალს, კერძოდ, განაყოფიერების ძველ ტრადიციულ რიტუალსო.

შემდგომ ვითარება ასე კონკრეტდება: ბავშვს (ბიჭს) ზურგზე რომ მოიგდებდნენ, მისი სარცხვინელი, ანუ **კუტა**, ეხებოდა უფროსის ზურგსო.

ჩვენი აზრით, კომპოზიტის მეორე ნაწილის ასე გაგება არის ხალხური ეტიმოლოგია და მას სიმართლესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ჯერ ერთი, ხალხურ ლექსში არსად არაა მი-
თითებული, რომ მოსაზუკუტურებელი ნორჩი
მაინცდამაინც ბიჭია, მამრია. კიდევ ერთხელ
შევათვალიეროთ ხალხური პოეზიის ნიმუში:
„ზუკუტური გორიცაი, გაყევი და მომიცაი!“ ამ
ლექსის წარმოთქმის პარალელურად ზურგზე
თანაბრად მოიგდებენ ხოლმე ბიჭსაც და გოგო-
ნასაც.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს სხვა გა-
რემოებაც. ფოლკლორულ ნიმუშში მკაფიოდ
ჩანს ჩვენთვის უაღრესად საინტერესო სიტყვა
გორიცაი.

ახლა ისა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს გურული ტერმინი „გორიცა, გორიცაი“. ეს არის იგივე გოდორი, კალათა. იგი უმთავრესად დაწნულია ბამბუკის ღვლერჭების გამოყენებით. იმავე ალ. ღლონტის ღექსიკონში ვკითხულობთ: „**გორიცა** (გურ.) – პატარა გოდორი, მოგრძო, ორსახელურიანი, რომლებშიც მუშა მკლავებს გაუყრის, ზურგზე მოიკიდებს და ისე მიაქვს“ (3,159).

ამრიგად, „გორიცა“ არის ღვედის ორსახელურიანი სათავსო, რაიმე ტვირთის (სიმინდის ტაროები, ჩაის ფოთოლი...) წასაღებად; მას ხელებს გაუყრის ადამიანი, ზურგზე მოიგდებს და წაიღებს.

მაშასადამე, **გორიცა** აქ ასრულებს ზუსტად იმ როლს, რასაც ასრულებს **კურტანი**.

ახლა ვნახოთ, თუ რასა ნიშნავს არაქართული, უცხოური სიტყვა **კურტანი**.

ქართული ენის განმარტებით ღექსიკონში წერია: „**კურტანი** – 1. ტვირთვის საზიდავი კე-

ხი; 2. (ძვ.) საზურგე, ადამიანის მიერ ზურგით
ტვირთის საზიდავად” (2,272).

იქვე განმარტებულია, თუ რასა ნიშნავს
კურტნის მუშა. ეს არისო მუშა, რომელიც კურ-
ტნით ტვირთს ეზიდება.

მაშასადამე, კურტანი იგივეა, რაც **გოდორი**,
გორიცა – ტვირთის ჩასადები სათავსო.

სწორედ ასე განმარტავს „კურტანს“ სულხან
ორბელიანიც: „ცხენთა და ვირთ ზურგს სადგა-
მი სატვირთლად“ (1,399).

ირანულ-ფალაური წარმოშობის ძირი **კურ-**
ტას, რომელიც მოგვიანებით „კურტან“ ფორ-
მად ჩამოყალიბდა, გურულ დიალექტში, სავა-
რაუდოა, თურქული გარემოდან მოხვდა.

ახლა ჩვენს საკვლევ ხატოვან სიტყვას მი-
ვუბრუნდეთ. ხალხურ ლექსში ეპითეტად გამო-
ყნებულია ზუკუტური, ხოლო მისი ობიექტია
გორიცაი. მაშასადამე, სათავსოს განსაზ-
ღვრავს „ზუკუტური“. აქედან კარგად ჩანს,
რომ „გორიცა“ ყოფილა იგივე, რაც „კურტანი“.

კომპოზიტი კი მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: **ზურგი+კურტანი.** კურტანი იკუმშება. მაგალითად, კურტნ-ის. თუ ძირს კურტან დაემატება წარმომავლობის სუფიქსი **ურ**-ი, მაშინ იგი მიიღებს ასეთ სახეს: კურტან-ურ-ი → კურტნ-ურ-ი → კუტური.

ამრიგად, საძიებელი კომპოზიტის **ზუკუტური** საწყისი სახე ამგვარია: **ზურგ-კურტნური.** აქედან ჩამოყალიბდა თანამედროვე ელიზირებული **ზუ-კუტური.**

ასე რომ, **გორიცა** ყოფილა ზურგზე მოსაგდები კურტნის შემცვლელი ნივთი.

სიტყვის გაფორმება-ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიუღია ქართულ (ზურგი) და უცხოენოვან (კურტან) ძირებს.

ლიტერატურა

1. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1991.

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.
3. ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
4. ღლონტი თემურ, გოლიაძე ოლეგ, ქართველები, ვაზი და პურ-ღვინო, თბილისი, 2000.

Gurian words “Zukuturi”

Resume

From the cultural point of view, many Gurian words are very interesting, as they show the tradition of speech, many aspects of tradition habits. A word “Zukuturi” is just like them. It means to carry child on back. The first part of the composition is understandable. There fore, back + kuturi. The second part was more difficult to understand. It is considered,

that Kuturi contain gurian word Kuta, which is a genital of young boy, it is a penis.

This conception looks like folk etymology, it's unacceptable.

In our opinion Kuturi is an elided form of word Kurtani.

Kurtan – Ur – I → Kurtnuri → Kuturi. “Kurtani” is a basket,a container, by means of which carries the cargo.It is said in Guruli Georgian Vocabulary: “Zukuturi Goritsai, Gakevi da Momitsai!” here “Goritsa”, container of cargo, is interpreted as – Zurg+Kurtan+Uri → Zurgkurtnuli → Zukuturi.

Therefore, Goritsa is similar to Kurtani, carried on back.

Key words: Culture of speech, habit, linguistic tradition, Gurian dialect, back and kuta, back ad kurtani, zurgkurtnuri, zukuturi.

კაჭიჭი

ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ სიტყვათა მარაგი არც ისე დიდია. ამ მხრივ ყოველ ლექსემას სჭირდება ზრუნვა და მოფრთხილება. უაღრესად საჭიროა მათი გენეზისის დადგენა, კულტურულ ფორმად დალვინებისა და ჩამოყალიბების ისტორიის გარკვევა. ყოველივე ამას ეროვნულ-კულტურული ღირებულება აქვს.

ნაირფეროვანია საქართველოს საღვინე ვაზის კულტურული ჯიშები. „კოლხეთის კერის ტიპობრივი წარმომადგენელია“ შავყურძნიანი საღვინე ვენახი კაჭიჭი (3, 446). უმეტესად იგი გვხვდება გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში. მისგან მომჟავო არომატული შავი ღვინო დგება. ყურძნის ჭამის დროს ადამიანს სპეციფიკური სიმჟავის გამო ბაგეები სასიამოვნოდ ეწვის. ამგვარი ეფექტი არ აქვს არც ერთი სახეობის ყურძენს. ვენახის ეგ სახეობა იტანს და კარგად უძლებს შავი ზღვისპირეთის ამინდის კაპრი-

ზებს (სწრაფი გადასვლა პაპანაქებიდან დაბალ ტემპერატურაზე). იგი არც დიდ შრომა-გარჯას მოითხოვს. მწერალი ადამ ბოლდუელი მას გურიის ერთგვარ სიმბოლოდაც კი წარმოგვიდგენს (1, 165, 281, 319).

ერთობ საინტერესოა ამ სიტყვის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ამბავი. აღნაგობით იგი ძალიანა ჰგავს კარგად ცნობილ და გავრცელებულ რამდენიმე სიტყვას. საძიებელი ცნების კვლევა სწორედ ამ სიტყვების მონაცემთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ეს ფორმებია: რქანითელი, ჭიქა, ქარახსი, კაჭიჭი. ჩვენი აზრით, ყოველ ამ ფორმაში ზოგჯერ აშკარად, ზოგან ფარულად იკითხება **რქა**.

კომპოზიტი „რქანითელი“ თავის თავზე მჭევრმეტყველურად ღაღადებს. ამ ჯიშის ვაზს აქვს წითელი ყუნწი, ანუ რქა. რთული სიტყვის აგებისას გამოყენებულია ჩვეულებრივი სიტყვანარმოებითი წესი: ჯერ საგანია ნახსენები (რქა), შემდეგ – მისი თვისება. ამ ტიპის წარმო-

ება მეტად გავრცელებულია (მამა ბატონი, ას-ლან ბეგი...). თუ რომელიმე უცხოური ენიდან არ მოდის, მაშინ ამ ტიპში შემოვა ლექსემა **ქა-რახსი**, იგივე „რქა-რახსი“. აქაც წინ დგას საგანი, მისი განმარტება-დაზუსტება კი უკანა პლანზე გადადის.

სწორედ ამ ტიპის წარმოებად უნდა მივიჩნიოთ კაჭიჭი, რომელშიც „კა“, როგორცა ჩანს, ნაშთია სიტყვისა „რქა“.

მაშ, ასე: „რქა-ჭიჭი“, ოღონდ რასა ნიშნავს „ჭიჭი“?

ჯერ კიდევ 1970-იან წლებში პროფესორმა გ. როგავამ გაარკვია გენეზისი ლექსემისა „ჭიჭა“. მისი მოსაზრებით, „ჭიჭა შედგება ორი ნაწილისაგან – „ჭი“ და „ქა“. „ჭი“ მეგრულში ახლაც ნიშნავს პატარას („ჭიჭე“). სამაგიეროდ უცნობია „ქა“, მაგრამ გვაქვს „რქა“, რომელიც, როგორცა ჩანს, უწინ იმავე ყანწის მნიშვნელობით იხმარებოდა. მართლაც, რქის სასმისები უნდა ყოფილიყო გამოყენებული იმ უძველეს

პერიოდში, როცა მინის ან თიხის ჭიქები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ანდა რქის სასმისებთან შედარებით არაპრაქტიკული იყო“ (2, გვ. IV).

ამრიგად, **ჭიქა** გამოდის შენაერთი ორი სიტყვისა **ჭიჭე** და **რქა**.

აქ უკვე წარმოება—თხზვის სხვა მექანიზმია მომარჯვებული: ჯერ გამოყენებულია განსაზღვრება, მერე — საზღვრული: პატარა რქა. საგულისხმოა ისიც, რომ, თუ რქანითელში ორივე სიტყვა ქართულია, **ჭიქა** ლექსემაში **ჭიჭე** მეგრულია.

ენობრივი თვალთახედვით, **კაჭიჭი** სწორედ ამგვარად ნაწარმოებია. მეორე სიტყვა აქაც მეგრულია — **ჭიჭე**: რქა—ჭიჭე → რქა—ჭიჭი → ქა—ჭიჭი → კაჭიჭი.

ამრიგად, თუ ერთ შემთხვევაში გვეძლევა ჭიჭე—რქა (**ჭიქა**), მეორეში რიგი შებრუნებულია: რქა—ჭიჭე//რქა—ჭიჭი (კაჭიჭი).

თუ პროფესორ გ. როგავას მოსაზრება **ჭიქა** ლექსემთან დაკავშირებით მისაღებია, მაშინ მი-

საღები უნდა იყოს ჩვენი დაკვირვებაც: **კაჭიჭი** მიღებულია ქართულ-მეგრულ ლექსემათა შე-ერთებით – რქა+ჭიჭე.

ლიტერატურა:

1. ბოლდუელი ადამ, კეისარი, თბ., 2007.
2. როგავა გიორგი, ჭიქა, გაზ. „სახალხო განათლება“, 1974, 20 სექტემბერი.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 5, 1980.

Katchitchi

Summary

A vineyard Katchitchi is widespread in the western part of Georgia. The expression consists of two parts: Ka+Tchithci. “Ka from the work “Rka”, and “Tchitchi” is the same as mingrelian word “Tchitche(little). Composite looks like structure of

name – Rka+Tsiteli widespread in the eastern Georgia: Ahead the subject, and definition at the end. At the same time, it is related other structure of expression composed in the western Georgia. This is expression: “Tchika” Here are two part too: Mingrelian “Tchitche” and Georgian “Rka”(Tchitche+Rka→Tchirka→Tchika).

Therefore, Tchika and Katchichi are Western origin expression, but in first case definition is ahead and in another case at the end.

Key words: *Vineyard, Rka, Tchitche, Katchitchi, Tchika, Rkatsiteli.*

Качичи

Резюме

В западной Грузии распространен виноградник Качичи. Лексема состоит из двух частей: ка + чичи. «Ка» остаток слова «рка» (рог), а «чичи» тоже самое что и менгрельская «чиче»

(маленький). Композит в точности повторяет строение названия - распространенного на востоке – рка + цители: в переди предмет, сзади определение. В то же время, оно сродни также созданной на западе другой единицы. Это – «чика». Здесь также выделяются две единицы: менгрельская «чиче» и грузинская – «рог» (чиче+рка → чирка → чика).

Таким образом, чика и качичи являются лексемами западного происхождения, только в первой определение в переди, а во второй – сзади.

Ключевые слова: Виноградник, Рка (Рог), Чиче, Качичи, Чика, Ркацители.

გურული ატროშანი

(კულტუროლოგიურ - ეტიმოლოგიური ეტიუდი)

ცენტრალური ცნებანი: ატროშანი, ათრუშანი,
თრუშვა, ტრუსვა, მღვდელი, მაზდეანობა.

გურიაში ხშირად გამიგონია ასეთი გამოთქმა: „მზეზე დიდხანს მომიწია დგომა და **დევითრუშე**“; მომისმენია ზმნის სხვა ვარიანტიც: „**დევითოშე**“; ადულებულ წყალს თუ მავანი უნებლიერ სხეულზე გადაისხამდა, იტყოდა: „ვაიმე, დევითრუშე!“ (დევითროშე).

ჩემს ყმაწვილკაცობაში ამგვარად მეც არა-ერთხელ დავთრუშულვარ.

მაშ, ასე:

მითითებული ზმნების საწყისი ფორმებია „**დათრუშვა**“, „**დათროშვა**“, ხოლო სიტყვის ძირი გამოდის **თრუშ** და **თროშ**.

ქართული ენის ნიადაგზე ეს სიტყვები არ შინაარსიანდება.

ზმნა გამორჩენილია ალექსანდრე ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ (თბილისი, 1984); არ ჩანს არც სხვა წიგნებში.

ვფიქრობ, გურულში სიტყვა შესულია სპარ-სულიდან ჯერ კიდევ ქრისტეს გაჩენამდე, გუ-რულთა მაზდეანობის უამს, როდესაც ისინი სამცხის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, და უნ-და ნიშნავდეს **ც ე ც ხ ლ ს.**

ნმინდა შუშანიკ დედოფალი გამაზდეანე-ბულ ქმარზე ბრძანებს: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსექენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარი-ტი ღმერთი და აღიარა **ა ტ რ ო შ ა ნ ი** და შეერ-თო იგი უღმრთოთა“ (იაკობ ცურტაველი, შუშა-ნიკის მარტვილობა, ილია აბულაძის რედაქცი-ით, თბილისი, 1978, გვ. 79).

„შუშანიკის წამება“ კი დაწერილია 475 წელს. სწორედ ეგ სპარსული სიტყვა **ა ტ რ ო შ ა - ნ ი**, უფრო ქართული იქნებოდა **ა თ რ ო შ ა ნ ი**, უნდა დასდებოდა საფუძვლად გურულ ზმნას; ცნობილია, რომ გურულში ბევრი ძველისძველი

სიტყვა-ტერმინი და ბიბლიური გამოთქმაა შე-
მონახული.

ა თ რ ო შ ა ნ სიტყვაში სწორედ **თ რ ო შ** // **თ**
რ უ შ ძირია შინაარსის განმსაზღვრელი.

ცნებას ილია აბულაძე ასე განმარტავს: „ატ-
როშანი (ფალაური – ატურ – იგივე ცეცხლი).
ამის თაობაზე იხილეთ იქვე, გვერდი 163.

ზურაბ სარჯველაძე ცნების ასეთ დეფინი-
ციას გვაწვდის: მაზდეანობა, ცეცხლთაყვანის-
მცემლობაო (ქართული მწერლობა, 1, 1987, გვ.
726).

რაკიდა ფალაურ სიტყვას „ატურ“ ძალიან
უახლოვდება გურული **თ რ უ შ**, შესაძლებელია,
ვივარაუდოთ ქართული ფორმის ამაგვარი
ტრანსფორმაცია: **თ უ რ უ შ** → **თ რ უ შ**; სხვათა
შორის, მსგავსი გახმოვანება, როგორც პარა-
დიგმული მაგალითი, სხვაცა გვაქვს: აღმოსავ-
ლური **ა რ ი კ ი** ისტორიულ-ფონეტიკურმა
პროცესმა ქართულ სიტყვად ამგვარად ჩამოა-
ყალიბა: **ა რ ი კ ი** → **ა რ ი ხ ი** → **ა რ ხ ი**; მეორე

ნიმუში: **ხ ა ლ ი კ ი** → **ხ ა ლ ი ხ ი** → **ხ ა ლ ხ ი**;
არაბული **ს ა თ ი ლ ი** და ქართული **ს ა თ ლ ი**.

ვფიქრობ, თ რ უ შ და მისგან წარმოებული ზმნები ისევე ძველია, როგორც წმინდა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული მაზდეანური ტაძრის მსახურის სახელი **მ ღ ვ დ ე ლ ი** (← მეღვერდელი).

დაახლოებით იმავე ასაკისა უნდა იყოს კიმერიელთა სახელწოდების ნიადაგზე წარმოქმნილი ტერმინი **გ მ ი რ ი** (← კიმირი).

გურულში რომ **თ რ უ შ ვ ა - დ ა თ რ უ შ ვ ა** დახრუკვასა ნიშნავს, თითქოსდა ეს იმას მიუთითებს, რომ ქართული ენის ამ უძველესი დიალექტის საძიებელ ზმნას ფალაური სიტყვის (ატურ) გვიანდელი სპარსული ფორმა **ა თ რ უ შ ა ნ** უნდა დასდებოდა საფუძვლად.

ამ რწმენას კიდევ უფრო გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება: წარსულში **ათროშან** ფორმას ენაცვლებოდა ფონეტიკური ვარიანტი **ითრუჯან**. „მირიან მეფის სიტყვით, „ქალდეველთა

ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან“.

ითრუჯანი იგივე ატროშანია, ანუ მაზდეანობა (სოსო სიგუა, ქართული კულტურის ისტორია, I, თბ., 2016, გვ. 290).

ამაზე კიდევ უფრო მჭევრმეტყველურად ღალადებს სალიტერატურო ქართულში დაცული პარადიგმული ცნება **ტრუს ვა**, სადაც გამოიყოფა აზრწარმოქმნელი ელემენტი **ტრუს**.

შევადაროთ ერთმანეთს ერთგვარი კონსტრუქციის გურული დიალექტური **თრუშ** და სალიტერატურო ფორმა **ტრუს**.

ცნება დაცულია „ვეფხისტყაოსანში“. „უცნობოქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად **ნატუსალისად**“ (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 382, სტროფი 1354,1). იქვე, კომენტარში, ვკითხულობთ: „ნატრუსი – ცეცხლით გარუჯული“ (გვ. 388).

ლექსიკონებშია: „ტრუსი-ნატისუსალი — გარე“ (დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984, გვ. 1227); შეტუსვა — მორუჯვა (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1993, გვ. 294). იქვეა: „ტრუსი — მატყლის წვის სუნი“ (გვ. 145); სხვაგან ახსნილია: „ტრუსი — ტრუსის სუნი“, ტრუსვა — ტრუსავს, გატრუსავს, შეტრუსავს“ (ქეგლი, თბილისი, 1988, გვ. 422) და მოცემულია კომენტარი: გადაწვა, შეწვაო (გვ. 495).

ეჭვია აღარაა, შინაარსობრივად ორივე მსგავსია და წარმოშობითაც ერთი და იმავე სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს. ჩვენი ფიქრით, პირველადია **თრუშ**, მეორადია **ტრუს**. მართალია, ფონეტიკურად მათი ერთმანეთში გადასვლა სავსებით შესაძლებელია (**თრუშ** → **ტრუს**; **ტრუს** → **თრუშ**), მაინცა გვგონია, რომ პირველი სპარსული სიტყვის **ა ტ რ უ შ ა ნ ზე-პირსიტყვიერი** გადმოღებაა, ხოლო მეორე – **წე-**

რილობით ძეგლებსა და სალიტერატურო ქართულში გავრცელებული ფორმა.

ფალაურ ფორმას ატურ (ცეცხლი) სპარსულად უნდა განეცადა ასეთი ტრანსფორმაცია:

ა ტ უ რ → ა ტ უ რ შ ა ნ → ა ტ რ უ შ ა ნ. მესამე ფორმას ა ტ რ უ შ ა ნ ქართულ ზეპირმეტყველებაში, ჩვენი ფონეტიკის წეს-კანონთა მიხედვით, უნდა მიეღო ასეთი სახე: **ა თ რ უ შ ა ნ.** აი, სწორედ ამ უკანასკნელი ფორმიდან თავიანთი მაზდეანობის ხანაში უნდა აეღოთ გურულებს აზრწარმომქმნელი **თ რ უ შ** და შეექმნათ სიტყვები: **თ რ უ შ ვ ა, დ ა თ რ უ შ ვ ა, დ ა ი თ რ უ შ ა** და **ა.შ.** ხოლო სალიტერატურო ქართულს იმავე ფორმიდან **ა ტ რ უ შ ა ნ** უნდა აეღო და ქართულად გაეფორმებინა აზრწარმომქმნელი **ტ რ უ შ – ტ რ უ ს** და შეექმნა სიტყვები: ტრუსვა, გატრუსვა, გაიტრუსა და **ა.შ.**

ამრიგად, ქართველთა მაზდეანობის დროინდელ ცნებებად (დაახლოებით 25 საუკუნისად)

მიგვაჩნია სიტყვები: **მღვდელი, თრუშვა და ტრუშვა.**

სამივე სიტყვა ცეცხლსა და ცეცხლმსახურებასთან არის დაკავშირებული.

„თავხედი“ სატირის საიდუმლო (კულტუროლოგიურ-ეტიმოლოგიური ეტიუდი)

ბევრი ქართული სიტყვა ჯერ კიდევ ჩადრმოუხდელი დადის. თუ ამ თავსაბურავს ფაქიზად მოვხდით, მათი ეტიმოლოგიური და კულტუროლოგიური იდუმალება გაცხადდება.

ერთი ამგვარი ლექსემა გახლავთ თ ა ვ ხ ე დ ი.

ეჭვი არაა, კომპოზიტი ორი ერთეულის-გან შედგება: თ ა ვ ი და ხ ე დ ი. ამასთანავე, პირველი მათგანის მნიშვნელობა გასაგებია, ოღონდ ამასვე ვერ ვიტყვით მეორეზე, რა თქმა

უნდა, ხ ე დ ი აქ „პანორამას“ როდი ნიშნავს. მაშ, ამ კონტექსტში ეგ ელემენტი ბუნდოვანია. ამავე დროს, უპრიანია, შევიხსენოთ: ქართულ-ში, საწარმოთქმო ადგილისდა მიხედვით, თან-ხმოვნები ქმნიან სამეულებს: ბ – ფ – პ; დ – თ – ტ და ა.შ. პირველი მუღერი ფონემაა, მეორე – ყრუ, მესამე – მკვეთრი /აბრუპტივი/. მეტყველების დროს ისინი ერთმანეთში იოლად გადადიან. მაგალითად, კ რ ე ბ /კრება/ და კ რ ე ფ /მოკრეფა/; ვწერთ კ ა რ გ ა დ, მაგრამ უფრო ხშირად ვამბობთ ასე – კ ა რ გ ა თ.

საამრიგო მაგალითი უამრავია.

როგორცა ჩანს. „თავ-ხედ“ ლექსემაში „დ“ ბგერის ადგილას პირველად ყოფილა მისი მონაცვალე აბრუპტივი „ტ“. მაშ, ასე: თ ა ვ - ხ ე - ტ ი.

აღნიშნულს მხარს უჭერს ქართულ სიტყვათა სალაროში არსებული სხვა ლექსემა, რომელიც თ ა ვ - ხ ე ტ ფორმის პარადიგმული ნიმუშია. ცნობილმა მწერალმა დემნა შენგელაიამ

1929 წელს დაწერა გახმაურებული რომანი „ბათა ქექია“. ავტორს ტექსტში სამჯერ აქვს ნახმარი სიტყვა ჭკუა – ხეტი /დემნა შენგელაია, თხზულებანი, I, თბილისი, 1959, გვ. 256, 416/.

აქ, რაღა თქმა უნდა, გამოიყოფა საძიებელი ხეტელემენტი: ჭკუა – ხეტი - ერი.

ეჭვი არ არის, თავ – ხეტი - ი და ჭკუა – ხეტი - ერი - ი მსგავსად შედგენილი კომპოზიტებია, რაც სწორედ რომ ერთს ადასტურებს: ორივეგან დომინირებს ხეტ კომპონენტი.

ხეტე ერი განმარტებულია ასე: უშნო, მოუხერხებელი /ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, გვ. 1430/, ხოლო მისი უფრო მოკლე ვარიანტი ხეტ ასეა კომენტირებული: შეუგნებელი, გაუგებარი /ქართული მწერლობა, VII, 748/; ხეტე ერ - ი დადასტურებულია იმერულ დიალექტშიც. მისი შინაარსია: სულელი, ჩერჩეტი, ქერქეტი (ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი, 747); ქიზიყურ დია-

ლექტშია ხ ე ტ ი – შტერი, ყეყეჩი, გაუგებარი /ღლონტი, 770/; აჭარულში ამის პარადიგმულია ც ე ნ ტ ე რ ა – ცეტი, ცერცეტი, ქარაფშუტა /ღლონტი, 672/; სხვათა შორის, სტრუქტურით ხ ე ტ ფორმასა ჰგავს ფორმა რ ე ტ ი – თავბრუს დახვევა.

დემნა შენგელაიასეული ჭ კ უ ა – ხ ე ტ ე - რ ი ქართულ ენაში ბევრ პარალელს პოულობს. მაგალითად: ჭ კ უ ა – თ ხ ე ლ ი (სულელი, უჭ-კუო); ჭ კ უ ა – მ ხ ი ა რ უ ლ ი - /გურულია/ სუ-ლელი, ქარაფშუტა /ღლონტი, 727/.

„ხეტ“ ძირი იძლევა სიტყვებს: ხ ე ტ – ი ა ლ ი, ხ ე ტ – ე ბ ა, დ ა ე -ხ ე ტ – ე ბ ა და ა.შ. ყვე-ლა მათგანი ნიშნავს უაზროდ, უმიზნოდ სია-რულს, ყიალს, ტაატს, ანუ იმას, რასაც ბ ა ხ უ ს ი ს მხლებელი ს ა ტ ი რ ე ბ ი სჩადიოდნენ, რაკი-ლა ნუნუა ჭარბადა ჰქონდათ დალეული. ერთ ძველ ქართულ წყაროში კიდევაც არის გაკიც-ხული ბახუსისა და სატირების ა მ ა ზ რ ზ ე ნ ი ქცევა /იხ. ქართული ხალხური პოეზია, I, 37/.

თუ უფრო ღრმად განვჩხრეკთ საკითხს, ვნახავთ, რაოდენ უახლოვდება „თავხედ“ სიტყვის მეორე კომპონენტი სატირს.

თ ა ვ – ხ ე ტ - ი ფორმის მეორე კომპონენტის დუბლიკატია ც ე ტ - ი: ხ ე ტ ი – ც ე ტ ი.

ც ე ტ ი – ც ე ტ ე ბ ა სწორედ ისეთივე ქმედებაა, როგორიცაა ხ ე ტ ი ხ ე ტ ე ბ ა.

ამრიგად, აღვადგინოთ სავარაუდო წყვილეული: თ ა ვ - ხ ე ტ ი და თ ა ვ – ც ე ტ ი. საგულისხმოა, რომ ბესიკ გაბაშვილს ნახმარი აქვს თ ა ვ ც ე ტ ი ს პარადიგმული ფორმა ჭ კ უ ა – ც ე ტ ი: „აფსკა ორად გაგწყვეტია და შექმნულ-ხარ ჭ კ უ ა – ც ე ტ ი“/ იხ. ქეგლ-ი, VIII, გვ. 1278/; საგულვებელია, უფრო ადრინდელი იყოს თ ა ვ – ც ე ტ ი, ხოლო თ ა ვ – ხ ე ტ ი უფრო გვიანდელი მოვლენა.

ახლა იმის თაობაზე, თუ საიდან გაჩნდა თ ა ვ – ც ე ტ ი ს მეორე კომპონენტი ც ე ტ ი?

ქართული ც ე ტ არის პირდაპირი შთამომავალი ბერძნული ანცი და დაუდეგარი არსები-

სა ს ა ტ ი რ ი, რომელიც, როგორცა ჩანს, ის-
ტორიის რომელიღაც ეტაპზე ასეც გამოით-
ქმებოდა: ც ა ტ ი რ, ც ა ტ.

ამ ბერძნულ-რომაულმა ძირმა „ც ა ტ“
მოგვცა ქართული „ც ე ტ“.

სავარაუდოა, ც ა ტ ი რ – ს ა ტ ი რ ი ს აუ-
ტანელი მოქმედება ქართველებს გაეაზრები-
ნოთ როგორც ც ე ტ ი ს ც ე ტ ე ბ ა, ც ე ტ უ რ ი
მოქმედება.

საგულისხმოა, რომ ბერძნულ-რომაული
სამყაროდან შემოსულ „ცატ-ცეტ“ ფორმას გან-
საკუთრებით უბარტყყია დასავლეთ საქართვე-
ლოს ზღვისპირა რაიონებში. მაგალითად, გუ-
რია-აჭარაში გვხვდება ც ე ტ ძირიდან აღმოცე-
ნებული ცნებები და გვარებიც კი: ც ე რ ც ე ტ ი
/ეჭვი არაა, მისი თავდაპირველი სახე ამგვარი
გახლდათ: ც ე ტ – ც ე ტ ი. მაშ, ასე: ც ე ტ - ც ე
ტ ი – ც ე რ – ც ე ტ ი;/ გვარი ც ე ნ ტ ე რ ა ძ ე,
სადაც გამოიყოფა გურულისათვის კარგად
ნაცნობი სიტყვა ც ე ნ ტ ე რ ა. ამის პარადიგმაა

მეორე გურული ზერდსართავი ბ ე ნ ტ ე რ ა. „ცენტერაცა“ და „ბენტერაც“ უჭყუოს, აბდალს, ბატისტვინასა ნიშნავს; არის ამავე ფორმის კი-დევ უფრო გვიან შექმნილი ფორმები: ქ ე ნ ტ ე რ ა და ქ ე ნ ქ ე რ ა; ეჭვი არ გვეპარება, ც ე რ ც ე ტ ი მოგვიანებით გახდა ჩ ე რ ჩ ე ტ ი. მნიშ-ვნელობა იგივეა – სულელი, უჭყუო, აბდალი; ჩ ე რ ჩ ე ტ ფორმის შემდგომ განვითარებად გვესახება ჩ უ რ ჩ უ ტ ი /გამოშტერებული, გა-მოაბდლებული/.

მაშასადამე, „თავხედი“ შეიცავს იმ გაგე-ბას, რაც ესოდენ ახასიათებდათ ამაზრზენ და აუტანელ მემთვრალე სატირებს. მათი მოქმე-დება მართლაც რომ თ ა ვ ხ ე დ ო ბ ა /თავცე-ტობა/ გახლდათ; „ტავცეტი“ კი ადამიანი ღვი-ნის ჭარბად მიღების შემდეგ ხდება.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა შინაარსს ატარებდა უძველეს დროში თ ა ვ ხ ე ტ ი /იგივე თ ა ვ ც ე ტ ი/?

„საყურადღებოა, რომ ლ ი ბ ე რ ი ს ლათი-ნური სახელწოდება ისევე, როგორც დიონისეს ერთ-ერთი ბერძნული ზედმეტი სახელი ლ ი ს ი ს ი, განმათავისუფლებელს, ნების მიმცემსა ნიშნავს, რაც, რასაკვირველია, დაკავშირებულია ლვინით მთვრალი ადამიანის თ ა ვ ა შ ვ ე - ბ უ ლ ო ბ ა ს თ ა ნ“, - წერს მკვლევარი ნოდარ გაფრინდაშვილი /იხ. მისი „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 1972, 83-84/.

ეჭვი არაა, ქართული ტერმინი თ ა ვ ხ ე - ტ ი იმასვე ნიშნავს, რასაც ლ ი ბ ე რ ი, რასაც ლ ი ს ი ო ს ი, ანუ ლვინის ძალით თავაშვებული, ანუ თ ა ვ ხ ე ტ ი /თ ა ვ ც ე ტ ი/, ადამიანი.

ასე რომ, ამაზრზენი სატირის საიდუმლო, თურმე, ჩამარხული ყოფილა ჩადრმობურულ სიტყვაში „თავხედი“, რომლის თავდაპირველ სახედ „თავხეტი“, ხოლო კიდევ უფრო ძველ ფორმად „თავცეტი“ მიგვიჩნევია.

„მჩატე“ სატირის საიდუმლო (კულტუროლოგიურ-ეტიმოლოგიური ეტიუდი)

ქართულში (განსაკუთრებით კი გურულ დიალექტში) ერთობ გავრცელებულია სიტყვები: **მჩატე**, **ამჩატდა**, **ამჩატებული** და მისთანები.

გურულები **მჩატე** უწოდებენ ადამიანს, რომელიც არ არის დინჯი, დარბაისელი; **ამჩატებული** ას, ვინც სერიოზულობას, სიდინჯეს კარგავს. ამგვარს რუსულად შეესატყვისება Ветерный человек.

ეგ მოცემულობა დადასტურებულია ლექ-სიკონებში: **მჩატე** – სუბუქი (სულხან – საბაორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1, თბილისი, 1991, 539).

აგრეთვე მოყვანილია **მჩუტე**. განმარტებულია ასე: მარცვალი ფუჭი (იქვე).

მიმაჩნია, რომ **მ ჩ უ ტ ე** მეორეულია; ის გახლავთ განვითარება ცნებისა **მ ჩ ა ტ ე**. შინა-არსიც შორს არ წასულა; მჩუდე მარცვალი თავაღერილი, მსუბუქი, უწონო მარცვალია, თავში რომ არაფერი უდევს.

სიტყვას მსგავსადვე განმარტავენ სხვებიც (დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984, 920; ალექსანდრე ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, მეორე გამოცემა, თბილისი, 1984, 395).

განსაკუთრებით ფართო კომენტარს იძლევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: **ა მ ჩ ა ტ დ ე ბ ა** – სიდინჯეს, დარბაისლობას დაკარგავს (ქეგლ-ი, თბილისი, 1986, ერთჭომეული, 33); **მ ჩ ა ტ ე** ასეა კომენტირებული: მსუბუქი; **მ ჩ ა ტ ე ჭ კ უ ი ს ა** – ჭკუანაკლები, მოსულელო, აცეტებული, ქარაფშუტა (იქვე, გვ.345).

საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: გურიაში ასხვავებენ ორ ცნებას: **მ ს უ ბ უ**

ქი და მჩატე; მსუბუქი შეიძლება იყოს ნივთი, სხეული, ტანი, საგანი, ცხოველი და ადა-მიანიც კი, ოღონდ მაშინ იგულისხმება ფიზიკური წონა, ხოლო მჩატე ითქმის მხოლოდ ადამიანზე და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ის ჭკუ-ანაკლებია, აცეტებულია, ქარაფშუტაა.

მაშასადამე, მჩატე ტანს კი არ მიემარ-თება, არამედ – თავს; ესე იგი, გამოხატავს არა ფიზიკურ, არამედ გონებრივ წონას.

აღნიშნული გვიბიძგებს, სიტყვა მჩატე უფრო ღრმად გამოვიძიოთ და ვნახოთ, ხომ არ არის მასში ჩამალული რაიმე საიდუმლო?

მჩატე იშლება ამგვარად: მ - ჩატ - ე. თავსართი „მ“ და ბოლოსართი „ე“ მოქმედები-თი გვარის მიმღეობის მანარმოებლებია. სწო-რედ ამნაირი წარმოებისაა სიტყვები: მპაქე, მპადე და მისთანები; მპაძე იგივეა, რაც წა-მპაძველი; მპადე იგივეა, რაც დამპა-დებელი. ორივე მოქმედებითი გვარის მიმღე-ობაა.

მ ბ ა ძ ე დადასტურებულია ძველ ქართულში: „იაკობ **მ ბ ა ძ ე ს** და ჩახრუხაძეს ექოთ მეფენი ...“ (მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გვ. 41).

იაკობ შემოქმედელი ჩახრუხაძის **ნ ა მ ბ ა ძ ვ ე ლ ი** არისო, - გვეუბნება ავტორი.

მ — ე აქაც აფიქსებია, რომლებიც აწარმოებენ მოქმედებით გვარს. მსგავსივე მაგალითებია: **მ — ნ — ე, გა — მ — გ — ე, მ — ლ — ე, მ — ლიქნ — ე** (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988, გვ. 273).

ამრიგად, სიტყვებში: **მ ბ ა ძ ე , მ ბ ა დ ე** და **მ ჩ ა ტ ე** გამოიყოფა ძირები **ბ ა ძ, ბ ა დ, ჩ ა ტ.**

ბ ა ძ იგივეა, რაც **ბ ა ძ ვ ა; ბ ა დ** იგივეა, რაც **ბ ა დ ვ ა**, დაბადება: რაღას უნდა ნიშნავდეს **ჩ ა ტ?**

სწორედ ეგ ძირი ატარებს იმ შინაარსს, რაც მთლიან სიტყვას საფუძვლად დასდებია. მიგვაჩნია, რომ **ჩ ა ტ** არის შვილი და მემკვიდრე ცნებისა **ც ა ტ.** ესე იგი, **მ ჩ ა ტ ე** თავდაპირველად, საწყის ეტაპზე, ასე გამოიყურებოდა: **მ ც ა ტ ე.**

ახლა განვიხილოთ აზრწარმომქმნელი კომპონენტი **ც ა ტ.**

არც მეტი, არც ნაკლები, **ც ა ტ** იგივეა, რაც ბერძნულ-რომაული **ც ა ტ ი რ — ს ა ტ ი რ** ცნების ქართული ვარიანტი. მისი მეორე ქართული ფორმაა **ც ე ტ.** აქედან მომდინარეობს **ც ე ტ ო ბ ა.** ცატირები კი, მოგეხსენებათ, ბახუსის მხლებლები იყვნენ და, ნუნუას ჭარბად ნაზიარებნი, თავხედურად იქცეოდნენ, ა — **ც ე ტ** — ებულნი დაიარებოდნენ, ქარაფშუტულად იქცეოდნენ. მათი ამაზრზენი და აუტანელი **ც ე ტ** — ობა კიდევაც არის გაკრიტიკებული ხალხურ სიტყვიერებაში (იხ. ქართული ხალხური პოეზია, 1, 37).

აი, თუ როგორ გარდაიქმნა ც ა ტ ი რ —
ს ა ტ ი რ ცნებასთან ახლო მდგომი თავდაპირ-
ველი ფორმა მ — ც ა ტ — ე გარეგნულად და
გახდა მ ჩ ა ტ ე, ოღონდ დღემდე შეინარჩუნა
ადრინდელი და ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ვენახი

ღვინის მცენარის დაგრეხილობასთან დაკავ-
შირებით კიდევ ერთ სიტყვას გავიხსენებთ. ლა-
თინური **ვენა** ნიშნავს სისხლძარღვთა სისტემას
(ჭაბაშვილი, 146). ეჭვი არა გვაქვს, რომ **ვენა**
ფორმობრივად იგივეა, რაც **ვინო** (**ვინ**). პარა-
დიგმული მაგალითი - შევადაროთ ერთურთს
ВИНО და **ВЕНТ-ИЛЬ**. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ
ნემანის მარჯვენა შენაკადსა ჰქვია **Виля**,
ოღონდ ძველ-რუსულად ყოველთვის უწოდებ-
დნენ ასე — **Велья** (იპატიევის მატიანე, 1237 წე-

ლი). ასე რომ, ისტორიულადაც პარალელური ფორმები გვქონია: „ვი“ და „ვე“.

მაშასადამე, როგორცა ჩანს, ოდესლაც ბერ-ბერულსა და ლათინურში ყოფილა პარალელური ფორმები **ვინ** და **ვენ**; აქედან კი გზა გვეშლება, რათა გავარკვიოთ ქართული სიტყვის სტრუქტურა, რომელიც **ლვინო** ფორმასთან კავშირშია. ეს არის **ვენახი**.

ეჭვი არაა, აქ გამოიყოფა ორი ნაწილი: **ვენა** და **ხი**.

ჯერ ისა ვნახოთ, თუ რასა ნიშნავს „ხი“.

საერთოდ, ჩვეულებრივ, მცენარეს, რომელიც ლვინოს იძლეოდა, უწოდებდნენ **ხეს**. მაგალითად, გერმანელებმა მას შეარქვეს **ვაინშტოკ**. აქ გამოიყოფა ორი სტრუქტურა: **ვაინ** (ლვინო) და **შტოკ** (ხე).

ჩვეულებრივ ქართულშიც მცენარეთა ამგვარი სახელწოდებები გვეძლევა: ატმის ხე, ნაძვის ხე, ლეღვის ხე და ა.შ.

ამ წესისდა მიხედვით, უნდა გვქონოდა და კიდევაცა გვქონია იგივე სისტემა, რაც გერმანულშია და ეს არის **ვენა** და **ხე**.

ძველ ქართულში დადასტურებულია ცნება ვენახის ხე: „**ხეი ვენახისაი**“ (ეზეკიელთა, 15,2). კიდევ მეტი, **ხის** პარალელურად უხმარიათ ძელი. ცნობილია: ძველად ხე იგივე **ძელი** გახლდათ. „**ძელზე ჩამოჰკიდეს**“ იგივეა, რაც „**ხეზე ჩამოჰკიდეს**“. ეგ „**ძელი**“ ლიტერატურულ წყაროსაც დაუფიქსირებია: „**ძელსა** მას ვენახისასა“ (ეზეკიელთა, 12,2). ამ მაგალითიდან ირკვევა: ვენახი სიტყვაში რომ „**ხე**“ ისედაც იგულისხმება, იმ დროისათვის უკვე მივიწყებულია და მას ისევ ურთავენ ახალ ხეს (ძელს). **ძელი** რომ ვენახის გამოსახატავად გამოიყენებოდა, ამას მოწმობს აგრეთვე სიტყვა **ძელშავი**. „**ძელშავი**“ ვენახის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც **ძელი** (ხე) შავი ჰქონია; შეიძლება იყოს მეორე ახსნაც: ამ **ძელს** (ვენახის ხეს) შავი ყურძენი სცოდნია.

მაშ, **ვენახი** სიტყვის მეორე ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა იგივე გერმანული „შტოკი“, ანუ „ხე“.

ხე სიტყვის ბოლო (აუსლაუტი) ხშირად იცვლება და ხმოვანი „ე“ ხან „ა“ და ხანაც „ი“ ხმოვნად გადაიქცევა. მაგალითად, ქართული **ცი-ხე** მეგრულში გვაძლევს ფორმას **ჯი-ხა**; მაშასადამე, **ხე** იოლად იძლევა ფორმას **ხა**; შეიძლება **ხე** გადაიქცეს **ხი** ფორმადაც. ამის მოდასტურეა სიტყვა **ხეხილი**. მისი პირველი ნაწილი გასაგებია - **ხე**; მეორეა **ხი-ლი**. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა „ხი“ კომპლექსის შემცველი ერთეული.

და ან პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ!

მაშასადამე, **ვენახი** მომდინარეობს სიტყვისაგან **ვენა-ხე**. მაშ, მეორე კომპონენტი გარკვეულია. პირველი **ვენა** „ვინ“ კომპლექსის ვარიანტია, სახესხვაობაა. ასე რომ, **ვენა-ხი** ზუსტად ისევეა წარმოებული, როგორც **ვაინ-შტოკ**. ორივე ნიშნავს „ღვინის ხეს“.

ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამდა ფრთხილ
ვარაუდს, რომ საბერძნეთის კუნძულ კრიტოს-
ზე ღვინოს, ალბათ, აღნიშნავდაო სიტყვა **ბენა**
(ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, V, თბილისი,
1986, გვ. 681). თუ ეს ასეა, მაშინ ისტორიული
პროცესი ამგვარად უნდა წარმოვსახოთ:

ბენა - ხე

↓

ბენა - ხი

↓

ბენახი

(აქ საგულისხმოა ჭანური ბინეხი)

↓

ვენახი

ყველამ კარგად იცის, რომ „ბ“ და „ვ“ ბერე-
ბი ურთიერთმონაცვალეა მსოფლიოს ბევრ ენა-
ში, მათ შორის - ქართულშიც. შემთხვევითი რო-
დია ის გარემოება, რომ ზოგიერთი ენის ალფა-
ვიტში „ბ“ და „ვ“ ერთმანეთის გვერდიგვერდ
არის წარმოდგენილი. მაგალითად, ასე **ა ბ ვ გ**

დ... მაშ, „ბ“ ბგერის მერე ეგრევე მოდის „ვ“. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან „ბ“ უფრო ძველია და წინა დგას. „ვ“ მეორეულია და უკან მიჩანჩალებს. საამისოდ ავიღოთ საქართველოს სახელწოდება. უფრო ძველია **იბერია**, უფრო გვიანდელია **ივერია**. სომხები რომ ქართველს **ივერაც-ად** სახელდებენ, ეს გულისხმობს ფორმას **ივერ**, ანუ უფრო გვიანდელ კომპლექსს. საზოგადოდ, ბგერათსუბსტიტუცია ქართულში ჩვეულებრივი ამბავია: **თევზი - თებზი; ვარცხნა - ბარცხნა.**

ამრიგად, თვით ქართულ ნიადაგზეც კი იყო შესაძლებელი ბენა-ხე გადაქცეულიყო **ვენა-ხე** ფორმად, ოღონდ გვაქვს ლათინური სიტყვა **ვენა**, რაიც დახლართულ, ხვეულ სისხლძარღვთა სისტემას აღნიშნავს, ერთობ რომ წააგავს ვენა-ხის ლერწებისა და ზროს აცაბაცა მდგომარეობასა და განტოტვას. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ქართული **ვენა-ხე** მოდიოდეს არა **ბენა-ხე** კომპლექსიდან, არამედ **ვინ** კომპლექსის ბერ-

ძნულ-რომაული ვარიანტიდან ვენა; მაგრამ მაშინ რაღა ვუყოთ მეგრულ-ჭანურში შემორჩენილ უძველეს ფორმას ბინეხი? ეჭვი არაა, ბინეხი მომდინარეობდეს ბენახი კომპლექსიდან. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბენა და ვენა ლექსემები ჩვენში ბერძნულ-რომაული სამყაროდან პარალელურად გამოჩნდნენ.

ამრიგად, ვენა-ხე იგივეა, რაც ბერძნულ-ლათინური „ვენა“ და ქართული „ხე“. მისი შინაარსი ამგვარია: დაგრეხილი, კლაკნია, ქსოვია ხე.

კერა – სიტყვათა კერა

საკვანძო სიტყვები: კერა, კერამიკა, კრამიტი, კელამიდა, კერ-ჭეჩი, კირ-პიჩი, კერეონი, კერძი, კელაპტარი, კვერი.

კერა ქართველისათვის კარგად ნაცნობი და გასაგები ლექსემაა. იგი ნიშნავს ცეცხლის დასანთებ ადგილს სოხანეზე [5,263]. ასევე კარგად

ცნობილია ამავე ფორმიდან წარმოშობილი **კერია, კერიე** – შუაცეცხლის დასანთები ადგილი [7,279]; ნიკო ლორთქიფანიძის ერთ პოპულარულ მოთხრობას ასე ჰქვია - „კერიასთვის“ [2,199].

წარმოშობით ეს სიტყვა ბერძნულია – keramis. Keramike კი ცეცხლზე გამომწვარ, ცეცხლით გამოწრთობილსა ნიშნავს. კერამიკული ნაწარმი ადრეც და ახლაც მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება.

ცეცხლზე, უნინარეს ყოვლისა, გამოჰყავდათ აგური, კრამიტი, კეცები და სხვ. ბერძნული keramidos ქართულში იძლევა ფორმას **კრამიტი**. სიტყვის გარდაქმნის პროცესი ნათელია: **კერამიდოს→კერამიტი→კრამიტი;** მაგრამ ამავე ფორმას მოუცია მეორე გაგებაც, ისევე როგორც ბერძნულში. მეორე გაგება გახლავთ მომცრო **კეცი**. გურულ დიალექტში შემორჩენილია ცნება **კელამიდა//კელამინდა**. აქვს ასეთი გაგება: თიხის პატარა კეცი. იმერულ დიალექ-

ტში შემორჩენილია კელამიტა და ნიშნავს კეცის
მსგავს დიდ ჭურჭელს.

გარდაქმნის პროცესი აქაც ნათელია:
keramida → კელამიდა // კელამიტა.

მართალია, ქართული აგური არ უახლოვდება ბერძნულ ძირს, ოღონდ ამ მხრივ ერთობ საინტერესოა რუსული კირიც (აგური, გამომწვარი ალიზი). ეტიმოლოგისტი პრეობრაჟენსკი სიტყვას თათრულ ჩალმაში ხვევს. ჩვენ კი მიგვაჩინია, რომ ისიც ბერძნულ სამყაროს უკავშირდება. ტერმინი ასე განიწვალება: კირიც, რაც მომდინარეობს ორი სიტყვისგან: кер-печ. აქ აღდგება ბერძნული კერ — „კერია, ცეცხლი“ და ემატება მას „ცხობა“, „წრთობა“, „ქურა“, „ღუმელი“, ანუ „პეჩი“.

მაში, კერ-პეჩ ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულა კირიც ერთეულად.

საგულისხმოა, რომ რუსულ სამყაროში „კერ“ ისეთსავე ფართო და განზოგადებულ შინაარსს იძენს, როგორც მონგოლური „ოჯახი“

— ქართულში. როგორც ვიცით, ეგ მონგოლური ცნება იძლევა ორგემაგე გაგებას: ცეცხლი, კერია (მესხურ დიალექტში), ხოლო ლიტერატურულად ნიშნავს იმას, რასაც რუსული სемья (ოჯახი). ვიცით, რომ **ოჯახი** („სემია“) განზოგადებული ცნებაა; ადრე ვიწრო გაგება (კერია) ჰქონდა, მერმედ შინაარსი გაუფართოვდა, რადგან, სადაც ცეცხლი, კერია აენთებოდა, იქ იკრიბებოდა ოჯახი; ერთი „კვამლი“ ერთი ოჯახი, ანუ კომლი, იყო. სხვაგვარად: ყოველ ცალკე ოჯახს თავისი „ოჩაგი“ (ოჯახი) ჰქონდა გაჩაღებული. არც ის არის შემთხვევითი, რომ რუსულად ცნება „ოჩაგ“ (ოჩაგ) გამოხატავს **კერას**. მაგალითად, იჩა ვინა. მონგოლურმა ცნებამ თურქულში მოგვცა **ოთაკ**. აქედან ქართულში გადმოვიდა, როგორც **ოთახი**.

განსაცვიფრებლად საინტერესოა, რომ რაღაც ამის მსგავსი დამართნია ბერძნულ „კერ“ ძირს რუსულ სამყაროში. რუსული ენის რიაზანულ კილოში შემონახულია განზოგადებული

ცნება კერ, რაიცა ნიშნავს არა ცეცხლს, გინდა კერიას, კერას, „ოჩაგს“, არამედ მთელ დასახლებას, სოფელს. ვლ. დალი მიუთითებს: კერ – рязанский, деревушка, селение, поселок [1, 106].

ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული მსხვილი საეკლესიო სანთელი **კერეონი**. მერენაირად ასე იწოდებოდა — **კეროვანი**. მაგალითად, მოწამე ჰაბო ტფილელმა განიძარცვა „სამოსელი თვისი და განსცა იგი სავაჭროდ, რაითა უყიდონ მას სანთელად კერეონები“ [6, 461].

კერეონიც ბერძნულია. კიდევ მეტი. ბერძნული ძირიდან „კეროს“ (წვრილი სანთლები [4, 305]) მივიღეთ სიტყვა კეროსი. ამ ფორმის შესატყვისი ქართულ ენაშიც შემორჩენილა. ბერძნულ-ლათინური **კერასი** ქართულშიცა გვაქვს და მას დავით ჩუბინაშვილი ასე განმარტავს — წვრილი სანთელი [9, 604].

ასე რომ, „კერასინის“ ტყუპი „კერასი“ ქართველთათვისაც არ ყოფილა უცხო ხილი.

ქართველი კაცი იცნობს კიდევ ერთ სიტყვას, რომელიც „კერ“ ბგერათკომპლექსთან არის დაკავშირებული. ესაა **კელაპტარი** — სასანთლე ანდა დიდი სანთელი, იგივე კერეონი [3, 364].

გვგონია, რომ ფორმა მიღებულია ამგვარად:
კერა-პტარი→კელა-პტარი.

მაშასადამე, მომხდარა დისიმილაცია, რაც ჩვეულებრივია სხვადასხვა ენისათვის. მაგალითად, საქართველოს პროვინციებში დირექტორი დისიმილაციის შედეგად ასე გამოითქმება — **დილექტორი**, ესე იგი, მეორე „რ“ ბგერამ განიმსგავსა პირველი.

ფრიად საგულისხმოა, რომ ბერძნული **კერა** მონაწილეობს ბევრი სხვა ქართული სიტყვის მშენებლობაში.

ავილოთ ცნება **კერკი**, რომელიც დაცულია ქართლურ დიალექტში. ისიც ცეცხლსა და ალთან არის დაკავშირებული; ნიშნავს გათუთქულ, გამხმარ ხილს [7, 281], არც ის არის უბრა-

ლო ამბავი, რომ გვქონია ცნება **კერაკი//კერა-კანი** — მაყალი, საწვავი კერია [9, 604].

კერ საფუძვლად დასდებია კიდევ ერთ ტერ-მინს, რომელიც ასევე ცეცხლსა და კერიასთან არის დაკავშირებული. ესაა კერძი (**კერ-ძ-ი**). იგი აღნიშნავს ცეცხლზე შემზადებულ წვნიან საკვებს.

გვგონია, რომ კერა ძირზე აღმოცენდა არა-ერთი საინტერესო სიტყვა, უნინარეს ყოვლისა, **კვერი** და **კვერვა**. სინამდვილეში ორივე ასე გა-მოითქმის — **კვერი**. მისი თავდაპირველი გაგე-ბა ცეცხლით კვერვასთან იყო დაკავშირებული. **კვერი** ნიშნავდა რკინის დასაკვერებელს. მომ-დევნო ხანებში ამ ფორმას მიუღია სხვა მნიშ-ვნელობაც. **კვერი** კარგად გრძნობს თავს გუ-რულ დიალექტში და ნიშნავს ლადარში გამომ-ცხვარ მჭადს. ძველად, ეტყობა აღნიშნავდა ლა-დარშივე გამომცხვარ მრგვალ პურსაც. სულხან ორბელიანი მას ასე განმარტავს — პური მგრგვალი [3, 394].

კვერის პირველი მნიშვნელობის განვითარებაა **კვესი** (ტალ-კვესი). იგი ასე განიმარტება: რკინა, ცეცხლის მშობელი [3, 394]. ვნახოთ ტრანსფორმაციის პროცესი: **კვერი→კვესი.**

ახლა საინტერესოა, **კერ** ძირიდან როგორ მივიღეთ **კვერი** (რკინა) და **კვერი** (მჭადი, გინდა პური).

როგორცა ჩანს, სხვადასხვა „ბარბაროსულ“ ენაში უძველეს დროშივე გაჩენილა ბერძნული „კერ“ ბგერათკომპლექსის დუბლიკატი „კუერ“. „კუ“, ქვემორე ვნახავთ, ქართულ, რუსულ და სხვა ენებშია დადასტურებული.

მაში, ასე: **კვერ** ფორმის უძველესი ფორმა ასეთია: **კუერ.**

ფონეტიკური პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: **კუერ→კვერ.**

კვერ სიტყვის მეორე გააზრებიდან (საჭმელი პური) აღმოცენებული ჩანს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნება. ეს გახლავთ **კვება.** ამ სიტყვის ჩამოყალიბების გზა ასე გვესახება: **კვერე-**

ბა→კვერბა→კვება. შევადაროთ ამას „ვეფხის-ტყაოსნის“ მიმბაძველთა (XIII-XV საუკუნეები) მიერ ნახმარი ტერმინი **ჭამება**.

ასევე უნდა ითქვას, რომ **კვერ** სიტყვის პირველი გაგებიდან (კვერი, დაკვერვა, დაკვერებული...) ჩანს აღმოცენებული ცნება **და-კვერ-ება**.

სიტყვის ჩამოყალიბების პროცესი ასე წარმომიდგენია: **და-კუერ-ება→და-კვერ-ება→და-კერ-ება**.

რა თქმა უნდა, შინაარსი შორს არ წასულა: „დაკვერება“ ნიშნავს რკინის რკინაზე სითბური გზით დაწებებას, შედუღაბებას; იგივეა „დაკერება“, ოღონდ ქსოვილისა — ქსოვილზე, ტყავისა — ტყავზე ცივი, არათერმული გზით.

ეგ სასწაულმოქმედი კვერ იჭყიტება სიტყვებიდან **დაკვრა, მიკვრა, ამოკვრა...** აქაც არსებითი შინაარსის შემცველია ბერათკომპლექსი **კვრ**, რაიც სხვა არაფერია, თუ არა გახმოვანებული **კურ**.

პროცესი ასე გვესახება:

მი-კუერ-ვა→მი-კვერ-ვა→მიკვრვა→მიკ-
ვრა;

და-კუერ-ვა→და-კვერ-ვა→დაკვრვა→დაკ-
ვრა;

ა მ ო - კ უ ე რ - ვ ა → ა მ ო - კ ვ ე რ - ვ ა →
ა მ ო - კვრვა→ამოკვრა.

ყველა ეს ტერმინი იმას გვეუბნება და ასა-
ხავს, რომ ხდება საგნის საგანზე დაკვერვა, და-
წებება, დამაგრება, დაკვრა-დაკერება. მაშ,
კვერვა სხვა არაფერია, თუ არა ერთი საგნის
მეორეზე ცხელი, თერმული გზით დაკერება,
დამაგრება, მიწებება, მიერთება!

კვერ ძირის პირვანდელ გაგებას ვაწყდებით
სიტყვაში „ნაკვერჩხალი“. ფორმის დადგინდების
პროცესი ასე გვესახება:

ნა-კუერ-ცხ-ალ-ი→ნა-კუერ-ჩხ-ალ-ი→ნა-
კვერ-ჩხ-ალ-ი.

იგულისხმება, რომ კუმშვის პროცესს ხელი
შეუწყო „ნა“ ფორმანგმა, რომელიც ყოფილო-
ბას, ანუ წინა ვითარებას, ასახავს.

ნა-კვერცხ-ალ-ში საგულისხმოა მეორე
მთავარი კომპონენტი. **ცხ** აღნიშნავს სიცხეს,
ცხობას, ცეცხლს, წვას, გამოწვას და ა.შ.

კომპოზიტის შინაარსი გასაგებია: **ნა-კვერ-
ცხ-ალ-**ი, ანუ ყოფილი **კვერცხელი**.

გვგონია, რომ არაბული **ქურა** ბერძნული **კე-
რა** სიტყვის ნაშიერია ისევე, როგორც ქართულ-
ში კერ იძლევა **კურ** ფორმას. **ქურა** აღნიშნავს
ღუმელს, რომელსაც იყენებენ თიხის ჭურჭლის
გამოსაწვავად [5, 458].

მაშასადამე, არაბულში **კერ** გადაქცეულა
ქურ (იგივეა, რაც **კურ**) ელემენტად; სავარაუ-
დოა, რომ ასე მოხდა არა მარტო არაბულში,
არამედ ბევრ სხვა აღმოსავლურ ენაშიც. ესე
იგი, **კერ→კურ**. ასე გაჩნდა **კერ** ძირის დუბლი-
კატი — **კურ//ქურ**.

აღნიშნული **კურ//კუ** კომპლექსი ბევრ ენაში
დაკავშირებულია სწორედ ცეცხლსა და წვას-
თან. ეგ „კუ“ ელემენტი უნდა დავინახოთ შემ-
დეგ რუსულ სიტყვებში: კუეთ (ჭედავს, ვთქვათ,

მჭედელი); კუზნეც (მჭედელი). მჭედლის მთავარი იარაღი რუსულად ასევე „კუ“ ბგერათკომპლექსს შეიცავს — კუვალდა. კუვალდას ქართულში შეესატყვისება კუ-ერი (მჭედლის ჩაქუჩი). პრეობრაჟენსკი მას აკავშირებს ზმნასთან კოვატ (ჭედვა); კიდევ ერთი რუსული ერთეულია კუზნიცა (სამჭედლო); კუტკალიას რუსულად ენოდება კუზნეცი. ასე იმად ეძახიან, რომ მისი ხმა და მოქმედება პატარა სამჭედლო უროს ცემას მოგვაგონებსო, — გვიხსნიან შანსკი და მისი ჯგუფი. ამოსავალიაო კუზნეც; -იკ გახლავთო კნინობითის მაწარმოებელი [8, 433].

ერთობ საინტერესოა, რომ „კუ“ ბგერათკომპლექსი ქართულშიც უკავშირდება ცეცხლს, მხერვალებას, კერიას, თონეს და ა.შ. მაგალითად, თონეში ჩავარდნილ და გაფუჭებულ, დამწვარ პურს ენოდება **კუტი** პური. ვფიქრობთ, რომ **კუტი** მივიღეთ ასეთი ტრანსფორმაციის გზით: **კურტი→კუტი**.

კუტი ასეა განმარტებული: თონეში ჩავარდნილი და ნაკვერჩხალზე გამომცხვარი პური [5,273].

განსაცვიფრებლად საინტერესოა შემდეგი თანხვედრა რუსული და ქართული გააზრებისა: თუ რუსებისათვის კალია იმიტომ გახდა კუზნეჩიკ, რომ მჭედელივით უკაკუნებს, ქართველებსაც იგი დაუკავშირებიათ კერიასა და სიცხესთან, ნაკვერჩხალთან. ჩვენებურად „კუზნეჩიკი“ ასე გამოითქმის: **კუტ-კალია.**

მაშ, კუტი, კურტი პური და კუტკალია, კურტკალია!

ამიტომაც ზუსტი არა გვგონია სულხან ორბელიანის განმარტება: „კუტი“ სხვათა ენაა, ქართულად საპყარი ჰქვიაო [3,400].

კუტი უძველესი სიტყვა ჩანს.

„კუ“ ელემენტი, ჩვენი აზრით, ქართულში კიდევ ორ ერთობ საინტერესო ფორმას წარმოშობს. ეს არის **მკვდარი** და **მკვიდრი**.

კაცი იფიქრებს: სად „მკვდარი“ და სად „მკვიდრიო“?!

სინამდვილეში ამ ორ სიტყვას ერთი ძირი აქვს. ეს გახლავთ ფორმა **მ-კუიდ-არ-ე**. იგი აღნიშნავდა დამაგრებულს, დაჭედებულს, დამკვიდრებულს, ადგილზე მიწებებულს, რაკილა „კუ“ ელემენტი ჭედვის, დაკვერვის გამომხატველი იყო (შევიხსენოთ რუსული სიტყვები: კует, კузнец, кувать//ковать...); „**მ-არ-ე**“ საშუალი გვარის მიმღეობის მანარმოებელია, როგორც, მაგალითად, სიტყვებში **მ-დგომ-არ-ე**, **მ-ნოლ-არ-ე** და სხვ. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება „**კუ-იდ**“ კომპლექსს.

ბერათა კომპლექსი **მ-კუიდ-არ-ე** განვითარდა ორგვარად. განვითარების პირველი გზა იძლევა სიტყვას **მკვიდრი**. ტრანსფორმაციის პროცესი ასე წარმოგვიდგენია:

მ-კუიდ-არ-ე→მ-კვიდ-არ-ე→მ-კვიდ-არ-ი→მ-კვიდ-რ-ი.

„მკვიდრი“ არის ის, ვინც მაგრად არის მიბმული, მიჭედებული, დაკვერებული ამა თუ იმ ადგილს. არსებითი შინაარსია მიჭედება, მიწებება, დამაგრება, დაკვერვა.

იგივე სიტყვა განვითარდა ოდნავ სახეშეცვლილად, ოღონდ – პარალელურად. ეს პროცესი ასე გვესახება:

მ-კუდ-არ-ე→მ-კუდ-არ-ე→მ-კუდ-არ-ი→მ-კვდ-არ-ი.

„მკვდარი“ არის ის, ვინც მაგრად, შეურყევლად არის მიმაგრებული, დაკვერებული, მიწებებული ერთ ადგილს და საკუთარი ძალით დაძრა არ ძალუდს.

ასე მრავალფეროვანი აღმოჩნდა „კერა“ ბერძნული სიტყვის ნაბარტყი ქართულსა და რუსულ ენებში.

ლიტერატურა

1. დალი ვლადიმერ, რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, მოსკოვი, 1979;
2. ლორთქიფანიძე ნიკო, რჩეული, II, თბილისი, 1953;
3. ორბელიანი სულხან, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1991;
4. პრეობრაჟენსკი ა.გ., რუსული ენის ეტიმოლოგიური სიტყვარი, I, მოსკოვი, 1959;
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986;
6. ქართული მწერლობა, I, თბილისი, 1987;
7. ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984;
8. შანსკი ნ.მ., ივანოვი ვ.ვ., შანსკაია ტ.ვ., რუსული ენის მოკლე ეტიმოლოგიური სიტყვარი, მოსკოვი, 1961;
9. ჩუბინაშვილი დავით, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

The hearth – Word Forge

Summary

The greek origin hearth has been the basis for many Georgian words. It appears that the same is in Russian language. This has to be the reason, that many Georgian-Russian words are phonetically very close. Those words are: Georgian „კერა”-„Kera” (Hearth) and Russian „кера”-„Ker” (Hearth); Georgian „კუერი”-„Kueri” (Hummer) and Russian „кувада”-„Kuvalda” (Hummer); Georgian „კუტკალია”-„Kutkalia” and Russian „кузнецкий”-„Kuznechik”...

Кера – кузница слов

РЕЗЮМЕ

Греческое слово «кера» участвует в построении многих грузинских и русских слов. Поэтому многие грузино-русские лексемы фонетически очень походят друг на друга. Например, «кера» (очаг) и русский «кер» (поселение); «кераси» и «керосин»; «куери» (молоток) и «кувалда»; «куткалия» и «кузнечик»...

Ключевые слова: *кера, кераси, керосин, квери, кувалда, куткалия, кузнечик.*

„ვისაც გსურთ და სხვა“

(დაწერილია პროფესორ ნარგიზა
მესხიასთან ერთად)

რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე ავტორია ლექსისა „ვისაც გსურთ“. პატრიოტულ თემაზე შეთხზული ეგ შედევრი ამჟამად ტექსტოლოგიურად გვაინტერესებს. ქმნილება მუდამ უცნაურად იბეჭდებოდა. პირველი სტროფი ასეთია:

ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს;
მისმინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა,
ურვისგან გულშეპყრობილს!

ამ პოეტურ აბზაცს მოჰყვება მეორე და სხვა მომდევნო სტროფები, რომელთაც თან დას- თრევდა ასეთი „უცნაური“ ტაქტი:

„ვისაც გსურთ და სხვა...“

მკვლევარებმა და გამომცემელ-ტექსტოლოგებმა ამ „უცნაურ“ ნასკვს თავი და ბოლო ვერ გაუგეს. ამაზე დასტურ მეტყველებს ის ფაქტი, რომ არაერთ გამოცემაში მეორე და მომდევნო სტროფებს ასრულებს და კეტავს (ხურავს) მეხუთე „უცნაური“ ტაეპი: „ვისაც გსურთ და სხვა...“

ბოლოს ამ გაუგებარმა და „ზედმეტმა“ სტრიქონმა ისე მოაბეზრა თავი ტექსტოლოგებს, რომ ერთ გამოცემაში თავიდან მოიშორეს ის და ლალად მოითქვეს სული, თითქოსდა მძიმე რამ კუზი მოეშორებინოთ.

ასე გაისუფთავეს ხელი „უცნაური“ და „გაუგებარი“ სტრიქონისაგან და ამის გამოისობით ულმობელი სითამამით დააგვირგვინეს თავიანთი უმეცრება.

სინამდვილე კი სრულიად სხვაგვარია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცნობილი იყო იმით, რომ თხზავდა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დასამღერებელ ტექსტებს. ამგვარ მასალებში კი აუცილებელი იყო სარეჩიტატივო ნაწილი, ე.წ. „მისამღერი“. ჩვეულებრივ, მისამღერად გამოიყენებოდა პირველი სტროფი, რამეთუ მთავარ, უმნიშვნელოვანეს სათქმელს ავტორი ყოველთვის პირველ სტროფში ამბობდა. მაშასადამე, ჩვენი რომანტიკოსი იყენებდა სასიმღერო ფორმას, რომელსაც ჰქვია მუსტაზადი (არაბ. „მუსთაზად“ ნიშნავს დანამატს). სწორედ ეგ სადანამატე მასალაა პირველი სტროფი.

ახლა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიყვანა ალ. ჭავჭავაძემ მუსტაზადის ბუნების არმცოდნე ქართველი მკვლევარ-გამომცემლები შეცდომაში.

რომანტიკოსის მოღვაწეობისას ქაღალდი ძვირი ღირდა, არც ისე იოლად იშოვებოდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, რა საჭირო გახლდათ პირველი, მისამღერი სტროფის გადაწერა ყო-

ველი მომდევნო სტროფის ბოლოს? ამიტომაც ავტორმა თავისი სასიმღერო ტექსტის ყოველ მომდევნო პოეტურ აბზაცს მთლიანი პირველი სტროფი კი არ მიაწერა, არამედ „ფორტეპიანოზე მშვენივრად მომდერალ“ თავის ქალიშვილებს (ნინო და ეკატერინე) მიანიშნა, რომ პირველი სტროფი ყოველი მომდევნოს შემდეგ რეჩიტატივად უნდა ემღერათ. ამიტომაც ქალალდისა და დროის ეკონომიის მიზნით ყოველ მომდევნო სასიმღერო სტროფს ქვეშ მიაწერა სიტყვები:

„ვისაც გსურთ და სხვა“.

ეგ ნიშნავდა შემდეგს: აქ უნდა იმღეროთ პირველი სტროფის „ვისაც გსურთ“ და სხვა სიტყვებიო!

მაშასადამე, როგორც წარმოთქმის, ისე სიმღერისა თუ დაბეჭდვის დროს ქმნილების პირველი სტროფი უნდა შესრულეს ყოველი მომდევნო სტროფის შემდეგ მთლიანად.

ამრიგად, აქამომდე რომ გამოცემებში იბეჭ-დებოდა „უცნაური“ სიტყვები - „ვისაც გსურთ და სხვა“ – ეგ იყო დიდი შეცდომა. მითითებულ მუსტაზადში პირველი სტროფი უნდა დაიბეჭ-დოს ხუთჯერ; ასევე ლექსის ზეპირად წარმოთ-ქმის ან სიმღერისას პირველი სტროფი უნდა აუ-ლერდეს ხუთგზის.

ეს ნიშნავს: გამოცემებში, სადაც „უცნაური“ ტაეპია - „ვისაც გსურთ და სხვა“ – უნდა დაის-ტამბოს მთელი პირველი სტროფი!

ასე აღვადგენთ ლექსის ჭეშმარიტ ფორმასა და სახეობას.

მოსაბაქე

საკვანძო სიტყვები: არჩილ მეფე, მოსაბაქე, ფულის მოჭრა, ბაკის დატკეპნა, ნიზამი, ძალლების ყურისმგდებელი.

ამა თუ იმ ენის სიტყვათა დიდი ნაწილი ატარებს ანარეკლს იმ პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოსი, სადაც აღმოცენდა. ამასთანავე, „ხალხთა კონტაქტები კვალს სტოვებს ენის სტრუქტურაში“¹. ამიტომაც ამგვარ სიტყვათა კულტუროლოგიური თვალთახედვით კვლევა ბევრს რასმე საგულისხმოს აღმოგვაჩენინებს. ამ მხრივ ფრიად სიმპტომურია სიტყვა მოსაბაქე.

თავის ცნობილ „გაბაასებაში“ არჩილ მეფე ერთგან ასე აცხადებს:

ვინ ვერ მიჰყვეს რუსთვლის თქმულსა,
გარდმობრძანდეს ასე აქეთ!
მელექსობა არ შეშვენის,
დააყენეთ მოსაბაქე დ!²

საინტერესოა სიტყვა „მოსაბაქედ“. ზოგმა აქ ძირ სიტყვად „საბაქა“ (ფულის საჭრელი მოწყობილობა) დაინახა³.

ზ. სარჯველაძის მიხედვით, მოსახლეობა არის ფულის მჭრელი, „დააყენეთ მოსაბაქედ!“ ნიშნავს „ფულის მჭრელად დააყენეთ!“

რაჭულ დიალექტში დაცულია სიტყვა „მოსაბაკე“. იგი ნიშნავს პაკის მტკეპნელს, სოხანეს მკეთებელს.

ყველა ეს მოსაზრება ამოაყირავა ნიზამის „ლეილისა და მაჯნუნის“ ყურადღებით წაკითხვამ. აღმოჩნდა, რომ არჩილის ამ გამოთქმის ძირი და ფესვი სწორედ აქ იძებნება. მაშასადამე, მეფესა და პოეტს კარგად სცოდნია აზერბაიჯანელი გენიოსის ეგ ქმნილება და მის მიერ კონტექსტში ზუსტად ჩასმული სიტყვაც – მოსაბაქე (ძალლების ყურისმგდებელი).

„ლეილისა და მაჯნუნის“ ერთი პასაჟი ასეთია: სიყვარულისგან გახელებული, შმაგად, გიუად ქცეული მაჯნუნი სატრფოს კარავთან დაბორიალობს, ლეილის უთვლის:

ძალლები დაძრნიან შენი კარვის კართან,
მეც ძალლი ვარ, მანანნალა,

საკუთარი ხუხულა რომ დაჰკარგვია;
ამიყვანე, მსახურად ამიყვანე,
მ ე ძ ა ღ ლ ე დ დ ა მ ა ყ ე ნ ე,
მიბრძანე: - ძალლებს მოუარე! ⁴

აი, აქ გაირკვა, რომ არჩილის თქმა - „დააყე-
ნეთ მოსაბაქედ!“ გულისხმობს მაჯნუნის სიტ-
ყვებს: „მეძალლედ დამაყენე!“

„სობაკა“ რუსული სიტყვაა. არჩილი და მის
გარშემო შემოკრებილი ინტელექტუალთა ამა-
ლა (პოლიტიკოსები, მეცნიერები, მწერლები) ამ
დროს საკმაოდ იცნობდნენ რუსეთს, რუსულ
ენას; მაგალითად, არჩილის „მკობარი“ და ქვე-
შევრდომი იაკობ შემოქმედელი (მიტროპოლი-
ტი) თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც არის ნამ-
ყოფი რუსეთში ელჩიად და, ბუნებრივია, რუ-
სულსაც შეისწავლიდა. ეს რომ ასეა, ჩანს მისი
ნაწერებიდან, სადაც არაერთი რუსიციზმია გა-
მოყენებული; რუსიციზმები ჩანს არჩილის შე-
მოქმედებაშიც. თვით არჩილი რუსეთში მიიცვა-
ლა და, ვიდრე იქ წავიდოდა, ბუნებრივია, საყ-

ველპურო რუსულს მაინც შეისწავლიდა. ამი-
ტომ რუსული სიტყვა „სობაკა“ რომ სცოდნოდა,
გასაკვირი არაა, მაგრამ, როგორცა ჩანს, ამ
შემთხვევაში საქმე სრულიად სხვაგვარადაა.
მას გამოუყენებია არა რუსული „სობაკა“, არა-
მედ სპარსული სიტყვა, რომელიც იმავე ცხო-
ველს აღნიშნავს და იმდაგვარადვე ჟღერს – ეს
არის ს ა ბ ა ქ. ირკვევა, რომ რუსული „სობაკა“
მოდის სპარსული სიტყვიდან ს ა ბ ა ჰ. ა.გ. პრე-
ობრაჟენსკის „რუსული ენის ეტიმოლოგიურ
ლექსიკონში“ მითითებულია: ნასესხებია ირა-
ნულიდან, სავარაუდოა, ირანელი სკვითების
მეშვეობით. წარმოშობით არის მიდიური „სპა-
კა“ (ნახსენები აქვს ჰეროდოტეს); ფარსულად
არისო ს ა ბ ა ჰ.⁵ სწორედ ეგ „საბაჲ“ უნერია ნი-
ზამის. მითითებული ფორმა ქართულად აჟღერ-
დება ამგვარად – ს ა ბ ა ქ. აქედან გაკეთდა არ-
ჩილისეული „მო-ს ა ბ ა ქ-ე-დ.

მაშასადამე, იქვე მივედით, საიდანაც წამო-
ვედით:

არჩილ ბაგრატიონს ნიზამის პოემის მნიშვნელოვანი ეპიზოდიც თავისი სათქმელის შესაბამისად გამოუყენებია და განჯევის ტერმინიც სათანადოდ მოუმარჯვებია.

ლიტერატურა

1. სოსო სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, 2, თბილისი, 2012, გვ. 39.
2. ქართული მწერლობა, 6, თბილისი, 1989, გვ. 337.
3. ზურაბ სარჯველაძე, ლექსიკონი, ქართული მწერლობა, 6, თბილისი, 1989, გვ. 866.
4. ნიზამი განჯევი, ლეილი და მაჯნუნი, მოსკოვი, 1986, გვ. 234 (რუსულ ენაზე).
5. ა.გ. პრეობრაჟენსკი, რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. 2, გვ. 347 (რუსულ ენაზე).

,,Mosabake”

Resume

According to viewpoint of cultural sciences it is interesting that the word „mosabake” is used by Archil Bagrationi. The King-poet mentions: who doesn’t follow Rustaveli he will punish him and appoint on a position of m o s a b a k e!

Some scientists found similarity with Russian word „sobaka” (a dog), some of them considered that it is the word from Racha dialect „mosabake” that means - „wares rammer”. Its found out that none of them were right – the author knows very well the Persian cultural world, in particular masterpiece of Persian literature - „Layla and Majnun” by Nizami. It expresses love to madness when supplicating to Layla: you have made me a dog-man („mosabake”)! The lexical unit was found to be Persian „sabak”.

Key words: Archil Bagrationi, mosabake, dog, wores rammer, Nizami, dog-man.

«Мосабаке»

Резюме

С культурологической точки зрения довольно интересно слово приспособленное Арчилом Багратиони М О С А Б А К Е. Царь-поет указывает: кто не может идти в след за Руставели, того накажите и назначьте МОСАБАКЕД! (надзирателем собак).

Некоторые ученые увидели здесь русское слово Собака, некоторые – термин рачийского диалекта Мосабаке – трамбовщик земли.

Оказалось, что не одно, не другое; автор хорошо знал персидский культурный мир, в частности шедевр персидской письменности – «Лейли и Маджнун» - Низама. Выражение относится к влюбленному, помешанному от любви, когда он просит у Лейли: назначить его ее собаковедом (мосабаке!), лексической единицей оказался персидский «Сабах».

არა ორიგინალი, არამედ თარგმანი

1987 წელს გამოვიდა ილიას თხზულებათა | ტომი. აქ დაბეჭდილია სანტიმენტალური ლექსი „მოთქმა საწყლისა“. ამ ლექსზე ჭაბუკი მოშაირის მუშაობა დაახლოებით დაემთხვა მამამისის გარდაცვალებას და მკვლევარები ტექსტს მაინცადა-მაინც ამ ამბავს უკავშირებენ. კომენტარებში /გვ.523/ უცნაურ რასმე ვკითხულობთ: თუკი შინაარსს დავეყრდნობოდით და ვირწმუნებდით, რომ მასში ასახულია რეალობა, მაშინ დაწერის თარიღის ფართო არეალი /1840 – 1850/ უფრო დავიწროვდებოდა: ის დაიწერა 1852 წლის მერე, როცა ილია მამითაც დაობლდაო.

მოგვიანებით ეს იდეა გაიზიარა გურამ შარაძე-მაც.

უფრო საგულისხმოა კომენტარის მეორე ნაწილი:

„მაგრამ ლექსის ასეთ ბიოგრაფიულ ინტერეტაციას ადვილად შესაძლებელია შეცდომაში

შევეყვანეთ, რადგან ამ ლექსში ისეთი ფაქტებიც არის წარმოსახული, რომლებიც ილიას ცხოვრებაში არასდროს მომხდარა, ასე, მაგალითად: ილიას ყრმობის პერიოდში არ ყოფილა მომენტი, რომ მას არ ჰყოლოდა „შემნახავი“, არ ჰქონოდა სახლ-კარი თუ თავშესაფარი, და ლუკმაპურის სათხოვნელად „კარ-კარ“ დასჭირვებოდა სიარული“.

მეც მანდა ვარ!

კომენტარის მეორე ნაწილი ცამდე მართალია, ხოლო ამ ლექსს არავითარი კავშირი არ აქვს 1852 წელსა და ავტორის მამის გარდაცვალებასთან.

მოკლედ მოვჭრათ:

გერმანელმა სანტიმენტალისტ-პრერომანტიკოსმა ლუდვიგ ულანდმა დაწერა „ბოსიაკური“ ლექსი „Das lid“ /„სიმღერა“/; უსახლკარო, ბოგანო „ბოსიაკი“ უთავბოლოდ დაეხეტება; ხედავს სხვის სასახლეებს, ქონებას, სიმდიდრეს, მაგრამ გულში ბოლმა და შური მაინც არ უჭაჭანებს. ის იმითაც კმაყოფილია, რომ საიქიოში ერთნაირად მიიღებენ მასაც და მდიდარსაც.

ეს ტექსტი გადმოიღო რუსმა მგოსანმა ვასილი უუკოვსკიმ. მას ეწოდება „Песня бедняка“. უუკოვსკის საქართველოში აღმერთებდნენ. განსაკუთრებით მოსწონდა იგი გრიგოლ ორბელიანს. შემთხვევითი როდია, რომ „სადლეგრძელო“ რუსი ავტორის პოემის ქარგაზეა აგებული; თვითონ გრიგოლმა მიაწერა მას: „წაბაძვა უუკოვსკისა“.

მითითებული სანტიმენტჭარბი ლექსი უურნალ „ცისკრის“ მკითხველთ ძალიან მოსწონდათ, რაკიდა 1850–1860–იანი წლების ქართველ საზოგადოებაში სანტიმენტალური გრძნობიერება სჭარბობდა.

ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ მითითებული ტექსტი, სულ ცოტა, სამმა ქართველმა მაინც გადმოიღო. ლიტერატურის ერთმა მოყვარულმა თავისი თარგმანი დაბეჭდა „ცისკრის“ სწორედ იმ ნომერში, სადაც გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე ტექსტიც იყო მოთავსებული. ეტყობა, ამან უბიძგა ვრ. ორბელიანს, რომ შესდგომოდა „პესნია ბედნიაკას“ თარგმნას. ამ მცდელო-

ბის შედეგია „მუშა ბოქულაძე“.

ძირითადი იდეა აქაც იგივეა: მართალია, მე არაფერი მაბადია, სხვებს ყველაფერი აქვთ, მაგრამ გულში შური და ბოროტება მაინც არ მიღულს. იქ, „მუნ“, ხომ მაინც თანასწორნი ვიქნებით. ეჰ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე და მე ჩემს ბარგს როგორმე იქ მოვიხსნი, სადაც ვიქნებით თანასწორნი – საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!

მესამე ავტორი, რომელმაც ამ ლექსის გადმოენება სცადა – ეს გახლავთ ჭაბუკი ილია. როგორცა ჩანს, მას წაუკითხავს „ცისკრის“ ის ნომერი, რომელშიც უუკოვსკის ქმნილების თარგმანი იყო გამოქვეყნებული და სურვილი აღძვრია, თავადაც ეთარგმნა იგი.

მაშასადამე, „მოთქმა საწყლისა“ გახლავთ არა ორიგინალური, არამედ გადმოკეთებული, თავისუფლად თარგმნილი „პესნია ბედნიაკა“.

სხვათა შორის, ამგვარად გადმოკეთებული ლექსები ილიას სხვაც ბევრი აქვს. მაგალითად: „მიბაძვა ჰეინესი“; „სიხარული“/მიბაძვა/ და სხვა.

II. რუსთველიადა

მე, რუსთველოლოგი

„მე, რუსთველი“ – ასე იწყებს პოეტი.

„მე, რუსთველოლოგი“ – ასე ვიწყებ მე.

„წარმოშობით“ რომანტიზმის მკვლევარი გახლავართ. ჩემი დისერტაცია ეხებოდა ბარა-თაშვილის მხატვრული ნაწერების ტექსტოლო-გიურ პრობლემებსა და შემოქმედებით პრო-ცესს.

რამ შემქმნა რუსთველოლოგად?

ინტერესით ვკითხულობდი რუსთველოლო-გიურ ლიტერატურას და ხშირად წავწყდომივარ ფაქტს, რომ გამოჩენილმა მკვლევარებმა პოე-მის ტექსტი ზედმინევნით არ იცოდნენ. კიდევ მეტი, პოლემიკის დროსაც კი ერეოდათ ერთმა-ნეთში ფაქტები, სახელები, მოვლენები და ამას მოწინააღმდეგე პოლემისტი ვერც კი ამჩნევდა.

ამგვარ მკვლევარებს ამხანაგთა წრეში ვაპი-აბრუებდი.

ერთხელ ან განსვენებულმა დიდებულმა მწერალმა, მაშინ „მნათობის“ რედაქტორმა ელ-გუჯა მაღრაძემ მხარზე თავისი მძიმე ტორი დამკრა, საუბარი შემაწყვეტინა, მკაცრად მითხრა: - ყველაფერი ეს საინტერესოა. რომ დგახარ და ლაყბობ, არ გირჩევნია, დაჯდე, დაწერო და წარმომიდგინოო?

თითქოსდა ამ გამხნევებას ველოდი. დავბეჭდე ირონიით კარგად გაჯერებული წერილი - „აქა ამბავი იმისა, თუ როგორ ტიროდა უსენი თავისი ცოლის საყვარლის წასვლის გამო“ (საქმე ისაა, რომ ერთ გამოცემასა და ზოგი რუსთველოლოგის ნაშრომში სტუმარი დიდვაჭრის უსამის მაგიერ ენერა მასპინძელი სოვდაგრის უსენის სახელი, და ეგ „იალლიში“ ვერ შეემჩნიათ).

ამის მერე წავიდა და წავიდა!

ასე მოვედი რუსთველოლოგიაში.

როგორცა ხედავთ, ამ დარგში „გარედან“ მოსული გახლავართ. ამას კი, როგორც ჯერ კი-

დევ ნოე უორდანია მიუთითებდა პარიზში გა-
მოსულ რუსთველოლოგიურ წიგნაკში, რომლის
პირველი რეცენზიაც მე დავბეჭდე, რუსთვე-
ლოლოგები არ მაპატიებდნენ. ამიტომაც წინ-
დანინ დავილესე კლანჭები. ჯერ ერთი, შემოვი-
ტანე და დავამკვიდრე ტერმინები „კანონიერი
რუსთველოლოგი“ და „უკანონო რუსთველო-
ლოგი“; მეორეც, თავდაპირველად ვწერდი ისეთ
კრიტიკულ-ირონიულ სტატიებს, სადაც მხილე-
ბული იყო აშკარა ტექსტობრივი ჩავარდნები –
ფაქტების, სახელების, მოვლენების უცოდინა-
რობა. მერე და მერე უფრო ღრმა (შემოქმედე-
ბით) თემებსაც გადავწვდი.

მაშ, გარედან მოსული რუსთველოლოგი
ვარ. აქვე შევნიშნავ: სწორედ გარედან მოსული,
ანუ „უკანონო რუსთველოლოგი“, გახლდათ
მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი
რუსთველოლოგი – ვიკტორ ნოზაძე.

მაგრამ ჩემი არეალი ზუსტად მაქვს შემო-
საზღვრული: ძირითადად ეს არის ტექსტის

პრობლემატიკა. აქ ორი მიმართულება ავირჩიება:

ა) პოემის სტროფული შედგენილობა და ბ) ცალკეულ სიტყვა-გამოთქმათა კანონიკურობა და რაობა. პირველ პრობლემას მიეძღვნა თითქმის ექვსასგვერდიანი მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, მეორეს - „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“, რომელიც 250 გვერდიანია.

რუსთველოლოგიაში იმთავითვე ჩამოყალიბდა ორი ფრთა. მკვლევართა ერთი გუნდი მუდამ ცდილობდა პოემის ინტერპოლაციებისაგან (სხვათა ჩანართებისაგან) გაწმენდას, ოღონდ ზომიერებას ვერ იჩენდა და ჭრიდა, ჩებდა, ამოკლებდა ტექსტს. ამათ, ეტყობა, მეცნიერებასთან ერთად კარგად ჰქონდათ შესწავლილი სამთამადნო საქმე. ცნობილია, სამთამადნო მრეწველობაში მადნის გამდიდრება ეწოდება პროცესს, როდესაც ოთხი ტონიდან ბოლოს რჩება ერთი. ამ მოღვაწეებმა ისე „ამდიდრეს და ამდიდრეს“ პოემა, რომ, ლამის არის, ხევსურუ-

ლი ბალადის მოცულობისა გახადეს; ნათქვამია, „მადა ჭამაში მოდისო“ და მაკრატლის ამ კრა-ჭაკრუჭში ქმნილებას წააჭრეს მთელი ბოლო სამი თავი, ე.წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“. ანუ: ინდოეთში მთელი დავიდარაბა მოჰყვა ტახტის ხელში ჩაგდებას. ნესტანი და ტარიელი გადაი-კარგნენ. ბოლოს ფარსადან მეფეც მიიცვალა. ქაჯეთში გამარჯვებულ ჩვენს გმირებს სამთა-მადნო წარმოებას კარგად გაცნობილი მკვლე-ვარები არაბეთამდე კი მოიყვანენ და აქ წყვე-ტენ პოემას. მაშ, ინდოეთის ტახტი კვლავაც ცა-რიელია.

მეცნიერთა მეორე გუნდს სათავეში უდგას შესანიშნავი პოეტი და ბრწყინვალე რუსთვე-ლოლოგი კონსტანტინე ჭიჭინაძე. იგი გააფ-თრებით იცავდა პოემის ბოლო ნაწილს და ბევრ ისეთ შიგნისტროფს, რომლებსაც სამთამადნო მაკრატელი შეეხო. მართალია, იგი სწორ გზაზე იდგა, ოღონდ კათედრები და პოსტები არ ეკავა და, რა დაატყო, დაამარცხებდნენ, სტალინს მი-

მართა. როგორც იქნა, დაიბეჭდა პოემის სრული ტექსტი; მაგრამ შემდეგ ისევ იმძლავრა „კანონიერმა რუსთველოლოგიამ“. სწორედ ამის დასტურია ქართული მწერლობის მეოთხე ტომი, სამარცხვინო გამოცემა, სადაც გამქრალია პოემის თითქმის მესამედი (რაღა თქმა უნდა, ე.ნ. „ინდო-ხატაელთა ამბავიც“).

პოემის ტექსტის „წყვეტის“ აღმოსაჩენად სენსაციური სამეცნიერო „აპარატი“ შევქმენი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელია ნებისმიერი აკადემიური და სხვა ტიპის გამოცემათა „სუსტი ადგილების“ აღმოჩენა-დაფიქსირება.

ჩემი აპარატის მექანიზმის უკეთ გასაგებად აქ უნდა გავავლო საინტერესო პარალელი.

გამოჩენილმა რუსმა მწერალმა დანიელ გრანინმა შეთხზა გენიალური დიდმოთხრობა „სურათი“. მანვე დაწერა საშუალო დონის რომანი „პიონერები“.

სწორედ ამ რომანზე უნდა ვისაუბროთ ახლა.

ნაწარმოები ეხება არა მოწაფეებს, არამედ პიონერ პროფესორებს, მკვლევარებს, რომელ-თაც გამოიგონეს ერთობ საჭირო აპარატი.

ცნობილია: ქალაქებს (ან საწარმოო ობიექ-ტებს) შორის გაყვანილია სხვადასხვა დანიშნუ-ლების კაბელი. მიწაში ჩამარხული კაბელი მექა-ნიკური ან სხვა ზემოქმედების გამოისობით წყდება. ამ ვითარებაში საჭირო ხდებოდა რამ-დენიმე კილომეტრის სიგრძის სადენის ამოთ-ხრა და ხელით შემოწმება წყვეტის ადგილის დასადგენად. ეს კი დიდ შრომასა და დროს სა-ჭიროებდა. ეგ უხერხული პრობლემა გადაწყვი-ტეს პიონერმა პროფესორებმა, როცა გამოიგო-ნეს აპარატი, რომელიც ზუსტად უჩვენებდა სა-დენის წყვეტის ადგილს.

სწორედ ამის მსგავსი აპარატი შევქმენი მეც.

„აპარატი“ შედგება რამდენიმე ბლოკისაგან. ყოველი ბლოკი უდრის თითო რუსთველურ პო-ეტიკურ კანონზომიერებას.

ამჟამად გესაუბრებით ჩემი „აპარატის“ პირ-ველ და მეორე ბლოკებზე.

პირველ ბლოკს მე ვუწოდე „ბრძანების კანონზომიერება“. მთელ პოემას კანონად გას-დევს წესი: სადაც პატრონია, იქ მონა უბრძანე-ბოდ ვერას მოიმოქმედებს. ეს იქნებოდა პატ-რონის წინაშე თავხედობის გამოჩენა. ამ კანო-ნის რენტგენულ შუქზე თუ მთელ დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“ გავატარებთ, შევნიშნავთ უცნაურ რასმე: ასობით მაგალითი მითითებულ წესს იცავს, მხოლოდ ორ შემთხვევაში ხდება დარღვევა – მონა პატრონის მიუთითებლად მოქმედებს. შევნიშნავ რა ამ უცნაურ „ამოვარ-დნას“, კანონიდან გადახვევას, უკვე ხელნაწე-რული მემკვიდრეობის შეუმოწმებლად ვიცი: რომელიდაც ხელნაწერში (ან ხელნაწერებში) უსათუოდ „ზის“ რუსთველური სტროფი, რომე-ლიც აღმოჩენილ წყვეტას გამოასწორებს და რომელიც უმწეო ტექსტოლოგებს იქედნურად დასცინის. ამის შემდეგ, როგორც უკვე ხვდე-

ბით, ყველაფერი ტექნიკის საქმეა. მართლაც, ვესტუმრებით ხელნაწერთა ინსტიტუტს, გამოვიტანთ პოემის რამდენიმე ხელნაწერს და შეუჭირვებლად მოვძებნით შესაბამის ადგილას მეცნიერთა ამა თუ იმ „კაპრიზით“ გამოტოვებულ, მიჩქმალულ სტროფს, რომელიც ტექსტის ჰარმონიასა და კანონ-წესს აღადგენს.

მეორე ბლოკს მე ვუწოდე „მისვლა-მოსვლის“ კანონი. ეს გულისხმობს: თუ პოემაში სადმე აღწერილია გმირის წასვლა, უსათუოდ უნდა იყოს აღწერილი დანიშნულების ადგილას მისი მისვლაც და, პირუკუ: თუ არის „მი“, ამას წინ უსათუოდ უნდა უსწრებდეს „წა“. ამ კანონის რენტგენულ შუქზე თუ მთელ ნაბეჭდ „ვეფხისტყაოსანს“ გავატარებთ, შევნიშნავთ უცნაურ რამეს: ასობით და ათასობითაც კი შეგვხვდება ეს „ნაცნობი ბმა“, ოღონდ ერთ შემთხვევაში ხდება ამოვარდნა. ერთ ეპიზოდში უცნაური ვითარებაა: როსტევანის ნადიმზე მყოფი ავთანდილის შინ მიბრუნების სცენა აღ-

წერილია, მაში, აღწერილია „მი“, ოღონდ ამას
წინ არსად უძლვის სტროფი, სადაც ნაჩვენები
იქნება „წა“. რაკილა დაახლოებით ვიცით წყვე-
ტის მონაკვეთი (თავი მაინც), ხელნაწერებში
აღარ გაგვიჭირდება იმ რუსთველური სტრო-
ფის მიგნება, რომელიც ავტორის პოეტიკურ კა-
ნონს აღადგენს. მართლაც არსებობს სტროფი,
რომელიც აღწერს როსტევანის ნადიმიდან ავ-
თანდილის წამოსვლას. თურმე, ეგ წყვეტა რუს-
თველის კალმის ლაფსუსი კი არ ყოფილა, არა-
მედ მეცნიერთა ჩვენთა კაპრიზი ან საქმის შეუ-
მეცნებლობა.

მსგავსი პრინციპით მუშაობს ჩემ მიერ კონ-
სტრუირებული „აპარატის“ სხვა ბლოკებიც.
ზოგი მათგანი აკადემიურ და სხვა გამოცემებში
ერთდროულად რამდენიმე წყვეტას უჩვენებს.

აღნიშნული პოეტიკური კანონების აღმოჩე-
ნას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, თე-
ორიული – გამდიდრდა რუსთველის პოეტიკუ-
რი არსენალი ; მეორეც, პრაქტიკული – ამ კა-

ნონთა მომარჯვებით უთუმცაოდ დგინდება ტექსტი.

მსგავსი „სამეცნიერო აპარატი“ შევქმენი „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავთენტიკურობის და-სადგენადაც.

„დაფანტულ სტროფებში“ გამოყენებულ სხვა სამეცნიერო სიახლეებზე აღარას ვამბობ.

აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ტექსტში ათო-ბით კონიექტურა (ჩასწორება, რომელსაც არც ერთი ხელნაწერი არ უჭერს მხარს) შეიტანა და „წინასვე“ ვიგუმანე: ეს თვითნებობა და ვო-ლუნტარიზმი იქნებოდა. ჩემმა „აპარატმა“ უჩ-ვენა, რომ მკვლევრის უკლებლივ ყველა კო-ნიექტურა მცდარია, მიუღებელია და უნდა შეფასდეს ტექსტის მკრეხელურ ჩასწორებად. ჩემს სტატიას კი ჰქვია „რითმისწინა გახმოვანე-ბის რუსთველური სისტემა“.

ახლა მკითხველს თვალისა და მუსიკალური სმენის დასატყპობად ჩემი აღმოჩენის ერთ მკა-ფიო ნიმუშს სიურპრიზად მივაწვდი.

ცნობილ სტროფში კოცნა-ხვევნის გამოსა-
ხატავად მომარჯვებულია კომპოზიტი „მტლა-
შა-მტლუში“ ანთუ „მტლაში-მტლუში“. რომე-
ლია სწორი - „ა“ თუ „ი“; „მტლაშა“ თუ „მტლა-
ში“? ბოლო აკადემიურ გამოცემაში ავთენტი-
კურად მიუჩინევიათ „მტლაში-მტლუში“.

მომყავს შესაბამისი ტაეპები ჩემი გამოცე-
მის (2016) მიხედვით:

რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს
სულთქმა, უში,

გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს,
თუნდა ქუში;

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოც-
ნა, მტლაშა-მტლუში.

ყურადღება მივაქციოთ რუსთველის გენია-
ლურ ოსტატობას. სარითმო კლაუზულად გა-
მოტანილ ბგერათკომპლექსში მოექცა ორი
ხმოვანი უ – ი (უში). ეს საკმაოდ ღარიბი რით-
მაა. რას აკეთებს სმენაგამახვილებული მგოსა-
ნი? სარითმო კლაუზულას („უში“) წინ უხვედ-

რებს რითმის გამამდიდრებელ ერთნაირ ხმოვანს. ესაა „ა”. მივიღეთ ასეთი სურათი :

სულთქმ – ა უში (ა – უში)

თუნდ – ა ქუში (ა – უში)

მტლაშ – ა მტლუში (ა – უში)

ვხედავთ: მგოსანს რითმისნინა „ა” ხმოვნით ორმარცვლიანი ქორეული კლაუზულა გაუმდიდრებია. ფაქტობრივად მივიღეთ არა ორ, არამედ სამმარცვლიანი რითმა. კი, ვხედავთ ორმარცვლიან რითმას, ოღონდაც გვესმის სამარცვლიანი ევფონია.

უცნაურია?

ნამდვილად უცნაურია ეგ რუსთველი!

და ვის აქვს უფლება, დაურღვიოს ეგ ღვთაებრივი ჰარმონია? არავის!

არადა, ბოლო აკადემიურ გამოცემაში დაურღვიეს, როცა ჩაუწერეს „მტლაში-მტლუში“.

სხვათა შორის, მტლაშა-მტლუში იმ ტიპის წარმოებას განეკუთვნება, რა წარმოებასაც განეკუთვნება მისი კლასის სხვა კომპოზიტები:

რახა-რუხი, ბათქა-ბუთქი, ტაკა-ტუკი, დაგა-დუგი...

სხვათა შორის, შევნიშნავთ: დანიელ ჭონქაძეს „სურამის ციხეში“ მოუმარჯვებია ფორმა „ტყლაშა-ტყლუში“ (ტყიდან ხარები ტყლაშა-ტყლუშით გამორეკესო); იმასვე სჩადის ვაჟა-ფშაველაც: „შოლტების ტყლაშა-ტყლუშიო“ (მოთხრობა „ძალლმა ციკანი მოიგო“, დასაწყისი).

მეორე წიგნი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი“ ათობით ამგვარ საინტერესო და სახალისო რუსთველოლოგიურ საკითხს წამოჭრის და კიდევაც წყვეტს.

მესამე წიგნს, რომელიც მზად არის, ჰქვია „რუსთველოლოგიური კრიტიკა“. აქ შესულია ის სტატიები, რომლებიც კრიტიკულად მიმოიხილავენ ცალკეულ მონოგრაფიებს, კრებულებს, სტატიებს, ტექსტის გამოცემებს. სწორედ ამ „ტრიადის“ საფუძველზე მოვამზადე

„ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის კორპუსი, რომელიც 2016 წელს კიდევ გამოვიდა.

ამავე დროს, ერთ-ერთმა პირველმა გამოვაქვეყნე ვრცელი გამოხმაურება ზვიად გამსახურდიას ცნობილ წიგნზე.

1988 წელს ერთი ავტომობილის ფასი დამიჯდა (მაშინ ქსეროკოპია ესოდენ განვითარებული არ ყოფილა) ვიკტორ ნოზაძის დაბეჭდილ ტომეულთა აღდგენა.

იმთავითვე ვიგუმანე: ახლად თავისუფლება-მოპოვებულ და გუდამშიერ საქართველოში ნოზაძის ტექნიკურად ძნელად გამოსაცემ ტომეულებს ვერ დაბეჭდავენ - მეთქი და, სამწუხაროდ, ეს გუმანი „არ-ცუდად წამიხდა“ – ვერ გამოსცეს, ვერცა გამოსცემენ! ამიტომაც მაშინვე სწორი გადაწყვეტილება მივიღე: ყველა ტომის გამოწვლილვითი კრიტიკული განხილვა დამებეჭდა. „ცისკარსა“ და „რელიგიაში“ თითქმის მთელი მონოგრაფიული გამოკვლევის ნახევარი გამოქვეყნდა. შეიძლება ითქვას, რომ საქარ-

თველოში პირველი ნოზაძეოლოგი მე გახლა-
ვართ!

2008 წლის ივლისში გამოვიდა ცნობილი
რუსთველოლოგის დოქტორ ბორის დარჩიას
წიგნი „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკით-
ხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“,
რომლის რედაქტორიც მე გახლავართ; ასევე
გახლავართ რედაქტორი იმავე ავტორის „რუს-
თველოლოგიური გამოკვლევების“ I და II ტომე-
ბისა (პირველი შეადგენს 580, მეორე 587
გვერდს). გამოცემის თარიღებია 2010 და 2015.

2009 წელს გამოვიდა 150 გვერდიანი სენსა-
ციური ნაშრომი „ფირდოუსი და რუსთველი“.
მონოგრაფია ფარდას ხდის რუსთველოლოგი-
ის, ქართული ლიტერატურის, კულტურისა და
ყოფის პევრ საიდუმლოს.

ნიზამისა და რუსთველის ლიტერატურულ-
კულტუროლოგიური მიმართებების საკითხები
ძირისძირობამდეა გამორკვეული მონოგრაფია-
ში „ნიზამი და რუსთველი“ (2011).

ეს ჩემი მიგნებები თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. ეს არცა მიკვირს. მსგავსი რამ ჩვეულებ-რივი ამბავია. ამგვარი შემთხვევის მეტი რა იცის მსოფლიომ. აქედან ორ მაგალითს მოვიყ-ვან: მეთორმეტე საუკუნის ბოლოს დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ გენიალობას ქართველი ერი მხოლოდ 5 საუკუნის შემდეგ ჩასწვდა. სწორედ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება რუს-თველის „აღმოჩენა“, მისი აღზევება, მისი დი-დება, მისი ტექსტის გადაწერა-გავრცელება; ათი საუკუნის წინათ უზარმაზარი ვარსკვლავი ისე აფეთქდა, არავის შეუმჩნევია. მხოლოდ ერთ ჩინელ ასტრონომს შეუნიშნავს ეს მოვლე-ნა და კიდევაც აღუნერია. დღევანდელი ტექნი-კის საოცრება „ხაბლმა“ კი ეს ფაქტი ფოტოსუ-რათებით დაადასტურა.

მე ვუტოვებ შთამომავლობას ჩემს ავტოსუ-რათს. მას ჰქვია - „მე, რუსთველოლოგი“ – მურ-მან თავდიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

რითმისწინა გახმოვანების რუსთველური სისტემა

ვეფხისტყაოსანში ქაჯეთის მეფის მთავარ-
სარდალი ასეა დახასიათებული:

**როშაქ მონაა, თავადი მონისა ბეკრის
ათისა.**

ზოგ გამოცემაში ხაზგასმული ადგილი ასეა
წარმოდგენილი:

**როშაქ მონაა, თავადი მონისა ბეკრ -
ათასისა.**

კონტექსტს, თითქოსდა, უფრო უხდება
და შეესაბამება „ბევრის ათისა“:

გვესმა ამბავი, ზღვათ იქით სიკვდილი
დისა მათისა,

შეიჭირვებდეს ვაზირნი, დაშალეს ქმნა
ხალვათისა:

„ვითა ვჰქადროთო დავსება პირისა,
ხმელთა მნათისა?“

როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრის
ათისა.

მართლაც, ერთი შეხედვით, ზუსტი რით-
მაა: მათისა - ვათისა - მნათისა - ათისა. მაგრამ
საოცარია შემდეგი ფაქტი: ფორმას ბევრი
ს ათისა ემხრობა ერთადერთი ხელნაწერი,
ხოლო კომპლექსს ბევრ - ათასისა კი -
ყველა დანარჩენი (იხ. აკ. შანიძისა და ალ. ბარა-
მიძის 1966 წლის გამოცემა, გვ. 403).

რა მოხდა?

ვფიქრობ, აღნიშნულის გასაღებს გვაძ-
ლევს ჩემ მიერ შენიშნული სარითმო კლაუზუ-
ლისწინა ხმოვნის ძიების რუსთველური პოეტი-
კური ტენდენცია. იგი გულისხმობს რითმისწი-
ნა გახმოვანების მთლიან და ყოვლისმომცველ
სისტემას.

თუ ეს შესაძლებელია, მგოსანი ყოველ-
თვის ლამობს სარითმო კლაუზულას წინ ოთხი-
ვე ტაეპში დაუხვედროს ერთი და იგივე ხმოვა-
ნი და ამით რითმა გაამდიდროს. მაშასადამე,
მახვილიანი საკლაუზულო კომპლექსის წინ
ოთხივე ტაეპში მოაქციოს ერთი და იგივე
ჟღერადი ხმოვანი. მაშინ ხმოვანთა განლაგება
ასეთ სახეს მიიღებს:

ა - ოაა ე - იეო

ავიღოთ, მაგალითად, ზემომითითებული
გამოცემის 1283-ე სტროფი:

**აწ ვინმე მოყმე მოვიდა შვენიერითა პი-
რითა,**

**მან უთხრა წვრილად ყველაი, თქვენ
ხართ რათაცა ჭირითა.**

იგია შენი მძებნელი მკლავითა ვითა
გმირითა;

მე გამომგზავნეს, დამვეღრეს სწრაფა
სწრაფითა ხშირითა.

აქ მთავარ სარითმო ბეგერათა განლაგება
ასეთია:

ა - იითა

ა - იითა

ა - იითა

ა - იითა

დავუკვირდეთ ტაეპის ბოლოკიდურ სიტ-
ყვებს:

შვენიერით-ა პირითა ა - იითა

რითაც-ა ჭირითა ა - იითა

ვით-ა გმირითა ა - იითა

სწრაფვით-ა ხშირითა ა - იითა

ამავე ვითარებას ვაწყდებით 1304-ე და
1309-ე სტროფებშიც:

ა - ო ა ს ა ა - ი ი ს ა

ა - ო ა ს ა ა - ი ი ს ა

ა - ო ა ს ა ა - ი ი ს ა

ა - ო ა ს ა ა - ი ი ს ა

ამ ტენდენციის შუქზე გავსინჯოთ საძიე-
ბელი სტროფი, სადაც მეოთხე ტაეპის ბოლოს
გვექნება ვარიანტი ბევრის ათისა:

დის-ა მათისა ა - აი ს ა

ხ - ა - ლვათისა ა - აი ს ა

ხმელთ-ა მნათისა ა - აი ს ა

ბევრ - ი-ს ათისა ი - ა ი ს ა

მაშასადამე, რუსთველური ტენდენციის
ფონზე ვარიანტი ბევრის ათისა ქმნის სასტიკ
დისონანსს: I, II, III ტაეპებში გვაქვს შესანიშნა-
ვი ასონანსი: ა - აისა; ა- აისა, ა - აისა, ხოლო
მეოთხეში ი - აისა .

სრულიად სხვა ვითარებაა, თუ მივიღებთ
ვარიანტს ბევრ - ათასისა. მაშინ სარითმო
ხმოვანთა სურათი ასეთი იქნება:

ა - აი ს ა

ყველაფერი ეს გვარწმუნებს: მართალი
აღმოჩნდა ხელნაწერების დიდი უმრავლესობის
დაჟინებული მოთხოვნა - მითითებულ სიტუა-
ციაში დავიცვათ ავტორის ხელიდან გამოსული
ფორმა ბევრ - ათასისა. სინამდვილეშიც,
თუ კარგად ჩავუკვირდებით და არა გარეგ-
ნულ, არამედ სიღრმისეულ მოვლენებს მივაქ-
ცევთ ყურადღებას, ზუსტი მუსიკალური ასო-
ნანსი გვეძლევა სწორედ ბევრ-ათასის შემთხვე-
ვაში.

დაახლოებით მსგავსი სიტუაცია გვხვდება 25-ე სტროფში. აქ სხვადასხვა გამოცემა სხვადასხვა ფორმას გვაწვდის. ზოგი „მტლაში-მტლუშს“, ზოგი კი - „მტლაშა-მტლუშს“.

ზემოთ მითითებული ტენდენციის შუქზე მართებული ჩანს მტლაშა-მტლუში. სტროფის ბოლო სამი ტაეპის საერთო სურათი ასეთია:

რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავ-
ლოს სულთქმა, უში,

გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰ-
ხვდეს, თუნდა ქუში;

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა,
კოცნა, მტლაშა-მტლუში.

ბოლოკიდური სიტყვებია:

სულთქმა-ა უში ა - უ შ ი

თუნდ-ა ქუში ა - უ შ ი

მტლაშ-ა მტლუში ა - უ შ ი

ფორმას „მტლაშა-მტლუში“ აღიარებენ და იცავენ მრავალი ხელნაწერი და უმრავლესი გა- მოცემა. ბოლო აკადემიურ გამოცემაში, სამწუ- ხაროდ, დადასტურებულია მცდარი წაკითხვა - „მტლაში-მტლუში“.

„მტლაშა-მტლუშს“ მოეპოვება ერთი სა- გულისხმო გრამატიკული არგუმენტიც. გვაქვს ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: ლაკ-ლაკ, რახ-რახ, ჩაქ-ჩაქ, ფახ-ფახ და ა.შ.

ამ ტიპის წარმოებაში, თუ ორმარცვლიანი სიტყვებია, მეორე სიტყვის ხმოვანი მუდამ შეც- ვლილია „უ“ ვოკალით: ბრახა-ბრუხი, რახა-რუ- ხი, ბათქა - ბუთქი, ტაკა-ტუკი, დაგა-დუგი და სხვა. ამ მეორე შემთხვევაში ხმოვანთა განლა- გება ასეთია:

ა ა - უ ი

სწორედ ამგვარად ნაწარმოები რთული სიტყვაა მტლაშა-მტლუში .

ჩემი ამ დაკვირვებისათვის სისტემური ხასიათი რომ მიმეცა, აღნიშნული თვალთახედ-ვით საგანგებოდ გამოვიყვლიე პოეტის ზემოხ-სენებული მიღრეკილება და დავადგინე:

1. აღნიშნული წესი გახლავთ ყოვლის-მომცველი ტენდენცია და შეპირობე-ბულია რითმის გამდიდრებისა და მუ-სიკალურ-აკუსტიკური მხარის მოწეს-რიგების ბუნებრივი ავტორისეული მოთხოვნილებით.
2. კანონზომიერება გატარებულია სტროფთა დაახლოებით 95-96 პრო-ცენტში.
3. იგი არ ჩანს (მისი საჭიროება ვერ უც-ნია ავტორს) საყრდენთანხმოვნიანი რითმების შემცველ სტროფებში.
4. დანარჩენ შემთხვევებში (სწორედ ეს შეადგენს 95-96 პროცენტს) სარითმო

კლაუზულისწინა ხმოვანი ოთხივე ტა-
ეპში გვხვდება ყველაზე მეტად (დაახ-
ლოებით 50 პროცენტი), სამ ტაეპში -
უფრო იშვიათად (დაახლოებით 30
პროცენტი), ხოლო ორ ტაეპში - ყველა-
ზე ნაკლებად (20 პროცენტი).

5. ამ თვალთახედვით ტაეპთა „შერითმვა“
რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდე-
ბარება: ერთმანეთს ეხმიანება I, II, III
და IV; I, II და III; I, II და IV; II, III და
IV სტრიქონები.

თვალნათლიობისათვის წარმოგიდ-
გენთ ზოგიერთი ძალზე მდიდარი
სტროფის ვითარებას 1988 წლის აკა-
დემიური გამოცემის მიხედვით:

სტროფი 373:

ა - უ ე ი ა

ა - უ ე ი ა

სტროფი 382:

ი ა - ი ი ა

ი ა - ი ი ა

ଅ - ଶୁ ଗ ଇ ଅ

ନ ଅ - ନ ନ ଅ

ଅ - ଶୁ ଗ ଇ ଅ

ନ ଅ - ନ ନ ଅ

ସତ୍ରିଂଗାଫ୍ରୋ 475:

ନ ଅ ଅ - ନ ନ ଅ

ସତ୍ରିଂଗାଫ୍ରୋ 487:

ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ନ ଅ ଅ - ନ ନ ଅ

ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ନ ଅ ଅ - ନ ନ ଅ

ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ନ ଅ ଅ - ନ ନ ଅ

ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ସତ୍ରିଂଗାଫ୍ରୋ 550:

ଅ ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ସତ୍ରିଂଗାଫ୍ରୋ 555:

ଅ ଶୁ - ଅ ଶୁ ଇ

ଅ ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ଅ ଶୁ - ଅ ଶୁ ଇ

ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ଅ ଅ - ଅ ଶୁ ଇ

ଅ ଅ - ଶୁ ଇ ଅ

ଅ - ଅ ଶୁ ଇ

ସତ୍ରିଂଗାଫ୍ରୋ 570:

ଅ ଅ - ନ ନ ଅ

ସତ୍ରିଂଗାଫ୍ରୋ 694:

ନ ଶୁ - ଶୁ ନ ଶୁ

ଅ ଅ - ନ ନ ଅ

ନ ଶୁ - ଶୁ ନ ଶୁ

ო ე - ე ო ე

ე - ე ო ე

სტროფი 611:

ა ი - ა ი ა

ა ი - ა ი ა

ა ი - ა ი ა

ა ი - ა ი ა

სტროფი 704:

ი ა - ე ა

ი ა - ე ა

ი ა - ე ა

ი ა - ე ა

სტროფი 705:

ა ა - ა ა ი

ა ა - ა ა ი

ა ა - ა ა ი

ა - ა ა ი

ამ მხრივ საგულისხმოა 594-ე სტროფი.

აქ სამი სარითმო კომპლექსი ასეთია:

ხენი ვით ხენ ი - ი ე

რომე მკითხე ე - ი ე

რომე ვითხენ ე - ი ე

მეოთხე სარითმო ერთეულის ადგილს კი
ერთმანეთს ეცილება სამი კომპლექსი: ვერ გარ
ვითხენ (1988 წლის აკად. გამოცემა), ასრე ვით-
ხენ (შანიძე-ბარამიძის გამოცემა, 1966) და ზო-
გი ხელნაწერის გა-რე-ვითხენ (ამ ვარიანტს ემ-
ხრობა ალექსი ჭინჭარაული). ჩემი თვალსაზრი-
სის მიხედვითაც, უფრო სწორი ეს უკანასკნელი
გამოდის. მაშასადამე,

გა-რე-ვითხენ ე - ი ე

„გა-რე-ვითხენ“ ნიშნავს: საჭურველი გა-
ვითხენ, გავითხელე, ცოტა ვიქონიე. ამ გაგებას
პოემაშივე ეძებნება პარადიგმა:

**შენმა ჭვრეტა-სიახლემან მომაქარ-
ვოს სევდა, მითხოს!**

შენმა სიახლოვემ სევდა გამიქარვოს, გამით-
ხელოს, გამიცოტაოსო.

აღნიშნული რუსთველური ტენდენციის გათ-
ვალისწინებით შესაძლებელი ხდება სარითმო
კომპლექსებში მოქცეულ სადაცო ფორმათა
თავდაპირველი სახის დადგენა.

მაშასადამე, ხელთა გვაქვს ხერხი, რომ-
ლის მეშვეობითაც ერთობ ადვილდება რითმის-
წინა სადაცო სიტყვების ავთენტურობის დად-
გენა.

გადავხედოთ პოემას ამ შუქზე (ნუმერა-
ცია შანიძე-ბარამიძის გამოცემის მიხედვით).

560-ე სტროფის ბოლო ტაეპი სხვადასხვა
გამოცემაში სხვადასხვაგვარად იკითხება. ზო-
განაა „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა
ხმდა სისხლისა დენით,“ ზოგან კი - „.... სისხლთა
დადენით“. ჩემი თვალსაზრისის მიხედვით, რა-
კიღა მესამე ტაეპის რითმისწინა ხმოვანია „ა“,

ხოლო ხმოვანთა კონფიგურაცია ასეთია: ა - ა ე
ი („ზარმაც თქმად ენით“), IV სტრიქონის სიტ-
ყვათშეთანხმება უნდა იყოს არა „სისხლისა დე-
ნით“, ესე იგი, ი - ა ე ი, არამედ „სისხლთა დადე-
ნით“ (ა - ა ე ი). მართლაც, ფორმას „სისხლთა“
უმრავლესი ხელნაწერი ემხრობა.

757 სტროფში ამგვარი ვითარებაა:

ხმა დაგივარდა ა ა - ი ა ა

გასატკივარდა ა ა - ი ა ა

გახმამყივარდა ა ა - ი ა ა

გ ა მ ო ჩ ი ვ ა რ დ ა ა ო - ი ა ა

ხელნაწერებში GH გვაქვს სიტყვა „გა-ცა-
მჩივარდა“, რომელიც დარღვეულ ასონანსს
აღადგენს - ა ა - ი ა ა .

636 - ე სტროფში ასეთი ვითარებაა:

ტანად უხებს ა - უ ე

გულსა უხებს ა - უ ე

მ ო გ ვ ი ქ უ ხ ე ბ ს ი - უ ე
შეგვაწუხებს ა - უ ე
ხომ არ არის ხელნაწერებში III, ჩავარდნილი, სტრიქონის მიერ დარღვეული ასონანსის გამომასწორებელი ვითარება? არის! ხელნაწერებში IXZ გვაქვს მ ო გ ვ ა ქ უ ხ ე ბ ს. მაშასა-დამე - ა - უ ე .

7 0 1 - ე სტროფში ჩავარდნილია IV ტაეპის რითმისწინა ხმოვანი:

გაგეგონების ე - ო ე ი
მოეწონების ე - ო ე ი
დაეღონების ე - ო ე ი
შ ე ი კ ო ნ ე ბ ი ს ი - ო ე ი
რამდენიმე ხელნაწერში (GJTOVR' და სხვაგან) ვხვდებით ფორმას „შეეკონების“, მაშასადამე, ე - ო ე ი.

ჩემ მიერ შენიშნული ეს კანონზომიერება
პირდაპირ ქვას ქვაზე არ ტოვებს ბატონი აკ.
შანიძის კონიექტურებისაგან. ავიღოთ, მაგალი-
თად, სტროფი 788. აქ დღეს ასეთი ვითარებაა:

კიტრად ბერად ა- ე ა

მიმიჩს მღერად ი- ე ა

დავდგე მე რად ე - ე ა

ვისსა ვერად ა - ე ა

ეჭვი არაა, სტროფი სამტაეპოვანი შერით-
მვის ვარიანტს წარმოადგენს. „დავდგე მე რად“
თქმას ვარიანტი არ მოეპოვება. მაშასადამე,
ერთმანეთს უნდა შეერითმოს I, II, IV ტაეპები.
ეს შერითმვა დარღვეულია სიტყვით მიმიჩს,
რაც აკ. შანიძის კონიექტურაა. რა თქმა უნდა,
ეს გახლავთ აშკარად მცდარი შესწორება. ყვე-
ლა ხელნაწერი მხარს უჭერს წაკითხვას მიჩან
ს (BCDEIKOQTVWYZA'I'B'FMX-GH).

სავსებით სწორად აღუდგენია ბოლო
აკად. გამოცემას მართებული ფორმა „მიჩანს“.

ხოლო, თუ ხელნაწერების ფორმას (მი-
ჩანს) აღვადგენთ, მაშინ პოეტიკურად ყველა-
ფერი გასწორდება და II ტაეპშიც გვექნება სა-
სურველი ა - ე ა (მიჩანს მღერად).

შანიძე-ბარამიძის გამოცემაში 1328-ე
სტროფი ასეა წარმოდგენილი:

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-------------|
| მხიარულითა გულითა | ი ა - უ ი ა |
| ს ა ხ ა რ უ ლ ი თ ა | ა ა - უ ი ა |
| სინათლითა სრულითა | ი ა - უ ი ა |
| მომახულითა | ა - უ ი ა |
| რუსთველური კანონით, მეორე ტაეპში უნდა გვქონოდა ი ა - უ ი ა, ოღონდ არ გვაქვს. რა მოხდა? | |

მოხდა ის, რომ რუსთველური კანონი ხე-
ლოვნურად დაურღვევია ბატონ აკ. შანიძეს

ნაძალადევი კონიექტურით. მგოსანს აქ ჰქონია საჭირო სიტყვა ს ი ხ ა რ უ ლ ი თ ა ი ა - უ ი ა, ხოლო მკვლევარს შემოუტანია უფრო ძველი სიტყვა ს ა ხ ა რ უ ლ ი თ ა (იხ. გვ. 439). არადა რუსთველისდროინდელი ახალი ქართულის ნორ-მას „სიხარულითა“ მხარს უჭერენ „საუკეთესო“ ხელნაწერები (ABCDEG/JEMORTVWXYZA’/R’ და სხვები).

სამწუხაროდ, ეს სავალალო შეცდომა გა-
უზიარებია 1988 წლის აკადემიურ გამოცემას
(იხ. გვ. 205).

საგულისხმოა 837-ე სტროფის მონაცემე-
ბი. აქ ვხვდებით რითმისწინა სიტყვების ასეთ
შეხამებას:

მზიანისა ღამისად ა - ა ი ა

უჟამოსა ჟამისად ა - ა ი ა

ი ო ტ ი ს წამისად ი - ა ი ა

ჩემად და მისად ა - ა ი ა

„ჩავარდნილ კლავიშად“ რჩება მესამე სტრიქონი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ზოგ ხელნაწერში დაცულია ჩვენთვის საჭირო სიტყვათშეხამება - „ერთი იოტისა წამისად“, ესე იგი, ა - ა ი ა (AX), ხოლო ზოგშია „ერთ იოტისა წამისად“, მაშასადამე, ა - ა ი ა (BGMYI'); ზოგშიც ასეა „ერთ იოტასა წამისად“, ა - ა ი ა (CA').

სამწუხაროდ, 1988 წლის აკად. გამოცემა აქაც ვერ დგას აკადემიურ დონეზე, რადგან „ჩავარდნილ“ სტრიქონს უჭერს მხარს.

ამგვარივე ვითარებას ვაწყდებით 892-ე სტროფში:

ხვეწნითა არვებდა ა - ა ე ა

მოაქარვებდა ა - ა ე ა

დაიკარვებდა ი - ა ე ა

ივაგლახა, არ ვებდა ა - ა ე ა

ზოგ ხელნაწერში გვაქვს შემონახული წამდვილად რუსთველისეული და ჩემი კანონ-

ზომიერების აღმდგენელი სიტყვა და აკარვებები და ა (DFHIJKOTVWZER' და სხვები).

მაშასადამე, ოთხივე ტაეპში გვქონია ერთნაირი რითმისწინა ხმოვანი ა - ა ე ა, ა - ა ე ა, ა - ა ე ა, ა - ა ე ა.

ახალ აკადემიურ გამოცემაში, საბედნიეროდ, სრულიად შემთხვევით, მხარი დაუჭერიათ მართალი ფორმისათვის „დააკარვებდა“.

957-ე სტროფის თაობაზე ერთ ცალკე სტატიაში ვიმსჯელე, ოღონდ აქ მაინც აღვნიშნოთ.

| | |
|------------------------------------------------------------------------------|-----------|
| გაგვამცივნებს | ა ა - ი ე |
| რა არ ივნებს | ა ა - ი ე |
| არ იმ ტკივნებს | ა ი - ი ე |
| გაამსივნებს | ა ა - ი ე |
| როგორცა ვხედავთ, საერთო კანონზომი-ერებიდან განდგა მესამე ტაეპი, ოღონდ განდგა | |

შანიძე-ბარამიძისა და ბოლო აკად. გამოცემებში, თორემ მრავალ საუკეთესო ხელნაწერში ყველაფერი მართებულადაა. აქ ვკითხულობთ აშკარად რუსთველისეულ ფორმას „არ ატ-კივნებს“: ა ა - ი ე.

კანონზომიერებას თითქოსდა ღალატობს 979-ე სტროფიც:

უსახოთა ქცევითა ა - ე ი ა

ვთქვიმცა მე ვითა ა - ე ი ა

დასწვავს მზე ვითა ა - ე ი ა

ლერწამობს რხევითა ო - ე ი ა

მაგრამ ვარიანტებშია: „ტანი ლერწმისა ხე ვითა“. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი რიგზეა: ა - ე ი ა.

ასევე ცალკე სტატიაში ვისაუბრე 988-ე სტროფზე. აქაც აღვნიშნოთ:

არ დაპრიდონ ა ა - ი ო

ყმასა ფრიდონ ა ა - ი ო

გააფლიდონ ა ა - ი ო

ა ნ უ ყ ი დ ო ნ ა უ - ი ო

ზოგიერთ ხელნაწერშია „ან გაყიდონ“, ეს
კი გულისხმობს ხმოვანთა საჭირო კონფიგურა-
ციას: ა ა - ი ო.

მე-1000 სტროფშიც მსგავსი სიტუაცია
ფიქსირდება:

სანატრელისა ა ა - ე ი ო

ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ს ა ა უ - ე ი ო

ესე ხელისა ე ე - ე ი ო

დამმარხველისა ა ა - ე ი ო

ვარიანტებში მეორე ტაეპი ასე იკითხება:
ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ს ა. მაშინ ასონანსი აღდგება და
გვექნება ა ა - ე ი ო.

მაშასადამე, სტროფი სამჯერად შერით-
მულთა კატეგორიაში შევა.

დიდად საყურადღებოა 1106-ე სტროფის
მონაცემები.

ენა-მეტსა ა - ე ა

შმაგსა, რეტსა ა - ე ა

ჩემსა მტერსა ა - ე ა

ს ი ს ხ ლ ი ს მხვრეტსა ი - ე ა

უმრავლეს და „საუკეთესო“ ხელნაწერებ-
შია „სისხლთა“(ორგან _ სისხლსა). მაშასადამე,

ა - ე ა.

სამწუხაროდ, 1988 წლის აკად. გამოცემამ
ეს სიმაღლე ვერ დაძლია და აქ ვკითხულობთ
მცდარ ფორმას „სისხლის“.

ასევე გადასახედავია 1115-ე სტროფიც. აქ
გვაქვს:

ტანითა ჯანითა ა - ა ი ა

ვერცა თ უ ვცანითა უ - ა ი ა

დაკლა დანითა ა - ა ი ა

„ჩავარდნილ კლავიშს“ აქ წარმოადგენს „ვერცა თუ ვცანითა“. მას მხარს უჭერს 1988 წლის აკად. გამოცემაც. ხელნაწერებშია ასეთი ვარიანტი: „თუ ვერცა ვცანითა“ (ზოგან „თუ ვერა ვცანითა“).

მაშასადამე, ა - ა ი ა. სტროფში გვქონია სამჯერადი შერითმვა.

მსგავსი ვითარებაა 1203-ე სტროფშიც:

დაწბილებულნი ი - ე უ ი

მათნი ხლებულნი ი - ე უ ი

ი ს ფ რ ი თ ა ღებულნი ა - ე უ ი

ხელნაწერებშია (ABCMRXA' და სხვა) ის-ფერით ღებულნი, მაშასადამე, გვქონია საჭირო ი - ე უ ი.

კიდევ ერთი მსგავსი ვითარება. 1208-ე სტროფშია:

ჩემთვის არენით ი - ა ე ი

დაიჯარენით ი - ა ე ი

მოვაგვარენით ა - ა ე ი

ხელნაწერებშია (GHIKOV'R') მოვიგვარენით, ხოლო ამ ხელნაწერებიდან მომდინარე ან მათთან ახლო მდგარ ხელნაწერებში (EJTYA') გვქონია „მოვიფარენით“. ეს კი გულისხმობს ხმოვანთა საჭირო განლაგებას ი - ა ე ი.

სათანადო მასალას გვაძლევს 1249-ე

სტროფი:

გარეშემონი ყველანი ი - ე ა ი

ხორციელანი ი - ე ა ი

ცეცხლი დამივსენ ცხელანი ე - ე ა ი

აწინდელანი ი - ე ა ი

ხელნაწერებში (FKOZ) მესამე ტაეპი ასეა წარმოდგენილი: დამივსე (სენ) ცეცხლი ცხელანი“, მაშასადამე, ი - ე ა ი.

1397-ე სტროფის „ჩავარდნილი კლავიშის“
შესახებ საგანგებო ეტიუდში ვისაუბრე. აქ მა-
ინც აღვნიშნავ. გვაქვს

აბჯრისა ჩხერება ა - ე ე ა

ხამს დაჯერება ა - ე ე ა

ცუდიღა ფერება ა - ე ე ა

თ ა ვ ი ს ტერება ი - ე ე ა

ასეთი სურათია 1988 წლის აკადემიურ გა-
მოცემაში. ხელნაწერებში გვაქვს საჭირო ფორ-
მა „თავისა ტერება“. მას ემხრობა უმრავლესი
„კარგი“ ხელნაწერი. მაში, გვქონია მეოთხე ა - ე
ე ა - ც.

მაშასადამე, კვლავ ცდება 1988 წლის
აკად. გამოცემა.

ზოგჯერ რუსთველური კანონზომიერება
დარღვეულია ამა თუ იმ ხელნაწერში სიტყვათა

შემთხვევითი ადგილმონაცვლეობის გამო.

ავიღოთ, მაგალითად, 1525-ე სტროფი:

ვპჰოვებ ვერა ე- ე ა

მას ეფერა ე - ე ა

დამებერა ე - ე ა

რასცა ოდენ იგი ჯერა ი - ე ა

მეოთხე ტაეპი ასეა წარმოდგენილი შანიძე-ბარამიძის, ასევე 1988 წლის აკად. გამოცემებში.

როგორცა ჩანს, აქ მომხდარა „ოდენ“ და „იგი“ სიტყვების გადაადგილება. ზოგ ხელნაწერში (DVWR' და სხვა) გვაქვს “იგი ოდენ“. ამ შემთხვევაში ყველაფერი რიგზეა:

რასცა იგი ოდენ ჯერა ე - ე ა.

მაშასადამე, ოთხივე ტაეპისათვის გვექნება: ე - ე ა.

არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერების შუქზე „ვეფხისტყაოსანში“ რითმისწინა სიტყვების სექტორი სრულად შევისწავლე და ყველა დარღვევა გამოვავლინე, მაგრამ ის კი უნდა იყოს ნათელი, რომ კიდევ ერთი მყარი კანონზომიერება დადგინდა, რაც დიდად წაადგება პრაქტიკულ რუსთველოლოგიურ ტექსტოლოგიას.

შენებებული გულების საიდუმლო „ვეფხისტყაოსანში“

მსოფლიო ლიტერატურის ლირიკულ შედევრებს შორის „ობოლი“ მარგალიტივით ბრწყინავს „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“ ქაჯეთის ციხიდან. აქ ერთმანეთს ენაცვლება ნაზი, ფაქიზი, ადამიანური განცდები, ჰაეროვანი ლირიზმი და ღრმა ფილოსოფიუ-

რი მოსაზრებანი. ყველაფერი ეს კი შეზავებულია მაღალ ესთეტიკურ და მხატვრულ დონეზე.

თუმცა ბევრი რთული ფილოსოფიურ-თეოლოგიური პასაჟი და ცალკეული ცნება გვხვდება პოემის ამ მონაკვეთში, ისინი ბუნდოვანებებსა და გაუგებრობებს მაინც არ ქმნიან. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია მეორე სტროფის მესამე ბრძანი: „*მ ე გ უ ლ ი შ ე ნ ი ქ ა ღ ა ღ დ ა დ გ უ ლ ს ა ვ ე ჩ ე მ ს ა ვ ა წ ე ბ ი*“.

აი, იგი კონტექსტითურთ:

ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონალვანები,

ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნავლელსა ამონანები;

მე გული შენი ქალალდად გულსავე ჩემსა ვაწები,

გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხ-სნები, ან ები!

აზრის საერთო მეტაფორული ფონი აქ მისახვედრია: ეს ბარათი ნამდვილად ჩემი შედგე-

ნილია; ლერწამივით ტანი კალმად მოვიმარჯვე, ეს კალამი კი მელნის ნაცვლად ნაღველში ამოვანე; შენი და ჩემი გული ქალალდივით გამოვიყენე და ზედ ჩვენი მწუხარე გრძნობები დავწერე; ტკივილითა და უბედურებით გაშავებული გული შენს სიყვარულზეა დაბმული და ნუმცახსნილა ნურასოდეს, დაე ებას!

მაგრამ გაუგებარია მესამე ტაეპის კონკრეტული, არამეტაფორული პლანი — შენი გული ჩემს გულს ქალალდად (ქალალდივით) ვაწებეო.

რანაირად წარმოვიდგინოთ გულის გულზე ქალალდად, გინდა ქალალდივით, დაწებება? აქვს კი ამ გამოთქმას რაიმე აზრი?

რა თქმა უნდა, ამ ამოცანას ვერასოდეს გადავწევეტთ, თუ არ გავითვალისწინეთ ზოგიერთი ხელობის თავისებურება, რაც რუსთველის დროინდელი მსმენელისათვის სავსებით გასაგები იყო, ხოლო თანამედროვე მკითხველისათვის ფრიად გაუგებარი და დაფარულია. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში საქმე ეხება ქალა

ლ დ ო ს გამოყვანის, დამზადების წესს. თუ ამ ხერხს გავარკვევთ, ფრაზის შინაარსი უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოვა, ნათელი გახდება.

ქაღალდის კუსტარული წარმოება სადღეისოდ ბევრ საიდუმლოსა და დაფარულს შეიცავს (გ.ვ. გრიგორიევი, ქაღალდის კუსტარული წარმოება უზბეკეთში, გვ. 18). აღნიშნულის შესახებ ბევრ საინტერესოს მოგვითხრობს XII საუკუნის მწერალი ჰუბაიშ თიფლისელი თავის „ხელობათა აღწერილობაში“, ოღონდ ჩვენი საკითხისათვის უმჯობეს პასუხს გვაძლევს რ.გ. მუკმინოვა (იხ. მისი „ნარკვევები ხელობათა ისტორიიდან XVI საუკუნის სამარყანდსა და ბუხარაში“, ტაქ-კენტი, 1978). როცა მკვლევარი გადადის ქაღალდის კუსტარული დამზადების წესთა მიმოხილვაზე, მიუთითებს:

„საქაღალდე მასა (ფაფა) ისხმებოდა ორ პრიალა საყალიბე დაფაზე და საგანგებო გორგოლაჭით („კატოკი“) იწურებოდა. ორივე ყა-

ლიბზე დასხმული და სათანადოდ დაწურული მასა გარკვეული შეშრობის შემდეგ იფარებოდა სახამებლის („კრახმალის“) წებოთი (კეთდებოდა ბრინჯის ნახარშისაგან). ამ წებოთი ერთმანეთზე აწებებდნენ ყალიბებს ისე, რომ ფიცრები გარეთ მოქცეულიყო. აი, როგორ მზადდებოდა ქალალდი“ (გვ. 101).

მაშასადამე, აქ საგულისხმო ისაა, რომ ერთი ფურცლის (კეფი) მისაღებად საჭირო ყოფილა ორი დაფის (ყალიბის) ქონა. 1 ერთეულის, 1 მთლიანობის მისაღებად საჭირო ყოფილა 2 ცალკეული ნახევრის ერთმანეთზე შეწებება და 1 მთლიანობის ამგვარად მიღება.

ამის შემდეგ გასაგები ხდება საძიებელი ტაეპის შინაარსი, მისი რეალური ქვეტექსტი:

**მე გული შენი ქალალდად გულსავე ჩემსა
ვაწები.**

პროზაულ ენაზე ეს ნიშნავს: მე შენი გული ჩემს გულს ქალალდივით შევაწებე. ესე იგი, როგორც ერთი ერთიანი ქალალდის ფურცლის მი-

საღებად საჭიროა მისი ორი, ცალ-ცალკე არსებული, დაშორიშორებული ნაწილის შეერთება, ისე მეც, ჩემი წარმოდგენით, შენი და ჩემი გულები ერთიმეორისათვის დამიწებებია, შემიერთებია, არ გამიცალკევებია; ერთი სიტყვით, არასოდეს მიღალატია, ფიქრადაც არასოდეს გამივლია შენი და ჩემი გულების გაყრაო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნესტანს ერთი გულის ორ ცალკე არსებულ ნაწილებად წარმოუდგენია მისი და ტარიელის გულები, რომელთაც ცალ-ცალკე, შეუერთებლად არსებობა ისევე არ შეუძლიათ, როგორც ცალ-ცალკე არ არსებობს ერთი ქაღალდის ორი ზედაპირი, წინა და უკანა მხარე („რექტო“ და „ვერსო“).

ამ ვითარებას აქვს უფრო ღრმა ძველი ქრისტიანული გააზრებაც.

ბიბლიური წარმოდგენით (რაიც ქრისტიანობამ გაიზიარა და რაც ესოდენ მაღალოსტატურად გამოიყენა ვ. ბარნოვმა „ტკბილ დუდუკში“), ქალი და კაცი ოდესლაც ერთ არსებას შე-

ადგენდნენ. ღმერთმა ისინი განაცალკევა, ერთი
მთლიანი ორ ნახევრად აქცია, მაგრამ ერთმანე-
თისადმი მძაფრი სულიერი ლტოლვა ცხოვრე-
ბის იდეალად დაუსახა და ეს ლტოლვა ბოლოს
მათი შეერთებით უნდა დამთავრდეს თუ სააქა-
ოში არა, საიქიოში მაინც. ვფიქრობ, ეს იდეა
ირეკლება კიდეც, როდესაც ავთანდილი ასე
ანუგეშებს ნესტანდაკარგულ ტარიელს:

**ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაე-
ბადენით,**

**ალარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა
ცრემლთა დადენით!**

**სდევს ფათერაკი მიჯნურსა, განჭვრიტეთ,
გაიცადენით,**

**თქვენ ერთმანერთი არ მოგხვდეს, მე სულ-
ნი ამომხადენით!**

ამის საფუძვლად ავთანდილს ის მიაჩნია,
რომ ზენაარი თავდაპირველად თქვენს სულიერ
ერთობას არ ჩაიფიქრებდა, თუ საბოლოოდ გა-

საყრელად უნდოდითო. ეს იდეა გამოხატულია სპასპეტის სხვა სიტყვებში:

თუმც უნდოდით გასაყრელად, ჰირველ ერ- თად არ შეგყრიდა.

მაშასადამე, ოპტიმისტი ავთანდილის იდე-ით, ისინი საბოლოოდ მაინც შეერთდებიან და შეერთდებიან აქვე, სააქაოში.

პესიმისტი ტარიელი და ასევე პესიმისტურად განწყობილი ქაჯეთის ტუსაღი ფიქრობენ, რომ, მართალია, სააქაოში ისინი ვეღარ შეერთდებიან, ოღონდ საიქიოში ხომ ამას ხელს ვეღარაფერი შეუშლის, ვინაიდან ღვთის მიერ ერთ არსებად ჩაფიქრებული და შემდეგ განყოფილი ორი ნახევარი ერთ ორგანულ მთელად უნდა შეერთდეს სულეთში მაინც. ამ იდეას მკაფიოდ ავლენს ქაჯეთის ციხეში მყოფი ნესტანის სიტყვები, ტარიელისადმი მინაწერი: — მე მოვკვდები, დავეხსნები საამქვეყნო ოთხ ელემენტს. ჩემთვის ილოცე, რათა ამის შემდეგ ღმერთმა მომცეს ფრთები და სასუფეველში

აფრინდეს ჩემი სული, იქ, სადაც შენც უსათუ-
ოდ მოგიწევს ასვლა, რადგან

**მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ
ხარ მისი წილი,**

**განალამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ
წბილი!**

**მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო
გული ჩრდილი,**

**თუ სიცოცხლე მნარე მქონდა, სიკვდილიმ-
ცა მქონდა ტკბილი!**

მაშასადამე, მართალია, სააქაოში ხორციე-
ლი შეერთება ვერ ვიგემეთ და ნაცვლად სიმწა-
რე გვხვდა, ამ ტანჯვის საზღაურად ჩვენი სუ-
ლების სამოთხეში შეხვედრა-შეერთება-დაქორ-
ნინება იქნება სანეტარო და იქ მაინც გავიხა-
რებთო.

ამ შეერთებას, საკუთრივ პირდაპირი გაგე-
ბის გარდა, აქვს საინტერესო მეტაფორული
ქვეტექსტი. ტარიელი ლომ მია, ნესტანი — მზე.
მზის ბუნიობის ადგილი და სახლია ლომის

თანავარსკვლავედი. ლომის ზოდიაქო შერაც-ხულია მზის სახლად. მათი შეხვედრა და დაქორწინება სწორედ აქ ხდება. მაშასადამე, გადაკვრითაც, ქვეტექსტითაც მინიშნებულია იმაზე, რომ საბოლოოდ მზე, რაც არ უნდა იაროს და იხეტიალოს, მაინც შევა ლომის ზოდიაქოში, ღვთისაგან დანიშნულ და იმთავითვე განმწესებულ სამყოფელში.

ასე მოხდება მზის (ნესტანი) და ლომის (ტარიელი) დაქორწინება ცათა სასუფეველში, რადგან მზის წილი (წილხვედრი) არის ლომის ზოდიაქო. ესე იგი, ნესტანის წილხვედრია (იმთავითვე) ტარიელი.

აი, რაოდენ საინტერესო სამყარო მდგარა ერთი შეხედვით ბუნდოვანი რუსთველური ტაეპის უკან, აი, რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა ერთ-ერთი კუსტარული ხელობის არსის ცოდნა მკვლევარისათვის.

ობოლი მარგალიტის საიდუმლო „ვეფხისტყაოსანში“

ქართული ეროვნული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ გვაოცებს თვალთა პატიოსანთა სიუხვით. აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით სცენებს, სადაც ძლვნად აძლევენ და იღებენ „თვალთა თლილთა“, „პირწმინდად განათალთა“. ლალი და ბალახში, გიშერი და მარგალიტი, ანთრაქსი და ქარვა, ოქრო და ვერცხლი, რვალი და ალმასი ხელიდან ხელში, ჯიბიდან ჯიბეში, სახელმწიფოდან სახელმწიფოში გადადის, წკრიალებს და ელვარებს, თვალსა გვჭრის და სმენას გვიამებს. ამის შემყურე კონსტანტინე ჭიჭინაძე ტყუილად როდი შენიშნავდა, როცა ეს სტრიქონები მოჰყავდა:

სამი ათასსა აჲკიდეს მარგალიტი და თვალები,

თვალი ყველაი დათლილი იაგუნდი და ლალები —

სიტყვა „ყველაი“ აქ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოსდა პოეტი ამ თვალ-მარგალიტში ნება-ნება ხელს ურევდესო.

ყურადღებას იქცევს მარგალიტის განსაკუთრებული ფუნქცია პოემაში. იგი არის მეტაფორა სიწმინდის, ცრემლის, უმანკო პიროვნების, ძლვნის, სიტყვის, კბილისა; არის შეუღლების სიმბოლო და პირობაც...

ამ მხრივ ღვთაებრივ მკვლევარ ვიკტორ ნოზაძეს ყველაფერი გამოწვლილვით აქვს გარკვეული და აღარაფერს ვიტყვი (იხ. „ფერთა-მეტყველება“, გვ. 122-128).

ჩემი მსჯელობა შეეხება ობოლ მარგალიტს, კერძოდ, მისი სიდიდე-მოცულობის საკითხს.

„ობოლი მარგალიტი“ პოემაში ბევრგანაა ნახსენები და გულისხმობს უსწორო, უტოლო, უდედმამო, უძმო და უდო ეგზემპლარს. „ობოლი“ იმიტომაცაა, რომ მსგავსი არ მოეძევება. ეჭვი არაა, აქ სილამაზეზე არაა საუბარი, ვინაიდან სილამაზით კონკრეტული ფერის მარგა-

ლიტი (იგი ფერის მიხედვითაც ნაირგვარია) თანაბრად ლამაზია, თუ უნაკლოა, ესე იგი, რა-იმე ხარვეზი არა აქვს. ამგვარს პოეტი უწო-დებს „მრთელს“.

მაშასადამე, შეიძლება, ვილაპარაკოთ მხო-ლოდ სიდიდის მიხედვით ო ბ ო ლ მარგალიტ-ზე.

პროლოგშივე ვკითხულობთ ერთობ საინტე-რესო ფრაზას:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარ-გმანები.

ვით მარგალიტი ობოლი,

ხელისხელ საგოგ მანები.

თუკი მივიჩნევთ, რომ „მარგალიტი ობოლი“ გულისხმობს არა ფერისა და ხარისხის მიხედ-ვით, არამედ სიდიდით გამორჩეულ თვალს, მა-შინ „ვეფხისტყაოსნის“ „ობოლ მარგალიტად“ გამოცხადება ოდნავ სხვაგვარ განათებას მიი-ღებს — პოემა არის დიდი, ვრცელი ამბავი, „გრძელად“ ნათქვამი, მოცულობით უჩვეულო

და, ამდენად, იგი შეესაბამებაო „ობოლ“, უტოლო, ქართულ სინამდვილეში არარსებულ ვრცელ ქმნილებას. ესე იგი, ძირითადი აქცენტი გადავა სიდიდეზე, მოცულობაზე.

მსგავსი თვალსაზრისი რომ საფუძველს მოკლებული არაა, ამაში ქვემორე დავრწმუნდებით.

პოემაში ხშირადაა ნახსენები ჩვეულებრივი მარგალიტი, ნახსენებია მსხვილი მარგალიტიც, ფერადიც (ვარდისფერი), მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა **მტრედის კვერცხისოდენა** და კიდევ უფრო საოცარი — **პატის კვერცხისოდენა** მარგალიტის დასახელება. მტრედის კვერცხისოდენა მარგალიტის თაობაზე თვალთა პატიოსანთა დიდი მცოდნე ვ. ნოზაძე წერს:

„სიდიდის მხრივ: მარგალიტის ოდენობა ქანაობს ყაყაჩოს თესლსა და მუხუდოს შუა; იშვიათია მარგალიტი, რომელი ბალს ან ტრედის კვერცხს უდრიდეს, მაგრამ ასეთი მაინც არსებობს“ („ფერთამეტყველება“, 123).

მართლაც, სხვა მკვლევარებიც (ტეიფაში, ფერსმანი...) გვიმოწმებენ, რომ ბლის ან მტრე-დის კვერცხისოდენა მარგალიტები თითო-ოროლა არსებულა კაცობრიობის ისტორიაში, ოღონდ არც ერთ მკვლევარს არ უნახავს ბატის კვერცხისოდენა მარგალიტი, ამოღებული ზღვიდან. არადა, რუსთველი ერთგან წერს — ფრიდონმა ტარიელს აჩუქაო 9 ბატის კვერცხი-სოდენა მარგალიტი:

ცხრა მარგალიტი, სიღიღით მართ ვითა კვერცხი ბატისა.

ამგვარი მარგალიტი მკვლევრებს, ჩვეუ-ლებრივ, ჰიპერბოლად წარმოუდგენიათ. თვით ვ. ნოზაძე ბრძანებს, რუსთველმა ახსენაო „სი-დიდის მხრივ: 1) მარგალიტი ჩვეულებრივი; 2) მარგალიტი ტრედის კვერცხის ოდენა (რომე-ლიც არსებობს); 3) მარგალიტი ბატის კვერ-ცხის ზომისა (რომელიც ბუნებაში არ არსე-ბობს); 4) მარგალიტი ბურთის ოდენა (რომე-

ლიც არ არსებობს)“. იხ. „ფერთამეტყველება“, 135.

დიახ, ყველაფერი ეს ასეც გახლავთ მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში, ოღონდ, თურმე, არსებობს საგანგებო ნაშრომი, რომელიც ჩვენს წარმოდგენებს თავდაყირა აყენებს. აღმოჩნდა, რომ აქ არავითარ ჰიპერბოლა-გაზვიადებასთან არა გვქონია საქმე — მართლა არსებულა ბატის კვერცხისოდენა მარგალიტი!

XII საუკუნის თბილისელი არაბი მწერალი ჰუ ბაი ში, რომელიც წერდა საგანგებო ტრაქტატებს თი ფლისე ელის ნესტით, იკვლევდა და აღწერდა სხვადასხვა ხელობას და ამ ხელობათა საიდუმლოებებს, ამა თუ იმ ნივთის, საგნის დამზადების წესსა და რიგს. XI-XIII საუკუნეებში, კუსტარული წარმოების დროს, იმდროინდელი მწერლის ესა თუ ის ნათქვამი გასაგები იქნებოდა ყოველი მაშინდელი მკითხველისათვის, რამდენადაც ამა თუ იმ ხელობის წესი და რიგი მისთვის ცნობილი იყო; მაგრამ შემდეგ ეს

ხელობანი გარდაიქმნენ, გარდაქარდნენ, მოუბრუნებლად მიეთარნენ ისტორიის მოსახვევს და დღევანდელი მკითხველისათვის მაშინდელი მწერლის ესა თუ ის ფრაზა, რომლის გაგებაც იმდროინდელი საწარმოო ტექნიკის ცოდნას მოითხოვს, ყრუ და ბრმა გამხდარა.

სწორედ ამგვარი ვითარება გვაქვს ბატის კვერცხისოდენა მარგალიტის შემთხვევაშიც.

ჰუბაიშ თიფლისელის ნაწერებიდან ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომია „ხორასნული სტილით“ დაწერილი ტრაქტატი „ხელობათა აღწერილობა“ (იგი გამოსცა „ნაუკამ“. იხ. ჰუბაიშ ტიფლისი. ოპისანიე რემესელ. მოსკოვი, 1976. ქართულად პირველი ცნობა ამის შესახებ მოგვცა გ. ჯაფარიძემ. იხ. „წიგნის სამყარო“, 1977, 26 იანვარი).

რისალის (ტრაქტატის) ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს ასე ეწოდება — „მარგალიტის დამზადება“.

აქ ვეცნობით სხვადასხვა (ჩვენთვის სასურველი ნებისმიერი) ზომის მარგალიტის დამზადების ხერხებსა და ილეთებს, საიდანაც ირკვევა, რომ X-XIII საუკუნეების თბილისა და მის რეგიონში ცნობილი ყოფილა რაგინდარა სიდიდის მარგალიტის დამზადების ტექნოლოგია. აი, როგორ მზადდებოდა წვრილ-წვრილი მარგალიტებისაგან მსხვილი (ობოლი) მარგალიტი:

„დაე, აიღონ ორი დირჰემი წვრილი მარგალიტი და იგი დაფხვნან როგორც საოლავი; შემდეგ აიღონ ორი დანიკი „შიზრაკი“ და აურიონ იმავე რაოდენობის თეთრ ნიშადურში, ხოლო შემდეგ ამ ნაზავს დაუმატონ ციტრონის მჟავე წვენი იმგვარად, რათა მან დაფაროს ეს ნაერთი. ყველაფერი ეს კი ჩაასხან შუშის ჭურჭელში. ამის შემდეგ შუშა ცეცხლზე შემოდგან. როდესაც ცეცხლი „სკლიანკის“ ძირს გაახურებს, ნაზავი ცომის გუნდას დაემსგავსება. დაე, ამ ცომისაგან კარგად დაბანილი ხელის გულებით დააგოგ მანონ მრგვალი

მარგალიტები იმ ზომისა, რა ზომისაც
სწადიათ. შემდეგ გაუკეთონ ნახვრეტი ღო-
რის ჯაგრით და ნედლი მარგალიტი მოათავსონ
ცოცხალის (ნედლი თევზი) ნაღვლის ბუშტში,
ბუშტი კი ჩააბრუნონ თევზის მუცელში, რომე-
ლიც უნდა ამოიკეროს. ამის შემდეგ, დაე, თევ-
ზი ღუმელში ჩვეულებრივ შეწვან, შემწვარი გა-
მოიღონ, გააგრილონ და მისი მუცლიდან ამოი-
ღონ მარგალიტი. შემდეგ გარეცხონ იგი მწარე
მარილნარევი სადაფის ხსნარით. თუ მარგალი-
ტი გასუფთავდება, ამოიღონ ხსნარიდან. თუ
არა, მანამდე რეცხონ, ვიდრე არ გახდება სუფ-
თა წყლისა (ჯავარისა)“ (გვ. 78-79).

ამის შემდეგ, ვფიქრობ, გასაგები ხდება ნამ-
დვილი შინაარსი ფრაზისა —

ვით მარგალიტი ობოლი,

ხელის ხელ საგოგმანები.

ობოლი, უტოლსწორო, სიდიდით გამორჩეუ-
ლი მარგალიტი ხელისხელ გოგმანით კეთდება:
სამარგალიტე ცომის ხელისგულით დაგოგმა-

ნების, დაგორგოლავების შემდეგ ვიღებთ ხოლ-
მე ობოლ, უსწორო, უდიდეს მარგალიტს, რომ-
ლის ზომა და მოცულობაც ჩვენს წადილზეა
დამოკიდებული.

როგორ მარგალიტად შევრაცხოთ ამგვარი
თვალი პატიოსანი?

იგი უნდა მივიჩნიოთ ბუნებრივ მარგალი-
ტად, რადგან დამზადებულია ბუნებრივი, ჩვეუ-
ლებრივი წვრილი მარგალიტებისაგან. მას იგი-
ვე წყალი (ლაპლაპი, ბზინვარება) აქვს, რაიც
ზღვიდან ამოღებულს, ოღონდ მისგან გამოირ-
ჩევა მხოლოდ სიდიდით, სიობლით. ყურადღება
უნდა მიექცეს ჰუბაიშ თიფლისის ერთ საგანგე-
ბო მითითებასაც — მარგალიტის დაგოგმანე-
ბისას ხელები კარგად უნდა იყოს დაბანილიო.
ეს იმიტომ გახლდათ საჭირო, რათა თვალი პა-
ტიოსანი გამოსულიყო, რუსთველის ენითა რომ
ვთქვათ, „მრთელი“ — ესე იგი, უნაკლო, გარე-
შე მინარევებისაგან დაზღვეული.

სახელი „ფატმანი“

გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსთველის პევრი პერსონაჟის სახელი ე.წ. „მოლაპარაკე“ სახელია. ზოგიერთი მათგანი იოლად „იშიფრება“. მაგალითად, ტარიერი იგივე შაპრიერი არისო. „შაპრიარი - შაპრიერი“ იგივე პროვინციის მეფეა, შაპინშაპის ერთ-ერთი მონა და ბანდაყული; ასევე, ზედაპირზე დევს შინაარსი სიტყვისა ნესტან-დარეჯანი. ეგ იგივეა, რაც სპარსული **ნესტანდარე ჯაპაან** (არ არსებობს დედამიწაზე, ანუ ასე ლამაზი არავინაა დედამიწის ზურგზე). სტრუქტურულად ამ უკანასკნელსა ჰგავს **ამირანდარე-ჯაპაან** (უძლიერესი ქვეყანასა ზედა).

იყო ცდა, რაიმე შინაარსი გამოეყვანათ შემდეგი სახელებიდან: ნურადინ ფრიდონი, მულღაზანზარი, თინათინი და სხვ.

სხვათა შორის, ცნობილია, რომ ამა თუ იმ სახელს ამა თუ იმ ქვეყანაში უსათუოდ აქვს რაიმე მნიშვნელობა და აქ მოულოდნელი არაფე-

რია, ოლონდ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, ავ-ტორმა რა მიზნით და რა მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენა ესა თუ ის სახელი და სახელწოდება, ამ გზით კი როგორ გააღრმავა მათი შინაარსი.

რა თქმა უნდა, შუშანიკი ეფუძნება ლამაზ ყვავილს **შროშანი**. შროშანი იგივე სოსანი, სოსანა გახლავთ და ქალის ყვავილივით სინაზესა და სილამაზეზე აკეთებს აქცენტს. იგივე ითქმის სახელზე ვარდუა ანდა ვარდიკო. „იკ“ პატარაობა - ალერსობითობის გამომხატველი ფორმანტია ორივე შემთხვევაში; ასევე, ერთობ იოლად გასაგებია მთვარისა, მზისახარი, ვარდისახარი და ა.შ.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ გაცნობამ საშუალება მომცა გამერკვია, თუ რასა ნიშნავს ფატმანი და სახელდობრ ამ პერსონაჟს რადა ჰქვია ეგ სახელი; შემთხვევითია ეგ მოვლენა თუ საგანგებოდ გააზრებული?

აღმოჩნდა, რომ პერსონაჟის სახელი ფატმანი ღრმად სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს.

ჯერ ის გავიხსენოთ, თუ რა ფუნქციას ასრულებს ეგ ბანოვანი ქმნილებაში. ის ასრულებს შემაკავშირებლის, დამაკავშირებლის, შემაერთებლის, მეკავშირის როლს. იგი ერთმანეთთან აკავშირებს ქაჯეთის ტყვე ნესტანსა და მის გამომხსნელ „მათ სამთა გმირთა მნათობთა“.

ხოლო თავის „შაჰ-ნამეში“ ფირდოუსი გვიხსნის: საშუალო სპარსული სიტყვა ფატმანი ნიშნავსო კავშირს, დაკავშირებას (იხ. „შაჰ-ნამე“, ბანუ ლახუთის თარგმანი რუსულად, 6, გვ. 616).

სხვათა შორის, აღვნიშნავ: მაჰმადის ქალიშვილს ერქვა ფატიმე (გამომამჟღავნებელი).

მაშასადამე, რუსთველმა თავის ერთ-ერთ ფრიად საინტერესო პერსონაჟს უდიდესი საიდუმლოს გამომჟღავნება დაავალა და სახელიც შესაფერისი შეურჩია. მაშ, აქ პერსონაჟს მიზან-მიმართულად დაერქვა სახელი „გამამჟღავნებელი“, რაკიდა პოემის უმთავრეს საიდუმლოს ამჟღავნებს და გმირებს შუამდგომლობასა და მეკავშირეობას უწევს.

III. აბდულმესიადა

ამ თემაზე უკვე გამოსულია „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“ (2010). აქ წარმოდგენილი მასალა იმ წიგნის მეორე ნაწილია.

ავტორი

მინორატისა და მაიორატის პრობლემა ე.წ. „აბდულმესიანში“

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბორის დარჩიამ მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელში“ დაასაბუთა, რომ ე.წ. „აბდულმესიანი“ არ ეკუთვნის იოანე შავთელს და არც მე-12 საუკუნის ძეგლია; რომ მისი ავტორია იაკობ შემოქმედელი, მიტროპოლიტი, ხოლო სახოტბო პოემა, რომელში პერსონაჟი აბდულმესია ნახსენებიც არაა, გახლავთ „არჩილ მეფის ქება“. იმავე პრობლემას ეხება ჩემი წიგნი „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“. აქ სრულიად სხვა არგუმენტების მოხმობით დადასტურდა, რომ იაკობ მიტროპოლიტის ტექსტი ეძღვნება არჩილ ბაგრატიონს და იგი ვერ შეიქმნებოდა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე.

ჩემს წიგნში მოყვანილ არგუმენტებს უნდა მიემატოს კიდევ ერთი. იგი კულტუროლოგიური საკითხია და ეხება სამეფო მემკვიდრეობას.

საქმე ისაა, რომ, თუ პოემა ეძღვნება ან და-
ვით აღმაშენებელს, ან თამარ მეფეს, ან კიდევ
დავით სოსლანსა და ლაშა-გიორგის, როგორც
ეს ჩვენს მეცნიერებას „აქამომდე“ ეგონა, მაშინ
სრულიად გაუგებარია, რად დასჭირდა ტექ-
სტის ავტორს, წამოეჭრა მინორატისა და მაიო-
რატის საკითხი. ამის გამო გაკვირვება კიდევაც
არის გამოხატული სამეცნიერო ლიტერატურა-
ში. ივანე ლოლაშვილი ამ პოემა-ხოტბის შეს-
ხმის ობიექტად დავით მეფეს მიიჩნევდა. ამი-
ტომ პრობლემა ვერ გადაეწყვიტა. იგი გაოცე-
ბული დარჩენილა იმით, თუ რად დასჭირდა
ხოტბის ავტორს ესავის ამბის ხსენება. პროფე-
სორი წერს: „ესავის გულისწყრომა და რისხვა
იაკობის მიმართ, ბიბლიური გადმოცემით, გა-
მოიწვია იმან, რომ იაკობმა მამისგან, ისაკისა-
გან, ზაკვით მიიღო კურთხევა. ამაზე ესავი აღ-
შფოთდა, გაბოროტებულმა „თქვა გონებასა
თვისასა: ... მე მოვკლა იაკობ-ძმაი ჩემი“, მაგ-
რამ, დედის რჩევით, იაკობი ბიძამისის სამშობ-

ლოში გაიქცა. ამით მან ესავის რისხვას თავი დააღწია (შესაქმე, თავი 27).

პოეტი რატომ იხსენიებს ამას დავითთან და-კავშირებით, გაურკვეველია“ (ი.ლოლაშვილი, მეხოტბენი 2, თბ., 1964, გვ. 189).

არადა, ეს საკითხი ე.წ. „აბდულმესიანში“ მკაფიოდ არის დაყენებული. აქვე შევნიშნავ: იგივე პრობლემა კიდევ უფრო აშკარად და მწვავედ წამოჭრილია სწორედ იაკობ შემოქმე-დელის „ნამდვილ“, მეორე და უდავო ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“.

მაშასადამე, ქართულ მწერლობაში ერთა-დერთი ავტორი, რომელიც აღნიშნულ პრობლე-მას აქტიურად განიხილავს, გახლავთ იაკობ მიტროპოლიტი.

მინორატი ეწოდება წეს-ჩვეულებას, ანუ ადათს, როდესაც მემკვიდრედ აღიარებულია უმცროსი შვილი, ხოლო მაიორატი ჰქვია წეს-ჩვეულებას, როდესაც სამემკვიდრეო უფლებე-

ბი მამიდან გადადის უფროს შვილზე. აღნიშნული საკითხი არ უნდა დამდგარიყო და ვერ დადგებოდა (არც დამდგარა) დავით აღმაშენებლის სამემკვიდრეო უფლებებთან დაკავშირებით; ასევე გარკვეულ გარემოებათა გამო ვერ დადგებოდა ვერც თამარის შემთხვევაში; ასევე ვერ დადგებოდა დავით სოსლანის გამო, რადგან იგი ზედსიძედ, თანამეფედ, მოიწვიეს და სამემკვიდრეო უფლება მასთან დაკავშირებით არაფერ შუაშია. ასევე უკონკურსო გახლდათ ლაშა-გიორგი, ვითარცა თამარ ბაგრატიონის ერთადერთი ვაჟი.

ამრიგად, თუ ე.წ. „აბდულმესიანი“ რომელიმე ამათგანის ხოტბაა, მაშინ გაუგებარია, რადდასჭირდა ტექსტის ავტორს ზემოხსენებული საკითხის წამოჭრა და დაყენება? ხოლო, თუ პოემის ადრესატი არჩილ ბაგრატიონია, მაშინ გასაგებია, თუ რად დადგა მისდამი მიძღვნილ ქმნილებაში ეგ პრობლემა. საქმე ისაა, რომ შაჰნავაზს, ვახტანგ მეხუთეს, ჰყავდა 6 ვაჟი და 2

ქალი: არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევანი,
ლუარსაბი, სოლომონი, ანუკა, თამარი (იხ.
მ.ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სა-
მეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია –
XVII-XVIII, წიგნში „მრავალთავი“, ფილოლოგი-
ურ-ისტორიული ძიებანი, V, 1975, გვ. 199). მათ-
გან ბევრი იყო სამეფო ღირსებით არჩილის
ფარდი ან, შეიძლება ითქვას, უკეთესიც კი. მა-
გალითად, შაჰნავაზის „პირმშო“ შვილის არჩი-
ლის მომდევნო ძმა გიორგი XI. ამიტომაც სავსე-
ბით ბუნებრივია, რომ იმ დროს, როცა იაკობ შე-
მოქმედელი „არჩილ მეფის შესხმას“ წერდა და
ქართველ მეფეთა კარზე მტკიცედ არ იყო გარ-
კვეული, რომელ წესს მიჰყოლოდნენ, მინორატ-
სა თუ მაიორატს, არჩილის მეხოტბე მგოსანს ეს
საკითხი წამოეჭრა და მხარი დაეჭირა არჩილი-
სათვის სასარგებლო ადათის, მაიორატისათ-
ვის. ცნობილია, რომ არჩილის იმერეთის ტახ-
ტიდან ჩამოგდების შემდეგ (1663) იმერეთში
ფეხის მოკიდებას ლამობდა და საამისოდ კიდე-

ვაც ირჯებოდა არჩილის ერთ-ერთი მომდევნო
ძმა ლუარსაბი.

თავის დროზე, ხოტბის წერისას, იაკობ შე-
მოქმედელს რომ ადათის საკითხი წამოენია,
სწორედ უპრიანი გახლდათ. დიახ, ეს საკითხი
მან წამონია და თავისი შესხმის ობიექტის სა-
სარგებლოდაც გადაწყვიტა.

ამრიგად, მარტო ეგ არგუმენტიც საკმარი-
სია, რათა ე.წ. „აბდულმესიანი“ მიტროპოლი-
ტის ქმნილებად ვაღიაროთ და იგი XII საუკუნეს
მოვწყვიტოთ.

ახლა ვნახოთ, როგორ არის ეს საკითხი წა-
მოჭრილი და გადაწყვეტილი იაკობ შემოქმედე-
ლის ერთ უდავო და მეორე „სადავო“ ნაშრომში.

„გაბაასებაში“ იაკობი აყენებს საკითხს, თუ
ვის აქვს მეტი პატივი ბიბლიაში: ესავსა თუ ია-
კობს?

ცნობილია, რომ ბიბლიურ ისააკს ჰყავდა
ორი ძე: უფროსი, ანუ პირმშო, ესავი, ვისაც, მა-
შინდელი წესით, ეკუთვნოდა სამემკვიდრეო

უფლებები და იაკობი (უმცროსი). დედის, რებე-
კას, ეშმაკური ჩაგონებით, უმცროსმა ძმამ მოა-
ხერხა და ბრმა მამის წინაშე ესავად გადაცმუ-
ლი წარდგა. ასე გამოსტყუა მშობელს კურთხე-
ვა (დაბადება 27, 1-25; 29-34).

ამრიგად, მოხდა ავი საქმე, უკულმართი რამ.
უფროსის მაგიერ „პირმშოობა“ (სამემკვიდრეო
უფლება) დაინარჩუნა უმრწემესმა ძმამ. არჩილ
მეფის მომხრე და მეხოტბე მიტროპოლიტი ამ
უზნეობას საგანგებოდ კიცხავს, როცა „გაბაა-
სებაში“ ბრძანებს:

დაუბრყვილდეს ისაკს თვალნი, ველად
გახვნის ესავი სა;

რებეკასგან ნასწავლები იაკობს რწამს
ეს ავისა:

პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოს-
პით ესა ვისა? (63)

რა გამოდის?

იაკობ მიტროპოლიტი კიცხავს უზნეობას,
პირმშოობის პატივის მიტაცების ფაქტს. ამ

მხრივ საგულისხმოა მეორე ტაეპი. აქ ავტორი პირდაპირ აცხადებს: რებეკასგან ნასწავლები ავი საქმე (ეს ავისა) იაკობს სწამს, მოსწონსო.

მაშ, რებეკა შვილს, თურმე, ავ საქმეს აკეთებინებს, ავ გზაზე აყენებს. ამ სიავეს შედეგად ის მოჰყვა, რომ „პირმშოდ იქმნა უმცირესი“. ეს კი, შემოქმედის აზრით, უკულმართობაა, დასაგმობია.

საინტერესოა მესამე ტაეპიც: „პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოსპით ესა ვისა?“

ტაეპს აქვს ღრმა საადათო საფუძველი.

დაბადებაში მითითებულია, რომ გათამაშდა იაკობის „მეორედ დაბადების“ იმიტაცია, რათა იგი „კანონიერად“ გამოცხადებულიყო, როგორც უფროსი ძმა, და ასე მიეღო პირმშობის პატივი. ჯეიმს ფრეზერი მიუთითებს: „გადმოცემა იმის შესახებ, რომ იაკობმა მოატყუა თავისი მამა ისაკი, თავის თავში შეიცავს თხისაგან მეორედ დაბადების უძველესი ცერემონიის გადმონაშთს. ეს ცერემონიალი აუცილებელი

ხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა უმცროს ძმას უნდა მოეპოვებინა პირმშოობის უფლება თავისი ცოცხალი ძმის საზიანოდ. სწორედ ასე იყო ინდოეთში, სადაც ძროხისაგან მეორედ დაბადების იმიტაციას ახდენდნენ“ (ჯეიმს ფრეზერი, „ფოლკლორი ძველ აღთქმაში“, მოსკოვი, 1990, გვ.264).

ახლა გასაგები ხდება, თუ რად არის დაბადებასა და იაკობ შემოქმედელის ტექსტებში ნახსენები უცნაური ტერმინები „თიკანი ოსპით“.

პირმშოობის პატივს ჩვენი პოეტი იცავს. მას სწამს, რომ ეს ადათი, რომელიც ძირითადად მაინც ხორციელდებოდა საქართველოში, აუცილებელია დავიცვათ. ეს იდეა კიდევ მეტად მოსწონდა პოეტს, რამდენადაც მისი ხოტბის საგანი გახლდათ სწორედ „პირმშო“ ძე, შაჰნავაზ ვახტანგ მეხუთის უფროსი ვაჟი არჩილი, პოეტისავე უშუალო პატრონი, როგორც იმერეთის ხელმწიფე.

საგულისხმოა, რომ ტერმინ „პირმშოს“ და პირმშოობის პატივს ასევე მოკრძალებით ეკი-დება სიტყვის ოსტატი თავის პირველ პოემა-შიც. ეს გასაგებია. „არჩილ მეფის ქებაში“ ხომ მისი ხოტბის საგანი სწორედ პირ მშო, პირ ველი, უხუცესი ვახტანგ ბაგრატიონისა.

გავსინჯოთ „არჩილ მეფის ქების“ 27-ე სტროფი. აქ წერია:

ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ,
მელქიზედეკის ლოცვით ზედა-მთით;
ესავისითა ეს ავი სითა,-
მაუწყონ მთქმელთა – თუცა რათ ურ-
თით?

ვხედავთ, აქაც იგივე ეს ავია წარმოდგენილი, რომელიც ძმამ გააცურა. სტროფში გამოხატულია იდეა: შენ, ჩემო მეფევ, არჩილ ბაგრატიონო, ბიბლიური ისაკივით პირმშოობ: ისაკივით ნამდვილი, უდავო, შეუცილებელი პირმშო (ანუ ტახტის მემკვიდრე) ხარ. ამიტომაც „კურ-

თხევით ნიშობ“. გამოთქმა „კურთხევით ნიშობ“ პირდაპირ წერია დაბადებაში (26,29). აქვე გან-
მარტებულია, ესავის ამბავი ცუდი ამბავიაო:
„ესავისითა ეს ავი სითა“.

სტროფის შინაარსი ასეთია: ისაკივით პირ-
მშო ხარ; ნიშნად გატყვია კურთხეულობა, ესა-
ვის მსგავსად როდი გაგცუდებია ან წაგრომე-
ვია პირმშოობის პატივი...

საგულისხმოა, რომ ადრე დაწერილ ხოტბა-
შიც და მოგვიანებით შექმნილ „გაბაასებაშიც“
სიტყვათა წყობა და რითმა ერთნაირია (იაკობ
შემოქმედელი საკუთარ თავს იმეორებს).

ქებაშია: ე ს ა ვ ი ს ი თ ა ეს ავი სითა.

გაბაასებაშია: ... ველად გახვნის ე ს ა ვ ი ს ა.

... იაკობს რწამს ე ს ა ვ ი ს ა.

დავაკვირდეთ: ქებაში პირველი სარითმო
სიტყვა არის საკუთარი სახელი „ესავი“, მეორე
– „ეს ავი არის“; იგივე სურათია „გაბაასება-
შიც“: პირველი სარითმო სიტყვაა სახელი „ესა-
ვი“, მეორე – „ეს ავი არის“.

საგულისხმოა სხვა მომენტიც. პოეტი – მიტ-როპოლიტი გაბაასებაშიცა და ქებაშიც მეორე-ჯერ აყენებს მაიორატის საკითხს. გაბაასებაში სხვაგან ვკითხულობთ:

ისაკ უკურთხა უფალმა პირმშოდ (მამამის-სო) (117, 118).

ავტორის მაიორატისადმი დადებითი გან-წყობა აქაც ფაქტია. ამ ფაქტს მეორედ ვხედავთ ქებაშიც:

სიბრძნისა ზღვასა ა რჩიოლ - პირმშოსა (53,3).

ამიტომ ყოვლად მოუთმენელია დავით რექ-ტორის მსახვრალი ხელით ტექსტში შემოტანი-ლი კონიექტურა- ... თამარ პირმშოსა.

საგულისხმოა, რომ არჩიოლ მეფეს ამ საგან-გებო მაიორატული ცნებით იხსენიებს ცნობი-ლი მწერალი, იაკობ დუმბაძის თანამედროვე მოღვაწე, იაკობთან კარგად დაახლოებული იო-სებ თბილელი, „დიდმოურავიანის“ ავტორი. ის არჩიოლს ასე ახასიათებს: „ხელმწიფეთა პირმშო

შვილი“; ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი ამგვარად ამბობს: „არჩილი იყო უ ხ უ ც ე ს ი“; „პირმშოდას აყვარელი არჩილი“; მდარე პოეტი ფეშანგიც ამ მაიორატულ ცნებას იყენებს: „უფროსსა არჩილ უწოდეს“.

ვფიქრობ, დამაჯერებელი პასუხი გაეცა ქართველ მეხოტბეთა შემოქმედების ცნობილი მკვლევრის პროფესორ ივანე ლოლაშვილის მიერ დასმულ შეკითხვას, თუ რატომ არის სადაც ხოტბით პოემაში მოხსენიებული ბიბლიური ესავის, ისაკის პირმშო შვილის, და მისი ძმის, პირმშოობის მიმტაცებელი იაკობის, ამბავი ესოდენ ფართოდ და სერიოზულად.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენი დასკვნის პათოსი სავსებით გასაგებია:

ე.წ. „აბდულმესიანი“, ას შვიდ სტროფიანი მაღალმხატვრული სახოტბო-პანეგირიკული პოემა, სავსებით მიზანმიმართულად აყენებს მაიორატისა და მინორატის საკითხს და გადაჭრით იხრება მაიორატისაკენ, რამეთუ შესხმის

ობიექტი იმხანად იმერეთის ტახტზე ასული
ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის პირ მშო შვილი
არჩილ ბაგრატოვანია.

ამრიგად, ე.წ. „აბდულმესიანი“ სავსებით სა-
მართლიანად აყენებს მაიორატისა და მინორა-
ტის კულტუროლოგიურ საკითხს და გადაჭრით
იხრება მაიორატისაკენ, რამეთუ შესხმის ობი-
ექტი პირ მშო არჩილ ბაგრატოვანია. ყოვე-
ლივე ეს კიდევ ერთხელ გადაჭრით ადასტუ-
რებს, რომ საძიებელი ქებითი პოემა იაკობ
დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაა“.

Resume

Doctor of Philology Boris Darchia has justified that the 12-century ode “Abdulmesiani” has been lost. The text attributed to „Abdulmesiani” is actually „Praising of King Archil” and was written in 17-century; its author is Jakob Dumbadze (metropolitan).

Dr. Murman Tavdishvili shared the sensational opinion who dedicated the special book to this problem „A Big Castle in Georgian Literature” At present, the author of this book offers us one more viewpoint. The article made statement: If the poem was written in 12-century and is dedicated to Tamar and David then why he decided to push forward the issue of minority or majority?! Neither Queen Tamar. David the Builder nor Lasha Giorgi had no alternative of coronation. But if the poem is dedicated to Archil Bagrationi, King of Imereti (1661-1663) then it is clear, since his coronation was connected with alternatives: younger brothers, who were successful in royal affairs. So it would be actual to dedicate him the issue of minority and majority.

Archil was the elder brother and his worshipper made solution to the benefice of majority or King Archil.

რად გაქრა „თამარიანი“?

(„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფის მართებულად
გაგებისათვის)

საკვანძო სიტყვები: შავთელი, ეპიკა, XII საუკუნე,
„აბდულმესია“, შემოქმედელი, ლირიკა, XVII საუკუ-
ნე, ე.ნ. „აბდულმესია“.

რუსთველის პოემა მთავრდება მხატვრუ-
ლად სრულყოფილი პოეტური აბზაცით. ემოცი-
ური ძალით იგი ქმნილების ბევრ შიდა სტროფს
არ ჩამოუვარდება. აი, ისიც:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხო-
ნელსა,

აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას
უქეს რომელსა,

დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას
ენა – დაუშრომელსა,

ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის
ცრემლ-შეუშრომელსა.

(2, გვ. 359)

მეცნიერთა მიერ სამართლიანად არის გა-
ზიარებული შეხედულება, რომ მითითებული
სტროფი არ ეკუთვნის რუსთველს და იგი აშკა-
რად ინტერპოლატორის ნაკალმარია. ამ მხრივ
აღსანიშნავია ორი მძლავრი არგუმენტი. 1. პოე-
მაში ავტორი არაერთხელ ავლენს საკუთარ პი-
როვნებას და ყოველთვის – პირველი პირით
(„მე, რუსთველი ...“ „დავჯე, რუსთველმა გავ-
ლექსე ...“ და ა.შ.).აქ კი ტაეპების ავტორი სხვა-
ზე მიუთითებს: ტარიელი მის გულშემატკივარ
რუსთველს უქიაო; 2. არ არის მოსალოდნელი,
რომ თვითონ რუსთველს ქართული ლიტერა-
ტურის ისტორიკოსის როლი ეკისრა და თავისი
პოემის ბოლოს ლიტერატურის ერთი ისტორიუ-
ლი მონაკვეთის მთელი პანორამა წარმოედგი-
ნა: იმან ის შექმნა, ამან – ეს და ბოლოს რუს-
თველმა დააგვირგვინა ეპიკის განვითარების
ლიტერატურული პროცესიო. ეჭვი არაა, ამ-
გვარ შეჯამებას „გარეშე მაყურებელი“ იძლევა.

აღნიშნული ტაეპები რომ ინტერპოლატორულია, დღეს ეს უდავო ფაქტად არის აღიარებული (3, გვ. 12).

ვფიქრობთ, მითითებული სტროფი მალავს საიდუმლოს, რომელიც ჯერჯერობით გაუხსნელია.

ჩვენი მიზანია ამ საიდუმლოს გაცხადება.

ერთი შეხედვით, სტროფს ახასიათებს უცნაურობა:

ქრონოლოგიის სრული დაცვით ჩამოთვლილია გამოჩენილი ავტორები და მათი თხზულებანი, ოღონდ რატომძაც გამორჩენილია ჩახრუხაძის ბრწყინვალე პოემა „თამარიანი“.

როგორ ავხსნათ ეს?

თუ ქრონოლოგიურ პრინციპს გავედევნებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ: „ამირანდარეჯანიანი“ უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე ჩამოთვლილი სხვა ტექსტები; „აბდულმესიანისა“ და „დილარგეთიანის“ დაწერის დრო არ ვიცით, ოღონდ „ტარიელიანისა“ თითქმის ზედმიწევ-

ნით არის დადგენილი (1205-1207). რა თქმა უნდა, ჩახრუხაძის „თამარიანი“ წინ უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“. მაშასადამე, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, „ტარიელიანის“ წინ უნდა წერებულიყო „თამარიანი“; მაგრამ სტროფი, ქრონოლოგიური აზრით, დუმს, „თამარიანის“ არც კი ახსენებს.

იქნებ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით არ მიაჩნია იგი ღირსეულ ქმნილებად?

თუ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს გავედევნებით, შეუძლებელია არ ვალიაროთ: ჩახრუხაძე ქართული სიტყვის დიდოსტატია, უკვდავი მგოსანია, რომელმაც ქრესტომათიული საზეპიროებით გაძეძგილი ტექსტი გვისახსოვრა. „თამარიანი“ გახლავთ კლასიკური სახოტბო პოემა, რომლის ბადალი იშვიათად თუ იწერება (3, გვ. 260).

მაშასადამე, შეუძლებელია, საკვლევაძიებო სტროფის ავტორს ჩახრუხაძის ნაკალმარი

მხატვრულ-ესთეტიკური მოსაზრებით დაეწუნებინა.

მაშინ დგება საკითხი:

„ვეფხისტყაოსნის“ დამაგვირგვინებელ,
ე.წ. „შემაჯამებელ“ მონაკვეთში რად გაქრა
„თამარიანი“?

ხომ არ არის აღნიშნულის მიზეზი რაიმე
სხვა პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს საძიებელ
პოეტურ შედევრს?

მიგვაჩნია, რომ პოემის ე.წ. „შემაჯამებელ“ მონაკვეთში „თამარიანი“ არც უნდა მომხდარიყო.

საამისოდ აუცილებელია გავითვალისწინოთ რომანის პროლოგი, სადაც ავტორი ათვალწესებით ეკიდება ლირიკული ნაწარმოების სახეობებს და ჭეშმარიტ პოეზიად მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ტილოებს სახავს.

შესავალში რუსთველი შაირობის თეორიას 8 პოეტურ აბზაცს უთმობს. აქ მისი დებულებები ცხადზე უცხადესია: კარგ ბედაურს გრძე-

ლი გასაჭენებელი შარა შეამოწმებს. ასევეა მე-ლექსე. მას გამოცდის „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. გრძელი ლექსი ლირიკა ვერ იქნება, ასეთი მხოლოდ ეპიკური ამბავია; პროლოგის ავტორი იწუნებს ერთი-ორი წვრილ-წვრილი ქმნილების ავტორებს: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი“. მისი გაგებით, ლირიკული გნომები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. ერთი ეხება ერთ თემას, მეორე – მეორეს. ამიტომ ისინი გამოდის „უმსგავსო და შორი-შორი“.

აი, ასე გააქილიკა შემოქმედმა წვრილი ლირიკული ტექსტები.

სხვათა შორის, აქ რუსთველი სულაც არ გახლავთ ნოვატორი. იგი პირწმინდად იმეორებს თავისი დიდი წინაპრებისა და ლიტერატურული კერპების მოსაზრებებს (1).

„ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ჭეშმარიტ პოეზიად არც მცირე ზომის ეპიკურ ტექსტებს მიიჩნევს. ასეთია, მაგალითად, ბალადა ან პატა-

რა პოემა. ასეთი ნაწარმოებები მას შეჰქავს „მე-ორე ლექსის“ კატეგორიაში:

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირე-თა,

არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გუ-ლისა გასაგმირეთა.

აქ პირდაპირ და უმაგრამოდ ნათქვამია: წვრილი პოემა /ან ბალადა/ ერთგვარ წილს კი იდებს პოეზიაში, ოღონდ გულის განმგმირავ, სულში ჩამწვდომ სიტყვას მაინც ვერ ამბობს. ამ წვრილ-წვრილი პოემა-ბალადების ავტორს მე ვამსგავსებ ყმაწვილ, გამოუცდელ, ნორჩ მონა-დირეებს, რომელთაც დიდი ნადირის (ვთქვათ, ასეთია „შაჰ-ნამე“, „ვეფხისტყაოსანი“ ...) მონა-დირება არ ძალუძთ და ამიტომ წვრილ ნადირთ (კურდლელი, მაჩვი ...) ხოცავენო.

ავტორი ასევე აკრიტიკებს „მესამე ლექსს“. ესაა „სათრეველი“ სტროფები, კაფიები, სხარტულები. ისინი სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა გასა-

ქილიკებლად კარგია, მოსწრებულია, მისადაგე-ბულია, ოღონდ ჭეშმარიტი და ნამდვილი პოე-ზია როდიაო!

ბოლოს პოეტი კატეგორიულად დაას-კვნის: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინ-ცა გრძელად“.

„გრძელად“ მთქმელნი კი არიან ჰომერო-სი, ვერგილიუსი, ფირდოუსი, ნიზამი, რუს-თველი ...

ყოველივე ამას ითვალისწინებს საკვლევი ლექსის ნიჭიერი მთხზველი.

მაშასადამე, პოემის ბოლოს დართულ შე-მაჯამებელ სტროფში ინტერპოლატორი იცავს ავტორის ნებას და ნაშრომებს არჩევს არა ქრო-ნოლოგიური ან მხატვრულ-ესთეტიკური, არა-მედ ჟანრობრივი ნიშნით.

და, რაკიდა „ვეფხისტყაოსანი“ ეპიკური ქმნილებაა, შეჯამების ავტორი ჩამოთვლის ბო-ლო პერიოდის ეპიკურ ტილოებს და გვიჩვე-

ნებს, რომ ქართული მწერლობის ამ პროცესს
თუ ვითარ აგვირგვინებს „ტარიელიანი“.

თუ ამ თვალთახედვით გავიაზრებთ ბო-
ლო სტროფს, მაშინ გასაგები გახდება, რად არ
ახსენა აქ მოშაირემ ჩახრუხაძის შესანიშნავი
ქმნილება. დიახ, აქ „თამარიანის“ ადგილი ნამ-
დვილად არ არის. ის ხომ ლირიკული ნაწარმოე-
ბია, სახოტბო-პანეგირიკული შედევრია, რომე-
ლიც არ გულისხმობს „ლექსთა გრძელთა თქმა
და ხევას“.

ახლა კი ვნახოთ, როგორ არის რეალიზე-
ბული ეპიკური ჟანრის პრინციპი: პირველ ტა-
ეპში ნახსენებია მოსე ხონელის „ამირანდარე-
ჯანიანი“. ტექსტი დღემდე არის მოღწეული და
დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ – ეს არის
ტიპური რომანი, ანუ ამბიანი ტექსტი.

მაშ, პირველი სტრიქონის მიხედვით, ეპი-
კური პრინციპი მართლდება!

მეორე ტაეპში ქრონოლოგიის დაცვით (და ჩვენ ვენდობით ამ ქრონოლოგიას) დასახელებულია იოანე შავთელის „აბდულმესია“.

დღემდე მოღწეულია ე.ნ. „აბდულმესია“, რომელიც შეადგენს 107 სტროფს (დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ჩახრუხაძის ოდა) და გახლავთ არა ეპიკური (ამბიანი), არამედ ლირიკული ნაშრომი. კიდევ მეტი, ის არის ლირიკულ-პანეგირიკული ტექსტი. მას არავითარი ამბავი არ უდევს ფუძედ და ეპიკურ რომანად ვერ ჩაითვლება.

ამასთანავე, მხატვრული თვალსაზრისით, ე.ნ. „აბდულმესია“ გაცილებით მდარეა, ვიდრე „თამარიანი“.

მაშასადამე, თუ „თამარიანი“ ვერ გახდა ლირი „შეჯამებაში“ მოხვედრისა, რის გამო უნდა მოხვედრილიყო იქ ბევრად უფრო მდარე ე.ნ. „აბდულმესია“?!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ „შეჯამებაში“ იგულისხმება ის „აბდულმესია“, რომელიც გახ-

ლდათ რომანი, ეპიკური თხზულება, და რომელიც დაკარგულია. ჩვენს ხელთ არსებული 107 სტროფიანი ლირიკული ხოტბა კი დაწერილია 1661 წელს, მისი ავტორია იაკობ შემოქმედელი, ხოლო ქების ობიექტია იმერეთის ტახტზე ასული 14 წლის ყმანვილი მეფე არჩილ შაჰნავაზის ძე.

ასე რომ, თუ „შეჯამების“ პირველ ტაეპში ნახსენებია რომანი „ამირანდარეჯანიანი“, მეორეში დასახელებულია ქრონოლოგიურად მომდევნო ეპიკური ქმნილება /ლექსად ან პროზით შესრულებული/ იოანე შავთელის „აბდულმესია“, ან დაკარგული რომანი.

მესამე სტრიქონში მითითებულია ქრონოლოგიურად მესამე მნიშვნელოვანი ნაშრომი „დილარგეთიანი“. სარგის თმოგველის ეგ ეპიკური რომანი დაკარგულია. მისი აღდგენა სცადეს მოგვიანებით. მე-18 საუკუნის დამლევს პეტრე ლარაძემ აღადგინა ეს საგმირო-სათავ-გადასავლო ეპიკური რომანი, სადაც აღწერა

აბაშეთის მეფის დილარის ხიფათიანი თავგადა-
სავალი (4, გვ. 551).

ლარაძე სწორად მოქცეულა: დაკარგული
ეპიკური ამბავი ჩაუნაცვლებია ეპიკურივე ტექ-
სტიტი.

დაბოლოს, მეოთხე სტრიქონში მითითე-
ბულია „ტარიელიანი“, რომელიც ამ გმირის ავ-
ბედობით გულდამწვარ ავტორს შეუთხზავს.

რა თქმა უნდა, „ტარიელიანი“, ანუ „ვეფ-
ხისტყაოსანი“, ლექსად დაწერილი კლასიკური
რომანია და აქ იგი ისეა წარმოდგენილი, ვითარ-
ცა ქართული ეპიკური მწერლობის გვირგვინი.

ამრიგად, ინტერპოლატორის პრინციპი
აშკარაა: იგი ქართული ლიტერატურის ერთ
მნიშვნელოვან მონაკვეთს (XI-XII საუკუნეები)
აჯამებს და ჩამოთვლის ამ დროის თვალსაჩინო
ეპიკურ შედევრებს ქრონოლოგიის მკაცრი
დაცვით: „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესია-
ნი“, „დილარგეთიანი“, „ტარიელიანი“. საგუ-
ლისხმოა სხვა გარემოებაც: რომანები დასახე-

ლებულია მთავარი ეპიკური გმირების წინ წა-
მოწევით: ამირან დარეჯანის ძე არის „ამირან-
დარეჯანიანის“ ცენტრალური პერსონაჟი; აბ-
დულმესია გახლავთ „აბდულმესიანის“ მთავარი
პერსონაჟი; დილარგეთი წარმოადგენს „დი-
ლარგეთიანის“ ცენტრალურ პერსონას, ხოლო
ტარიელი მიჩნეულია „ტარიელიანის“ უწინარეს
მოქმედ პირად.

ასე რომ, ჩვენი წერილის შედეგია ორი უმ-
თავრესი დასკვნა:

1. „ვეფხისტყაოსნის“ შეჯამებელ ბო-
ლო სტროფში, რომელიც ეფუძნება ეპიკურ
ნაწარმოებთა ჩამოთვლის პრინციპს, ვერ
მოხვდებოდა და არც მოხვედრილა ლირიკუ-
ლი შედევრი „თამარიანი“.

2. შეჯამების მიერ დასახელებული „აბ-
დულმესია“ ვერ იქნებოდა და არც არის ლი-
რიკულ-ხოტბითი ნაწარმოები; შავთელის
ეპოსი „აბდულმესია“, რომელსაც შეჯამება
გულისხმობს, დაკარგულია, ხოლო ჩვენს

ხელთ არსებული 107 სტროფიანი ლირიკული ოდა, რომელში გმირი აბდულმესია ერთხელაც არაა ნახსენები, გახლავთ XVII საუკუნის ძეგლი „ქეპა მეფისა არჩილისა“ და მისი ავტორია იაკობ მიტროპოლიტი.

ლიტერატურა

1. თავდიშვილი მურმან, ფირდოუსი და რუსთველი, თბ., 2009; მისივე „ნიზამი და რუსთველი“, თბ., 2011.
2. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
3. ქართული მწერლობა, I, თბ., 1984.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბ., 1977; ქართული ლიტერატურის ისტორია, 2, თბ., 1966.

SYMMARY

Why is “Tamariani” disappeared (For correct understanding the last strophe of the Knight in the Panther’s Skin)

The last closing poetic paragraph contains epic works created in the XI-XII centuries, the crown of which is considered to be Rustaveli's poem. Because of this principle the ode- panegyric- lyrical “Tamariani” by Chakhrukhadze is not included herein. On the other hand, "Slave of the Messiah" (Abdulmesiani)” by Ioane Shavteli, Georgian poet of the 12th century is named herein. The so-called “Abdulmesia” survived is 107strophe lyrical work, which is poor-quality work than Chakhrukhadze's “Tamariani” . If the brilliant ode “Tamariani” is not included in the list, the lower-quality literary text of so-called “Abdulmesia” could not be inserted herein.

What is happening?

The point is that Ioane Shavtveli's work was the epic work, novel containing the story. That is why it is included in the summary. Indeed, all the rest (3)works are epic: "Amirandarejaniani", "Dilargetiani", "Ttarieliani". These works, epic novels are named after the main actors. The foremost character of "Amirandarejaniani" is Amiran, the son of Darejani; "Dilargetiani" – Dilargeti; "Ttarieliani" – Tarieli. There is no doubt, that the protagonist of "Abdulmesia" should Abdulmesia.

Because of all this, the summary implies the "Abdulmesia", which was a novel and in which I. Shavteli depicted the epic character Abdulmesia, and the panegyric lyrical text available to us, in which the character Abdulmesia is never mentioned, is "Praise of the King Archil", the monument of the XVII century. Its author is Jacob Metropolitan. The ode is written by the author in 1661 and is dedicated to Archil, son of Shahnavaaz, aged 14, who was enthroned in Imereti in the same year.

Как надо понимать последнюю строфиу

«Витязя в тигровой шкуре» Шота Руставели

РЕЗЮМЕ

Ключевые слова: эпика, лирика,
«Абдулмессия», Шавтели, XII век

В последней строфе поэмы зафиксированы эпические произведения, созданные грузинскими авторами на протяжении XI-XII веков. Ясен принцип упоминания текстов – это эпический принцип. В трёх случаях затруднений не возникает: в первой строке упоминается роман «Амирандареджаниани». Мы располагаем этим текстом и подтверждаем: он соответствует жанру. В тексте действительно предстаёт эпический герой Амирани; нам также известно, что в романе «Диларгетиани» создан образ эпического героя Диларгети. «Тариэлиани» (он же – «Витязь в тигровой шкуре») также представляет эпического героя Тариэла.

До наших дней дошли рукописи т.н. «Абдулмессия». Но этот текст представляет собой не эпическое полотно, а лирико-панегирическое произведение. Грузинские учёные считают, что именно этот текст упоминается в поэме Шота Руставели.

Это глубокое заблуждение.

Подлинный «Абдулмессия», эпический текст жившего в XV веке поэта Иоанна Шавтели, утерян. Мы не знакомы с его содержанием. А известный нам «Абдулмессия» - лирическое произведение, созданное в 1661 году. Оно посвящено 14-летнему царю Арчилу Багратиони, взошедшему на престол Имерети именно в 1661 году. Автором названной оды является митрополит Яков Шемокмедский.

სეფქა-ისარი და ე.წ. „აბდულმესიანი“

ე.წ. „აბდულმესიანში“ გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ძველ ქართულ ლიტერატურაში არსადა ჩანს; უმჯობესია ასე ვთქვათ: ეს ცნებები ჩვენს მეტყველებაში შემოდის „აღორძინების“ ხანაში, კერძოდ, 1600-იან წლებში და შემდგომ. ამ მხრივ განსაკუთრებით საჩინოა „ბოლუქი“ და „ბოლუქ-ბოლუქად“ (2).

ამგვარ სიტყვათა რიგში დგება კოლორიტული ცნება **სეფქა** – მაღალფრთიანი ისარი.

სულხან ორბელიანი განმარტავს: „გრკალიანი ისარი“ (3,84); დავით ჩუბინაშვილი უმოწმებს: „სეფქა – ისარი ფრთე მაღალი“ (12,1165).

ახლა გავსინჯოთ „ქართული მწერლობის“ სერიით გამოსული ტომები და ვნახოთ, თუ რა ხდება?

აქ წარმოდგენილია ყველა ძველი ტექსტის გამოწვლილვითი ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ცნებები და ტერმინები. „ქართული

მწერლობის“ | ტომი ეთმობა ლეონტი მროველს, ადრიდანვე თარგმნილ ფსალმუნებს, „ეკლესი-ასტეს“, „ქებათა ქებას“; აქვეა „აბესალომ, აბე-სალომ“, „ჭეშმარიტება“, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“; ტომში შესულია პეტრე იბერიელის „საღმრთოთა სახელთათვის“; იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, შიო მღვიმელის „ოხითაი“, „აბიბოს ნეკრესელის წამება“, „ევ-სტათი მცხეთელის წამება“, ბასილი საბაწმინ-დელისა და უცნობი ავტორების თხზულებანი; აქვეა სახელგასმენილი „სიბრძნე ბალაჰვარი-სი“, „ჰაბოს წამება“, გრიგოლ ხანძთელის ნა-თარგმნი ლექსები და თითქმის მთელი ჰიმნოგ-რაფია; შემდეგ მოდის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ვეებერთელა ტექსტი, რომელსაც მოსდევს „ბასილ ზარზმელის ცხოვრება“ და სხვ. (4).

ლექსიკონი შეუდგენია ისე გამოჩენილსა და პუნქტუალურ მეცნიერს, როგორიც გახლდათ ზურაბ სარჯველაძე. ამ ტომის გამოწვლილვით

სიტყვარში ტერმინი „სეფქა“ არ იძებნება; მე-2 ტომში (5) მოქცეულია არაერთი ჰაგიოგრაფიული თუ პოეტური ქმნილება, ისტორიული ნარკვევი. წიგნი შეიცავს 570 გვერდს. მესიტყვარე აქაც ზურაბ სარჯველაძეა. არც ამ მასალათა ლექსიკონში ჩანს საძიებელი ცნება; მე-3 ტომი შეადგენს 490 გვერდს (6). აქ დაბეჭდილია ჩახრუხაძის, თამარ მეფის, ბასილი ეზოსმოძღვრის, აბუსერიძე ტბელის, ნიკოლოზ გულაბერისძის პოემები, ლექსები, მატიანეები და სხვა მასალა, ოღონდ, თუ აქ მოთავსებულ ე.წ. „აბდულმესიანს“ გამოვტოვებთ, არც ამ ქმნილებებშია სადამე ნახსენები „სეფქა“; მე-4 ტომი (7) ეთმობა რუსთველს. „ვეფხისტყაოსანში“ ეგ ტერმინი ნახსენები არ არის (იხ. ასევე აკაკი შანიძის „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, 1956). არა-და, ამ პოემაში იმდენჯერ არის გამოყენებული და ნახსენები მშვილდ-ისარი, რომ, თუ ეგ ცნება მაშინ ყოფილიყო, მას ენის ჯადოქარი უსაცილოდ გამოიყენებდა.

ახლა რუსთველის მომდევნო ხანა გავსინ-ჯოთ.

მე-5 ტომში წარმოდგენილია ტექსტები, რომლებიც შეიქმნა XII-XVII საუკუნეებში. ბოლო ავტორია ნოდარ ციციშვილი (გარდაიცვალა 1658 წელს). არც აქ მოუმარჯვებია ვისმე საძიებელი ტერმინი (8).

მაინც უფრო კონკრეტულად ვაჩვენოთ, თუ რომელი ხანის ნაწარმოებებია თავმოყრილი წინამდებარე კრებულში. ესენია – რუსთველის მიმპარველნი (XIII-XV საუკუნეები); თამარ მეფის სიგელი შიომღვიმისადმი (1201 წელი); კახა თორელის შენირულობის წიგნი (1259 წელი); მეფეთა კურთხევის წესები (XIII საუკუნე); მირონის კურთხევა (XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა); ხელმწიფის კარის გარიგება (XIV საუკუნე); „ძეგლის დადება“ (XIV საუკუნე); „ძეგლი ერისთავთა“ (XIV საუკუნის II ნახევარი); ალექსანდრე მეფის წყალობის სიგელი (1430 წელი); შენირულობის წიგნი ლარგვისისადმი (1470); ჟამთააღმწერ-

ლის მონგოლების დროინდელი ამბები (XIV საუკუნე); პეტრე იბერიელის ცხოვრება (XIII საუკუნე); ლუკა იერუსალიმელის წამება (XIV საუკუნე); ნიკოლოზ დვალის წამება (1314 წლის შემდეგ); „მეფეთა სალარო“ (XVII საუკუნე); ნოდარ ციციშვილის „შვიდი მთიები“ (1650 წელი).

ნარმოუდგენელია, რომ იოანე შავთელს გამოეყენებინოს ეს ცნება და მთელი ამ ხნის განმავლობაში – XII – XVI საუკუნეებში – იგი არავის ეხმაროს!

ტერმინი **სეფქა** (ისარი) ჩნდება, როგორც ითქვა, „აღორძინების ხანის“ სიტყვიერებაში და აი, „ქართული მწერლობის“ VI ტომი უკვე იცნობს ამ ცნებას. ზურაბ სარჯველაძე სახელს ასე განმარტავს: **სეფქა** – ისარი (9, 868). აქ კი წარმოდგენილი არიან სწორედ „აღორძინების“ შემოქმედნი და მათი ნაღვანი: „რუსუდანიანი“ (XVII საუკუნე); თეიმურაზ I (გარდაიცვალა 1663 წელს); არჩილი (ასპარეზზე გამოდის 1670-იანი წლებიდან); იოსებ თბილელი („დიდმოურავია-

ნი“ დაწერილია არჩილის შეკვეთით 1688 წლამდე); ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (დაიწერა ვახტანგ მეექვსის მეფობისას).

აღსანიშნავია, რომ სეფქა-ისარს ასახელებენ სულხან ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, არჩილი და სხვები. სწორედ არჩილის სკოლის წარმომადგენელია იაკობ დუმბაძე (მიტროპოლიტი), რომელსაც კიდევაც უხსენებია ეს იარაღი.

ახლა კი ჩამოვწეროთ ის პიონერი მწერლები, რომელთაც მოუმარჯვებიათ ტერმინი **სეფქა**:

1. სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები, „ამირანდარეჯანიანი“ (გალექსეს 1670-იან წლებში): „ამა თხათა სეფექლებთა მე რად მიმეც ხელშეკრულად?“ (სტროფი 2172).

2. იაკობ დუმბაძე, ე.წ. „აბდულმესიანი“, ანუ „ქება მეფისა არჩილისა“ (დაიწერა 1661 წელს): „ჯილაც ისეფქევ, მოსვრით ისე ფქევ“ მტერი და დუშმანი შენიო (სტროფი 35).

ბარემ აქვე ითქვას: ივანე ჯავახიშვილი სავ-
სებით სამართლიანად **ჯილა** სიტყვასაც მე-17
საუკუნეში შემოსულად მიიჩნევდა (11, 349);
სხვათა შორის, გადავამოწმე „ქართული მწერ-
ლობის“ ტომები და აღმოჩნდა: ლექსიკონები
XVII საუკუნემდე არ იცნობენ არცა **ჯილას** (იხ.
ტ. I; ტ. 2; ტ. 3) (ე.ნ. „აბდულმესიას“ გამოკლე-
ბით); ტ. 4; ტ. 5; მხოლოდ მე-6 ტომში გამოჩნდა
ჯილა (იხ. განმარტება, გვ. 879), მაგრამ, რო-
გორც ითქვა, მე-6 ტომში გვაქვს აღორძინების
დოინდელი ტექსტები („რუსულანიანი“, თეიმუ-
რაზ I, არჩილი, იოსებ ტფილელი და სხვ.).

ჯილა ტერმინი „ბოლუქზე“ გვიან შემოდის,
ოღონდ უფრო ადრე, ვიდრე - „სეფქა“. **ჯილა**
ნახსენები აქვთ: თანიაშვილებს (სტროფი
11550); არის „შაჰნავაზიანში“ (სტროფი 221);
იყენებს თეიმურაზ I (იხ. ლექსები, თბილისი,
1934, გვ. 318); შემდეგ – ყველა: არჩილი, დუმბა-
ძე, სულხან ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, გუ-
რამიშვილი ...

მაშასადამე, „ვერსიებსა“ (1599) და „ომაინი-ანში“ (1609-1613) არ ჩანს არც „ჯილა“, არც „სეფქა“, ხოლო მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ეს სახელები ხშირად გამოიყენება.

ირკვევა: არცა **ჯილა** ყოფილა XII საუკუნის ტერმინი და ვერც იგი მოხვდებოდა შავთელის ტექსტში.

3. არჩილ მეფე: „მწყერაობაში რას ვარგა **უსეფქო** კაცი, მოშლილი?“ (9, 398).

4. **სულხან-საბა**: არაკი „მელი მოძღვრად“ - „მონადირე ვინმე დახვდა ქორითა და მწევრითა და ძალლებითა. ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა“ (10, 27).

5. ვახტანგ მეექვსე, „**სალბუნად გულისა**“, სტროფი 32: „ჩირგვის მწყერს და ლალლას ხოც-დენ სეფქით, გორად დაეყარა“.

ცნობილია: შავთელის „აბდულმესიანს“ წინ უსწრებს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, ხოლო მოსდევს სარგის თმოგველის „ვისრამიანი“:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხო-
ნელსა,

აბდულმესია – შავთელსა, ლექსი მას
უქეს რომელსა,

დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას,
ენადაუშრომელსა.

სწორედ ენადაუშრომელი სარგისის „ვისრა-
მიანია“ ენობრივ-სტილისტურად და სიტყვიერი
მარაგით განსაცვიფრებლად მდიდარი, გამორ-
ჩეული.

ახლა საკითხი ასე დავაყენოთ:

ნამდვილი „აბდულმესიანის“ წინარე და მომ-
დევნო ტექსტებში თუა ნახსენები სამი კოლო-
რიტული სიტყვა – **ბოლუქი, ჯილა, სეფქა?**

არც ერთი ეს სიტყვა არ გვხვდება არც „ამი-
რანდარეჯანიანში“ (13) და არცა „ვისრამიანში“
(1).

ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი ეგ სიტყვა
მაშინ ცნობილი არ იყო და, თუკი ოდესმე ნამ-

დვილი „აბდულმესიანი“ აღმოჩნდა სადმე, არც
მასში იქნება გამოყენებული.

ამრიგად, **სეფქა – ისარი**, ნახსენები ე.წ. „აბ-
დულმესიანში“, იმას მოასწავებს, რომ ხელთა
გვაქვს არა შავთელის, არამედ იაკობ დუმბაძის
ნაშრომი; იგივე ითქმის ჯილა ერთეულზე. ეს,
ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, მე-17 საუკუნის
დამდეგს არის შემოსული და შავთელის ნამ-
დვილ ტექსტში ისიც ვერ გაიჭაჭანებდა.

ლიტერატურა

1. ვისრამიანი, ალ. გახარიასა და მ. თოდუას
რედაქცია, თბ., 1962.
2. თავდიშვილი მურმან, დიდი როქი ქარ-
თულ ლიტერატურაში, თბ., 2010.
3. ორბელიანი სულხან, ლექსიკონი ქართუ-
ლი, II, თბ., 1993.
4. „ქართული მწერლობა“, I, თბ., 1987.
5. „ქართული მწერლობა“, II, თბ., 1987.

6. „ქართული მწერლობა“, III, თბ., 1988.
7. „ქართული მწერლობა“, IV, თბ., 1988.
8. „ქართული მწერლობა“, V, თბ., 1988.
9. „ქართული მწერლობა“, VI, თბ., 1989.
10. „ქართული მწერლობა“, VII, თბ., 1989.
11. შემოქმედელი იაკობ, თხზ. სრული კრებული, თბ., 2014.
12. ჩუბინაშვილი დავით, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
13. ხონელი მოსე, ამირანდარეჯანიანი, ლ. ათანელაშვილის რედაქცია, თბ., 1967.

SEPQA-ARROW AND SO CALLED „ABDULMESIANI” SUMMARY

Laudatory poem „Abdulmesiani” is considered to be the 12th century monument. Here we meet the words which were established in Georgian speech in 1600. We have shown one of these concepts -

„Bouqi”, see Tavdishvili, a great Rock in Georgian literature. We have found another word, which also later appeared in our vocabulary and is used in so called „Abdulmesiani”, this is „Sepqa” a „High-Wing Arrow”.

We have examined collections published under the „Georgian Writing” series. In I-V volumes there are presented the works of V-XVI centuries and there is not a search term there. It appears in the VI volume, in which the compositions of the XVII century are printed.

Therefore, so called „Abdulmesiani” is the work of the XVII century.

Here we note: At that time, the profesoor Ivane Javakhishvili pointed out that th word „Jigha” appeared in Georgian vocabulary from the seventeenth century. Our research has proved it. This concept had not appeared in texts before the seventeenth century. It is noteworthy that the word „Jigha” is used in so called „Abdulmesiani”. This is

one more fact which shows that it is not the monument of the twelfth but the seventeenth century.

СЛОВО СЕФКА (СВОЕОБРАЗНАЯ СТРЕЛА) И Т.Н. «АБДУЛМЕСИАНИ» РЕЗЮМЕ

Хвалебная поэма «Абдулмесиани» признано литературным памятником XII столетия. Мы утверждаем: настоящий памятник XII столетия утеряно, а т.н. «Абдулмесиани» в действительности есть поэма митрополита Якова Шемокмеди и называется так – «Хвала царя Арчила». Автор хвалу сочинил в 1661 году в честь воцаренного Арчила Багратиони на имеретинском престоле.

В тексте мы обнаружили несколько слов, которые вошли в грузинской речи только в семнадцатом столетии. Вот эти слова: болуки,

джига, сефка (пучок, головное украшение царей, своеобразная стрела).

Мы специально изучили сборники старых текстов («грузинская классическая литература», т. I-VI) и обнаружили: до XVII века эти слова нигде не встречаются.

Таким образом, данная ода, в которой даже не упоминается главный герой Абдулмессия, ничего общего не имеет с потерянной поэмой «Абдулмесиани». Об этом красноречиво говорит и данная лексика.

მეტყველი ლექსიკა

საკვანძო სიტყვები: „აბდულმესიანი“, ე.ნ. „აბდულმესიანი“, XII საუკუნის ლექსიკა, XVI-XVII საუკუნეებში შემოსული სიტყვები.

წიგნში „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“ (2010) დავამტკიცეთ: თურქული სიტყვა **ბოლუქი**, გინდა **ბოლუქ-ბოლუქი**, პირველად გა-

მოჩნდა „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში. ეგ ვერსიები კი შეიქმნა XV-XVI საუკუნეებში; ასე-ვე, ფრიად საგულისხმოა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნემდე ძველ ტექსტებში არსად ჭაჭანებს ლექსემები: **სეფქა**-ისარი და **ჯილა**-თავსამკაული. როგორც ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, ტერმინი **ჯილა** შემოდის მეჩვიდმეტე საუკუნეში.

საგანგებოდ გადავამოწმეთ ქართული მწერლობის სერიით გამოცემული ტექსტები და შევნიშნეთ: ზემოხსენებული სამი ცნება მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრინდელი ნაწარმოებების ლექსიკონებში არსად გვხვდება; ასევე, შევამოწმეთ იმ სალექსიკონო ფონდის მასალა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში ინახება; აღმოჩნდა: მეჩვიდმეტე საუკუნემდე ეს ტერმინები არსად ჭაჭანებს.

არადა სამივე ცნება ნახმარია ე.წ. „აბდულ-მესიანში“.

ეს კი იმას მოასწავებს, რომ მითითებული სახოტბო პოემა ვერ შეიქმნებოდა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებზე უნინარეს.

აღნიშნულმა უარუთქმელმა შედეგმა ჩაგვა-გონა აზრი: ამ თვალსაზრისით სხვა ე.წ. „საეჭ-ვო“ სიტყვებიც შეგვემოწმებინა.

გამოძიების შედეგად დაიხატა ასეთი სურა-თი:

1. ამიანტოსი (ე.წ. „აბდულმესიანი“, 13):
ქართული მწერლობის I-VI ტომების ლექსიკო-ნებში არაა დაფიქსირებული; არც მესამე ტომ-შია, თუ ე.წ. „აბდულმესიანს“ გამოვრიცხავთ, მაგრამ მეორე ტომშია **ამანტი**; ვეფხისტყაოსა-ნი არ იცნობს (იხ. ვეფხისტყაოსნის სიმფონია აკაკი შანიძისა); VII წიგნებშიც არა ჩანს; VII ტომში კი უკვე გამოჩნდა (გვ. 661).

სიტყვათა საფონდო ლექსიკონში ფიქსირდე-ბა სულხან-საბასთან (I,200,7); ი. ბაგრატიონთან (161,34) და აქეთკენ.

2. ბეზირგანი: ე.წ. „აბდულმესიანში“ გამოყენებული ეგ ცნება არსად ჩანს ქართული მწერლობის I-VII ტომებში.

„ვეფხისტყაოსნის“ საფონდო ლექსიკონი: პირველად გვხვდებაო „შაჰ-ნამეს“ ვერსიებში (III, 328,1; 375,2); არის „თიმსარიანში“ (II, 193,27); ჩანს „მელის წიგნში“ (22,1); არის „ყარა-მანიანში“.

ყველა ეს თხზულება შექმნილია XVI საუკუნის შემდგომ.

3. განლიგება // განსალიგებლად (ე.წ. „აბდულმესიანი“): ქართული მწერლობის I-VII წიგნების ლექსიკონებში არ ჩანს.

საფონდო ლექსიკონი: დაფიქსირებულია XVII-XVIII საუკუნეთა ძეგლებში (თხრობ. 204, 31; მარტირ. 19,27).

4. გარმოზღუდვა (ე.წ. აბდ. 18): I-VII ტომებში არაა, თუმცა V ტომშია **გარემოდგომილი**.

საფონდო მასალები: XVII საუკუნის უნინარეს ტექსტებში არსად ჩანს.

5. დამპეჭდველობა (ე.წ. აბდ. 6): I-VII წიგნებში არსად ჩანს, მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანშია“.

საფონდო სიტყვარი: **დამპეჭდველობა** არა, მაგრამ **დამპეჭდველი** კი ცნობილია XI-XII საუკუნეებიდან (იხ. ოუდაებრი, II, 127, 21; სამართლის ძეგლ. V, 681, 20, ტექსტი 1796 წლისა; გვხვდება თეიმურაზ მეორესთან; დას. საქართველოს საეკლესიო საბუთებში, I, 136, 32, ტექსტი 1733 წლისა; ქართ. სამართლის ძეგლებში, III, 1125, 17, ტექსტი 1816წ. და სხვ.).

6. დამსხემი (ე.წ. აბდ. 54): I-VII ტომების ლექსიკონებში არსადაა.

ფონდის მასალები: ეგ ცნება ძველ ქართულ-ში არ დასტურდება. დამსხემება კი გვხვდება ბაქარის ბიბლიაში (1743წ.).

ეჭვი არაა, **დამსხემება** გახლავთ განვითარება სიტყვისა დამსხემი.

7. დასაყვირი (97): V-VI ტომებში არა ჩანს.

საფონდო სიტყვარი: არის თანიაშვილის „ამირანდარეჯანიანში“ (1397,3). უფრო ადრე არსად ჩანს.

8. დასური (სასურველი, 9): I-VII ტომებში არაა.

სიტყვარი: ძველ წყაროებში არსადა ჩანს.

9. დიადიმა (ბერძნ. სიტყვა; ე.წ. „აბდულმე-სიანი“, 37): I-VII ტომებში არა ჩანს.

სიტყვარი: დ. თუმანიშვილი (48,5); წყობილ-სიტყვ. (442,2); „კალმასობა“ (I, 102,30).

უფრო ადრე არსად იხილვის. დავით ჩუბი-ნაშვილი მიუთითებს მხოლოდ ე.წ. „აბდულმე-სიანს“.

10. ექსული (დაკერებული; ე.წ. აბდ. 37): I-VI ტომებში არაა; VII წიგნში კი უკვე არის.

ლექსიკონი: მეჩვიდმეტე საუკუნის უნინა-რეს ტექსტებში არა ჩანს. დავით ჩუბინაშვილი ძველი ტექსტებიდან მიუთითებს მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანს“.

11. ზევსური (ღვთაებრივი, ე.წ. აბდ. I): I-VI
ტომებში არაა; VII წიგნში უკვე არის.

სიტყვარი: ძველ წყაროებში არსად ფიქსირ-
დება. მარტოოდენ ე.წ. „აბდულმესიანშიაო“.
დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ ე.წ. „აბდულმესი-
ანს“ მიუთითებს.

12. თაყუმი (კალენდარი; ე.წ. აბდ. 17): I-VII
წიგნებში არა ჩანს.

საფონდო სიტყვარი: XVII საუკუნის წინარე
ძველ წყაროებში არაა დაფიქსირებული.

დავით ჩუბინაშვილი ძველი წყაროებიდან
მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“.

13. ლავროტი (ნარგიზი, ე.წ. აბდ. 8): I-VII
წიგნებში არა ჩანს.

სიტყვარი: ძველ წყაროებში დაფიქსირებუ-
ლი არაა.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესი-
ანს“ მიუთითებს.

14. მაკროტი (მცენარე, ე.წ. აბდ. 87): I-VII
წიგნების ლექსიკონები არ იცნობენ.

სიტყვარი: მეჩვიდმეტე საუკუნის წინარე ტექსტებში არაა დაფიქსირებული, მხოლოდ ე.წ. „აბდულმესიანშიაო“ ია-მაკროტი.

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“, როგორც უძველეს წყაროს.

15. მბორგავი//მბორგალი (განძვინვებული; ე.წ. აბდ. 102): I-IV ტომებში არაა. V ტომში უკვე გვაქვს **მბორგველი** – შფოთის ამტეხი (გვ. 802).

სიტყვარი: დაფიქსირებულია თეიმურაზ პირველთან, გაბაასებაში; წყობილსიტყვაობაშია **მბორგალი** (360,9).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანში“ ხედავს ამ სიტყვას.

16. მკამკამებელი (ე.წ. აბდ. 40,45): I-VII წიგნებში არა ჩანს.

საფონდო ლექსიკონი: პირველად ნახსენებია „რუსუდანიანში“ (602,12).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს.

17. მკრთოლვარე (ე.წ. აბდ. 45): I-VII წიგნებში ეგ ფორმა არსად ჩანს. II ტომშია **მკრთომელობა**; V წიგნშია **მკრთალი**; VII ტომში გვხვდება **მკრთომელი**.

ლექსიკონი: არის ბესიკთან, გ. თუმანიშვილთან, დ. თუმანიშვილთან, XVIII საუკუნის ერთ მინაწერში, წყობილსიტყვაობაში, თეიმურაზ პირველთან, ქართული სამართლის ძეგლებში, 1470 წლის მასალაში.

უფრო იქით ეს ცნება არსად იხილვის.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს.

18. მკოდავი (დამჭრელი; ე.წ. აბდ. 59): I-VII ტომებში არსადაა, ოღონდ I ტომშია **მკოდოვი** (ღარიბი); VII წიგნშია **მკაფარი**, **მკვეთელი**, **მკვეთელობა**, ოღონდ არსად ჩანს **მკოდავი** (გვ. 724).

ლექსიკონი: **მკოდელი** (ხრონოგრ. გ. მონაზონი, 80,21); **მკოდვა** (არჩილი, ლექს. ათეულ.

38,2); **მკოდი** (რუხ. ბრძ. 129,29); **მკოდველი** (გ. თუმან. 70,6); **მკოდიანი** (საბა, II, 128,32).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, როგორც უძველეს წყაროს.

19. მომცემლობა (ე.წ. აბდ. 23): I-VII წიგნებში არაა.

ლექსიკონი: მეჩვიდმეტე საუკუნემდელ ტექსტებში ვერსად აფიქსირებს.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, როგორც უძველეს წყაროს.

20. მოსაფრქვეველი (ე.წ. აბდ. 100): I-VII ტომებში არ იხილვის.

სიტყვარი: XI-XII საუკუნეთა ძეგლებში არის, ოღონდ ოდნავ სხვაგვარი ფორმით – **მოსაფრქვეველი** (ამბროსი ნეკრესელი, ლ.ძ. III, 252,1).

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ უთითებს.

21. მოხშო (ე.წ. აბდ. 35): I-VII წიგნების სიტყვარებში არ ფიქსირდება.

ლექსიკონი: არსად, გარდა ე.წ. „აბდულმესიანისა“, ძველ წყაროებში არ დასტურდება.

დავით ჩუბინაშვილი მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, როგორც უძველეს წყაროს.

22. მსპარაზნობელი (მოასპარეზე): I-VII ტომების ლექსიკონები არ იცნობენ.

სიტყვარი: მხოლოდ „აბდულმესიანშია“, სხვაგან არსადო, მიუთითებს შემდგენელი.

დავით ჩუბინოვი მხოლოდ „აბდულმესიანში“ ხედავს, სხვაგან – ვერსად.

23. მხმობარე (ე.წ. აბდ. 7): I-IV ტომებში არაა; V ტომში უკვე გამოჩნდა (გვ. 808).

ლექსიკონი: არისო „რუსუდანიანში“ (19,24; 104,28); არჩილიანში (საქ. ზნეობანი, 100,3); თეიმურაზ II (თიმსარიანი, 152,21); თანიაშვილის „ამირანდარეჯანიანში“ ორჯერ არის გამოყენებული; იყენებს ვახტანგ VI („ამირნასარიანი“, 153,2); XVIII საუკუნის მინაწერი (121,41).

დავით ჩუბინაშვილი, როგორც მკითხველი უკვე მიხვდა, მხოლოდ „აბდულმესიანს“ მიუთი-

თებს, რადგან ძველ ტექსტებში სხვაგან არსად ეგულება.

24. სამირონე (ე.წ. აბდ. 14): I-VII ტომებში არსად ჭაჭანებს.

სიტყვარი: ისტ. საბ. IV, 65; 35, 36, ტექსტი 1686 წლისა; ქრონიკ II, 1680 წლისა; ბაქარიანი, 26,2; ქართლის ცხოვრება, IV, 348,23.

როგორცა ვხედავთ, მეჩვიდმეტე საუკუნის II ნახევარში გაჩენილი სრულიად ახალი ტერმინია!

დავით ჩუბინაშვილს ჰგონია, რომ ამ სიტყვის შემნახველი უძველესი ტექსტია „აბდულმესიანი“ და ამიტომაც ამ ძეგლს მიუთითებს, რადგან სხვაგან ამ ფორმას ვერ პოულობს.

25. სამისებრო (ე.წ. აბდ. 91): I-VII ტომებში არა ჩანს.

სიტყვარი: ძველ წყაროებში არსადა ჩანს!

26. სამხატოვანი (ე.წ. აბდ. 14): I-VII ტომებში არ ჩანს; მხოლოდ VI ტომშია **სამხატედი**, რაიც, ჩვენი აზრით, ნიშნავს კიდეც სამხატოვანს (გვ.

867), თუმცა საძიებელი ფორმა არც აქ იხილ-ვის.

სიტყვარი: მითითებულია მხოლოდ თეიმუ-რაზ II (XVIII საუკუნე).

დავით ჩუბინოვი, როგორც უკვე მკითხველი გრძნობს, უძველეს წყაროდ მიუთითებს მხო-ლოდ „აბდულმესიანს“, რაკილა სხვაგან ამ სიტ-ყვას ვერსად ხედავს.

27. სარდა-სარო (საუკეთესო კვიპაროსი, ე.წ. აბდ. 8): V-VII ტომთა ლექსიკონები არ იცნო-ბენ.

სიტყვარი: დასტ. ისტ. საბ. IV, 21,33 – საბუთი 1635 წლისა; სამართ. V, 332,20 – საბუთი 1786 წლისა; ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, 167,5 – საბუთი 1641 წლისა; ქართ. სამ. ძეგლე-ბი, II, 527, 25 – 1660 წლისა; H-342, - საბუთი 1661 წლისა.

ვხედავთ: ეს ტერმინიც მეჩვიდმეტე საუკუ-ნის იქით არ ფიქსირდება.

დავით ჩუბინოვი უძველეს წყაროდ მიუთი-
თებს „აბდულმესიანს“, რაკიდა სხვა ძველ წყა-
როებში ამ ცნებას ვერ პოულობს.

28. ფირუზი (ე.წ. აბდ. 44): I-V ტომებში არ-
სად ჩანს; IV ტომი ეკუთვნის რუსთველს. იგი
ათასგვარ ძვირფას თვალ-მარგალიტს ახსე-
ნებს, მათ შორის, ამ ქვასაც, ოღონდ ძველი,
პირვანდელი ფორმით – **ფეროზი**; არც ის არის
ყურადღებიდან გამოსარიცხავი, რომ „შუშანი-
კის წამებისა“ და სხვა ძველი წყაროების მიხედ-
ვით, არსებობს **ფეროზ** მეფე და არა **ფირუზი** მე-
ფე; მე-5 ტომის ლექსიკონი კი უკვე იცნობს ამ
ცნებას (გვ. 867).

სიტყვარი: ძველ წყაროებში **ფირუზი** არ
ჩანს, **ფეროზი** დიახაც! მაგალითად, გარდა
„ვეფხისტყაოსნისა“, **ფეროზი** გვაქვს „ვისრამი-
ანშიც“, ოღონდ ფირუზი – არა!

29. სემური (არაბ. ალმასი; ე.წ. აბდ. 8): I-VII
ტომებში არსად ჩანს.

საფონდო სიტყვარი: მითითებულია – ძველი
ძეგლებიდან მხოლოდ „აბდულმესიანშიაო“.

დავით ჩუბინაშვილი, რა თქმა უნდა, მას
მხოლოდ „აბდულმესიანში“ აფიქსირებს, სხვა-
გან – ვერსად!

30. სისარა – ე.წ. „აბდულმესიანის“ ერთობ
კოლორიტული სიტყვა ძველ წყაროებში XVII სა-
უკუნემდე არსად ჩანს.

სამაგიეროდ, „სისარა, დასისარა“ ლექსემებს
ხშირად იყენებს იაკობ შემოქმედელი; იყენებს
როგორც თავის „ნამდვილ“ (გაბაასება), ისე
„არანამდვილ“ (ე.წ. „აბდულმესიანი“) თხზულე-
ბებში (იხ. ი. შემოქმედელი, პოეტურ თხზულე-
ბათა სრული კრებული, თბილისი, 2014, ბორის
დარჩიას რედაქცია, გვ. 264 და გვ. 352).

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს ქართლის
ცხოვრებას, 69. ეს კი XVIII საუკუნეა.

31. სტოლა (ნავები, ე.წ. აბდ. 39): I-VII ტომე-
ბი არ იცნობენ.

საფონდო სიტყვარი: ძველ წყაროებში XVII
საუკუნემდე არსად ჩანს.

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს, მისი აზ-
რით, ყველაზე უადრეს წყაროს „აბდულმესი-
ანს“.

32. უზერელი (ე.წ. აბდ. 14): I-VII ტომებში
არსადაა, გარდა ე.წ. „აბდულმესიანისა“ (II ტო-
მი); როგორ მოხდა, რომ XII საუკუნეში გამოიყე-
ნეს ეს მეტად კოლორიტული სიტყვა და ის მეჩ-
ვიდმეტე საუკუნემდე არავინ მოიმარჯვა?!

ფონდის სიტყვარი: მხოლოდ „აბდულმესიან-
შიაო“!

დავით ჩუბინაშვილი, რა თქმა უნდა, მხო-
ლოდ „აბდულმესიანს“ მიუთითებს, სხვა ძველ
წყაროში ამ სიტყვას ვერ ამჩნევს.

33. უსულელი (ე.წ. აბდ. 23): I-VII ტომების
ლექსიკონები არ იცნობენ. ეფრემ მცირის იამ-
ბიკოშია **უსულელესი** (XI-XII საუკ.).

სიტყვარი: მხოლოდ „აბდულმესიანშიაო“.

დავით ჩუბინოვი მიუთითებს მხოლოდ „აბ-დულმესიანს“.

34. ფელამბარი (მოციქული, ე.წ. აბდ. 82): I-V ტომები არ იცნობენ. VI წიგნში უკვე გამოჩნდა ეს კოლორიტული სიტყვა (გვ. 872).

საგულისხმოა შემდეგი გარემოება: რუსთველი სულ მაჟმადიანთა წრეში ტრიალებს და მაჟმადიანთა მოციქულის გამომხატველი ეს ცნება არ უხსენებია. თუ მას წინ ედო ნამდვილი „აბ-დულმესია“ და შიგ ეგ ტერმინი იყო, როგორ არ გამოიყენა იგი?!

სიტყვარი: მიუთითებს, რომ XVII საუკუნის იქით ეგ ტერმინი არ ფიქსირდება; არის: არჩილის „გაპაასებაში“; ხელნაწერში S-2511 – XVII საუკუნისა; „ხოსროვშირინიანში“ – XVII საუკუნე; „იადგარ დაუდშიცაა“, „ლეილმაჯნუნიანშიც“.

მაშ, მეჩვიდმეტე საუკუნემდე ამ ტერმინის ძიება ზედმეტია. საგულისხმოა, რომ იაკობ შე-

მოქმედელი ამ ტერმინს არაერთგზის ახსენებს თავის „ნამდვილ“ პოემა „გაბაასებაში“.

დავით ჩუბინაშვილი, მკითხველი უკვე ხვდება, მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“, რადგან სხვა ძველ წყაროში ამ ფორმას ვერ ხედავს.

35. ლვედკეცი (მცენარე; ე.წ. აბდ. 60): I-VII ტომების ლექსიკონი არ იცნობს.

სიტყვარი: აფიქსირებს მხოლოდ სულხან-საბასა და ვახტანგ მეექვსესთან. ძველ ქართულში მხოლოდ „აბდულმესიანშიაო“.

დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს მხოლოდ „აბდულმესიანს“.

36. შიშველ-მართალი (ველური კაცი, ე.წ. აბდ. 60): I-VII ტომებში არ ფიქსირდება.

სიტყვარი: 1639, 1670, 1683 წლების წყაროებში; H-972, 1639 წლის ხელნაწერი.

დავით ჩუბინოვი მხოლოდ „აბდულმესიანში“ ხედავს ამ ტერმინს.

37. წერილი (ანბანი, ასოები; ე.წ. აბდ. 8,84):
ამ გააზრებით არსად ჩანს I-VI ტომებში; VII წიგ-
ნში უკვე გამოჩნდა (გვ. 746).

წერილი მეჩვიდმეტე საუკუნის გააზრებაა.
მანამდე ყველგან ნიშნავდა **დაწერილს,**
ტექსტს.

სიტყვარი: ძველ ლიტერატურაში არსად
ფიქსირდება.

დავით ჩუბინოვი მიუთითებს მხოლოდ „აბ-
დულმესიანს“.

ასეთია ე.წ. „აბდულმესიანში“ ამეტყველებუ-
ლი ლექსიკა.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძ-
ლევს, გამოვიტანოთ ლოგიკური უმაგრამო
დასკვნა:

ე.წ. „აბდულმესიანში“ ფიქსირდება 40-42
ისეთი სიტყვა, რომელთა კვალსაც ვერ ვან-
ყდებით ძველ ტექსტებში. ისინი ჩვენს მეტ-
ყველებასა და მწერლობაში ჩნდებიან XVI-
XVII საუკუნეებში, ამიტომაც ე.წ. „აბდულმე-

**სიანი“ დაწერილია XVII საუკუნის მეორე ნა-
ხევარში, კონკრეტულად 1661 წელს; ეკუთ-
ვნის იაკობ შემოქმედელს და ეწოდება ასე -
„ქება მეფისა არჩილისა“.**

ლიტერატურა

1. თავდიშვილი მურმან, დიდი როქი ქართულ
ლიტერატურაში, თბილისი, 2010, 56.
2. იაკობ შემოქმედელი, პოეტურ თხზულებათა
სრული კრებული, თბილისი, 2014, 349.
3. ქართული მწერლობა, I-VII ტომები, თბილი-
სი, 1987-1989 წლები.
4. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომი-
სის სალექსიკო ფონდი.
5. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული
ლექსიკონი, თბილისი, 1984.

Expressive vocabulary

Resume

We have confirmed: words "Boluki", "Sepka", "Jigha", came into Georgian speech in XVI-XVII centuries; They had never been used in the old Georgian literature, therefore, their existence in so called "Abdulmusiani" confirms that this poem was composed not in the 12th, but in the seventeenth century.

We have found many "suspicious" other words in the text of the laudatory poem. Such as: Amiantosi, Bezirgani, Ganligeba, Garmozgudva, Dambetchvdeloba, Damskhemi, dasakviri, Dasuri, Diadema, Eksuli, Zevsuri, Takumi, Lavroti, Makroti, Mborgavi, Mkamkamebeli, Mkrtolvare, Mkodavi, Momtsemloba, Mokhsho, Msparaznobeli, Samirone, Samisebro, Sarda-Saro, Semuri, Sisara, Stola, Peghambari and other, Total 40-42 units.

We could not found them in the volumes of Georgian poetry (I-VII), which presents old texts till seventeenth century. Given words are not mentioned in the above mentioned vocabularies, except in the so called "Abdulmusiani".

i.e. so called "Abdulmesiani" is not a literary text of 12th century. It was written in the second half of the seventeenth century, in 1661 year and it was called: - "The praise to King Archili".

Key words: "Abdulmesiani", so called "Abdulmesiani", the vocabulary of the XII century, the words used since XVI-XVII centuries.

Говорящая лексика

РЕЗЮМЕ

Мы доказали: слово «булуки» (группа), «сефка» (разновидность лука), «джига» (перо, украшение головного убора) в грузинской речи появляются только с XVI века. Эти слова нами не

замечены в древних текстах нигде, за исключением «Абдулмесиани». Следовательно, «Абдулмесиани» - памятник не XII, а XVII века.

Нами обнаружены и другие сомнительные слова, не встречающиеся в лексике древних (V-XV веков текстах). Их количество достигает примерно 40-42 единиц.

Это – ещё одно свидетельство того, что т.н. «Абдулмесиани» сочинил не Шавтели, поэт XII века, а религиозный деятель XVII века митрополит Яков, а название поэмы – «Восхваление царя Арчила» (АрчилБагратиони воцарился в 1661 году).

Ключевые слова: Шавтели, «Абдулмесиани», т.н. «Абдулмесиани», «булуки», «сефка», «джига», митрополит Яков Шемокмедели.

ე.ნ. „აბდულმესიანში“ ჩამორიგებული ავანსის შესახებ

საკვანძო სიტყვები: ე.ნ. „აბდულმესიანი“, თა-
მარ მეფე, დავით სოსლანი, არჩილ ბაგრატიონი, შაპ-
ნავაზი, იაკობ შემოქმედელი, „ქება მეფისა არჩილი-
სა“.

1661 წელს ვახტანგ მეხუთე შაპნავაზი, წითელ სპარსულ ხალათში გამოხვეული, არე-
ულ-დარეულ იმერეთსა და ქუთათისს ესტუმ-
რა; მას მხარს უმაგრებდა ქართულ-სპარსული
ჯარი. მთელი დასავლეთი საქართველო გაისუ-
სა. შაპნავაზმა პირისგამტეხი და მოღალატე ვა-
მიყ დადიანი მოაკვლევინა, სამეგრელოს გამაგ-
რებული სამხედრო ბოლაზი რიონზე – ლიმონა
– აიღო და აფხაზეთიც დააშოშმინა; დადიანად
თავისი კაცი განამწესა და იმერეთის ტახტზე 14
წლის „ალვა მორჩი“ არჩილ ბაგრატიონი დასვა.
ფაქტობრივად ირანის შაპის ფარული თანხმო-

ბით დასავლეთი საქართველო შემოიერთა (2, გვ. 18-19).

ახალგაზრდა მეფეს ავტორიტეტის ამაღლება სჭირდებოდა. მას ჯერ თავი არაფრით გამოეჩინა, გარდა სწავლაში დიდი წარმატებისა. ეს კი ისტორიულად დადასტურებული ფაქტია: შაპინავაზმა თავის მრავალრიცხოვან შვილებს ბრწყინვალე განათლება მიაღებინა. ზოგი ისტორიკოსი იმასაც კი აღნიშნავს, რომ არც ერთი ქართველი ხელმწიფის შვილებს ისე მრავალმხრივი და ბრწყინვალე განათლება არ მიუღიათ, როგორც ვახტანგ მეხუთის ნაშიერებსო. განათლებულთა ამ კოპორტაში არჩილი მეწინავეობდა. ეს ისტორიამაც დაადასტურა. მართალია, სამეფო ხაზით მისმა უმცროსმა ძმამ გიორგი მეთერთმეტემ უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე არჩილმა, ოლონდ განათლებისა და მწერლობის სარბიელზე არჩილი მთიებივით ბრწყინავს. მან არა მარტო თავად გამოიჩინა თავი, როგორც დიდმა და სახელოვანმა პოეტმა,

არამედ მთელი ლიტერატურული სკოლა შექ-
მნა.

ეს კი რჩეულ მოაზროვნეთა ხვედრია!

ჰოდა, აი, 1661 წელს ნორჩი არსება იმერე-
თის ტახტზე დაჯდა. მას სჭირდებოდა ავტორი-
ტეტის ამაღლება და კიდევაც გამოუჩნდა მე-
ხოტბე გურიიდან. ეს გახლდათ მიტროპოლიტი
იაკობ შემოქმედელი. მან ჩახრუხაძის წაბაძვით
შექმნა 107 სტროფიანი „ქება მეფისა არჩილი-
სა“. სხვათა შორის, არა მარტო სიტყვათა წყო-
ბით, საზომითა და შერითმვის წესით წაბაძა მე-
12 საუკუნის მგოსანს, არამედ თხზულების სი-
დიდითაც. „თამარიანის“ მოცულობაც დაახლო-
ებით ასეთია – 111 სტროფი (თუ მასში რამდე-
ნიმე სტროფი ჩამატებული არაა და თავიდან
ისიც 107 სტროფს არ შეადგენდა). ამიტომაც
თუ იყო, რომ ქართული ლექსის პირველი კა-
ნონმდებელი მამუკა ბარათაშვილი მიუთითებ-
და:

**იაკობ მბაძეს და ჩახრუხაძეს
ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწყებად —
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ,
დავრჩი ბაქარის მე მონა მქებად (1, გვ. 41).**

აქ პირდაპირ და უთუმცაოდ არის გაცხა-
დებული: იაკობმა წაბაძა ჩახრუხაძეს; იაკობმა
აქო არჩილი, ჩახრუხაძემ — თამარი; მე კი ბაქარ
მეფის ხოტბა ვიკისრეო. ამ „ბაქარის ქებაში“ კი
დასძენს: მე წავბაძე „ბრძენსა მას ორსაო“ (1,
გვ. 40).

მაშ, ასე:

იაკობ მბაძეს უნდა შეექო ახალბედა,
„ჯერთ-უწვერული“ ჭაბუკი, რომელსაც ჯერ-
ჯერობით საგმირო და სასახელო არაფერი
ჰქონდა გაკეთებული. ამიტომაც არის, რომ
ტექსტში შეინიშნება ერთი თავისებურება, რა-
იც სამეცნიერო წრეებს დღემდე არ შეუმჩნევი-
ათ: ჯერ ერთი, წარსული გმირობის არავითარი
ფაქტი არაა მოყვანილი; პოემა რომ თამარს ან
დავით სოსლანს ეძღვნებოდეს, ავტორი წარსუ-

ლი გმირობის არაერთ ფაქტს დაასახელებდა; მეორეც, სამუქფოდ, აქცენტირებულია მომავალი და მყოფადი დრო, რომ საქები პერსონაჟი **ა წ ი** გამოიჩენს თავს, რომ **სამომავლოდ** ჩაიდენს გმირობებს.

მოდით, ქმნილებას ამ თვალთახედვით გადავხედოთ!

ტექსტში ხშირად არის მომარჯვებული ეპითეტი „მორჩი“, რაც ნიშნავს ახალნერგს, ჩვილს, პატარას. მე-5 სტროფშია: „ა ქამით მორჩი! აქა მით მორჩი“ (4); მეორე ადგილას პერსონაჟი არის ვარდისა ნერგი: „ნერგად ვარდისად“ (მეშვიდე სტროფი); საგულისხმოა მე-10 სტროფი: აქ აქცენტირებულია არა ის, თუ რა გაუკეთებია გმირს, არამედ ის, თუ რას გააკეთებს მომავალში: „შემუსრავს, შეფქვავსო“ ორგულებს; მე-15 სტროფიც მომავალზე აკეთებს აქცენტს: „უთრუთ-საამით ზაალსა ამით განქიქებულ-ჰყოფს ძლიერებითა“.

მაშასადამე, „შაჰ-ნამეს“ უძლიერეს ფა-
ლავნებსა და გმირებს: უთრუთს, საამს და, კი-
დევ მეტი, თვით როსტომ-გმირის მამას, უძლე-
ველ ზაალსაც კი განაქიქებსო. „განქიქებულ-
ჰყოფს“ არის მომავალი დროის ზმნა, გულის-
ხმობს იმას, რასაც პერსონა **ა ნ ი** გააკეთებს. ამ
მხრივ არც მე-16 სტროფია გამონაკლისი: არჩი-
ლი მალე გახდებაო „აგარის ერთა ცეცხლთა
მომდებადო!“

თამარსა და დავითს, როგორც ასაკოვანთ,
ხნოვანთ, არ სჭირდებათ ბედის მარჩიელობა,
„რამლის კვრა“. აქ კი 14 წლის ყმაწვილკაცის
ბედსა ჩხრეკენ და მომავალს უწინასწარმეტ-
ყველებენ. ეს საქმე კეთდება მე-17 სტროფში:
„იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა სჩხრეკენ, რამლს
ჰკრვენ, არჩევენ ბედთა მათთავან“.

სამომავლო პროცესებია გამოხატული
ამავე სტროფის მომდევნო ტაეპებშიც: „რომ
იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა მის-
თაგან“.

„რომ იქმნეს“, ეჭვი არაა, მომავლის დროა, მყოფადის ფორმაა.

ერთადერთი, რაც წარსულს მიეწერება და რაც ჭაბუკმა მამასთან ერთად უკვე გააკეთა, შემდეგია: მათ შერისხეს და მიასიკვდილეს სამეგრელოს ქვეგამხედვარი მთავარი ვამიყ და-დიანი, რომელმაც თავისი გრძელცხვირა ქა-ლიშვილი არჩილს არ მისცა ცოლად და ამით პი-რისწყალი დაუქცია. ეს ფაქტი კი სწორედ წარ-სულ დროშია გამოხატული:

**ვისაც შეჰრისხდა, ნამდვილვე მიჰევდა
მას სალმობანი სიკვდილისანი (23-ე
სტროფი).**

ეგ „სალმობანი სიკვდილისანი“ სწორედ ვამიყ დადიანმა იგემა.

ავტორი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მისი პერსონაჟი ყმაწვილკაცია, ნორჩია. 26-ე სტროფში ვკითხულობთ: „მოყმე, მხნე, უხ-ვი დაიბადენი“.

28-ე სტროფში ის კი არ არის აღნიშნული, თუ გმირმა უკვე რა გააკეთა, არამედ ის, თუ რას გააკეთებს, რას მოიმოქმედებს სამომავლოდ:

**შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს,
ასტარტის კერპსა საძაგელთასა.**

ეჭვი არაა, „შემუსრავს“ მომავალ დროს გამოხატავს.

ცნობილი ისტორიული ფაქტია: შაჰნავაზმა და არჩილმა მოსპეს ვამეყ დადიანი, გაუნადგურეს ოჯახი, აგრეთვე ძე და ასული. ეს ისტორიული ფაქტია. ეს ამბავიც წარსულ დროშია გაწერილი, როგორც უკვე მომხდარი:

**ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარყო ამან ქვეყანით (სტროფი
32-ე).**

იმავე სტროფშია:

აღმოფხვრა სული – ძე და ასული;

რაც უყო, თქმევად ვის ძალუც ენით!

ისიც ისტორიული ფაქტია, რომ ვამეყს
დარჩა ერთი ძე და ერთიც ასული!

ასევე წარსულ დროშია გამოხატული
1661 წელს მომხდარი კიდევ ერთი მოვლენა – ამ
დროს იმერეთის ჯარებმა შაჰნავაზისა და არჩი-
ლის ხელმძღვანელობით აიღეს რიონისპირა
ლიმონა, მეგრელთა მიერ გამაგრებული სამ-
ხედრო ბოლაზი:

„ თვით სულ იმონა კიდე ლიმონა“
(სტროფი 33).

ამის შემდგომ ავტორი ისევ სამომავლოდ
ჩასადენ ქველობას უქებს თავის გმირს:

ჯალაც ისეფქევ, მოსვრით ისე ფქევ,
ბრჭალი ჰქმენ მათზე (მტერზე) მეოტ-
მყოფელი (სტროფი 35).

ასევე, იმავე ხანაშია: „ორგულთა ექმენ
დასამხობელი“.

ისე ფქევ, ისე ფქევ, ჰქმენ, ექ
მენ მომავალი დროის გამომხატველი ზმნებია!

აღნიშნული თვალთახედვით საინტერე-
სოა 36-ე სტროფი:

**ხმალი ლესული, მასზედ მხნე სული
პარპაროზთ მსვრელად მყის წარგემარ-**

თოს;

**მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი,
რისხვით მათ ზედა რომ მოგემართოს.**

აქაც ზმნები - „წარგემართოს“ და „მოგე-
მართოს“ – მომავალს გულისხმობენ და არა
წარსულს ანდა აწმყოს.

ყველაფერი ლოგიკურია: „ჯერთ-უწვე-
რულ“ 14 წლის ღლაპს ავტორი სამომავლო წარ-
მატებებს უსურვებს.

38-ე სტროფში ნახსენებია ერეკლე კეისა-
რი, რომელმაც შეიპყრო ირანის შაჰი ხოსრო.
მერე კი ნათქვამია: ესეც, ჩვენი ახალგაზრდა
მეფე და გმირიც, მომავალში უღმერთოებს და-
იფრენსო:

**სთქუთ-ლა ესეცა: „მსგავსად ესეცა
უღმრთოთა შეიქმს თვით-ოტებულსა“.**

საეჭვო არაა: თამარსა და დავითს ასე კი
არ ეტყოდნენ, არამედ ამგვარად: თქვენ ერეკ-
ლე კეისარივით უკვე აოტეთ და გააქციეთ უღ-
ვთო აგარიანები და ირანელებიო!

მეხოტბე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს,
რომ მისი ქების საგანი „ჯერთ-უწვერული“
ყმანვილია:

**ვარდო უფრჭვნელო, ცვრით განპანი-
ლო,**

ნერგო სვიანო, დავითიანო (სტროფი 52-
ე).

„უფრჭვნელი ვარდი“ და „ნერგი სვიანი“
აშკარად მიუთითებს 14 წლის ყმანვილკაცზე და
არა ლაშა-გიორგის მშობლებზე – გინდა თამარ-
ზე, გინდა დავითზე.

56-ე სტროფში კიდევ არის მითითებული
გმირის ნორჩ ასაკზე: „რა მოიზარდე, თვით მო-
იბლარდე“.

მოზარდად კი ითვლება სწორედ 14 წლის
ადამიანი.

მერე ისევ მომავლის გამომხატველ
ზმნებს იყენებს მწერალი, როცა პრძანებს:

**ასპიტ-ცემულ-ჰემოფი მტერთა, ახოვნად
მყის მოამდოვრებ, მათ შეიქმ ცხოვრებ**
(სტროფი 57).

ზმნები: ცემულ – ჰემოფი, მოამდოვრებ, შე-
იქმ – არის ავანსი, რომელსაც იაკობ მბაძე ასე
უხვად აძლევს თავის ნორჩ გმირს. ვგონებ, საა-
ვანსო არაფერი ჰქონდათ თამარსა და დავით
სოსლანს, მით უფრო – დავით აღმაშენებელს,
უკეთუ რომელიმე მათგანია აქ შექებული!

61-ე პოეტური აბზაციც საგულისხმიე-
როა.

აქაც საავანსო ზმნებია დაჯრილი:
**ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰ-
სხლავ,**

ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად.
აქაც არა უკვე **მ ო ს წ ყ ლ ე, მ ო ს ხ ლ ე**
და **გ ა უ ხ დ ი ო, არამედ ა წ ი იქნება ყოველი-**
ვე ესო: „მოსწყლავ“, „მოჰსხლავ“, „ექმნები“.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 62-ე სტრო-
ფი, სადაც უთუმცაოდ არის მითითებული, რომ
ხოტბის საგანი ნორჩია, ჯერ დაუქორწინებე-
ლია, გვრიტთა მართვეა, ოღონდ სურვილი აქვს,
შექმნას ოჯახი; მეტაფორა **გ ვ რ ი ტ ე ბ ი** აქ
არჩილის დედ-მამას გულისხმობს, ხოლო მეტა-
ფორა **მ ა რ თ ვ ე** – თვითონ არჩილს, 14 წლის
ნორჩს:

**გვრიტთა მართვისა თვარ აქვს მართ ვი-
სა**

თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?

ერთგან კი (სტროფი 86-ე) პირდაპირაა
ნათქვამი, რომ პერსონაჟი „ნორჩად გამოქან-
დაკებულიაო“: „ნორჩთ ქანდაკებით“.

96-ე სტროფში მითითებულია, რომ ნორჩ
ხელმწიფეს შეეფერებაო მთელი ხმელეთის
ფლობა:

შეგეფეროდა, გმირო, ქველო-და,

სრულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა!

ეს არის კეთილი ნატვრა!

თამარსა და დავითს კი ამგვარი ნატვრა-
წადილი არაფრით შეეფერებოდათ, ვინაიდან
მათ ისედაც ხელთ ეჭირათ არათუ მათი წილ-
ხვედრი „სამეუფო“, არამედ მთელი ხმელეთი.
„ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში პირდაპირ არის
მითითებული, რომ დავით სოსლანი გახლავთ
მაშრიყიდან მაღრიბამდე „სრულ ხმელთა“
მფლობელი:

**„ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს
ზართა მარებლად“** (3, სტროფი 1708).

ასე რომ, შეუძლებელია, თამარსა და და-
ვითს ავტორი ასე მიმართავდეს: შეგეფერებო-
დათ „სრულ ხმელთა“ ფლობაო.

ამრიგად, ავტორი იაკობ შემოქმედელი
აქცენტს აკეთებს ქების ობიექტის სამომავლო
გმირობაზე, სავარაუდო ქველობაზე და ამგვა-
რი საავანსო წარმოდგენა-წარმოსახვებით ავ-
სებს პოემის სალექსო სივრცეს.

ყოველივე ეს ამტკიცებს: ე.წ. „აბდულმე-
სიანის“ ხოტბის საგანი არის 14 წლის მორჩი

არჩილ შაჰნავაზის ძე ბაგრატიონი, ხოლო პოემას ეწოდება „ქება მეფისა არჩილისა“.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი მამუკა, თხზ. სრული კრებული, თბილისი, 1969.
2. გაგლოევი გიორგი, იმერეთის ისტორია, 1465-1810, გორი, 2013.
3. რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, მურმან თავდიშვილის რედაქცია, თბილისი, 2016.
4. ქართული მწერლობა, 3, თბილისი, 1988, ე.ნ. „აბდულმესიანი“.

About distribution of advance in so called “Abdulmesiani”

Resume

Shakhnavazi, Vakhtang V Bagrationi annexed Imereti, with the help of hidden support of Persian

Shah in 1661 year and enthroned his underage son Archili there. 14-year-old boy needed to increase his authority. He was lauded by Iakob Mitropoliti from Guria. Iakob Shemokmedeli, replicated to Chakhrukhadze, wrote 107 verses lyric-paneguric poem “Praise” to King Archili”.

“Still beardless” young man had not committed heroic deeds. It is natural. That is why, the main part of the poem is to distribute the advance: author praise the young king’s not the past, but the future; Praise the good jobs that he will do in the future.

On the fact that the future heroes are emphasized in praise, is not paid any attention in scientific literature till present. This proves once again, that the author praise not Tamari, Davit Soslani or David Aghmashenebeli, but the young king.

Therefore, 107 verses poem is a literary text written not in XII century, but in XVII century; Archil Bagration is praised by it, who gained the throne of

Imereti in 1661 year. The poem is written at the same year too.

Key words: so called “Abdulmesiani”, King Tamar, Davit Soslani, Archil Bagrationi, Shakhnavazi, Iakob Shemokmedeli, “Praise to King Archili”.

**ვამეყ დადიანის სახე ე.ნ.
„აბდულმესიანსა“
და
არჩიოლ მეფის „გაბაასებაში“**

საკვანძო სიტყვები: ვამეყ დადიანი, სეპარატიზმი, ვახტანგ V, შავნავაზი, მათი კოლიზია, დადიანის დასჯა, ახალგაზრდა მეფე არჩიოლი.

ე.ნ. „აბდულმესიანი“, ანუ იაკობ შემოქმედელის „ქება მეფისა არჩიოლისა“ (1661 წელი), და არჩიოლ ბაგრატიონის „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“ (დაახლოებით 1680-1681 წლები), როგორც ერთი ეპოქისა და ერთი

ლიტერატურული წრის (არჩილის სკოლის) თხზულებები, ერთნაირ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მიმართულებას ამჟღავნებს. ეს გახლავთ სამეფო კარზე (ვახტანგ V შაჰნავაზის წრეში) შემუშავებული მყარი თვალსაზრისი: ვამეყ III დადიანი, როგორც ქვეგამხედვარი ფეოდალი, მტყუანია, ხოლო ქართლის სამეფო კარი, რომელიც შაჰის ფარული მხარდაჭერით ქართლისა და იმერეთის გასაერთიანებლად იპრდვის, - მართალი და უზაკველი.

ამ მხრივ ორივე ტექსტი ერთნაირ პოზიციას ავლენს.

განვიხილოთ ეს საკითხი გამოწვლილვით, ოღონდ მანამდე ვნახოთ, თუ როგორა დგას ეს პრობლემა უახლეს ისტორიულ ლიტერატურაში: „ამან იმერეთი აღაშფოთა: ნაწილი დადიანის გამეფებას უჭერდა მხარს, ნაწილი კი ქართლის მეფე ვახტანგ V-ის გამეფებას; ქუთაისში მაინც ვამეყ დადიანმა შეასწრო... 1660 წელს იმერეთის მეფედ თავისი თავი გამოაცხადა, და ყოვე-

ლი შემთხვევისათვის იმერეთის სამეფო სიმდიდრე 12 ურმით ქუთაისიდან ოდიშში გაგზავნა. ამასობაში ქუთაისს სპარსულ წითელ ხალათში გამოწყობილი ქართლის მეფე ვახტანგ V მოადგა. ვამეყ დადიანმა მას ქართლთან მომიჯნავე მიწები დაუთმო, თავისი გრძელცხვირა ასული ვახტანგის ძეს არჩილს შეჰპირდა ცოლად და ერთურთს მშვიდობიანად დაშორდნენ.

ვახტანგისა და ვამეყის დამოყვრება დიდხანს არ გაგრძელებულა: დადიანმა შეჰპირებული ასული იმერელ თავად ბეჭან ლოლობერიძეს მისცა. ამით გაპრაზებულმა ვახტანგ V-მ მიიმხომო ზემო იმერეთის დიდებულები, დემეტრე გურიელი და 1661 წელს იმერეთში ჯარით შეიჭრა. ვამიყ დადიანმა ბრძოლა ვერ გაბედა და ოდიშში გაიქცა. ვახტანგი იქაც მიჰყვა. აქედან ვამეყი სვანეთში გაიქცა. ოდიშში ვახტანგმა მთავრად ლევან II დადიანის ძმიშვილი შამადავლე იოსების ძე დანიშნა... იმავე წელს ვახტანგის მითითებით ხოსია ლასხიშვილმა ვამიყ დადიანი

მოკლა, იმერთა მეფედ კი ვახტანგმა თავისი 14 წლის ძე არჩილი გამოაცხადა“ (3, 18-19).

ახლა ვნახოთ, თუ როგორაა ყოველივე ეს ასარკული ე.წ. „აბდულმესიანში“.

აქ ქვეგამხედვარი ფეოდალის ლიტერატურული პორტრეტი იძერწება 31-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე სტროფებში (5).

მაშასადამე, დრამატული ეპიზოდი ჩატეულია ოთხ პოეტურ აბზაცში.

მამა-შვილს (ვახტანგ V შაჰნავაზსა და არჩილს) ურიცხვი რაზმი ჰყოლია, თანა ჰქონია მტერთა მომსპობი გორგასლიან-დავითიანი დროშა; ამ დროშის წინაშე ნებისმიერ „მებრძოლთა“ (ავაზაკ-მეკობრეთა) გუნდები გაცუდდება (სტროფი 31); უფრო საინტერესოა მომდევნო პოეტური აბზაცი: აქ ტოლად შერწყმულ სახელებად არიან წარმოდგენილი ქართველი ვამეყ III დადიანი და ირანელი ვისი: „ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარყო ამან ქვეყანით“.

ეგ **ვისი** არის იაკობ შემოქმედელის ამავე პოემაში სხვაგან ნახსენები „უკეთური თურის“ მონა, პირველი ვაზირი; ძმებმა სალიმმა და თურმა მოკლეს ძმა ერაჯი, ჩაიდინეს უმსგავსო საქციელი. ამიტომაც ამბობს იაკობი: „სალიმ და თური, ძლით უკეთური“. აი, სწორედ ამ ბოროტი თურის პირველი რაინდი და მრჩეველია **ვისი**. სწორედ ამ ვისს ახსენებს იაკობ დუმბაძე „ართუ მეყვის“ პიროვნებად, ანუ არამოყვარულ, არასაყვარელ, არასათნო პიროვნებად, რაკიღა ისიც ხელს უწყობდა თავის პატრონს ბოროტების ალსრულებაში, სწორედ ამ ვისის ბოროტი ბუნების თანაზიარია ქართველი ფეოდალი, დადიანი ვამეყი, რომელიც საცხებით სამართლიანად აღმოფხვრა, შემუსრა, მოსპო და გაანადგურა ქების ობიექტმა: „როს იავარყო ამან ქვეყანით“.

მართლაც, როგორცა ვნახეთ, ვახტანგ მეხუთემ და არჩილმა სიტყვისგამტეხი და მოღალატე ფეოდალი 1661 წელს მოაკვლევინეს.

იმავე სტროფში ნაჩვენებია, თუ რა დაემართა ორგულ ფეოდალს: „აღმოფხვრა სული – ძე და ასული: რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უცენით!“

ვამეყი და მისი ოჯახი ძირიფესვიანად გაანადგურაო.

მომდევნო ტაეპში ნაჩვენებია, თუ როგორ ძიძგნის ფრინველ-მხეცი მოღალატის ლეშს: „ვნახეთ ა სერი: მაზედა სერი – მხეცნი, ფრინველი უწყლად მისევნით!“ ბოლო ტაეპებში ნაჩვენებია, თუ როგორ მოექცა ქვეგამხედვარს ხელმწიფე „უწყალოდ“: „ექმნა უწყალოდ“ და „ქმნა უძალოდო“.

მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება:

რაკი სამეგრელოს მთავარი ჩამოიშორა, ახლა ცენტრალური სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები შემოიმტკიცა, უწინარეს ყოვლისა კი – სამხედრო ნავსადგურები და ბოლაზები. მათ შორის უმთავრესი გახლდათ ე.წ. „რიონის ლიმანა“ (რიონის ლიმონა).

უნდა განვმარტო: ლიმენი, ლიმონა, ლიმენა – ეს ბერძნული ტერმინები მაშინ დღევანდელი თურქული ბოლაზის ნაცვლად იხმარებოდა. **ლიმონა** შავი ზღვის სანაპიროზე XVI-XVII საუკუნეებში არაერთგან შეგხვდებოდათ. „ევროპაში მოგზაურობის“ ტექსტში სულხან-საბა ამ ტერმინს სულ ცოტა 15-ჯერ მაინც ახსენებს; დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე არსებობს დასახლებული პუნქტი, ტბის პირას მდებარე „კრასნი ლიმენი“. ეგ **ლიმენი** სხვა არაფერია, თუ არა ბოლაზი.

ლიმონა-ლიმენებით სავსეა მსოფლიო. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს ქალაქი **ლემანი**. იგი მდებარეობს მდინარე სართის ნაპირას; კოსტა-რიკაში არსებობს ქალაქი **პუერტო-ლიმონი**. გასაგებია, რომ პუერტო იგივეა, რაც პორტი (ბოლაზი). იმასვე ნიშნავს **ლიმონი**; საფრანგეთში მდინარე ვიენის ნაპირას მდებარეობს ქალაქი **ლიმოჟი**; პოლონეთში, ქალაქ **ლიმანში**, ამას წინათ საბჭოთა ჯარისკაცების მე-

მორიალი დაანგრიეს; არც ის უნდა იყოს უინ-ტერესო, რომ წყლის პირებში გავრცელებული მცენარის ერთ სახეობას ეწოდება ლემნა (4, 167). ამგვარი არაერთი ლიმენი-ლიმონა არსებობდა შავი ზღვის გამოლმა კიდეებზე, მათ შორის სამეგრელოშიც. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში რიონზე მოწყობილი ეგ ლიმონა ლევან დადიანს წაართვა საქართველოს მაშინდელმა მეფემ და ეს ფაქტი დაფიქსირებულია ბერი ეგნათაშვილის „ქართლის ცხოვრებაში“ (2, 723).

წინა საუკუნეში მომხდარი ეს ამბავი კარგად იცის იაკობ შემოქმედელმა და არჩილის მიერ რიონისკიდა ლიმონას ხელმეორედ აღების ფაქტს ასე გვაწვდის: არჩილმაო „თვით სულ იმონა კიდე ლიმონა, მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა“.

ამის შემდგომ საუბარია ორგულთა ალაგ-მვაზე: „ალაგმა მითა – ა ლაგამითა“. ამის შემდეგ ვამეყისაგან გაორგულებული მოყმენი და-

შოშმინდნენო: „ვინ რისხვით უხმო, უტყვი-იქ-
მნეს, უხმო“.

ასე გაიმარჯვა არჩილმა და იგი ისე ანათებ-
და სხვათა წინაშე, როგორც მზე – ვარსკვლა-
ვებს შორის:

„პნელ-ჰუმოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა,
ვით მზე დაპოვარავს სხვათა ვარსკვლავთა“.

საქმე არც ამითი მთავრდება.

ამ ამბის ბოლო ტექსტი (34-ე სტროფი) ასეთ
შინაარსს გულისხმობს: მტერს ჩვენი გმირი აბ-
ჯარ-ხმლით მეხივით დაეცა თავზე. მხოლოდ
ამის შემდეგ მიხვდნენ ორგული ტომები (ერნი)
თავიანთ სიბრმავეს. მე კი, ავტორი, ვადიდებ
ომით გახელებულ ყმაწვილ ბრძენს, ოლონდ არა
ხელს, რომელმაც საბოლოო ცოდნა შესძინა
ურჩებსაო.

აი, თუ როგორ არის გამოხატული სახოტბო
პოემაში ისტორიული ამბავი – ვახტანგ V შაჰნა-
ვაზისა და ვამეყ III დადიანის დაპირისპირება.

საგულისხმოა, რომ ცოტათი უფრო გვიან
იმავე ამბავს სარკისებურად აირეკლავს არჩი-
ლის შედევრი. „გაბაასებაში“ ყველაფერი ეს
მოთხოვილია არა არჩილის, არამედ თეიმუ-
რაზ პირველის (პერსონაჟის) ენით. იგი თავის
ამბავს გვიყვება და ზემოაღნიშნულ დაპირისპი-
რებასაც წარმოგვიდგენს, რაკილა თვითონვე
შეიქმნა ამ ამბის თვითმხილველი და შემსწრე.
ამბის იდეოლოგიურ-პოლიტიკური სარჩული
იგივეა: ქვეგამხედვარი ფეოდალი მტყუანია;
ქვეყნის გაერთიანებაზე მზრუნველი ბაგრატი-
ონები – მართალნი. „გაბაასების“ ჩვენთვის სა-
ინტერესო ქვეთავი ასეა დასათაურებული: „აქა
ლევან დადიანის სიკვდილი და მეფის ალექსან-
დრესაგან ოდიშისა და გურიისა და აფხაზეთის
დაჭერა“. შინაარსი ასეთია: გარდაიცვალა და-
დიანი; მეფემ დაიკავა მთელი დასავლეთ საქარ-
თველო; მათ შორის აფხაზეთ-სვანეთიც (1084-ე
სტროფი); ვამეყი იყო დადიანის ბიძაშვილი,
ოღონდ დადიანს ლირსებით ჩამორჩებოდა; ის

ლირსი არ გახლდათ ბატონობისა; ოდიშს ჯე-
როვნად ვერ უვლიდა; ბანძასთან ომში ქარ-
თველთა მეფემ გაიმარჯვა და, რაკიღა „დაეხო-
ცა ორგულები და ზოგი კი დაეჩაგრა“, მთელი
საქართველო დაიმორჩილა (1088); ეს ორგულე-
ბი, როგორცა გვახსოვს, ე.წ. „აბდულმესიანში-
ცა“ ჩანდნენ; მომდევნო (1089) სტროფში შაჰნა-
ვაზზეა საუბარი, რომელიც ყოფილა „კაცი
მხნე, ზნეობიანი, სიფიცხით ვით ავაზობა; მამა-
ცი, კარგი სარდალი, კარგად იცოდა რაზმთ
წყობა“; ამასობაში (სტროფი 1091) დასავლეთ
საქართველოს მეფე გარდაიცვალა, თავადნი
ალდგნენ, ალალდნენ, დაიწყეს ურთიერთმიხ-
დომა, ქვეყნის დასუსტება; ამ ვითარებაში
(1092) ქართლის მეფე და ვამეყ დადიანი იმერე-
თის დასაშოშმინებლად ალდგნენ, ხელი ხელსა
მისცეს, დააპირეს დამოყვრებაც, ტერიტორიე-
ბი წესისამებრ გაიყვეს; მაგრამ ვამეყმა ავი ზნე
გამოავლინა: „მო, ისიც გითხრა, ვამეყის საქმე-
ნი შეუგვანიცა“; აქ თეიმურაზი ასე მსჯელობს

(1093): ამ დროს უპატრონო და მიუსაფარი ვიყავი, სკანდის ციხეში ვცხოვრობდი. „ვამეყთან როგორ მივიდე, პურს ვსჭამდე უხლმოს კაცი-სას?“ ამიტომაც ქართლის ბატონს მივენდეო; ამის შემდეგ თეიმურაზი მოგვითხრობს: შაჰნა-ვაზმა თავაზიანად გამისტუმრა შაჰთან, რაკილა ეს ჩემი სურვილი იყო. მე კი ვაგრძელებ ვამეყის ამბავსო: „რაც ვამეყ ქნა, ვის უქნია, სხვას კაცს ასე საქმე ცუდი?! აეშალა ამ კარგს კაცსა (შაჰნავაზსაო – მ.თ.) ეშმაკის გულს დანაბუდი, მოყ-რობიდამ გაეყარა, ცუდი, ავად დანაყუდი“ (1097).

მაშ, ვამეყ დადიანმა პირობა დაარღვია, შაჰ-ნავაზს პირი უტეხა, არჩილის საცოლე სხვას მისცა და ქართლის პატრონს გადაემტერა. თეი-მურაზის აზრით, ამის გამო მას პასუხი უნდა ეგო და აკი ასეც მოხდა: შაჰნავაზი მიუხტა მას და შავი დღე დააყარაო:

„**მიუხდა, ყველა წაართვა სამეფო, სადადიანო, გურია, აფხაზეთიცა...**“ (1099)

ამის შემდგომაც ლექსში ყველაფერი ისეა,
როგორც სინამდვილეში მოხდა 1661 წელსვე:
**„შვილი მან მეფედ აკურთხა, მოყმე, ჯერ ახა-
ლიანო,**

**ვამეყ და მისნი მიმდგომნი, უყურე, სად
დადიანო?!”**

ესე იგი, ვამეყი და მისი მიმდევრები ახლა
უკვე საიქიოში დააბიჯებენო!

ამრიგად, როგორც ე.წ. „აბდულმესიანში“,
ისე „გაბაასებაში“ იხატება 1661 წელს მომხდა-
რი სამწუხარო ამბავი, ვამეყ დადიანისა და შაჰ-
ნავაზის ურთიერთობის ცალკეული შტრიხები.
ვინც აღნიშნულ პასაუებს ყურადღებით წაი-
კითხავს, მისთვის ნათელი გახდება: „ე.წ. „აბ-
დულმესიანიცა“ და „გაბაასებაც“ 1661 წელს
დატრიალებულ ამბებს ერთნაირი იდეოლოგი-
ით განიხილავენ და დასკვნა ორივეგან ერთნაი-
რია: ვამეყი არის არა მეყვისი, არა მოყვარე, არა
მოყვასი, არამედ ორგული, ფიცის გამტეხი, მო-
ლალატე, რომელმაც შესატყვისი რისხვა დაი-

ტეხა თავს და სამართლიანად განადგურდა, ია-
ვარიქმნა; შაჰნავაზი და არჩილ მეფე მართალნი
არიან; ძალიან საინტერესოა ორივე ტექსტის
ერთი მითითება: ე.წ. „აბდულმესიანში“ არჩილი
არის „მოყმე, მხნე, უხვი“ (26,2) და „ნერგი სვია-
ნი, დავითიანი“ (51,1); იგი, ამავე დროს, ასეა
წარმოსახული: „გვრიტთა მართვისა თვარ აქვს
მართ ვისა თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?“
(62,1).

მაშასადამე, არჩილ მეფე სამგზის ნახსენე-
ბია, როგორც ახალგაზრდა კაცი, როგორც მოყ-
მე, როგორც ნერგი სვიანი, როგორც გვრიტე-
ბის (შაჰნავაზისა და მისი მეუღლის) მართვე,
ანუ ბარტყი, რომელიც დასაქორნინებელია და
ვისაც აქვს მეუღლეობის წადილი.

ესე იგი, აქ **მოცემულია ყველა ის ეპითეტი,**
რომლებიც არჩილ ბაგრატიონს 1661 წელს
შეესატყვისებოდა.

ახლა ამ თვალსაზრისით გავსინჯოთ „გაბაა-
სება“. აქაც არჩილი არის ახალგაზრდა, უცოლ-

შვილო, ახალნერგი. შაპნავაზის შესახებ თეიმურაზ ბრძანებს:

„შვილი მან მეფედ აკურთხა, მოყმე, ჯერ ახალიანო“.

როგორცა ვხედავთ, აქაც ხაზგასმულია ეპითეტები მოყმე და ჯერ ახალიანი.

ამრიგად, იაკობ შემოქმედელისა და არჩილ ბაგრატიონის პოემებში მკაფიოდ იხატება პორტრეტი 1661 წელს ჯერ კიდევ ნორჩი (14 წლის) ხელმწიფის არჩილ ბაგრატიონისა.

ლიტერატურა

1. არჩილ ბაგრატიონი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, 6, „ნაკადული“, თბ., 1989.
2. ბერი ეგნატაშვილი, ახალი „ქართლის ცხოვრება“, წიგნში „ქართული მწერლობა“, 6, „ნაკადული“, თბ., 1989.

3. გიორგი გაგლოევი, იმერეთის ისტორია (1465-1810), გორი, 2013.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6, თბილისი, 1983.
5. იაკობ შემოქმედელი, ქება მეფისა არჩილისა, ანუ ე.წ. „აბდულმესიანი“, იხ. ნიგნში – ივანე ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I-II, თბილისი, 1957-1964.

**Облик Вамика Дадиани в так
называемом «Абдулмесиани»
и поэме Арчила Багратиони «Полемика
между
царем Теймуразом I и Руставели»**

Резюме

Т.н. «Абдулмесиани» в действительности является хвалебной лирической поэмой Якова Шемокмедели (митрополита Якова Думбадзе),

написанное в 1661 году. К той-же эпохе принадлежит и эпическая поэма Арчила Багратиони «Полемика царя Теймураза с Руставели» (1680-1681). Обе поэмы носят отпечаток схожей идеологии: а) Виноват правитель провинции, сепаратист Вамик Дадиани и прав царь Грузии Вахтанг V, который справедливо уничтожил семью Вамика; б) Обе поэмы одинаково освещают эту печальную участь несчастного феодала; б) В обоих поэмах одинаково нарисован слишком молодой царь, птенец горлицей Арчил Багратиони, взошедший на трон в 1661 году.

Ключевые слова: Сепаратист Вамик Дадиани, Карталинский царь Вахтанг V, Шахнаваз, историческая коллизия между Шахнавазом и Дадиани, молодой царь Арчил Багратиони.

Vamek Dadiani's personality in so called “Abdulmesiani and Kind Archili’s “Gabaaseba”

Resume

So called “Abdulmesiani” or in other words Iakob Shemokmedeli’s „ Praise to King Archil ”(1661) and Archil Bagrationi’s “Gabaaseba between king Teimuraz and Rustaveli” (1680-1681) are creation of one era, as well as creation of King Archil’s literatural circle. That is why they have the same ideology: a) Vamek III Dadiani, with his separatist spirit is wrong and the king of Kartli Vakhtang V Shakhnavazi - is right; b) In both texts there is described a historic collision and destruction of Vamek’s family; c) In both of them, is described almost literally identical young king of Imereti, 14-year-old Archil,son of Shakhnavazi.

Key words: Vamek Dadiani, separatism, Vakhtang V, Shahnavazi, their resistance, Dadiani's punishment, personality of young King Archil.

ვამეყ დადიანი და მისი ოჯახი ე.წ.

„აბდულმესიანსა“

და ფეშანგის „შაჰნავაზიანში“

საკვანძო სიტყვები: ე.წ. „აბდულმესიანი“, ია-კობ მიტროპოლიტი, „ქება მეფისა არჩილისა“, ფე-შანგი, პოემა „შაჰნავაზიანი“, ვამეყ დადიანი, მისი ოჯახის ტრაგედია.

უკვე ვნახეთ, რომ ე.წ. „აბდულმესიანი“ და არჩილ მეფის „გაბაასება“ აირეკლავს 1661 წელს დასავლეთ საქართველოში მომხდარ ამ-ბებს; იგივე ხდება „გაბაასებაზე“ გაცილებით ადრე შეთხზულ „შაჰნავაზიანში“. თუ არჩილის შედევრი 1681-1682 წლებშია შექმნილი, ფეშან-

გი ფაშვიბერტყაძემ „შაპნავაზიანი“ დაწერა 1664 წელს.

მაშასადამე, ფეშანგის პოემა ე.წ. „აბდულმე-სიანის“, ანუ იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქე-ბის“, შეთხზვისთანავე (1661) არის დასრულე-ბული.

ბუნებრივია, იგი 1661 წელს მომხდარ ამბებ-საც აღწერს და აღწერს უფრო ვრცლად და დაწ-ვრილებით, ვიდრე იაკობის ხოტბა და არჩილის შედევრი.

იდეოლოგია აქაც იგივეა: ვახტანგ V შაპნა-ვაზი არის საქართველოს გამაერთიანებელი, გმირი მეფე და თვითმპყრობელი: „მამაცი და გულოანი“ იგი გმირთა დასადარი; მათსა ხმალ-საც ვერ დაუდგამს, კლდეცა იყოს მეტად სა-ლი“; „მეუნებლე მოამდაბლა, მტერნი მისცა დია სრასა“ (1, გვ. 34); „მეფე შაპნავაზ ყაენსა მია-ჩანს ძმად და ძმობილად“ (იქვე, გვ. 40); ის არის უხვი, მდიდარი, პატიოსანი და სამართლიანი, სიტყვის კაცი.

სამუქფოდ, სულ სხვაგვარია მისი მოპირის-პირე და ქვეგამხედვარი ფეოდალი ვამეყ III და-დიანი. როგორც ე.წ. „აბდულმესიანსა“ და არჩი-ლის პოემაში, ისე აქაც მითითებულია ვამეყის ეს უკუღმართი თვისებები:

ვამეყ დადიანს მოესმა
ლაშქრობა დიდთა მეფეთა;
მოწყენა შექმნა ასეთი,
თუ სთქვა, ლახუართა ეფეთა (იქვე, გვ. 55).
ფეოდალმა ჯერ პირი შეკრა ვახტანგ მეხუ-
თესთან და აგრე გაურიგდა:

ჩვენ გავიყოთ საპატრონო,
რადგან ასე ცუდად ძესა;
პირი დავსდუათ მოყურობისა,
ქალი მოვსცა მაგა ძესა (გვ. 56).
მაშასადამე, მიწები გაინაწილეს და დადიან-
მა თავისი გრძელცხვირა და არცთუ სასიამოვ-
ნო შესახედაობის ასული არჩილ მეფის საცო-
ლედ გამოაცხადა. პოემაში მერე ასე წერია:

**მოყურობა შექმნა ლომგულმა, ვინ-ა შუქ-
დაუფარავი (გვ. 57).**

ლომგულმა შაპნავაზმა დადიანის მოყვრო-
ბაზე თანხმობა განაცხადაო, მაგრამ მორიელი
მორიელობას არ მოიშლის, ძალლის კუდი არ
გასწორდება.

**დადიანი შემოვიდა, გულსა ჰქონდა სხვა
დარიგი,**

აქუს სიმრუდე, თქმა და რჩევა... (გვ. 62).

მალე ფეოდალმა ღვთივგვირგვინოსანს პი-
რი შეუშალა, სიტყვა გაუტეხა, უდალატა:

**ხანი გამოხდა, არჩივეს მათ დიდთა ფიცთა
ტეხანი,**

**არ გაიმართვის კაცთაგან საქმის უკულმა
გრეხანი (გვ. 62).**

ასე ხელყოო მუხთალმა დიდი მეფის ღირსე-
ბა და პატივი, მაგრამო

**ვინ ხელყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვ-
ნებს ისარებს (გვ. 63).**

ერთი სიტყვით, დიდ ხელმწიფესო

უჭკუოთა ქალი წართვეს... (გვ. 63).

ამის შემდეგ მოდის მთელი სტროფი, სადაც
გაშლილია მსჯელობა ვამეყის ვერაგობაზე:

**ვამეყ გატეხა ზენარი, ფიცი, სიმტკიცე
სრულია;**

**ვეზირი უჯდა რეგვენი, ჭკვისაგან გარდა-
სულია;**

**არჩივა ძნელი საქმარი, მით წაიწყმიდა სუ-
ლია;**

**მან მოაოხრა ქვეყანა, მოჰვარა ალსასრუ-
ლია (გვ. 64).**

რაც ამ სტროფშია ნათქვამი, ყველაფერი ეს
უფრო მოკლედ და სხარტად ასახულია ე.წ. „აბ-
დულმესიანში“, რომელიც ამ თხზულებასთან
შედარებით 3-4 წლით ადრეა შეთხზული. ამ
მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა 32-ე
სტროფი:

**ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო ამან ქვეყანით,
ალმოფხვრა სული - ძე და ასული;**

რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!
ვნახეთ-ა სერი: მაზედა სერი -
მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისევნით!
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით (5).

პოემაში დაწვრილებით არის აღნერილი ის, რაც ნათქვამია ხოტბაში: ვამეყი შაჰნავაზმა და არჩილმა იავარყვეს, ამა ქვეყნის სიამეს გამოა-სალმეს, მისი ოჯახი გაანადგურეს და მის მძორზე მხეცები და ფრინველები ახეირესო; პროვინციის მეფედ ამაღლებული უძალო ყვეს და გლახაკს, ძონძებით მოსილს, დაამსგავსესო.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ერთი რამეა: ხოტბაში გაკვრით არის ნახსენები ვამე-ყის ოჯახის ორი წევრი - დადიანის ძე და ასუ-ლი:

აღმოფხვრა სული - ძე და ასული.

ფეშანგის პოემიდან ირკვევა, რომ ვამეყ III დადიანს ჰყოლია ცოლი და ორი შვილი - ძე და ასული. აი, როგორაა ეს გადმოცემული: ვახ-

ტანგ მეხუთე ბრძანებს: „ვამეყს არ დავარჩინ, თულა მახსოვს მისგან ქმნული!“ (გვ. 72). დამნაშავე სვანეთში გადაიხვენა: „ვამეყ მთხრელმა ქვეყნისამან გუარი ასრე მოაყივნა“ (გვ. 82). მოღალატე არც სვანეთში დაინდეს, მოკლეს და ეს სასიხარულო ამბავი ხელმწიფე შაჰნავაზს ახარეს:

თქუა: „მოკლესო დადიანი, სუანეთს იყო იგ მაშინა;

ვამეყ წახდა ფიცთა ტეხით, ღვთისგან აროს შეეშინა,

ოხრად დაურჩა სამყოფი, უანგარიშო რა მალი...

ან ნახეთ მისად სანაცვლოდ ვით ჰპოა აღ-სასრულები (გვ. 86).

ყოველივე ეს, როგორც ითქვა, მოკლედ აღ-წერილია ხოტბის 32-ე სტროფში, მაგრამ საგულისხმოა, რომ პოემაში ამის შემდგომ გამოჩნდება ვამეყის „ძე და ასული“. ხოტბაში რომ ასე მოკლედ წერია „ძე და ასული“, აქ, პოემაში, ეს

ამბავი გაშლილია - ვამეყის ცოლი, ძე და ასული
მიჰევარესო შაპნავაზს:

**შუილი მიჰევარეს შაპნავაზს, ვამეყითან
გაყოლილია,**

**შიშს დაებნიდა ყმაწვილი, არსად მოსუ-
ლოდა ძილია;**

**გაოხრდა მათი ქონება, სამყოფთათ გარ-
დავლილია;**

**დედოფალი და ასული, თან მოჰყავ ვაჟიშ-
ვილია (გვ. 86).**

სამივე მათგანი - ვამეყის ცოლი, ძე და ასუ-
ლი - შაპნავაზმა თბილისში გაგზავნა, თავის მე-
უღლესთან.

მარიამ დედოფალმა მიიღო ტყვეები. ფეშან-
გი გვიმხელს ვამეყ დადიანის ცოლის სახელსაც
- ელენე რქმევია.

**ელენემ ნახა სამეფო, იმა დედოფალ ყო-
ფილმან (გვ. 95).**

ამრიგად, მივაგენით იმას, რასაც ვეძებდით:

ე.წ. „აბდულმესიანში“, ანუ იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში“, გაკვრით რომაა ნახსენები - „აღმოფხვრა სული - ძე და ასული“, ეს ძე და ასული ფართოდ ჩანს ფეშანგის პოემაში. ისინი ვამეყ III დადიანისა და დედოფალ ელენეს შვილები არიან.

მაშასადამე, ფეშანგის პოემა შეიძლება წარმოვიდგინოთ გაშლილ კომენტარად ხოტბის 32-ე სტროფისა, სადაც ძალიან ზოგადად არის მინიშნებული ვამეყის, როგორც ბოროტი ირანელი ვისის მსგავსის, საქმენი „საგმირონია“ და მერე აღწერილია მისი ვისისამებრ ავი აღსასრული: ამან (არჩილმა) იგი და მისი ოჯახი იავარყო; აღმოფხვრა სული - ძე და ასული. ესე იგი, თავიანთ სამკვიდროს მოსწყვიტა და გადაასახლა, ტყვედ ჩაიგდო ხელში ვამეყის ვაჟი და ასული, ასევე, მისი ცოლი ელენე. ხოტბის მიხედვით, „რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!“ ისე საშინელ დღეში ჩააგდო, ენაც ვერ გამოთქვამსო; მის მძორს მხეცები და ფრინვე-

ლები ძიძგნიანო; ოჯახის დანარჩენი წევრები კი „ქმნა უძალოდ“, სამეფო ტანსაცმლის ნაცვლად ძაძებში გამოახვიაო.

ამ ორ ნაწარმოებს შორის იძებნება სხვა პარალელებიც, ოღონდ უმთავრესია შემდეგი: ხოტბაში ნახსენებია ვამეყი, ირანელი ვისის მსგავსი ვერაგი პიროვნება, და მისი ორივე შვილი - ძე და ასული.

ეს ამბავიც იმას დასტურყოფს, რომ ე.წ. „აბდულმესიანი“ გახლავთ არა მეთორმეტე საუკუნის მგოსნის შავთელის, არამედ მეჩვიდმეტე ასწლეულის მოღვაწის იაკობ დუმბაძის ნაშრომი და მისი ნამდვილი სახელია „ქება მეფისა არჩილისა“.

ლიტერატურა

1. ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბილისი, 1935.
2. ქართული მწერლობა, 3, თბილისი, 1988, ე.წ. „აბდულმესიანი“.

Vamek Dadiani and his family in a so called “Abdulmesiani”

And in a Peshangi’s “Shakhnavaziani”

Resume

The so-called “Abdulmesiani” is not written by the famous poet of the 12th century Shavteli. The praise with 107 verses was written by Metropolitan Jacob in 1661 to raise the authority of young king of Imereti Archil Bagrationi.

A dramatic story was preceded the reign of the young king in 1661: his father, Vakhtang V, Shakhnavazi, collusion together with the governor of Samegrelo Vamek Dadiani, they divided the territories and even related by marriage. Archili had to married to Vameki’s daughter. Future father-in-law broke the promise, forced her daughter to get married to another

man. The enraged Shakhnavazi severely punished the betrayer and traitor: Vameki was killed in Svaneti; Shakhnavazi sent his wife, a daughter and son to the Queen Mariami in Tbilisi. The queen mercifully received the captives, and Vameki doesn't even have a tomb. Her body was torn by raven and spades.

This sorrowful story is written in the so-called "Abdulmesiani", or in other words "Praise of the king Archili", and more broadly in the poem "Shakhnavaziani." Peshangi Pashvibertadze created "Shahnava-ziani" 3-4 years after the creation of the praise (1661).

In a scientific literature has not yet noted the fact that in „Abdulmesiani” (shorter) and „Shakhnavaziani” (more broadly) there is written the bitter destiny of the Vamek Dadiani's family.

The above mentioned once again proves: that the praise with 107 verses is not “Abdulmesiani”, but “Praise of the King Archili.”

Key words: so called “Abdulmesiani”, Iakob metropolitan, “Praise of the King Archil”, Peshangi, poem “Shakhnavaziani”, Vamek Dadiani, tragedy of his family



ଓঁৰা ফুলুম

სარჩევი

I. სხვადასხვისადა

| | | |
|-----|---------------------------------------------------------------------|-----|
| 1. | საეშმაკო სერობის იდუმალი ქვეტექსტები | 4 |
| 2. | განა მართლა „და“ კავშირით იწყება „შუშანიკის წამება?“ | 45 |
| 3. | მეტყველების კულტურის (უზუსის) ელემენტები ძველ და საშუალ ქართულში | 59 |
| 4. | დავით გურამიშვილის „კეფისა“ | 79 |
| 5. | გორში დასტამბული პირველი წიგნი | 106 |
| 6. | ოზურგეთი | 122 |
| 7. | ტოპონიმი ოზურგეთი და არჩილ მეფის ხელნაწერული მემკვიდრეობა | 130 |
| 8. | ოძრხე (ოძრისხევიდან ოზურგეთამდე) | 137 |
| 9. | ორი გვარის წარმომავლობისათვის | 154 |
| 10. | აკეთი | 163 |
| 11. | გურული სიტყვა „ზუკუტური“ | 169 |
| 12. | კაჭიჭი | 178 |
| 13. | გურული ატროშანი | 185 |
| 14. | თავხედი სატირის საიდუმლო | 192 |
| 15. | მჩატე სატირის საიდუმლო | 200 |
| 16. | ვენახი | 205 |
| 17. | კერა – სიტყვათა კერა | 211 |
| 18. | „ვისაც გსურთ და სხვა“ | 229 |
| 19. | მოსაბაქე | 233 |
| 20. | არა ორიგინალი, არამედ თარგმანი | 241 |

II. რუსთველიადა

| | |
|-----------------------------------------------------------|-----|
| 1. მე, რუსთველოლოგი | 246 |
| 2. რითმისნინა გახმოვანების რუსთველური სისტემა | 263 |
| 3. შეწებებული გულების საიდუმლო „ვეფხისტყაოსანში“ | 291 |
| 4. ობოლი მარგალიტის საიდუმლო „ვეფხისტყაოსანში“ | 301 |
| 5. სახელი „ფატმანი“ | 311 |

III. აბდულმესიადა

| | |
|-------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| 1. მინორატისა და მაიორატის პრობლემა ე.ნ. „აბდულმესიანში“ | 315 |
| 2. რად გაქრა „თამარიანი?“ | 330 |
| 3. სეფქა-ისარი და ე.ნ. „აბდულმესიანი“ | 348 |
| 4. მეტყველი ლექსიკა | 361 |
| 5. ე.ნ. „აბდულმესიანში“ ჩამორიგებული ავანსის შესახებ | 384 |
| 6. ვამეყ დადიანის სახე ე.ნ. „აბდულმესიანსა“ და არჩილ მეფის „გაბაასებაში“ | 400 |
| 7. ვამეყ დადიანი და მისი ოჯახი ე.ნ. „აბდულ მესიანსა“ და ფეშანგის „შაჰნავაზიანში“ | 418 |

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

